

მართლმსაჯულება **3**'13  
კანონი

**Justice and Law** Legal Journal  
#3(38)'13

N3(38)'13

მართლმსაჯულება

ლს

კანონი

რედაქტორი

ნინო ძიციგური

რედაქტორის თანაშემწე

ირმა ბეჟაური

ნომერზე მუშაობდნენ:

ინგა ალავიძე

ლეილა კოშკაძე

თარგმანი:

თამარ ნეფარიძე

დიზაინი:

ბესიკ დანელია

ფოტოურუნველყოფა:

დავით ხიზანიშვილი

სარედაქციო საბჭო:

დინა ბერეკაშვილი

თამარ ზამბახიძე

ინგა კვანტაძე

კონსტანტინე კუბლაშვილი

ზაზა მელიქიძე

ვალერი ცერცვაძე

Editorial Board:

DIANA BEREKASHVILI

TAMAR ZAMBAKHIDZE

INGA KVACHANTIRADZE

KONSTANTINE KUBLASHVILI

ZAZA MEISHVILI

VALERI TSERTSVADZE

Editor:

NINO DZIDZIGURI

Assistant to Editor:

IRMA BEKAURI

The issue was prepared by

INGA ALAVIDZE

LEILA KOSHKADZE

Translated by

TAMAR NEPHARIDZE

Designed by

BESIK DANELIA

Photo support by

DAVIT KHIZANISHVILI

*English version of articles has been provided by Candidates  
of Law faculty of Tbilisi State University*



საპარტვილოს მოსამართლეთა  
ასოციაცია  
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA



აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების  
გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება  
კომერციული მიზნით, საქართველოს  
მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს  
უზენაესი სასამართლოს წერილობითი  
ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

უპკ (UDC) 340.11+340.130.5

მ-306

ISSN 1512-259X

5	ლაშა მაღრაძე: „კვალიფიკაციის ზრდა მუდმივი პროცესია...“ LASHA MAGHRADZE: “QUALIFICATION UPGRADE IS A NON-STOP PROCESS”
16	<b>ლეილა კოხრეიძე</b> ანდერძის ნამდვილობასთან დაკავშირებული დავები ქართულ სამოსამართლო სამართალში DISPUTES ON VALIDITY OF THE WILL IN THE GEORGIAN CASE LAW <b>LEILA KOKHREIDZE</b>
37	<b>ლელა ნადიბაიძე</b> არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების და მასთან ურთიერთობის უზღუდვების შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებანი PECULIARITIES OF HEARING CASES ON THE RIGHT TO RETURN AN ILLEGALLY DISPLACED OR ILLEGALLY DETAINED CHILD AND TO HAVE CONTACT WITH IT <b>LELA NADIBAIDZE</b>
51	<b>როინ მიგრიული</b> შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლა LEAVING THE LIMITED LIABILITY COMPANY BY A PARTNER <b>ROIN MIGRIALI</b>
61	<b>დავით წულაია</b> მონანიება, როგორც დამნაშავეს რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის უმთავრესი ფაქტორი REPENTANCE AS A PRINCIPAL FACTOR OF RE-SOCIALIZATION AND REHABILITATION OF CRIMINAL <b>DAVID TSULAI</b>
89	<b>გიორგი დგებუაძე</b> ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული საერთაშორისო სისხლის სამართალში CRIME AGAINST HUMANITY IN THE INTERNATIONAL CRIMINAL LAW <b>GIORGI DGEBUADZE</b>
103	<b>ნათო ბაინდურაშვილი</b> სამოხელეო დავის განხორციელების სპეციფიკა, სამართლებრივი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები SPECIFICS OF HANDLING THE DISPUTES RELATED TO PUBLIC OFFICE, LEGAL PROBLEMS AND WAYS TO ADDRESS THEM <b>NATO BAINDURASHVILI</b>

122

**ზურაბ ჭყონია**

სასამართლო ხელისუფლების ფუნქცია აღსრულების პროცესში

FUNCTION OF JUDICIARY POWER IN THE ENFORCEMENT PROCESS

**ZURAB CHKONIA**

128

**მისხილ ბიჭია**

აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და კერძო ცხოვრების დაცვის უფლებას შორის ღირებულებითი კონფლიქტი

CONFLICT OF VALUES BETWEEN THE FREEDOM OF EXPRESSION AND

RIGHT TO PRIVACY

**MIKHEIL BICHIA**

148

**ელენე კავთუაშვილი**

არასრულწლოვანი დამნაშავე და დანაშაულის პრევენცია

JUVENILE OFFENDER AND CRIME PREVENTION

**ELENE KAVTUASHVILI**

# „კვალიფიკაციის ზრდა მუდმივი პროცესია...“

## ახალი დირექტორის ახალი გეგმები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს ყოფილი უფროსი ლაშა მაღრაძე ცოტა ხნის წინათ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორად დაინიშნა.

„საინტერესო და მრავალფეროვანი სარეფორმო გეგმა შევიმუშავეთ, ჩვენ ეტაპობრივად დავიწყებთ პრიორიტეტულ მიმართულებებზე მუშაობას და ვფიქრობ, წარმატებით დავასრულებთ“, – აცხადებს იუსტიციის უმაღლესი სკოლის ახალი დირექტორი, რომელიც სკოლაში მოსალოდნელი სიახლეების შესახებ გვესაუბრება.

■ ბატონო ლაშა, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორად ცოტა ხნის წინათ დაინიშნეთ, საინტერესოა, თქვენი გეგმები, რა სიახლეების განხორციელებას გეგმავთ სკოლაში?

რა თქმა უნდა, სიახლეების განხორციელებისათვის შევიმუშავეთ 2013-2014 წლების სპეციალური სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურადაა განერილი ის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები, რომელსაც რეფორმა უნდა შეეხოს. თითოეულ მათგანზე უკვე მომზადებულია კანონპროექტები. ჩვენ ეტაპობრივად დავიწყებთ ამ მიმართულებებზე მუშაობას და ვფიქრობ, წარმატებით დავასრულებთ.

■ უფრო კონკრეტულად, რა ცვლილებები იგეგმება სკოლაში? ცნობილია, რომ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მიხედვით, შესაძლოა შეიცვალოს სასწავლო პროცესის აქამდე არსებული წესი.

სკოლაში სწავლების ვადის გაზრდა და უნიფიცირება ჩვენი გეგმის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებაა. ჩვენი მიზანია იუსტიციის უმაღლეს სკოლაში იუსტიციის მსმენელთა სწავლების ხანგრძლივობის შესახებ ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება. ასევე, იუსტიციის მსმენელთა სწავლების გონივრული და უფრო ეფექტური ვადების შემოღება.

ვგეგმავთ, დღეს არსებულ მსმენელთა სხვადასხვა კატეგორიის ნაცვლად, იუსტიციის მსმენელთა ერთი კატეგორიის შემოღებას და მათთვის სწავლების ერთიანი ვადის დაწესებას.

10-თვიანი სასწავლო პროცესი გაიზრდება და გახდება 15-თვიანი. სასწავლო ვადის გაზრდა სხვადასხვა ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობა, მათ შორის, გავითვალისწინეთ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებიც. მსგავსი პრაქტიკა ევროპის არა ერთ ქვეყანაში მოქმედებს და საკმაოდ წარმატებულად. ამიტომაც, გავითვალისწინეთ ევროპული გამოცდილება და სწავლის გაზრდილი ვადები ძირითადად, წარიმართება სტაჟირების კომპონენტის გაძლიერებაზე. თეორიული სწავლების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება მსმენელის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, რასაც გარკვეულწილად გაცილებით მეტი დრო დაეთმობა. სკოლის მსმენელი იურისტია, რომელსაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა აქვს წარმატებით ჩაბარებული, რაც ნამდვილად არ არის ადვილი, შესაბამისად, მსმენელი თეორიულად ძალზე კარგადაა მომზადებული და მას სჭირდება მოსამართლისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება დახვეწა. სკოლის კურსდამთავრებული

როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად, უნაკლოდ უნდა იყოს მომზადებული, რათა დაინიშნოს ისეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, როგორც მოსამართლეა.

**არსებობს მოსაზრება, რომ მოსამართლეობისთვის მხოლოდ სკოლის კურსის წარმატებით დასრულება საკმარისი არ არის და მოსამართლედ დანიშვნისას სხვა კრიტერიუმებიც უნდა იყოს გათვალისწინებული. საკმარისია თუ არა სკოლაში მიღებული განათლება პირის მოსამართლედ დანიშვნისათვის?**

როგორც აღვნიშნე სკოლის მსმენელი თეორიულად კარგად მომზადებული იურისტია, მას მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები აქვს ჩაბარებული და გარდა თეორიული ცოდნისა, მსმენელის შერჩევა სხვა კრიტერიუმებითაც ხდება. მათ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უტარდებათ გასაუბრება, რის შემდეგაც ისინი სკოლაში მსმენელებად ირიცხებიან.

სკოლაში რამდენიმე თვიანი თეორიული სწავლების კურსის შემდეგ მსმენელებს უტარდებათ სტაჟირება. მათ ევალებათ გადანყვეტილებების, სხვადასხვა საპროცესო დოკუმენტების მომზადება, უკვე მიღებულ გადანყვეტილებებზე თავიანთი მოსაზრებების ჩამოყალიბება, ასევე, იმიტირებული პროცესების ჩატარება. მსმენელებს ეძლევათ კაზუსი, რომელზეც ხშირ შემთხვევაში, ატარებენ იმიტირებულ პროცესს და თითოეული მსმენელი წერს სასამართლოს გადანყვეტილებას აღნიშნულ საქმეზე. ამით იმის თქმა მინდა, რომ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელები მოსამარ-



თლებად ყალიბდებიან – მათი თეორიული ცოდნა უფრო მეტად იხვეწება და მოსამართლისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს იძენენ.

სწორედ იმიტომ, რომ გაუმჯობესდეს მსმენელთა მომზადების კურსი, სასწავლო პროცესი გახდება 15-თვიანი. სკოლის კურსდამთავრებულთა მოსამართლედ დანიშვნისას, გარდა თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა, გათვალისწინებულია ყველა ის კრიტერიუმი, რაც მოსამართლეობისთვისაა საჭირო.

გარდა მოსამართლეებისა, სკოლაში მოსამართლის თანაშემწეები, სასამართლოს სხვა თანამშრომლებიც გადიან სასწავლო კურსს და თამამად ვიტყვი, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლა მაღალკვალიფიციურ კადრს ამზადებს.

### **ბატონო ლაშა, შეიცვლება თუ არა სკოლის საგამოცდო კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი?**

ჩვენი გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამამთავრებელი გამოცდის საგამოცდო კომისიის ფორმირების ვადებისა და მუშაობის წესის დაზუსტება.

საგამოცდო კომისიის ფორმირების პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, მოხდება კომისიის ფორმირების ვადებისა და კომისიის მუშაობის ძირითადი წესების დადგენა.

მკაფიოდ განისაზღვრება საქართველოს უზენაესი სასამართლოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს იუსტიციის



მინისტრის მიერ კომისიის წევრების წარმოდგენის ვადა. ასევე, კანონით დადგენილ ვადაში კომისიის წევრის წარმოდგენლობის შემთხვევაში, კომისიის ფორმირების საკითხი. კანონით დადგინდება, საგამოცდო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ძირითადი წესები.

### რა პრიორიტეტებია კიდევ სამოქმედო გეგმაში?

გეგმის პრიორიტეტია ასევე, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა შერჩევის კრიტერიუმებისა და წესების ჩამოყალიბება. ამ საკითხზე აქტიურად ვმუშაობთ, მზადდება სკოლის წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტი და დადგინდება ის კრიტერიუმები და წესები, რომლის მიხედვითაც, შეირჩევიან სკოლის მასწავლებლები.

ასევე, პრიორიტეტია იუსტიციის უმაღლესი სკოლის საჭიროებების ანალიზი. საუბარია, სტრუქტურული, პროცედურული (მაგალითად, სკოლაში ჩარიცხვისა და სწავლების პროცესი) და შინაარსობრივი (სასწავლო და გადამზადების პროგრამები), საკომუნიკაციო ნაკლოვანებების იდენტიფიცირებასა და ანალიზზე, რის შემდეგაც შევიმუშავებთ სტრატეგიული განვითარების დოკუმენტს, რომელიც სკოლის შემდგომი განვითარებისათვის ერთგვარი სახელმძღვანელო გახდება.

ამ მიმართულებებით მიმდინარეობს ევროპის საბჭოსთან მოლაპარაკება თანამშრომლობაზე და მათი მხრიდან ფინანსური დახმარების მოძიება. ოფიციალური მიმართვა უკვე გაგზავნილია სტრასბურგში და ველოდებით პასუხს.

ასევე, ჩვენი პრიორიტეტია სკოლის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა.

გვინდა, რომ სკოლის საქმიანობა უფრო მეტად გამჭვირვალე გახდეს და სკოლის შესახებ საზოგადოებას მივანოდოთ დეტალური ინფორმაცია. ამისათვის ვგეგმავთ საჯარო ინფორმაციის გაცემის ელექტრონული სისტემის ჩამოყალიბებას. მიმდინარეობს სკოლის ახალი ვებგვერდის კონცეფციის დამუშავება და ძალიან მალე საზოგადოებას ახალ ვებგვერდს შევთავაზებთ, სადაც ოპერატიულად მიიღებენ ინფორმაციას სკოლის საქმიანობის შესახებ. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები დონორებთან – USAID-სა და GIZ-თან და მათი დახმარებით სკოლის გამჭვირვალობის ხარისხი კიდევ უფრო გაიზრდება.

ასევე, ვგეგმავთ მსმენელთა პორტალის შექმნას. მოხდება სკოლაში სასწავლო პროცესის ელექტრონიზაცია და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. აღნიშნული პორტალი უზრუნველყოფს მსმენელთა სკოლაში სწავლის სრული პროცესის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას. მსმენელებს ექნებათ საკუთარი გვერდი, რომელიც აღიჭურვება სხვადასხვა ფუნქციით, მათ შორის: დავალებების მიღება-შესრულების, შეფასების მიღების, ბლოგის, ლექციათა განრიგისა და სხვა ფუნქციებით. ამავე სისტემაზე წვდომა ექნებათ მასწავლებლებს, სტაჟირების კოორდინატორებს და სემინარის ხელმძღვანელებს, რომელთაც საშუალება ექნებათ, ელექტრონულად მისცენ დავალება მსმენელებს და ასევე, შეაფასონ შესრულებული დავალებები. აღნიშნული პორტალი ითვა-

ლისწინებს თეორიული და დამამთავრებელი გამოცდების პროგრამულ ჩაბარებასაც.

ასევე, სურვილი გვაქვს შევექმნათ მოსამართლეთა და სასამართლოს თანამშრომელთა პორტალი, რომლის მიზანიცაა გადამზადების პროგრამების შემუშავებაში მოქმედ მოსამართლეთა ელექტრონული ფორმით ჩართულობის ნახალისება, აგრეთვე გადამზადების აქტივობებში მათი მათქმნალობის ჩართულობის უზრუნველყოფა.

მოსამართლეები და სასამართლოს თანამშრომლები შექმნიან პირად გვერდს, რომლის საშუალებითაც ისინი შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ განგრძობადი კურიკულუმის შემუშავებაში, იხილონ დამტკიცებული პროგრამა მათ გვერდზე, ონლაინ დარეგისტრირდნენ ტრენინგზე, მიიღონ ტრენინგზე დასწრების შესხენების შეტყობინება და ელექტრონულად შეაფასონ გავლილი ტრენინგი. ამ პორტალის შექმნით კიდევ უფრო გამარტივდება სკოლასთან მოსამართლეებისა და სასამართლოს სხვა თანამშრომელთა ურთიერთობა. მაგალითად, ტრენინგზე დასარეგისტრირებლად მათ აღარ დასჭირდებათ დროის დაკარგვა – ონლაინ რეჟიმში განახორციელებენ მათთვის საჭირო ქმედებას.

სკოლისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტად კვლავ რჩება მოქმედ მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა. სხვათა შორის, ამ მხრივ საკმაოდ სერიოზული სისტემა გვაქვს შექმნილი.

ჩვენი გეგმის მთავარი პრიორიტეტია იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და მასში მონაწილეობის

პროცედურების დახვეწა. გვინდა, რომ მოქმედ მოსამართლეთა გადამზადების პროგრამების შემუშავების პროცესში მოსამართლეთა ჩართულობა კიდევ უფრო გაიზარდოს.

ყველა მოქმედ მოსამართლეს შესაძლებლობა მიეცემა სკოლას რეკომენდაციები წარუდგინოს, რითაც უშუალოდ მიიღებს მონაწილეობას გადამზადების პროგრამის შედგენაში.

გარდა ამისა, მოქმედ მოსამართლეს შესაძლებლობა მიეცემა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღოს მონაწილეობა სკოლის გადამზადების ღონისძიებებში. ანუ, ნებისმიერ მოსამართლეს ექნება საშუალება მისი სურვილის მიხედვით, გაიაროს ტრენინგი მისთვის სასურველ საკითხზე. ერთადერთი შემთხვევა, როცა მოსამართლეს შეიძლება უარი ეთქვას – არის მისი დაგვიანებული განაცხადი ტრენინგში მონაწილეობაზე.

მოსამართლის კვალიფიკაცია სისტემატურად უნდა იზრდებოდეს, სხვანაირად ის ვერ იქნება პროფესიონალი. მოსამართლის გადანყვეტილება იმდენად დასაბუთებული უნდა იყოს, რომ მას ნაკლი ვერავინ მოუძებნოს. როცა მოსამართლე პროფესიონალია, აქვს მაღალი კვალიფიკაცია – მის მიერ გამოტანილი გადანყვეტილება მაღალი ხარისხის იქნება და პრეტენზიებიც – უსაფუძვლო. ამიტომაც, კვლავ ძალზე აქტიურად ვიმუშავებთ ამ მიმართულებით. ეს ძალზე მნიშვნელოვანი დეტალი სასამართლოს გამართულად მუშაობას განაპირობებს.

## **მოსამართლის გადანყვეტილების დასაბუთებულობის დაბალი ხარისხი**

### ბოლო პერიოდში განსაკუთრებული კრიტიკის ობიექტი იყო.

როგორც გითხარით, მომავალი წლის პრიორიტეტად რჩება მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა. კვალიფიკაციის ზრდა მუდმივი პროცესია. არ შეიძლება ადამიანმა, მით უმეტეს, მოსამართლემ ჩათვალოს, რომ ერთხელ გავლილი მოსამზადებელი კურსი მისი სრულყოფისათვის, წლების მანძილზე საქმიანობისათვის და მაღალი ხარისხის გადაწყვეტილებების მისაღებად საკმარისია. ბოლო წლების მანძილზე, სასამართლო სისტემა, კანონმდებლობა მუდმივ ცვლილებებს განიცდის, რასაც მოსამართლემ ფეხი უნდა აუწყოს და ცვლილებების შესაბამისად, მუდმივად უნდა ვითარდებოდეს.

მოსამართლის კვალიფიკაცია ძალზე კარგად ჩანს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხში. ჩვენ გვყავს ბევრი მაღალკვალიფიციური მოსამართლე, რომელთა გადაწყვეტილებების ხარისხი მაღალია. მოსამართლის კვალიფიკაციის ზრდა და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა სასამართლოს იმიჯთან პირდაპირ კავშირშია და როგორც აღვნიშნე, ამ მიმართულებითაც კვლავ აქტიურად ვმუშაობთ.

ასევე, კვლავ ვიზრუნებთ მოსამართლეებისთვის კომუნიკაციის სტანდარტების სწავლებაზე. გვაქვს სპეციალური კურსი, სადაც მოსამართლეები ეცნობიან, თუ როგორ უნდა განახორციელონ სამოსამართლო საქმიანობა დარბაზთან კომუნიკაციის წესების დაცვით.

### არსებული მოდელის შეცვლა? მისი ფუნქციების გამსხვილება ან პირიქით?

ჩვენ ვისაუბრეთ ცვლილებებზე, რომელიც განხორციელდება სკოლაში, ამასთან, ვგეგმავთ, იუსტიციის უმაღლესი სკოლის სტრუქტურის სრულყოფას და სკოლის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას. შეიქმნა სკოლის ახალი სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები მკაფიოდ და ახლებურად გადანაწილდა.

ვფიქრობთ, შესაძლებელია სკოლის სერვისების პოპულარიზაციით გაიზარდოს სკოლის მომხმარებელთა სეგმენტი. მაგალითად, შევიმუშაოთ ტრენინგები პროკურორებისათვის, ადვოკატებისათვის, ნოტარიუსებისათვის, აღმასრულებლებისათვის, ზოგადად, იურიდიული პროფესიის ადამიანებისათვის. ვფიქრობთ, მათთვის სხვადასხვა ონლაინ კურსის შექმნას. საერთოდ, საინტერესო და მრავალფეროვანი გეგმა შევიმუშავეთ, სარეფორმო სიახლეებიც მრავლად გვაქვს, თუმცა, სკოლის მოდელის შეცვლა ჯერჯერობით, ნამდვილად არ იგეგმება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ უახლოეს მომავალში სკოლა შეიცვლის მდებარეობას – ახალ შენობაში გადავდივართ.

**ხომ არ არის მოსალოდნელი იუსტიციის უმაღლესი სკოლის**




# “QUALIFICATION UPGRADE IS A NON-STOP PROCESS”


## NEW PLANS OF A NEW DIRECTOR

LASHA MAGHRADZE, former Head of Staff of the Chief Justice of the Supreme Court of Georgia, was recently appointed a director of the High School of Justice.

“We have developed an interesting and diverse reform plan. We will start to work on the priority directions gradually, and I think we will succeed in it” – said the new director of the High School of Justice, who talked to us about new developments anticipated at the school.

 **Mr. Maghradze, you were appointed a director of the High School of Justice just recently. It is interesting to hear about your plans, what novelties are you going to introduce at the school?**

Indeed, we have developed a special Action Plan for new developments in 2013-2014, which provides a detailed description of priority directions affected by the reform. Draft laws have already been prepared for each of them. We will start to work in this direction gradually and I think we will finish it successfully.

 **More specifically, what changes are planned at the school? It is known that the established regulation of academic process may be changed in accordance with the package of legislative amendments.**

One of the main priority directions of our plan is to unify and extend the time of studies at the school. Our goal is to establish a uniform approach regarding the duration of studies for the students of justice at the High School of Justice; and also to introduce reasonable and more effective timeframes of studies for the students of justice.

We are planning to introduce only one category of students of justice instead of currently existing various categories of students, and to set uniform study timeframes for them.

A ten-month academic process will be extended up to 15 months. Extension of study period was caused by several objective reasons; among them we have also taken into consideration the recommendations of international organizations as well. Similar practice is exercised in many European countries, and quite successfully by the way. This is why we have taken into account the European experience and the extended timeframes of studies will be basically targeted to reinforce the internship component. After the theoretical course, special emphasis will be laid on developing the practical skills of students, and much more time will be dedicated to it. A student of justice is a lawyer who has successfully passed the judicial qualification exam at the High Council of Justice, which is not easy in fact. Consequently, the student has got a very good theoretical knowledge and s/he needs to develop and refine the practical skills that the judges are in need of. By the time of finishing the school, the student should be flawlessly prepared not only from theoretical, but also practical viewpoint in order to be eligible for such a responsible position as a judge.

**There is an opinion that only the successful completion of the course at the school is**

**not enough for becoming a judge, and that other criteria should be taken into consideration while making judicial appointments. Is education received at the school enough for a person to be appointed a judge?**

As I have already pointed out, the students are already well-prepared lawyers, they have passed the judicial qualification exams, but besides theoretical knowledge there are also other selection criteria for students. They are interviewed at the High Council of Justice, after which they are enrolled in the school as students.

After attending a theoretical course for several months at the school, internship is provided to the students. They are assigned to draft decisions and various procedural documents, to offer their opinion on the judgments that have already been passed, and to conduct a mock trial as well. The students are given a case, for which mock trials are carried out in most cases, and every student writes a court judgment on this case. This way I would like to say that the students are developed as judges at the High School of Justice – their theoretical knowledge gets more refined and they acquire the skills that a judge needs.

The study course will now last for 15 months in order to improve the training course for students. Other than theoretical knowledge and practical skills, all the other criteria needed for being a judge are taken into consideration while appointing the graduate students on judicial positions.

Other than judges, there are also assistant judges and other court personnel who study at the school and I can boldly state that the High School of Justice develops highly qualified human resources.

**Mr. Maghradze, will there be any changes in regards to the composition of the examination board and course of action of the school?**

One of the priorities in our plan is to set timeframes for forming the examination board of final exams at the High School of Justice, and to specify its course of action.

In order to prevent the delayed formation of the examination board, timeframes will be set for forming the board, and also the general operation rules will be established for its functioning.

The deadline will be clearly set for nominating the board members by the Supreme Court of Georgia, High Council of Justice of Georgia and the Minister of Justice of Georgia. Moreover, the issue of board formation is envisaged in case if a board member is not presented within statutory timeframes. The law will establish general decision-making rules for the examination board.

**What other priorities are there in the Action Plan?**

Another priority of the plan is to establish regulations and criteria for selecting the teachers of the High School of Justice. We are actively working on this issue, preparing draft amendments for the School Charter, and then the criteria and regulations will be determined, based on which teachers will be selected at the school.

Besides, analysis of the needs of the High School of Justice is a priority as well. This means identification

and analysis of structural, procedural (e.g. enrolment and study processes) and content-related (study courses and training programs) communication gaps, after which we will elaborate a strategic development document that is to become a certain guidebook for the further development of the school.

In this respect, currently there is a negotiation on cooperation taking place with the Council of Europe, and financial assistance is sought from their side. Official appeal has already been sent to Strasburg and we are anticipating the answer.

In addition, our priority is to raise public awareness about the school's activities.

We want to make the school performance even more transparent and to provide detailed information to the public about the school. To this effect we are planning to develop an e-system for disbursing public information. A concept of the new website of the school is being developed and very soon we will offer a new website to the public, where they can promptly get information about the school's activities. There are negotiations going on with the donors – the USAID and the GIZ – in this direction, and the degree of school transparency will be enhanced even more with their support.

Besides, we are planning to create a web portal for students. The academic process will be digitalized at the school and respective software will be available too. This portal will make it possible to transfer the whole academic learning process into an electronic format. The students will have their own website equipped with various functionalities, including: receiving and doing homework, getting evaluation points, blog, schedule of classes and other functions.

Besides, teachers, internship coordinators and seminar supervisors will have access to the system and they will be able to send assignments to students, and to evaluate their assignments electronically. This portal also envisages passing theoretical and final exams via the software.

Moreover, we have a desire to create a portal for judges and court personnel, which will promote involvement of sitting judges in developing the training programs electronically, also ensure their maximum involvement in training activities.

Judges and court personnel will open a personal page enabling them to participate in development of a continuous curriculum, to see the approved program on their website, to register for a training online, to get training attendance reminders and also to evaluate the attended training electronically. Creation of this portal will simplify relationships of judges and other court personnel with the school. For example, they will not have to spend time for registering for a training course – they can perform a required action online.

Upgrading the qualification of sitting judges remains to be one of the priorities for the school. By the way, we have created quite a serious system in this regard.

Main priority of our plan is to refine procedures for developing a training program at the High School of Justice and for taking part in it. We want to enhance the involvement of judges in the process of elaboration of training programs for sitting judges even more.

All the sitting judges will have an opportunity to offer recommendations to the school, and this way they will directly participate in compiling the training program.

Besides, a sitting judge will be able to take part in the training activity of the school at his/her discretion, without any justification; i.e. any judge will have an opportunity to attend a desirable training on the issue s/he is interested in. The only case when a judge can be rejected is a late application for training.


Judicial qualification should be enhanced continuously; otherwise a judge cannot be a professional. The judge's decision should be reasoned so well that nobody could find any flaw in it. When a judge is professional, possesses high qualification – then his/her judgment will be of high quality and the complaints will be ungrounded. This is why we are again very actively working in this direction. This is a very important detail that is important for smooth functioning of the court.

**Low quality of reasoning in a judge's decision has been especially criticized recently.**

– As I have already mentioned, striving for upgrading the qualification of judges remains to be a priority for the next year. Qualification upgrade is a continuous process. No person, and especially a judge, can assume that one training course is enough for his/her perfection, for its performance for years and for making high-quality decisions. The judiciary and the legislation has been experiencing constant changes during recent years, and a judge should keep pace with it, and should be developing continuously in line with respective changes.

Qualification of judges is very well seen when looking at the degree of reasoning in their judgments. We have many highly qualified judges, and the degree of their





decisions is high. Upgrading the qualification of judges and reasoning for their judgment is directly linked to the court image, and as I said above, we are still actively working in this direction as well.

Besides, we will continue to teach communication standards to judges. We have a special course where the judges can learn how to perform judicial activities by observing the rules of communication with the audience.

**■ Shall we expect that the current model of the High School of Justice be changed? Such as, broadening its functions or vice versa?**

We have talked about the changes to take place within the school. Besides, we are also planning to refine the structure of the High School of Justice, and to increase effectiveness of the school. A new structure of the school was created, based on which the functions among structural units of the school have been distributed in a new and clear way.

We think that the segment of school users can be increased by promoting the school services. For example, to elaborate trainings for prosecutors, defense lawyers, notaries, bailiffs, and for legal professionals in general. We think about creating various e-courses for them. In general, we have developed an interesting and diverse plan and we also have some news related to the reforms. However, we do not really plan to change the model of the school, if not considering the change of location in the nearest future – we are moving into a new building.



# ანდერძის ნამდვილობასთან დაკავშირებული დავები ქართულ სამოსამართლო სამართალში

ლელია კოხრაიძე

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

კოლეგიის მოსამართლე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტი

## I. შესავალი

ყოველ ჩვენგანს ცხოვრებაში ერთხელ მაინც უხდება მემკვიდრეობის სამართლის საკითხებთან შეხება. რეალურ ცხოვრებაში ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ დგება დღე და საათი, როდესაც ადამიანი მიდის ამ ცხოვრებიდან და თავის ნათესავებსა და ახლობლებს უამრავ პრობლემას უტოვებს. საკუთრების უფლებისა და სამოქალაქო ბრუნვის განვითარება ეტაპობრივად ხელს უწყობს საზოგადოებაში ახალი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას გარდაცვალების შემთხვევაში, საკუთარი ქონების გადაცემის საკითხისადმი.

სამწუხაროდ, არასაკმარისი სამართლებრივი კულტურა განაპირობებს დიდ სიძნელებს ანდერძის დატოვებისა და ნაანდერძევი ქონების მიღების უფლების რეალიზაციისას. განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი, როდესაც სამკვიდრო მოცავს უძრავ ქონებას – ბინებსა და საცხოვრებელ სახლებს.

უმეტესწილად, სწორედ ასეთ შემთხვევებში წარმოიშობა დავები მემკვიდრეებს შორის, შედეგად კი, ნათესავები მტრებად გადაიქცევიან. იმისათვის, რომ შეძლებისდაგვარად, აცილებულ იქნეს მსგავსი კონფლიქტი, აუცილებელია მემკვიდრეობის სამართლის ძირითადი დებულებების ცოდნა.

მემკვიდრეებისათვის ქონების გადაცემის ყველა საკითხის დარეგულირება, ცხადია, სასურველია, მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე. სწორედ ამ მიზნით დგება ანდერძი კანონით დადგენილი წესით და იძენს „მამკვიდრებლის იურიდიულად გაფორმებული ნების“ ფორმას მისი სიკვდილის შემდეგ.

ისტორიულად, კანონით მემკვიდრეობა წინ უძღვოდა ანდერძით მემკვიდრეობას, რაც განპირობებული იყო პატრიარქალურ ოჯახში ქონების შენარჩუნების მიზნით. თუმცა, მოგვიანებით ანდერძმა უფრო ფართო გამოყენება ჰპოვა. რომის სამართალში კანონით მემკვიდრეობა ატარებდა სახელწოდებას „ab intestate“, ანუ მემკვიდრეობა იმ პირის გარდაცვალების შემდეგ, რომელსაც არ დაუტოვებია ანდერძი.<sup>1</sup>

ანდერძის, როგორც მემკვიდრეობის სამართლის ინსტიტუტის მნიშვნელობა თანამედროვე დროშიც იზრდება. ძირითადად, ეს აიხსნება იმით, რომ ანდერძი – ეს არის ერთადერთი საშუალება მემკვიდრეობის კანონისმიერი წესის გაუქმებისა და სიკვდილის შემთხვევისათვის, პირის ქონებრივი ურთიერთობების ბედის მისივე შეხედულებისამებრ განსაზღვრისა. გარდა ამისა, ანდერძის, როგორც მემკვიდრეობის საფუძვლის როლის გაზრდა აიხსნება ღრმა სოციალურ ეკონომიკური ცვლილებებით საქართველოში, რომლისთვისაც დამახასიათებელია კერძო საკუთრებისა და საბაზრო ურთიერთობების ინსტიტუტები, როდესაც ფართოვდება მოქალაქეთა ნების გამოვლენის ავტონომია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ანდერძის ნამდვილობასთან დაკავშირებული ნორმები იწვევს ცოცხალ ინტერესს სამეცნიერო და პრაქტიკული თვალსაზრისით, ვინაიდან კანონმდებლობაში ნოველების შემოღების დროიდან განვლილი პერიოდი იძლევა განხორციელებული ცვლილებების მნიშვნელობის გაანალიზების შესაძლებლობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მემკვიდრეობის შესახებ დებულებების გამოყენების სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. ამ ეტაპამდე ჩამოყალიბებულმა სამართალგამოყენებითმა პრაქტიკამ მოსამართლეების, ადვოკატებისა და მეცნიერების წინაშე წამოწია არაერთი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია კანონმდებლობაში განსახორციელებელ ცვლილებებთან. აღნიშნული ეხება ანდერძის ნამდვილობასთან დაკავშირებულ დავებსაც.

მოქალაქეთა მემკვიდრეობითი უფლებების სასამართლოსმიერი დაცვა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და ქმედით საშუალებას მემკვიდრეების სამოქალაქო უფლებების დაცვისა, რაც ანდერძის ნამდვილობასთან დაკავშირებული დავების განხილვის სასამართლო პრაქტიკის შესწავლის აქტუალობაზე მეტყველებს.

ზოგადად, სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების თანამედროვე პირობებში სამართლის ნორმების განმარტების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია, ვინაიდან უკავშირდება საზოგადოების სამართლებრივი კულტურისა და სამართლებრივი შეგნების ამაღლებას. რაც უფრო

ხელმისაწვდომი და გასაგებია სამართლებრივი ნორმები მოსახლეობისათვის, მით უფრო ეფექტიანია მათი რეალიზაცია, მათ შორის, გამოყენების თვალსაზრისით. დავეთანხმებით ს. მ. ამოსოვს, რომელმაც აღნიშნა, რომ „...მოსამართლე, გათვითცნობიერებული აქვს რა მას თავისი სამოქალაქო ვალი, უნდა იყოს სამართლის არა უბრალო გამომყენებელი, არამედ მისი განმარტების შემოქმედი, რადგან კანონის განმარტება იგივეა, რაც მისი ხელახალი შექმნა: მოდავე მხარეები ემორჩილებიან კანონს იმ სახით, რა სახითაც იგი განმარტებულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში, ანუ ზოგად ნებს, რომელიც ცნობილი გახდა მხოლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ“.<sup>2</sup>

## II. სამოსამართლო სამართლის ცნება და მოკლე ისტორიული ქეცურსი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს ან იგი ბუნდოვანია. ამით კანონმდებელმა დაადგინა, რომ მოსამართლემ ყველა შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს დავა, რომელმაც სასამართლომდე მოაღწია. ცვაიგერტისა და კოტცის თქმით, ამ დებულებით კანონმდებელმა მოსამართლე აღიარა თავისი შეუცვლელ თანაშემწედ.<sup>3</sup>

წარმოუდგენელია, კანონი იმდენად სრულყოფილი იყოს, რომ ყველა შესაძლო ურთიერთობისათვის გამოსაყენებელ ნორმას გვათავაზობდეს. სწორედ ამიტომ, მოსამართლე ის პირია, ვინც პრაქტიკაში უშუალოდ აწყდება ამგვარ არასრულყოფილებასა და ბუნდოვანებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მოვალეა ყოველგვარი დავა გადაწყვიტოს. შესაბამისად, მხოლოდ პრაქტიკას შეუძლია მოგვიანებით აჩვენოს, რამდენად გამოდგა ესა თუ ის ნოვაცია და როგორ უნდა შეივსოს კანონის ხარვეზი.

თუ კანონის ინტერპრეტაცია სცილდება გრამატიკული ინტერპრეტაციის ფარგლებს და გადადის ლოგიკური ინტერპრეტაციის სფეროში, მაშინ ხშირად საქმე გვაქვს ახალი ნორმის შექმნასთან. რეალურად ეს არის სამართალშემოქმედება. კონკრეტული შემთხვევების გადაწყვეტის დროს, კანონის ცალკეული ნორმების კომენტირების შედეგად, მოსამართლის მიერ ქცევის ახალი წესების ჩამოყალიბებას სამოსამართლო სამართალშემოქმედება ეწოდება, ხოლო ამ გზით მიღებულ ნორმათა ერთობლიობას – სამოსამართლო სამართალი.<sup>4</sup>

ამჟამად არსებულ სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე მეტად გავრცელებულია შემთხვევები, როცა მოსამართლე ინტერპრეტაციის გზით ცდილობს განავითაროს სამართალი ე.ი. შეავსოს კანონი. მას აღნიშნულის განხორციელებაში ეხმარება მეცნიერება, მხარეების მიერ კანონის შინაარსის შესახებ პროცესზე გაკეთებული განმარტებები, გონივრული არგუმენტები და ნორმის მიზნებისა და პრინციპების გათვალისწინება. მოსამართლე არკვევს, თუ როგორი წესრიგის დამყარება სურდა კანონმდებელს, სამართალშემოქმედს, აზუსტებს კანონის ბუნდოვან ადგილებს, ადგენს ტექსტის ზუსტ შინაარსს. ხშირ შემთხვევაში ნორმების განვითარება ხდება ზოგადი დებულებებიდან და განუსაზღვრელი ცნებებიდან, როგორცაა „კეთილსინდისიერება“, „გონივრულობა“, „სამართლიანობა“ და სხვა.<sup>5</sup>

მოსამართლის შეხედულება არ არის შეუზღუდავი. იგი ყოველთვის განსაზღვრულია როგორც პროცედურული (საპროცესო სამართლის პრინციპები), ისე მატერიალურ-სამართლებრივი შეზღუდვებით (გონივრული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება). აღნიშნული პრინციპების გამოყენების გარეშე ყოველგვარი განმარტება თვითნებობის ხასიათს მიიღებს.<sup>6</sup>

უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, რომლებსაც ემყარება კანონთა განმარტება, განეკუთვნება: ა) ობიექტურობის პრინციპი, რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ ინტერპრეტაცია კანონის ტექსტს უნდა ემყარებოდეს და მაქსიმალურად ცდილობდეს კანონის ტექსტის საფუძველზე დაადგინოს კანონის აზრი, განავითაროს იგი; ბ) ერთიანობის პრინციპი, რომლის თანახმად, კანონის თითოეული ნორმა კანონისაგან მონყვეტილად კი არ უნდა იქნეს წაკითხული, არამედ ტექსტთან ერთად მთლიანობაში. კერძო უნდა გამოდიოდეს ზოგადიდან და ზოგადი კერძოდან; გ) გენეტიკური განმარტების პრინციპი – ტექსტის განმარტებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისი წარმოშობა, კანონის წარმოშობის ობიექტური, ენობრივი, კულტურული და საზოგადოებრივი პირობები, ასევე, კანონის ტექსტის ავტორები; დ) განმარტება შედარებების მეშვეობით. აღნიშნული პრინციპი მიზნად ისახავს ანალოგიურ სფეროში და ანალოგიურ დროს წარმოშობილ კანონთა ტექსტების ურთიერთშედარებას და ამის საშუალებით განმარტების განხორციელებას.<sup>7</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ სამოსამართლო სამართლის ნორმა წარმოიშობა მაშინ, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში. მისი მოქმედება იმით შემოიფარგლება, რომ სხვა სასამართლოები ანალოგიური დავის გადაწყვეტისას, შეიძლება ხელმძღვანელობდნენ სასამართლო პრაქტიკაში უკვე არსებული გადაწყვეტილებით, თუმცა, იგი სავალდებულო არ არის. სამოსამართლო სამართლის სავალდებულოობა რადიკალურად განსხვავდება კანონის ნორმათა სავალდებულოობისაგან, რადგან სასამართლოებმა შეიძლება გადაუხვიონ სამოსამართლო სამართლის ნორმებს.

სამართლის ნორმის განმარტებაში მოსამართლეთა როლი გამოკვეთილია ძველ ქართულ სამართალშიც. ეს განპირობებული იყო იმითაც, რომ კანონმდებლობას არ ჰქონდა სისრულის პრეტენზია და სასამართლოს ამ საქმეში დამხმარე ძალად მიიჩნეოდა. სამართლის ხერხემალი დანერილი სამართალია, სასამართლო პრაქტიკას კი, მისი შევსების ფუნქცია აკისრია.<sup>8</sup> სამართლის ისტორიკოსები საამისოდ ხშირად იმონებენ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის შესავალს, სადაც სჯულმდებელი მეფე ბრძანებს: „მე ეს წიგნი ასრე არ დამინერია და არცა ვიჩემებ, რომე არა აკლდეს რა, ბევრი ასეთი საჩივრები არის და მოვა, რომე ზოგი ვერ მოვიგონეთ და არცა მისწვდების კაცის გონება. ვინც მიხუდეს რასმე და მოიგონოს, ჩაურთოს და ჩასწეროს, კარგსა და მართებულს იქმს“. ბოლოსიტყვაობიდან კი ჩანს, რომ ასეთად გვირგვინოსანი მსაჯული მოიაზრება: „ან ვიაჯებით ყოელთა... რომელმან ბრძენმან და გულისჰმისმყოფელმან და მოსამართლემან... უმჯობესი სიბრძნით თვისით ჰპოოს ეგოს“. ვახტანგ VI-ის სამართლიდან ჩანს, სასამართლო პრეცედენტს ძალა რომ ჰქონოდა, საჭირო იყო იგი წერილობითი სახით ჩამოყალიბებულიყო და სამართლის წიგნს ზედ დართვოდა.<sup>9</sup>

თავად პრეცედენტები, რომლებშიც ახლებურად მონესრიგებული ჩანს სამოქალაქო ცხოვრება, საკმაოდ ბევრია ძველ ქართულ სამოსამართლო პრაქტიკაში. ზოგჯერ ისეთიც გვხვდება,

რომელიც ბიბლიურ დანაწესებსაც კი, უვლიდა გვერდს. ასე მაგალითად, მაშინ, როცა ეკლესიური რჯული უკანონოდ გაჩენილ შვილს გამორიცხავდა მემკვიდრეთა წრიდან, სამოსამართლო პრაქტიკით დასტურდება, რომ თუ იგი მეტად მოჭირნახულე იყო, გარკვეული ქონება მასაც ერგებოდა.<sup>10</sup>

ფეოდალური ხანის საქართველო გაცილებით დანიშნურებული ჩანს, ვიდრე განვითარებული სამოქალაქო ბრუნვის მქონე მაშინდელი ევროპის ზოგიერთი ქვეყანაც კი. ლიტერატურაში ხშირად იმონებენ პრუსიის მეფის 1780 წლის ბრძანებას მთავრობისადმი და პრუსიული პანდექტური სამართლის შესავალს, რომლებშიც გატარებული აზრის მიხედვით, მოსამართლეს კატეგორიულად ეკრძალება არა მხოლოდ ახალი კანონის შექმნა, არამედ მისი განმარტებაც. მოსამართლეს ოდნავაც კი, არ ხელენიფება გადაუხვიოს კანონის სიტყვასიტყვით აზრს.<sup>11</sup>

ფეოდალური ხანის ქართული სასამართლოს დონემდე ვერ ამაღლდა საბჭოთა სასამართლოც, რომელიც მხოლოდ საბჭოთა სამართლის სრულყოფას ემსახურებოდა. საქმეს ვერ შევლოდა უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებანი, რომლებიც მხოლოდ მოქმედი სამართლის ახსნა-განმარტებითა და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების ამოცანით შემოიფარგლებოდა. მაშინდელი კანონმდებლობა მოსამართლეს არ აძლევდა დამოუკიდებელი მოქმედების საშუალებას. ასეთ ვითარებაში აშკარა იყო კონფლიქტი და გაუცხოება მოსამართლის შინაგან რწმენასა და მოქმედ კანონმდებლობას შორის. პრეცედენტი მიუღებელი იყო საბჭოთა სამართლისათვის.<sup>12</sup> ლადო ჭანტურიას ხედვით, სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტების მიხედვით, სამოსამართლო სამართალი უნდა შეიქმნას არა უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტებების საფუძველზე, არამედ კონკრეტულ საკითხებზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებებით. პლენუმის განმარტებები მნიშვნელოვნად ზღუდავენ მოსამართლეთა დამოუკიდებლობას. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელმაც უარი თქვა ამ საბჭოთა ტრადიციებზე და გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, სასამართლო რეფორმის ფარგლებში, უარი თქვა უზენაესი სასამართლოს პლენუმისათვის ამგვარი სავალდებულო ხასიათის რეკომენდაციების გამოცემის უფლებამოსილებაზე.<sup>13</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ კანონმდებლობისადმი კრიტიკული და შემოქმედებითი დამოკიდებულება ჩვენში ძველი დროიდან იღებს სათავეს და სახელმწიფოს განვითარების შესაბამისად განიცდის პროგრესირებას.

### III. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტების პრობლემატიკა ანდერძის ნამდვილობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას

საქართველოში, გასული საუკუნის განმავლობაში, ანდერძით მემკვიდრეობის ინსტიტუტმა განიცადა სახეცვლილება. 1923 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედებულმა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსმა დაუშვა რა, ანდერძით მემკვიდრეობა, განსაზღვრა შესაძლო ანდერძით მემკვიდრეთა წრე. სახელდობრ, აღნიშნული კოდექსის 421-ე მუხლის თანახმად, ყოველ მოქალაქეს შეუძლია მთელი თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს

ამავე კოდექსის 418-ე მუხლში აღნიშნულ პირთა შორის ერთს ან რამდენიმეს (ესენია: გარდაცვლილის შვილები, მათ შორის, შვილად აყვანილები, მეუღლე და შრომისუნარმოკლებული მშობლები, აგრეთვე სხვა შრომისუნარმოკლებულნი, რომლებიც გარდაცვლილის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ არა ნაკლებ, ერთი წლისა მის გარდაცვალებამდე), აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მხოლოდ 418-ე მუხლში ჩამოთვლილი პირების არარსებობისას შეეძლო მოანდერძეს ქონება ეანდერძა ნებისმიერი სხვა პირისათვის თავისი სურვილისამებრ.<sup>14</sup>

1923 წლის კოდექსისაგან განსხვავებით, 1964 წლის საქართველოს სსრ სმოქალაქო სამართლის კოდექსი უკვე აღარ ზღუდავდა ანდერძით მემკვიდრეთა წრეს. 546-ე მუხლის თანახმად, „ყოველ მოქალაქეს შეუძლია მთელი თავისი ქონება ან მისი ნაწილი (ჩვეულებრივი საოჯახო მონყობილობისა და საყოფაცხოვრებო საგნების ჩათვლით) დაუტოვოს ანდერძით ერთს ან რამდენიმე პირს, როგორც კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშესაც, აგრეთვე სახელმწიფოს ან ცალკეულ სახელმწიფო კოოპერაციულ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას“.<sup>15</sup>

დღეს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასევე, განამტკიცებს ანდერძის თავისუფლების პრინციპს. 1344-ე მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც. ამ ნორმაში ანდერძის რამდენიმე სპეციფიკურ თავისებურებაზეა ყურადღება გამახვილებული. უპირველეს ყოვლისა, ანდერძი არის მამკვიდრებლის ნების გამოხატვის აქტი სიკვდილის შემთხვევაში მისი ქონებრივი აქტივებისა და პასივების სხვა პირებისათვის გადაცემის შესახებ. მასში ნათლადაა გამოხატული მემკვიდრეთა თავისუფალი არჩევის შესაძლებლობა.<sup>16</sup> ანდერძი ყოველთვის გამოხატავს მამკვიდრებლის ნებას. ამიტომ იგი გარიგებაა. ვინაიდან ანდერძში ერთი პირის ნებაა გამოხატული, იგი ცალმხრივი გარიგების ყველაზე გავრცელებულ და კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს.<sup>17</sup>

ზურაბ ახვლედიანი ანდერძის ცნებას შემდეგნაირად აყალიბებს: „ანდერძი არის კანონის მიერ დადგენილი ფორმით შედგენილი მამკვიდრებლის (მოანდერძის) განკარგულება გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ქონების ბედის შესახებ“.<sup>18</sup> შალვა ჩიკვაშვილის მოსაზრებით, „ანდერძი წარმოადგენს კანონით დადგენილი ფორმით მამკვიდრებლის ნების გამოვლინებას თავისი ქონების იურიდიული ბედის შესახებ მისი სიკვდილის შემთხვევაში“.<sup>19</sup> მაშასადამე, მოანდერძე, რომელიც ფლობს ქონებას საკუთრების უფლებით, ანდერძის შედგენისას გამოდის ქონების განკარგავ პირად.<sup>20</sup> ქონების მესაკუთრე უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ, განკარგოს კუთვნილი ქონება, განახორციელოს მის მიმართ ნებისმიერი მოქმედება, რომელიც არ იკრძალება კანონით და არ ლახავს სხვა პირთა უფლებებს, უფლებამოსილია გასცეს ნებისმიერი განკარგულება საკუთარი ქონების მიმართ სიკვდილის შემთხვევისთვისაც. ანდერძის თავისუფლების პრინციპის ძირითად საფუძველს წარმოადგენს საკუთრების უფლების აბსოლუტური ხასიათი, განმტკიცებული საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმად, „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება“.<sup>21</sup>



ანდერძით მემკვიდრეობისას წარმოშობილი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება მოიცავს: 1. კანონის ნორმების საფუძველზე საანდერძო განკარგულების გაცემის შესაძლებლობის დადგენას; 2. სიკვდილის შემთხვევისათვის, საკუთარი ქონების განკარგვისას პირის თავისუფალი ნების ფარგლებს; 3. მემკვიდრეობითი უფლებების დაცვას.

უდავოა, რომ ანდერძი შეიძლება შეცილებულ იქნეს მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ, ისე და ისე ანდერძის თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, რადგან მოანდერძე უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ, კუთვნილი ქონება უანდერძოს ნებისმიერ პირს, მოანდერძეს შეუძლია ანდერძით განსაზღვროს ანდერძით დანიშნულ მემკვიდრეთა წილი სამკვიდროდან, ან მიუთითოს, თუ რომელ მემკვიდრეზე კონკრეტულად რომელი ქონება გადავა (მუხ. 1348), ანდერძით მემკვიდრეობა ჩამოართვას ერთ, რამდენიმე ან ყველა კანონით მემკვიდრეს და იგი ვალდებული არ არის მიუთითოს მოტივზე (მუხ. 1354), მოანდერძეს ყოველთვის შეუძლია შეცვალოს ან მოშალოს ანდერძი (მუხ. 1398).

ანდერძის ნამდვილობასთან დაკავშირებული ნორმების განმარტებისას, იმ ელემენტებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ გარიგების ნამდვილობის კრიტერიუმებს (სუბიექტი, შინაარსი, ფორმა, ნება და ნების გამოვლენა), სწორედ ფორმა წარმოადგენს პირველხარისხოვანს, იმდენად, რამდენადაც იძლევა ამ ელემენტებს შორის უმნიშვნელოვანესს – მოანდერძის უკანასკნელი ნების გარკვევით და უდავოდ დადგენის შესაძლებლობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1403-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ანდერძი ბათილად ჩაითვლება იმ პირობების არსებობისას, რომლებიც იწვევენ გარიგების ბათილობას საერთოდ. ამდენად, ანდერძი შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად ნების, ფორმის, სუბიექტური შემადგენლობისა და შინაარსის ნაკლის გამო.

ისევე როგორც ნებისმიერ ცალმხრივ გარიგებას, ანდერძსაც შეიძლება ჰქონდეს ნების ნაკლი, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას როგორც ანდერძის შედგენამდე, ისე მისი შედგენის შემდეგ, დაინტერესებულ პირთა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებების გამო მოანდერძის შინაგანი ნების დამახინჯების შედეგად. მართლსაწინააღმდეგო მოქმედებები ანდერძის შედგენამდე შეიძლება გამოვლინდეს მოტყუებაში, მუქარასა და იძულებაში დაინტერესებული პირისათვის ხელსაყრელი პირობებით ანდერძის შედგენის მიზნით, ხოლო ანდერძის შედგენის შემდეგ – მის შეცვლაში, განადგურებაში, ნოტარიუსის მიერ თავისი უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენებაში.

ასეთ შემთხვევაში, თავად მოანდერძეს შეუძლია გააუქმოს ან შეცვალოს ადრე შედგენილი ანდერძი, იმოქმედებს რა, იგი სამოქალაქო უფლების თვითდაცვის ფარგლებში, უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენის გზით. მაგრამ თუ ასეთი საკითხი წარმოიშვა სამკვიდროს გახსნის შემდეგ, უფლების დაცვა ხდება სასამართლო წესით, ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო განცხადების აღძვრის მეშვეობით. ამდენად, სიცოცხლეში მოანდერძეს შეუძლია თავად დაიცვას თავისი უფლებები, ხოლო მისი მემკვიდრეები იძულებულნი არიან ანდერძის სადავოობისას მიმართონ სასამართლოს. აქედან გამომდინარე, ანდერძის ნამდვილობასთან დაკავშირებული საკითხი რეალურად, მხოლოდ სამკვიდროს გახსნის შემდეგ წარმოიშობა.

## მაგალითი:

მოსარჩელებმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს 2011 წლის 3 ივნისსა და 2011 წლის 7 ივლისს ო. ი-ის მიერ ხელმოწერილი შინაურული ანდერძების ბათილად ცნობის მოთხოვნით. მოსარჩელეთა მოსაზრებით, სადავო შინაურული ანდერძი თავისი ფორმის მიხედვით არ წარმოშობდა იურიდიულ შედეგებს და ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი. კერძოდ, შინაურული ანდერძი არ აკმაყოფილებდა კანონმდებლობით დადგენილ ფორმას. შესაბამისად, მას ვერ მიენიჭებოდა სამართლებრივი მნიშვნელობა, ანდერძში გამოვლენილი ნება (ხელნაწერი) შესრულებული არ იყო მოანდერძის ხელით, ხოლო მხოლოდ მისი ხელმოწერა საკმარისი არ იყო კანონმდებლობით განსაზღვრული შინაურული ანდერძის ნამდვილობისათვის. ხსენებული ანდერძის შედგენის ფაქტი არ დასტურდებოდა სპეციალურად მოწვეული ან სხვა დამსწრე პირების მონაწილეობით, რაც ცხადყოფდა, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, საგულისხმო იყო ის გარემოება, რომ როგორც აღმოჩნდა, მოპასუხე, რომელიც მუდმივად იმყოფებოდა მოანდერძის გვერდით, თავად ინახავდა ანდერძს, დუმდა და მას არაფერი უთქვამს მოანდერძის სიცოცხლეში აღნიშნულთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მხარე უშვებდა ანდერძის გაყალბების შესაძლებლობას. მოსარჩელეთა ვარაუდით, საექვო იყო ისიც, რომ სადავო ანდერძზე ხელმოწერა შესრულებული იყო არა კალმისტრით, არამედ შავი ფერის საღებავის ტიპის კალმით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1403-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 1344–1345-ე, 1364-ე მუხლებზე, 1365-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 1366-ე მუხლზე და განმარტა, რომ აღნიშნული ნორმების თანახმად, გარანტირებულია პირის უფლება, საკუთარი სურვილისა და შეხედულების შესაბამისად განკარგოს ქონება და საამისოდ გამოავლინოს ნება. ანდერძი სწორედ ამგვარი თავისუფალი ნების გამომვლენი განკარგულებაა. იგი ცალმხრივი გარიგებაა და მისი სამართლებრივი შედეგების დადგომა უკავშირდება მოანდერძის გარდაცვალებას. სააპელაციო სასამართლომ აგრეთვე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლობით მკაცრად არის განწერილი ანდერძის შედგენის წესი. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ის პირი, რომლის ნებაც ანდერძშია გამოხატული იმ დროს, როცა ანდერძი ძალას იძენს, ცოცხალი აღარ არის. ეს კი, ართულებს მისი ნების ნამდვილობის დადგენას.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 3 ივნისს შედგენილი ანდერძი არ იყო დაწერილი მოანდერძის მიერ. შესაბამისად, დარღვეული იყო სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლის მოთხოვნა – მოანდერძეს შეუძლია თავისი ხელით დაწეროს ანდერძი და ხელი მოაწეროს მას. კანონის მოთხოვნათა დარღვევით იყო შედგენილი ასევე, 2011 წლის 7 ივლისის ანდერძიც, ვინაიდან, მის შედგენას და მოანდერძის მიერ ანდერძზე ხელის მოწერას არ დასწრებიან მოწმეები, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ



ანდერძი შედგენილი იყო მათი თანდასწრებით ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ შედგენის წესის დარღვევის გარდა, დაირღვა ანდერძების შენახვის კანონით დადგენილი წესიც, რადგან არ ინახებოდა სამოქალაქო კოდექსის 1365-ე მუხლით განსაზღვრულ პირობებთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ანდერძები არ იყო შედგენილი კანონით დადგენილი წესით და მოანდერძის მიერ ნების გამოვლენა ვერ ჩაითვლებოდა ნამდვილად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.<sup>22</sup>

მაშასადამე, ანდერძი გარიგებაა და სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1403-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, გამოიყენა გარიგების ბათილობის 59-ე მუხლით გათვალისწინებული ზოგადი წესი, რომლის თანახმად, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება.

შესაძლებელია ჩამოვთვალოთ რიგი შემთხვევები, როდესაც კანონი ანდერძის შედგენის ფორმის დაუცველობას პირდაპირ უკავშირებს მის ბათილად ცნობას: 1. წერილობითი ფორმის დაუცველობა (მუხ. 1357); 2. მოანდერძის ხელმოწერის არარსებობა (მუხ. 1358), გარდა 1360-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა; 3. ანდერძის შედგენა მოწმეების გარეშე მაშინ, როდესაც მათი დასწრება სავალდებულოა; 4. თუ ანდერძის მოწმეებს წარმოადგენენ 1362-ე მუხლით გათვალისწინებული პირები; 5. ანდერძზე თარიღის არარსებობა – 1368-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს ანდერძის ბათილობაზე ასეთ შემთხვევაში, თუ ვერ გაქარწყლდება ანდერძის შედგენის, შეცვლის ან გაუქმებისას, ასევე, რამდენიმე ანდერძის არსებობისას მოანდერძის ქმედუნარიანობასთან დაკავშირებული ეჭვი.

თუმცა, ანდერძის შედგენის ფორმის ზედმინევიანით ზუსტად დაუცველობა ყოველთვის არ იწვევს მის ბათილობას. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ანიჭებს რა, იგი უპირატესობას მოანდერძის უკანასკნელი ნების ნამდვილობის დადგენას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოკვლეულ უნდა იქნეს, თუ რა ზეგავლენას ახდენს დარღვევა მოანდერძის ნების გამოვლენაზე ან აღნიშნული კანონდარღვევა ხომ არ იწვევს ისეთი შედეგის დადგომას, რომელიც მოანდერძის ნებას ეწინააღმდეგება. ამ საკითხში ლავირების შესაძლებლობას სასამართლოს აძლევს სსკ-ის 1403-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსი, რომლის თანახმად, ანდერძი სასამართლოს მიერ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ იგი შედგენილია კანონით დადგენილი წესების დარღვევით. მუხლის ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული მოთხოვნა არ არის იმპერატიული, ანუ კანონმდებელი ყოველთვის არ მიიჩნევს ანდერძის შედგენისათვის კანონით დადგენილი წესების დარღვევას ანდერძის ბათილობის საფუძვლად.

#### **მაგალითი:**

მოსარჩელემ მოითხოვა ანდერძის ბათილად ცნობა შემდეგი საფუძვლით: 1979 წელს რეგისტრირებულ ქორწინებაში გატარდა ლ. მ-თან, ერთად ცხოვრების პერიოდში, 1989 წელს, შეეძინათ შვილი. 1999 წელს ქორწინება შეწყდა. ლ. მ-ის გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე, მოპასუხემ მოახერხა მოანდერძესთან გასაუბრების გარეშე, სანოტარო ბიუროში თავისი

კარნახით ანდერძის დაბეჭდვა და მასზე მოანდერძის ხელის მოწერა, რომლის თანახმადაც, ქონების 1\2 წილი უანდერძა მოპასუხეს, ხოლო 1\2 – შვილს. მოსარჩელის მოსაზრებით, ანდერძი არ გამოხატავს მოანდერძის ნებას. იგი შედგენილი არ არის მისი კარნახით. ანდერძის შედგენას ესწრებოდა და ტექსტს კარნახობდა მოპასუხე. ანდერძი შედგა სანოტარო ბიუროში და გამზადებულ ანდერძზე მოანერინეს ხელი მოანდერძეს. ანდერძის წაკითხვას არ დასწრებია ერთ-ერთი დამსწრე.

მოცემულ საქმეზე საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად არის მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ ანდერძის ჩაწერა მოხდა ტექნიკური საშუალებით. ნოტარიუსმა ტელეფონის საშუალებით მოისმინა მოანდერძის სიტყვები და დაბეჭდა სანოტარო ბიუროში. ანდერძი ჩაწერილ იქნა ერთი მოწმის თანდასწრებით, რომელიც წაკითხული იქნა მოანდერძის ბინაში, ხოლო შემდეგ ნოტარიუსის მიერ და ხელმოწერილი იქნა მოწმეთა თანდასწრებით.

პალატამ არასწორად მიიჩნია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ანდერძის შედგენის დროს დარღვეულია სამოქალაქო კოდექსის 1358-ე და 1366-ე მუხლების მოთხოვნები. სამოქალაქო კოდექსის 1358-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოანდერძის სიტყვებით ნოტარიუსის მიერ ჩაწერილი ანდერძი უნდა წაკითხონ მოანდერძემ და ნოტარიუსმა და მოწმის თანდასწრებით მოეწეროს ხელი, რაც მოცემულ შემთხვევაში დაცულია. სამოქალაქო კოდექსის 1366-ე მუხლით ჩამოყალიბებულია ანდერძის ტექნიკური საშუალების გამოყენებით შედგენის წესი და მითითებულია, რომ იგი შეიძლება გადმოიცეს საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებებით, ოღონდ ხელმოწერილი უნდა იყოს მოანდერძის მიერ. ასეთ შემთხვევაში, ანდერძის შედგენა და მოანდერძის მიერ ხელის მოწერა უნდა მოხდეს ორი მოწმის თანდასწრებით, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ანდერძი შედგენილი იყო ტექნიკური საშუალების გამოყენებით. მოწმეთა მიერ ანდერძის დადასტურება უნდა მოხდეს მოანდერძის მიერ ანდერძზე ხელის მოწერის შემდეგ, დაუყოვნებლივ, მოანდერძისა და ორივე მოწმის თანდასწრებით, ანდერძზე სათანადო წარწერის გაკეთებით მოწმეთა სახელის, გვარისა და საცხოვრებელი ადგილის მითითებით.

მართალია, სამოქალაქო კოდექსის 1358-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დასაშვებია, რომ ანდერძი მოანდერძის სიტყვებით ჩაწეროს ნოტარიუსმა ორი მოწმის თანდასწრებით, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ნოტარიუსის მიერ დარღვეული იყო კანონის ზემოთ მითითებული მოთხოვნა და ამასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ მართოდენ ეს გარემოება ვერ გახდებოდა ანდერძის ბათილობის საფუძველი, ვინაიდან ანდერძის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, ანდერძის ბათილობისას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება მამკვიდრებლის ნების ნამდვილობას. ანდერძის გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა წესი, რომლებიც დადგენილია ნორმატიული აქტებით, ემსახურება ერთადერთ მიზანს, – მოანდერძის ნების სწორად დაფიქსირებას. აქედან გამომდინარე, ანდერძის ბათილობას საფუძვლად შეიძლება დადებოდა მხოლოდ ისეთი დარღვევა, რომელიც საეჭვოს გახდიდა მოანდერძის ნების ნამდვილობას. მოანდერძის ნების ნამდვილობის შემთხვევაში, ნოტარიუსის მიერ სანოტარო დოკუმენტაციის უსწორო გაფორმება ანდა სამსახურებრივი დაუდევრობა საფუძვლად ვერ დაედებოდა ანდერძის ბათილობას. სამოქალაქო კოდექსის 1403-ე მუხლის მე-3 ნაწილის

შესაბამისად, ანდერძი შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ იგი შედგენილია კანონით დადგენილი იმ წესების დარღვევით, რომელიც ბუნდოვანს ხდის ან ეჭვის ქვეშ აყენებს მოანდერძის ნებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.<sup>23</sup>

ანდერძის ფორმასთან დაკავშირებული ნორმების გაანალიზების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი არ არის სრულყოფილი, რაც განაპირობებს მსგავსი დავების გადაწყვეტისას სასამართლოს შინაგანი რწმენის გადაჭარბებით დიდ როლს.

ცნობილია, რომ ყველა ცნება სამართალში განსაზღვრულია შედარებით ან აბსოლუტურად. შედარებით-განსაზღვრული ცნებები განეკუთვნება შეფასებით კატეგორიას ე.ი. სამართალგამოყენებითი აქტით განსაზღვრულს. მოცემულ შემთხვევაში, ასეთი შეფასებითი ცნების მაგალითს წარმოადგენს „ანდერძის შედგენის წესის უმნიშვნელო დარღვევა“. ამგვარად, კანონი უტოვებს სასამართლოს მოანდერძის ნების გამოვლენის განმარტების საკითხებს, ისევე, როგორც საკითხებს იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა ანდერძში დაშვებული ნორმისაგან გადახვევა მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო დარღვევას ანდერძის შედგენის წესისა. სასამართლოს ამ დროს მოეთხოვება კომპლექსურად გაითვალისწინოს: 1. ანდერძის შინაარსი; 2. სადავო ანდერძში არსებული გაურკვევლობა, შეუსაბამობა ანდერძის შედგენის წესის თაობაზე სამართლებრივი ნორმით დადგენილ წესთან; 3. მოანდერძის ნამდვილი ნება, გამოვლენილი განმარტების სპეციალური იურიდიული მეთოდების გამოყენებით. ამასთან, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მოანდერძის სავარაუდო ნების მეტნაკლებად სრულად განხორციელება.

სამართლის ნორმის დამახასიათებელ თვისებას, როგორც აღნიშნავს ვ. ს. ნერსესიანი, წარმოადგენს ფორმალური განსაზღვრულობა. ფორმალური განსაზღვრულობა გულისხმობს სამართლის ნორმების საკმარის სიზუსტეს, რაც უზრუნველყოფს მათ სწორ გაგებასა და გამოყენებას. სამართლის ნორმის ბუნდოვანებამ შესაძლოა მიგვიყვანოს სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მისი სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციურ პრინციპთან შეუსაბამო თვითნებურ და დისკრიმინაციულ გამოყენებამდე და ამით იურიდიული თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპის დარღვევამდე.<sup>24</sup>

ანდერძის ფორმას ჯერ კიდევ, რომის სამართლის დროიდან განსაკუთრებული პირობები მოეთხოვებოდა,<sup>25</sup> ვინაიდან მოანდერძის ნება უნდა იყოს უდავოდ გასაგები, მისი გარდაცვალების შემდეგ. შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ, რომ ანდერძის რომელიმე ფორმალური შემადგენელი ელემენტის არარსებობა, მაგალითად, ტექნიკური საშუალებით ანდერძის შედგენისას მოწმეთა საცხოვრებელი ადგილის მიუთითებლობა (რასაც სავალდებულოდ მიიჩნევს 1366-ე მუხლი), წარმოადგენს ანდერძის შედგენის წესის უმნიშვნელო დარღვევას.

კანონმდებელმა ამ საკითხის გადაწყვეტა მიანდო სამოსამართლო სამართალს, რომელმაც დაადგინა, რომ ანდერძი შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ იგი შედგენილია კანონით დადგენილი იმ წესების დარღვევით, რომლებიც ბუნდოვანს ხდის ან ეჭვის ქვეშ აყენებს მოანდერძის ნებას. მაშასადამე, თუ მოანდერძის ნების დადგენა ყოველგვარი ეჭვის გარეშე შესაძლებელია, მაშინ ანდერძის შედგენისას დაშვებული დარღვევები ისეთ უმნიშვნელო დარღვევებად უნდა იქნეს მიჩნეული, რომლებიც ვერ გამოიწვევს ანდერძის ბათილობას.

ყოველივე ზემოხსენებულიდან კი, გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის საჭიროება, სახელდობრ, მიზანშეწონილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1403-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი: „ანდერძის ბათილობას შეიძლება საფუძვლად დაედოს მხოლოდ მისი შედგენის კანონით დადგენილი იმ წესების დარღვევა, რომლებიც ბუნდოვანს ხდის ან ეჭვის ქვეშ აყენებს მოანდერძის ნებას“.

აღსანიშნავია, რომ ასეთი შინაარსის დათქმას შეიცავს რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 1131-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, ანდერძის ბათილობას საფუძვლად ვერ დაედება მისი შედგენის წესის უმნიშვნელო დარღვევები, თუ სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ისინი არ ახდენენ გავლენას მოანდერძის ნების გამოვლენის განმარტებაზე.<sup>26</sup> თუმცა, ასეთი ფორმულირების პირობებშიც ძირითადი როლი მაინც სასამართლოს აკისრია – მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა, განსაზღვროს ანდერძში არსებული ფორმალური დარღვევის მნიშვნელობა და მისი გავლენა მოანდერძის ნების გამოვლენის სწორად გაგებაზე.

გაცილებით რთულად დგას საკითხი მაშინ, როდესაც სადავო ანდერძში უკანასკნელი ნების გამოვლენის დროისათვის მოანდერძის ქმედუნარიანობა სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1345-ე მუხლის თანახმად, მოანდერძე შეიძლება იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება.

აღნიშნული საკითხი მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, რომელიც როგორც წესი, მოსამართლეს არ გააჩნია, შესაბამისად, ასეთი ტიპის დავების განხილვისას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, აუცილებელია სიკვდილის შემდგომი სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება, რა დროსაც ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო მასალას სამედიცინო დოკუმენტაციის გარდა, ასევე, წარმოადგენს იმ მონმეთა ჩვენებები, რომლებიც იცნობდნენ მოანდერძეს და ჰქონდათ მასთან ურთიერთობა ანდერძის შედგენის პერიოდში. როგორც წესი, ექსპერტიზის ჩატარებამდე ასეთი პირების დაკითხვა თავად ექსპერტ-ფსიქიატრის მონაწილეობით ხდება. ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო მასალის შეგროვების ასეთ წესს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მეორე ნაწილი.

### **მაგალითი:**

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში 2004 წლის 7 ივნისს ლ. ქ-ს მიერ მოპასუხის სასარგებლოდ შედგენილი ანდერძის ბათილად ცნობის მოთხოვნით იმ საფუძვლით, რომ ლ. ქ-ს ანდერძის შედგენის დროისათვის არ შეეძლო, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, გააზრებულად შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა, ვინაიდან ანგარიშს ვერ უწევდა თავის ქმედებებს და ვერ მართავდა მათ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 მაისის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ

დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების – მოწმეთა ჩვენებების, 2009 წლის 24 ივნისის სიკვდილის შემდგომი სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის, სხდომაზე დაკითხული ექსპერტების განმარტებების ერთობლიობაში შეფასებისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე, სწორად დაადგინა, რომ 2004 წლის 12 ივნისს გარდაცვლილ ლ. ქ-ს, სულით ავადმყოფობის გამო, 2004 წლის 7 ივნისს ანდერძის შედგენის მომენტისათვის, არ ჰქონდა რეალური ვითარების სწორად აღქმის უნარი. სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი თვალსაზრისით, შემონმების შედეგად დაასკვნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე და 58-ე მუხლებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 მარტის განჩინებით, მ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.<sup>27</sup>

აღსანიშნავია, რომ სიკვდილის შემდგომი სასამართლო-ფსიქიატრიული (ფსიქოლოგიური) ექსპერტიზის დასკვნები უმეტესწილად ატარებს სავარაუდო ხასიათს. სწორედ სასამართლომ, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასების შედეგად, უნდა გამოიტანოს საბოლოო დასკვნა. სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ რამდენიმე მემკვიდრის არსებობისას უადგილო არ იქნებოდა, მამკვიდრებელმა ანდერძის შედგენამდე გაიაროს სამედიცინო შემოწმება იმის დასადგენად, გააჩნია თუ არა ანდერძის შედგენის მომენტისათვის თავისი მოქმედებების მნიშვნელობის შეგნებისა და მათი წარმართვის უნარი. ცხადია, ასეთი შემოწმება შეიძლება ატარებდეს მხოლოდ ნებაყოფლობით ხასიათს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გამოიწვევდა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევას. ამ თვალსაზრისით, გარკვეულწილად დამცავ მექანიზმს შეიცავს საქართველოს იუსტიციის მინისტრის №71 ბრძანებით 2010 წლის 31 მარტს დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-19 მუხლის მე-7 პუნქტი, რომლის თანახმად, „ნოტარიუსი ვალდებულია დარწმუნდეს სანოტარო აქტის მონაწილის ქმედუნარიანობაში და თავისი რწმენის შესახებ მიუთითოს დამადასტურებელ წარწერაში. ნოტარიუსი ვალდებულია არ შეასრულოს სანოტარო მოქმედება, თუ ეჭვი ეპარება მასში მონაწილე პირის ქმედუნარიანობაში“. პრაქტიკა მოწმობს, რომ ასეთ შემთხვევებში, სანოტარო მოქმედების მომთხოვნი პირი ნებაყოფლობით წარუდგენს ნოტარიუსს სამედიცინო ფსიქიატრიული შემოწმების შესახებ დასკვნას (ცნობას), რაც შესაძლებელს ხდის სანოტარო მოქმედების შესრულებას. ცხადია, რომ ასეთი ცნობა მნიშვნელოვანი მტკიცებულების ძალის მქონეა შემდგომში ანდერძის ნამდვილობის სადავოდ გახდომის შემთხვევაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბათილად შეიძლება ჩაითვალოს ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს. ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ბათილია ნების გამოვლენა სულით ავადმყოფის მიერ, როცა ეს არ შეესაბამება რეალური ვითარების სწორად აღქმას, თუნდაც ის არ იყოს სასამართლოს მიერ ქმედუწუნაროდ აღიარებული. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, შეცილების უფლება აქვს დაინტერესებულ პირს. ასეთებად კი, მიიჩნევიან გარიგების მონაწილეები და ის მესამე პირები, რომელთა ინტერესებიც შეიძლება შეილახოს ამ



გარიგებით.<sup>28</sup> ანდერძთან მიმართებაში სამოქალაქო კოდექსის მეექვსე წიგნი შეიცავს მსგავსი შინაარსის დებულებას, სახელდობრ, 1408-ე მუხლის თანახმად, ანდერძის ნამდვილობა შეიძლება სადავო გახადონ კანონით მემკვიდრეებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა იმ გარემოებათა გამო, რომლებიც გარიგების ბათილობას იწვევენ.

ი. კ. ტოლსტოის დაკვირვებით, პირთა წრე, რომელთა უფლებები და კანონიერი ინტერესები შეიძლება დაირღვეს ანდერძით, განისაზღვრება ანდერძის ხასიათის, შესაძლო მემკვიდრეთა მონვევის საფუძვლების, მოანდერძის განსაკუთრებული საანდერძო განკარგულებების არსებობის და მთელი რიგი სხვა გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც ყოველთვის შეიძლება არ იყოს ცხადი სარჩელის აღძვრისას.<sup>29</sup>

ვეთანხმებით ავტორს და აღვნიშნავთ, რომ ზოგჯერ ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის აღძვრის მომენტისათვის არ არის აშკარა, რომ მოსარჩელე წარმოდგენს იმ პირს, რომლის უფლებები და კანონიერი ინტერესები დარღვეულია ანდერძით, ვინაიდან მამკვიდრებელთან მისი ნათესაური კავშირი ცალსახად არ დასტურდება წარმოდგენილი მტკიცებულებებით, თუმცა, სარჩელს სწორედ ამით ასაბუთებს. ასეთ შემთხვევაში მართებულია, სარჩელი მიღებულ იქნეს განსახილველად და არსებითად განხილვის მსვლელობისას უპირველესად, ერთ-ერთ ფაქტობრივ გარემოებად დადგენილ იქნეს მამკვიდრებელთან მოსარჩელის ნათესაური კავშირი, ასევე ის, განეკუთვნება თუ არა იგი 1336-ე მუხლით დადგენილი რომელიმე რიგის მემკვიდრეთა წრეს. იმის გამოსავლენად, აქვს თუ არა მოსარჩელეს იურიდიული ინტერესი სასარჩელო მოთხოვნის მიმართ, აუცილებელია ასევე, დადგინდეს, მიიღო თუ არა მან სამკვიდრო (სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის ვადაში მიმართა ნოტარიუსს ან ფაქტობრივად დაეუფლა. მუხლები 1421, 1424.). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი იმპერატიულად მოითხოვს აღიარებითი სარჩელის აღძვრისას იურიდიულ ინტერესზე მითითებას. შესაბამისად, მოსარჩელემ სარჩელშივე უნდა დაასაბუთოს, თუ როგორ მიაღწევს იგი კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

შედარებით რთულად დგას საკითხი, როდესაც მოსარჩელეს ექვსთვიან ვადაში სამკვიდრო არ მიუღია, მაგრამ აქვს საპატიო მიზეზი, რომლის გამოც გაუშვა კანონით დაწესებული ეს ვადა (მუხ. 1426). ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია, გადაწყვეტილება სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ (კანონიერ ძალაში შესული სახით) წინ უსწრებდეს სარჩელს ანდერძის ბათილად ცნობის თაობაზე. ამ დროს გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, აღნიშნული ვადა ვერ გაგრძელდება ექვს თვეზე მეტი დროით, რაც სავარაუდოდ, ვერ იქნება საკმარისი მეორე სარჩელზე (ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ) საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისა და მისი კანონიერ ძალაში შესვლისათვის სანოტარო წესით სამკვიდროს მიღების მიზნით. შესაბამისად, შესაძლებელია სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობისას აღიძრას ერთდროულად როგორც აღიარებითი, ისე მიკუთვნებითი სასარჩელო მოთხოვნები ანდერძის ბათილად ცნობისა და სამკვიდროს (ან მისი ნაწილის) მიკუთვნების შესახებ.

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებასა და ანდერძის ბათილად ცნობას მოსარჩელე ითხოვს ერთი სარჩელით. იმის გათვალის-

წინებით, რომ ანდერძის ნამდვილობასთან დაკავშირებული სასარჩელო მოთხოვნის განხილვისას შესაძლოა საჭირო გახდეს მთელი რიგი საპროცესო მოქმედებების ჩატარება (ექსპერტიზის დანიშვნა, მოწმეების დაკითხვა და სხვ.), საამისოდ ადამიანთა დამატებითი რესურსისა და საპროცესო დროის ხარჯვა კი, სასურველი არ არის, ვიდრე არ იქნება დადგენილი მოსარჩელის იურიდიული ინტერესი ამ მოთხოვნის მიმართ, მიზანშეწონილია სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მოხდეს სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის ცალკე წარმოებად გამოყოფა და თავდაპირველად განხილვა, რა დროსაც ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო წარმოება უნდა შეჩერდეს სსსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და განახლდეს მხოლოდ პირველ სასარჩელო მოთხოვნაზე წარმოების დასრულებისა და მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

სასამართლო პრაქტიკაში განხორციელდა მნიშვნელოვანი განმარტებები ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. როგორც წესი, სასამართლო სხდომებზე აღნიშნული საკითხი მხარეებს შორის ხშირად მწვავე დებატების მიზეზი ხდება. სამოსამართლო სამართალმა მკაფიო სიცხადე შეიტანა 1409-ე მუხლის შინაარსის განმარტების საკითხში.

#### **მაგალითი:**

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში 1997 წლის 31 ოქტომბერს შედგენილი ანდერძისა და ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მონაწილის ბათილად ცნობის მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით: მოსარჩელე და მისი ინვალიდი შვილი – ცხოვრობდნენ მოსარჩელის დის – ე. მ-ის კუთვნილ სახლში. 1998 წლის 7 ოქტომბერს მოსარჩელის და გარდაიცვალა. მოსარჩელე და მისი შვილი კი, დარჩნენ მზრუნველობის გარეშე. მოსარჩელე შეუთანხმდა თავის ნათესავსა და ოჯახის ახლობელ ზ. მ-ს, რომ მისი დის დანაშთი ბინის გადაცემის სანაცვლოდ, მას მზრუნველობა გაენია მოსარჩელის ოჯახისათვის. ზ. მ-ის მოთხოვნითა და იძულებით, მოსარჩელემ ჩაიდინა სიყალბე, მან მოატყუა ნოტარიუსი, როდესაც 1997 წლის 31 ოქტომბერს თავი გააცნო ე. მ-ად და შეადგინა ანდერძი ზ. მ-სათვის კუთვნილი ქონების დატოვების შესახებ. ანდერძი ხელმოწერილია მოსარჩელის მიერ, თუმცა ე. მ-ის სახელით.

დაინტერესებულმა პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს ზემოაღნიშნული ანდერძისა და ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მონაწილის ბათილად ცნობა და სამკვიდრო მასაში შემავალი ქონებიდან 1/2-ის მიკუთვნება. მათ მიიჩნიეს, რომ ე. მ-ს ანდერძი არ დაუტოვებია. სადავო ანდერძი შეადგინა მისმა დამ, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველია. მამკვიდრებელი წარმოადგენდა მათი ან გარდაცვლილი მამის მამიდას, შესაბამისად, მათ სადავო ქონებიდან ასევე, ეკუთვნით წილი.

მოცემულ საქმეზე სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელისათვის კანონი ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას – ორ წელს ადგენს. ამასთან, ამ ვადის დენა იწყება არა იმ მომენტიდან, როცა დაინტერესებული პირისათვის ცნობილი გახდა ან ცნობილი უნდა ყოფილიყო იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც ანდერძის ბათილობას იწვევენ, არამედ სამკვიდროს გახსნის დღიდან.

აღნიშნულთან მიმართებაში პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ ანდერძის ბათილობის მოთხოვნის შესახებ სამოქალაქო კოდექსის 1409-ე მუხლით გათვალისწინებული ორწლიანი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა უნდა ათვლილიყო არა მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან, არამედ, სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, იმ მომენტიდან, როცა მემკვიდრემ ან სხვა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო ანდერძის არსებობის შესახებ.

მოცემულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2012 წლის 28 ივნისს მიღებული გადაწყვეტილებით, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომელშიც უცვლელად აისახა პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილია არასწორი გადაწყვეტილება, რაც შედეგია იმისა, რომ სასამართლოს მიერ არასწორადაა განმარტებული სამოქალაქო კოდექსის 1409-ე მუხლი. მითითებული ნორმის თანახმად, სარჩელი ანდერძის ბათილად ცნობისათვის წარდგენილ უნდა იქნეს ორი წლის განმავლობაში, რაც გამოითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან. პალატამ განმარტა, რომ მუხლში მითითებული მოთხოვნა ვრცელდება იმ პირების მიმართ, რომელთათვისაც ცნობილი იყო ანდერძის არსებობის შესახებ. შესაბამისად, ეს მუხლი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირების მიმართ, რომელთაც არავითარი ინფორმაცია არ გააჩნდათ იმის თაობაზე, რომ არსებობდა ანდერძი და არსებობდნენ ანდერძით მემკვიდრეები.

ზემოთ მითითებული მოსაზრება გამომდინარეობს როგორც საქართველოს კონსტიტუციის ფუძემდებლური დებულებებიდან, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სამართლებრივი ნორმებიდანაც. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს მისი უფლების დასაცავად. ბუნებრივია, მითითებული ნორმა მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურად სარჩელის შეტანას, არამედ ამ საკითხზე სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილების მიღებასაც. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მითითებულ ნორმაში საუბარია იმ უფლებაზე, რომელსაც ადამიანი მიიჩნევს დარღვეულად და ამასთან, ცნობილია ამ ფაქტის შესახებ. უფლების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, სასამართლო აღადგენს მის დარღვეულ უფლებას გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე. შეუძლებელია, ადამიანმა მიმართოს სასამართლოს, თუ არ იცის მისი უფლების დარღვევის შესახებ. ასეთი ფაქტის შეტყობისთანავე კი, სასამართლოსათვის მიმართვის უფლება გარანტირებულია კანონმდებლობით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლშიც იგივე სახის დებულებაა მოცემული. ამ ნორმის თანახმად, ყველა პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. უფლების სასამართლო წესით დაცვა ცალსახად გამოიხატება დარღვეული უფლების აღდგენაში. მაგრამ იგი დამოკიდებულია ადამიანის ნებაზე – მიმართოს სასამართლოს. შეუძლებელია, სასამართლო წესით უფლების დაცვა, თუ ადამიანი არ მიმართავს სასამართლოს. სწორედ ამ საკითხს უკავშირდება სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტიც. დარღვეული უფლების



აღდგენა ხშირ შემთხვევაში, გარკვეულად შემოფარგლულია კანონმდებლობით დადგენილი ვადებით. იმ შემთხვევაში, თუ პირი კანონით დადგენილ ვადაში არ მიმართავს სასამართლოს, შესაძლოა, სარჩელი აღარ დაკმაყოფილდეს (სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო). სარჩელის შეტანა ადამიანის უფლებაა და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, დაიცავს თუ არა მის დარღვეულ უფლებას სასამართლო წესით. ხოლო თუ იგი არაგონივრულ ვადებში მიმართავს სასამართლოს, შესაძლოა, ამ უკანასკნელმა ვერ დააკმაყოფილოს მოთხოვნა. აღნიშნული ვადები მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ადამიანისათვის ცნობილია მისი უფლების დარღვევის შესახებ და არ მიმართა სასამართლოს კანონით დადგენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც ადამიანი შეიტყობს უფლების დარღვევის შესახებ და დაუყოვნებლივ მიმართავს სასამართლოს, შეუძლებელია, უარი ეთქვას იმის გამო, რომ მან გაუშვა ხანდაზმულობის ვადა. ამის დასტურია სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლში მითითებული დებულება, რომლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. როგორც აღნიშნული ნორმიდან ჩანს, დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნა უკავშირდება დარღვევის ფაქტის შეტყობას. შეუძლებელია, მემკვიდრეს მოეთხოვოს სარჩელის შეტანა სამკვიდროს გახსნიდან გარკვეულ პერიოდში, როცა ამ პერიოდში მისთვის უცნობია მისი უფლების დარღვევის შესახებ. ასეთი სახის განმარტება ყოველგვარ აზრსაა მოკლებული და ეწინააღმდეგება ელემენტარული ლოგიკის კანონებს.<sup>30</sup>

მოტანილი მაგალითის გაანალიზების შედეგად, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ 1409-ე მუხლის განმარტებისას დაარღვია კანონთა განმარტების ერთიანობისა და შედარების მეშვეობით განმარტების პრინციპები, რომელთა შინაარსი მოცემულია ნაშრომის პირველ თავში. გარდა იმისა, რომ ამ მუხლის განმარტებისას აუცილებლად არის გასათვალისწინებელი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 და აქედან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლების შინაარსი, სანოტარო წესით შედგენილი ანდერძის შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები უშუალოდ მემკვიდრეობის სამართლის დებულებაც. სახელდობრ, სამოქალაქო კოდექსის 1369-ე მუხლი, რომელიც ავალდებულებს ნოტარიუსს მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ, დანიშნოს დღე და გააცნოს ანდერძის შინაარსი დაინტერესებულ პირებს, რის თაობაზედაც უნდა შედგეს სათანადო ოქმი. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ სარჩელის აღმძვრელი პირი ესწრებოდა ასეთ შეხვედრას, გამართულს სამკვიდროს გახსნისთანავე, შესაძლებელია ხანდაზმულობის ორ წლიანი ვადის ათვლა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. თუმცა, ნოტარიუსის მიერ კანონით მასზე ნაკისრი ამ ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია ისევ და ისევ დაინტერესებული პირების აქტიურობაზე, ვინაიდან მხოლოდ მათგან შეიძლება შეიტყოს ნოტარიუსმა მოანდერძის გარდაცვალების შესახებ და არ არის გამორიცხული ნოტარიუსის მიერ გარდაცვალების ფაქტის შეტყობის დროისათვის მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან უკვე გასული იყოს ორი წელი, რაც გამორიცხავს სამკვიდროს გახსნის მომენტიდან ხანდაზმულობის ვადის ათვლის შესაძლებლობას.

ლადო ჭანტურია თავის ნაშრომში განასხვავებს ხანდაზმულობის ათვლის ობიექტურ და სუბიექტურ სისტემებს. ობიექტური სისტემის დროს ხანდაზმულობის ვადის ათვლა არ არის

დამოკიდებული იმაზე, უფლებამოსილმა პირმა შეიტყო უფლების დარღვევის შესახებ თუ არა და გადამწყვეტია ის, თუ ობიექტურად როდის წარმოიშვა მოთხოვნა. ობიექტური სისტემა განმტკიცებული იყო გერმანიის სამოქალაქო კოდექსში 2002 წლამდე. სამაგიეროდ, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენდა 30 წელს. 2002 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, შემოღებული იქნა სუბიექტური სისტემა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასევე, განამტკიცებს სუბიექტურ სისტემას და ხანდაზმულობის დაწყების მომენტად მიიჩნევს დროს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ (130-ე მუხლი). ამრიგად, ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლისათვის გადამწყვეტია, რომ პირმა იცოდეს ან გარემოებებიდან გამომდინარე მას უნდა სცოდნოდა მისი დარღვეული უფლების შესახებ.<sup>31</sup>

მაშასადამე, 1409-ე მუხლის პირველი ნაწილი ამკვიდრებს ხანდაზმულობის ათვლის ობიექტურ სისტემას, რაც ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ფუნქციონირებულ დებულებებსა და ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლის ზოგად წესს (მუხ. 130).

ლოგიკურად და ხანდაზმულობის მიმართ მოქმედი ზოგადი ნორმების შესაბამისად არის მონესრიგებული აღნიშნული საკითხი გერმანიის სამოქალაქო კოდექსში (BGB),<sup>32</sup> რომლის 2082-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის თანახმად, საანდერძო განკარგულების შეცილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში. ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც შეცილებაზე უფლებამოსილი პირი შეიტყობს შეცილების საფუძვლის შესახებ. ვადის დენის მიმართ შესაბამისად გამოიყენება ხანდაზმულობის მიმართ მოქმედი 206-ე, 210-ე, 211-ე ნორმები. აღნიშნული მუხლი აწესებს ასევე შეცილების მაქსიმალურ ვადას, რომლის გასვლის შემდეგ შეცილება დაუშვებელია, სახელდობრ, 2082-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, შეცილება გამორიცხულია, თუ სამკვიდროს მიღების შემდეგ გავიდა 30 წელი, რაც მიზნად ისახავს კანონმდებლის მიერ გონივრულად მიჩნეული გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ სამართლებრივი სტაბილურობისა და სამართლებრივი მშვიდობის უზრუნველყოფას.

ყოველივე ზემოხსენებული ცხადყოფს, რომ სსკ-ის 1409-ე მუხლის პირველი ნაწილი, მისი იმპერატიული ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროებს ცვლილებას და მისი შინაარსის სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შინაარსთან შესაბამისობაში მოყვანას. სახელდობრ, მიზანშეწონილია მისი შინაარსი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „სარჩელი ანდერძის ბათილობის შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს ორი წლის განმავლობაში, რაც გამოითვლება იმ მომენტიდან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო ანდერძისა და მისი ბათილობის საფუძვლის არსებობის შესახებ“.

## დასკვნა

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ანდერძის ნამდვილობასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტისას, აუცილებელია განმარტების შემდეგი პრინციპების გამოყენება:

- პრიორიტეტული უნდა იყოს მამკვიდრებლის (მოანდერძის) უკანასკნელი ნების მეტნაკლებად სრულყოფილად განხორციელება;

■ მემკვიდრეობისამართლებრივი ნორმები ანდერძის შედგენის ფორმისა და წესის შესახებ ექვემდებარება შეზღუდულ განმარტებას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ანდერძის შედგენის ფორმისა და წესის დარღვევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გავლენას ახდენს მოანდერძის ნების ნამდვილობაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, მოქალაქეთა მემკვიდრეობითი უფლებების სასამართლოსმიერი დაცვა მემკვიდრეობის სამოქალაქო უფლებების დაცვის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და ქმედით საშუალებას წარმოადგენს, რაც განაპირობებს ანდერძის ნამდვილობასთან დაკავშირებული დავების განხილვის სასამართლო პრაქტიკის შესწავლის აქტუალობას.

დაბოლოს, ანდერძის ნამდვილობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, ნორმების სასამართლოსმიერი განმარტებების შესწავლა არის არა იმდენად მიზანი, რამდენადაც საშუალება ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად, სასამართლოების მიერ ამ კატეგორიის დავების განხილვის ოპტიმიზაციისათვის. ასეთი ანალიზის მიზანია ნორმათა ხარვეზების აღმოფხვრა, მათი ოფიციალური განმარტებების დამკვიდრება, რაც აუცილებელია სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის ამაღლებისათვის და წარმოადგენს ერთ-ერთ საფეხურს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

შენიშვნები:

- 1 რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, რედაქტორი ვ. მეტრეველი, გამომცემლობა "მერიდიანი," თბილისი, 2002, გვ. 97.
- 2 Амосов С. М., Судьи, Суд, Процесс, Журнал "Законодательство," Раздел "Проблемы законодательства," 2007, №3, стр. 79-81.
- 3 კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი I, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2000, გვ. 194.
- 4 ლადო ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, გვ. 66.
- 5 ვალერი ხრუსტალი, სამოსამართლო სამართლის გავლენა სამართლის განვითარებაზე საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის მაგალითზე, ყურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2003, №4, გვ. 50.
- 6 ლადო ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000, გვ. 111-112.
- 7 ლადო ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, გვ. 69-70.
- 8 ბესარიონ ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, გვ. 230.
- 9 ბესარიონ ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, გვ. 231.
- 10 ბესარიონ ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, გვ. 231.

- <sup>11</sup> ბესარიონ ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, გვ. 232.
- <sup>12</sup> ბესარიონ ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, გვ. 94-95.
- <sup>13</sup> ლადო ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, გვ. 79.
- <sup>14</sup> საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბილისი, 1923 წელი (ცვლილებებით 1954 წლის 31 დეკემბრამდე), 418-ე, 421-ე მუხლები.
- <sup>15</sup> საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბილისი, 1964 წელი (ცვლილებებითა და დამატებებით 1986 წლის 1 იანვრამდე), 546-ე მუხლი.
- <sup>16</sup> რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2007, გვ. 52.
- <sup>17</sup> რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2007, გვ. 54.
- <sup>18</sup> ზურაბ ახვლედიანი, მემკვიდრეობის სამართალი (მეორე გამოცემა). გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2002, გვ. 32.
- <sup>19</sup> შალვა ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2000, გვ. 85.
- <sup>20</sup> А. Н. Гув, Постатейный комментарий к части третьей гражданского кодекса Российской Федерации, Издательство “Инфра,” Серия: Библиотека судьи, Москва, 2002. стр. 5.
- <sup>21</sup> საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 1995 წელი (ცვლილებებითა და დამატებებით 2013 წლის 01 ივლისამდე), 21-ე მუხლი.
- <sup>22</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 მარტის განჩინება №ას-1248-1177-12 /www.supremecourt.ge/.
- <sup>23</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეცნიერო და გაკორტების საქმეთა პალატის 2004 წლის 10 ნოემბრის განჩინება ას-1632-919-04 /წწწ.სუპრემეცოურტ.გე/.
- <sup>24</sup> В.С.Нерсесянц, Общая теория права и государства. Издательство “группа НОРМА-ИНФРА,” Москва, 1999, стр. 394.
- <sup>25</sup> რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, რედაქტორი ვ. მეტრეველი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2002, გვ. 106.
- <sup>26</sup> А. Б. Борисов, Комментарий к гражданскому кодексу Российской Федерации, 2-ое издание, Издательство “Книжный мир,” Москва, 2002. стр. 1014.
- <sup>27</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 მარტის განჩინება №ას-1357-1195-10 /www.supremecourt.ge/.
- <sup>28</sup> ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, გვ. 196.
- <sup>29</sup> А. П. Сергеев, Ю. К. Толстой, Гражданское право, Издательство “Проспект,” Москва, 2007, стр. 694.
- <sup>30</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 ივნისის განჩინება №ას-15-15-12 /www.supremecourt.ge/.
- <sup>31</sup> ლადო ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, გვ. 123-124.
- <sup>32</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), თბილისი, 2010 (2010 წლის 01 მარტის მდგომარეობით), 2082-ე მუხლი.

# DISPUTES ON VALIDITY OF THE WILL IN THE GEORGIAN CASE LAW

LEILA KOKHREIDZE

*Judge of the Panel of Civil Cases of the Tbilisi City Court, Doctoral student of the Business Engineering Faculty of the Georgian Technical University*

The article provides the analysis of problems of judicial interpretation of legal relations raised in connection to the validity of the will, on the grounds of researching the interpretation of the norms related to the validity of the will by the Supreme Court of Georgia, which envisages establishment of uniform court practice in the future and develops particular recommendations for refining the effective inheritance legislation and the practice of its application considering the provisions discussed in the paper.

Rulings and decisions published by the court of cassation represent an empirical basis for this research, which speaks about the relation between the theoretical research given in the work, and the real problems existing in a daily judicial practice, which are present while considering the claims on declaring the will null and void.

In general, the problem of interpreting the legal norms is especially important in the modern environment of forming a law-based state, as far as it is related to raising legal culture and legal awareness of the public. The more accessible and understandable the legal norms are for the public, the more effective their realization is.

# არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების და მასთან ურთიერთობის უფლებების შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებანი

## თეორია და სასამართლო პრაქტიკა

ლელა ნადიზაიძე

სამართლის დოქტორი, თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის  
სრული პროფესორი

წინამდებარე სტატიის მიზანია, დაინტერესებულ მკითხველს გააცნოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული თავისებურებები, რომელიც ეხება არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების და მასთან ურთიერთობის უფლებებს. ასევე, ამ უფლებათა დაცვის პროცესში ადმინისტრაციული ორგანოსათვის და სასამართლოსათვის მინიჭებულ მთელ რიგ უფლებებსა და მოვალეობებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ამ სახის დავების გადაწყვეტისას, საქმეზე ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად.

არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების და მასთან ურთიერთობის უფლებების შესახებ საქმეები საოჯახო საქმეთა კატეგორიას განეკუთვნება და წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნით გათვალისწინებული „საოჯახო სამარ-



თლის“ შესაბამისი ნორმებით. ოჯახში ბავშვის ან/და მათი მშობლ(ებ)ის უფლებრივი მდგომარეობის მიმართ კანონმდებლის განსაკუთრებული მიდგომა განპირობებულია არა მხოლოდ იმით, რომ ოჯახი არის საზოგადოების, სახელმწიფოს უჯრედი და ამ ურთიერთობის განვითარების მიმართ არსებობს მაღალი სახელმწიფო ინტერესი, არამედ იმითაც, რომ საქართველო მიერთებულია არაერთ საერთაშორისო სამართლებრივ აქტს, კონვენციასა თუ დეკლარაციას. აღნიშნულის უპირველესი მიზანია, უზრუნველყონ ბავშვების უფლებების უპირობო დაცვა, მათთვის შესაფერისი სოციალური გარემოს შექმნა არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, განსაკუთრებით კი, მათი არამართლზომიერად გადაადგილების ან არამართლზომიერად დაკავების შემთხვევებში. შესაბამისად, სახელმწიფოს აღიარებული აქვს მათი დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფის ვალდებულებაც, რაც განმტკიცებულია ქვეყნის უზენაესი კანონით – კონსტიტუციით, რომლის 36-ე მუხლში პირდაპირ აღნიშნულია, რომ: „...სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას და დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით“. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის 28 დეკემბერს მიიღო კანონი არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით, სამოქალაქო კოდექსის 1305<sup>1</sup>-1305<sup>3</sup> მუხლებისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLII<sup>2</sup> თავის სახით, რითაც დეტალურად არის უზრუნველყოფილი ბავშვების სწრაფი დაბრუნების სამართლებრივი მექანიზმები მათი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოში.

მიუხედავად იმისა, რომ საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობები განეკუთვნება კერძო სამართლებრივი ხასიათის კატეგორიას, მის მიმართ მაღალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესის გამო, სასამართლოს ამ სახის საქმეთა განხილვისას მინიჭებული აქვს არაერთი განსაკუთრებული უფლება (საპროცესო თავისებურება), რაც მას შესაძლებლობას აძლევს დაიცვას როგორც ოჯახი, ისე ბავშვისა და მშობლის უფლებები და კანონიერი ინტერესები. მაგალითად, ყველა სხვა საქმეთა განხილვისაგან განსხვავებით, საოჯახო საქმეთა სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად, შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ, თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. აღნიშნული საქმეთა განხილვა საპროცესო თავისებურებათა გათვალისწინებით, წარმოებს კანონმდებლობით დადგენილი სასარჩელო წარმოებათა წესების შესაბამისად, რა დროსაც სასამართლომ უპირველესად უნდა გაარკვიოს ბავშვთან ურთიერთობის საკითხი. თუ რას ნიშნავს ბავშვთან ურთიერთობა, მასზე განმარტებას იძლევა ეროვნული კანონმდებლობა, ბავშვთა უფლებების კონვენციითა და არაერთი საერთაშორისო აქტით აღიარებული დებულების გათვალისწინებით, რომლის თანახმად, ბავშვი უნდა იზრდებოდეს მშობლებთან და ოჯახურ გარემოში. როგორც წესი, ბავშვებს, მშობლების შეთანხმებით ან შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებით მათივე ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით, განსაზღვრული აქვთ ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი, რაც არ გამოირიცხავს ცალკე მცხოვრები მშობლების უფლებას ურთიერთობა იქონიოს შვილთან. პირიქით, თუ არ არსებობს კანონით განსაზღვრული რაიმე

სამართლებრივი საფუძველი, მშობელი უფლებამოსილია და ვალდებულიც მონაწილეობა მიიღოს მის აღზრდაში. უფრო კონკრეტულად კი, მშობელ(ებ)ი უფლებამოსილი და ვალდებული არიან აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით, რაც არ გამორიცხავს ცალკე მცხოვრები მშობლ(ებ)ის მხრიდან მასთან ურთიერთობას და ხშირ შემთხვევაში, გამოიხატება ბავშვის განსაზღვრული დროით ნაყვანაში ისეთ ადგილას, რომელიც არ არის მისი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი. უდავოა, რომ მშობლ(ებ)ის მხრიდან ამგვარი ქმედება უნდა ექცეოდეს მართლზომიერი ქცევის ფარგლებში. არ შეიძლება მშობლების უფლება-მოვალეობის გამოყენება შვილების ინტერესების სანინააღმდეგოდ. თუმცა, არცთუ იშვიათად მშობელთა ასეთი ქცევა არ ატარებს მართლზომიერ ხასიათს და პირდაპირ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესს. რა თქმა უნდა, ასეთი ქცევა იწვევს მათ პასუხისმგებლობას და დღის წესრიგში აყენებს არა მხოლოდ მშობლის უფლების, რომელთანაც საცხოვრებლად რჩება ბავშვი, არამედ უპირველესად, თვითონ არასრულწლოვანის ინტერესების სამართლებრივი დაცვის აუცილებლობას, რომლებიც ერთგვარ „მსხვერპლად“ იქცევიან ხოლმე მაშინ, როდესაც მათი გადაადგილება ან დაკავება ხდება არამართლზომიერად. თუ რა სახის გადაადგილება ან დაკავება მიიჩნევა არამართლზომიერად, ამას განსაზღვრავს თვითონ კანონი, კერძოდ, სკ-ის 1305<sup>1</sup>-ის „ზ“ პუნქტი, რომლის თანახმად, ბავშვის არამართლზომიერ გადაადგილებად ან არამართლზომიერ დაკავებად მიიჩნევა პირისათვის ან ორგანოსათვის ერთობლივად ან ინდივიდუალურად მიკუთვნებული მეურვეობის უფლების დარღვევა, რომელიც უზრუნველყოფილი იყო იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ბავშვი, ჩვეულებრივ, ცხოვრობდა უშუალოდ არამართლზომიერად გადაადგილებამდე ან არამართლზომიერად დაკავებამდე და რომელიც გადაადგილების ან დაკავების დროისათვის ფაქტობრივად, გამოიყენებოდა ერთობლივად ან ინდივიდუალურად ან/და ამგვარად გამოყენებული იქნებოდა, რომ არა არამართლზომიერი გადაადგილება ან არამართლზომიერი დაკავება. ამავე მუხლით განმარტებულია მეურვეობის უფლების თაობაზე, რომელიც შეეხება ბავშვზე მზრუნველობას და ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას. არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებისა და ბავშვთან ურთიერთობის უფლებების დადგენისათვის და ამ მიზნებისათვის ჩაითვლება, რომ პირი ან ორგანო ახორციელებს მეურვეობას, თუ ბავშვი ჩვეულებრივ, ცხოვრობდა საქართველოში ან კონვენციის ხელშემკვერელ სახელმწიფოში მის არამართლზომიერ გადაადგილებამდე ან არამართლზომიერ დაკავებამდე და ეს პირი ან ორგანო ახორციელებდა მეურვეობას ერთობლივად ან ინდივიდუალურად, საქართველოს ან კონვენციის ხელშემკვერელი იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც ბავშვი, ჩვეულებრივ, ცხოვრობდა გადაადგილებამდე ან დაკავებამდე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ უფლებათა განსაზღვრისა და განხორციელებისათვის ბავშვად მიჩნეულია 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი. ჩვენს მიერ განსახილველ უფლებათა მიმართ დავის შემთხვევაში, საქმე განიხილება სასამართლოში საპროცესო თავისებურებათა გათვალისწინებით. თუმცა, ვიდრე დეტალურად ვისაუბრებთ ამ თავისებურებებზე, განვიხილოთ თვით ამ უფლებათა სამართლებრივი საფუძვლები, რაც დადგენილია „ბავშვთა უფლებების კონვენციით“ (ძალაშია 1994 წლის



21 აპრილიდან) და „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციით. „ბავშვის უფლებათა კონვენციამ“ პრეამბულაში ერთმნიშვნელოვნად მიუთითა, რომ ბავშვთა უფლებათა განსაკუთრებული მზრუნველობით იყვნენ გარემოსილნი. ხელშემკვრელი სახელმწიფოები დარწმუნებული არიან რა, რომ ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი და მისი წევრების, განსაკუთრებით კი, ბავშვების ზრდისა და კეთილდღეობის ბუნებრივი გარემო, აუცილებლად უნდა იყოს დაცული და მას აუცილებლად უნდა გაეწიოს თანადგომა, რათა თავის თავზე სრულად აიღოს საზოგადოებრივი ვალდებულებები ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის. ამისათვის კი, აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. აღნიშნული დებულების აღიარებისას მხედველობაში იღებენ რა, ბავშვის ასეთი განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობას, რაც გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა შენევის 1924 წლის დეკლარაციით, 1959 წლის 20 ნოემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ბავშვის უფლებათა დეკლარაციით და აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით (კერძოდ, მისი 23-ე და 24-ე მუხლებით) ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტით (მე-10 მუხლი), აგრეთვე, ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე მომუშავე სპეციალიზებული დანებსებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი დოკუმენტებით. ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რაც საერთაშორისო კანონმდებლობით არის დაცული და სახელმწიფოები ყოველგვარ აუცილებელ ზომას ღებულობენ ბავშვის დასაცავად, რომლებიც უკავშირდება ბავშვის, მათი მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრთა სტატუსს, საქმიანობას და ა.შ. ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმხორციელებელი, – სახელმწიფო თუ კერძო დანებსებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. ამავე დროს, ითვალისწინებენ რა, ბავშვის მშობლის, ბავშვის მიმართ პასუხისმგებლობის მტვირთველი კანონიერი მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და მზრუნველობით, რომელიც აუცილებელია მისი კეთილდღეობისათვის და ამისათვის იღებენ ყველა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც განაპირობა ქართული სახელმწიფოს მიდგომა სპეციალური საკანონმდებლო წესით მოენესრიგებინა არამართლზომიერად გადაადგილებული და არამართლზომიერად დაკავებული ბავშვების დაბრუნებასთან და მათთან ურთიერთობის საკითხები. „ბავშვთა უფლებების კონვენციის“ მე-9 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად, განსაზღვრავენ ასეთი დაშორების აუცილებლობას ბავშვის ინტერესების უკეთ

მომსახურების მიზნით. ეს შესაძლებელია კონკრეტული გარემოების არსებობისას, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს ან არ ზრუნავენ მასზე, ან როცა მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე და აუცილებელია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადანყვეტილების მიღება და სხვა. მაგალითად, სკ-ის 1201-ე მუხლის თანახმად, თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული თუ ვის ექნება უფლება გადანყვიტოს ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი. შეთანხმებლობის შემთხვევაში, დავას იმის თაობაზე თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი წყვეტს სასამართლო, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, მათი ქორწინება ბათილად არის ცნობილი თუ ისინი განქორწინებული არიან ან/და ცალ-ცალკე ცხოვრობენ. ამასთან, მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობს, უფლება არა აქვს შეზღუდოს მეორე მშობლის უფლება-მოვალეობანი. თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მშობელმა „ბოროტად ისარგებლოს“ ამ უფლებით და არამართლზომიერად გადაადგილოს ან არამართლზომიერად დააკავოს ბავშვი. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელს დაცვილებული ბავშვის უფლებას, რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირადი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან, იმ შემთხვევის გარდა, როცა ეს ეწინააღმდეგება ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს. ეს ეხება იმ შემთხვევასაც, როცა ბავშვის მშობლები სხვადასხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ. აღნიშნულის გათვალისწინებით მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ ზომებს ბავშვთა უკანონო გადაადგილების ან საზღვარგარეთ მათი უკანონოდ დატოვების წინააღმდეგ, რისი გათვალისწინებითაც მიღებულია „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენცია. მონაწილე სახელმწიფოები ყველაფერს აკეთებენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე. მათი ზრუნვის მთავარ საგანს წარმოადგენს ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა. პირი ან ორგანო, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამტკიცებს, რომ აქვს მეურვეობის უფლება იმ ბავშვის მიმართ, რომელიც არამართლზომიერად იქნა გადაადგილებული საქართველოდან კონვენციის რომელიმე ხელშემკვრელ სახელმწიფოში ან არამართლზომიერად იქნა დაკავებული კონვენციის ერთ-ერთ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, უფლებამოსილია მიმართოს ცენტრალურ ორგანოს და მოითხოვოს ბავშვის დაბრუნების შესახებ შუამდგომლობის გადაგზავნა იმ სახელმწიფოს შესაბამის ორგანოში, სადაც ბავშვი არამართლზომიერად იქნა გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული და სადაც ბავშვი არამართლზომიერად იმყოფება.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ბავშვის მიმართ, რომელიც არამართლზომიერად იმყოფება საქართველოში, სამოქალაქო კოდექსის 1305<sup>1</sup>-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირებს, უფლება აქვთ მისი დაბრუნების ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით/სარჩელთ მიმართონ ცენტრალურ ორგანოს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს ან სასამართლოს. „ბავშვთა საერთაშო-

რისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ კონვენციით, რომელსაც საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 24 თებერვლის დადგენილებით (დადებულია 1980 წლის 25 ოქტომბერს და ძალაში შევიდა 1983 წლის 01 დეკემბერს), ხელმომწერი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ უზრუნველყოფენ ბავშვების საერთაშორისო დაცვას მათი არამართლზომიერი გადაადგილების ან დაკავების მავნე შედეგებისაგან და დაადგენდნენ პროცედურებს, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მათ სწრაფ დაბრუნებას მათი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოში ამ ურთიერთობებთან დაკავშირებულ უფლებათა გარანტირებული დაცვის გზით. კონვენციის მიზანია რომელიმე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არამართლზომიერად გადაყვანილი ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვების სწრაფი დაბრუნების უზრუნველყოფა და მეურვეობისა და ამ ურთიერთობის უფლებათა დაცვა, რომელიც ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით ეფექტიანად უნდა ხორციელდებოდეს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში. კონვენცია გამოიყენება ნებისმიერი 16 წლამდე ასაკის ბავშვის მიმართ, რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრობდა ხელშემკვრელ სახელმწიფოში მეურვეობის ან ურთიერთობის უფლებათა დარღვევამდე. ტერმინთა განმარტებები, რომლებიც მოცემულია სკ-ის 1305<sup>1</sup>-ე მუხლში, განსაზღვრულია სწორედ ამ კონვენციით, რითაც ასევე, განსაზღვრულია „მეურვეობის უფლებები“, რომელიც მოიცავს უფლებებს და შეეხება ბავშვის პიროვნებაზე მზრუნველობას (როგორც მშობლების, ისე კანონიერი წარმომადგენლების მზრუნველების და მეურვეების მხრიდან). კერძოდ, ბავშვის „საცხოვრებელი ადგილის“ განსაზღვრის უფლებას და „ურთიერთობის უფლებას“, რაც მოიცავს ბავშვის განსაზღვრული დროით წაყვანის უფლებას ისეთ ადგილას, რომელიც არ არის მისი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი. კონვენციის თანახმად, იმ სახელმწიფოს ცენტრალურმა ორგანომ, სადაც ბავშვი იმყოფება, უნდა მიიღოს ან მიაღებინოს ყველა სათანადო ზომა ბავშვის ნებაყოფლობით დაბრუნების უზრუნველსაყოფად. სწორედ ამ სახელმწიფოთა ადმინისტრაციული ორგანოების ან/და სასამართლოების უპირველესი მოვალეობაა, ოპერატიულად იმოქმედონ ბავშვის დასაბრუნებლად. ეს კი, შესაძლებელია იმ წესების დადგენით და მათი ზედმინეწით ზუსტად და თანმიმდევრულად შესრულებით, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კონვენციის და შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, კონკრეტულად კი, სამოქალაქო კოდექსით მხარეთათვის მინიჭებული უფლების განხორციელება. ნებისმიერი განაცხადი, წარდგენილი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ცენტრალური ან უშუალოდ სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ამ კონვენციის პირობების თანახმად, მისთვის თანდართულ ან ცენტრალური ორგანოს მიერ მიწოდებულ დოკუმენტებთან და ნებისმიერ სხვა ინფორმაციასთან ერთად, ექვემდებარება მიღებას ხელშემკვრელ სახელმწიფოთა სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში. როგორი წესით უნდა განხორციელდეს ეს პროცესი და რა თავისებურებებით ხასიათდება ის, განსაზღვრავს (ადგილის) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები, რომლის გათვალისწინების გარეშე, სამოქალაქო კოდექსით აღიარებულ უფლებებს ექნებოდა დეკლარირებული ხასიათი, რაც არც კონვენციის და არც მისი ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიზანს არ წარმოადგენს (ეს კონვენცია ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შორის გამოიყენება მხოლოდ იმ არამართლზომიერ გადაადგილებათა და დაკავებათა მიმართ, რომელთაც ამ სახელმწიფოში

ადგილი ექნებათ მისი ძალაში შესვლის შემდეგ). საპროცესო კანონმდებლობის თავისებურებები უპირველესად, გამოიხატება აღნიშნულ საქმეთა განსჯადობაში, რომლის თანახმად, მოცემულ საკითხებზე დავის განხილვის უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებს ბავშვის ადგილსამყოფელის მიხედვით. ბავშვის ან მშობლის დარღვეული უფლების აღდგენა სასამართლოში შესაძლებელია არამხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილებით, ასევე, სასამართლოს დროებითი (შუალედური) განკარგულების, ბრძანების მიღებით, რომლებიც ერთგვარად უზრუნველყოფენ მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვას. მაგალითად, სასამართლოს შეუძლია გამოსცეს ბრძანება ბავშვის გადაადგილების შეზღუდვის შესახებ ან ბავშვის შესაბამის პირთან ან დაწესებულებაში მოთავსების შესახებ ან ნებისმიერი სხვა ბრძანება, რომლის მიღების მიზანშეწონილობას განსაზღვრავს სასამართლო განმცხადებლის მხრიდან დაყენებული შუამდგომლობებისა და ამ კონვენციის დებულებებიდან (მოთხოვნებიდან) გამომდინარე. საქმეთა განხილვის პროცესში, სასამართლოს უპირველესი მოვალეობაა, დაადგინოს ბავშვი არამართლზომიერად იყო თუ არა გადაადგილებული ან დაკავებული. ამ დროს მან უნდა იხელმძღვანელოს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე (საცხოვრებელი ადგილი) მიჩნეულია და ითვლება ბავშვის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილად. ასევე, ამ სახელმწიფოს სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით ან მესამე სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, მიუხედავად იმისა, ეს გადაწყვეტილება აღიარებულია თუ არა ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს მიერ, ამასთან ისე, რომ სასამართლომ არც მიმართოს რაიმე სპეციალურ პროცედურებს, რომლებსაც ის აუცილებლად გამოიყენებდა სხვა შემთხვევაში ამგვარი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისათვის ან დადასტურებისათვის. სსსკ-ის 354-ე მუხლის გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ, თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. ამდენად, სასამართლო უფლებამოსილია ბავშვის დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე მოსთხოვოს განმცხადებელს ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რითაც დასტურდება ბავშვის გადაადგილების ან დაკავების არამართლზომიერება. აქედან გამომდინარე, ცენტრალური ორგანო, ანუ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია და ვალდებულიც, დაეხმაროს განმცხადებელს ამგვარი დოკუმენტის მოპოვებაში. განსახილველ საკითხთან მიმართებაში, აღსანიშნავია, სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლი, რომლის თანახმად, მშობელს უფლება აქვს მოითხოვოს არასრულწლოვანი შვილის დაბრუნება იმ პირისაგან, რომელიც მას თავისთან ამყოფებს კანონიერი საფუძვლის გარეშე. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც მშობელ(ებ)ი სხვადასხვა სუბიექტური ან ობიექტური მიზეზის გამო, შვილებს აღსაზრდელად გადასცემენ ნათესაებს, ოჯახის მეგობრებს ან დროებით მიაბარებენ საბავშვო დაწესებულებას და ისინი აღარ აბრუნებენ ბავშვს ნებაყოფლობით. ამ მოთხოვნის განსხვავებული საფუძვლებისა და გარემოებების გამო, ასეთი დავები არ განეკუთვნებიან სკ-ის 1305<sup>1</sup>-1305<sup>3</sup>-ე მუხლებით მოსაწესრიგებელ დავათა კატეგორიას.

განსხვავებულად რეგულირდება არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვების მიმართ მეურვეობისა და მზრუნველობის საკითხიც. კერძოდ, დაინტერესებული პირებისათვის ასეთი ბავშვების მიმართ მეურვეობისა და მზრუნველობის საკითხის მნიშვნელობის მიუხედავად, სასამართლოში სარჩელის მიღების შემდეგ, საქართველოს არცერთი სასამართლო არ არის უფლებამოსილი, განიხილოს მეურვეობის საკითხი არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების ან მის დაბრუნებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. 16 წლამდე ბავშვის პროცესში მონაწილეობის საკითხს წყვეტს სასამართლო საერთო საპროცესო წესების გათვალისწინებით, კერძოდ, სსსკ-ის 81-ე მუხლის თანახმად, 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა უფლებებს და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები (მეურვეები). ამასთან, სასამართლო ვალდებულია, ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვანიც. სასამართლოს ასევე, უფლება აქვს საქმეში ჩააბას მცირეწლოვანი და მოუსმინოს მას, თუ ბავშვის ასაკი, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა ამის შესაძლებლობას იძლევა. ბავშვის მოსმენა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მას უნდა დაესწროს ექსპერტი ან/და სოციალური მუშაკი. ამ საქმეთა სენსიტიურობის გათვალისწინებით, საქმეთა განხილვის თავისებურება გამოიხატება განხილვის ვადებშიც. კერძოდ, სასამართლო ვალდებულია, რომ არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების და ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს დაჩქარებული წესით, საქმისწარმოებაში მიღებიდან 6 კვირის განმავლობაში. რაც ეხება მხარის მიერ სსსკ-ის 351<sup>10</sup>-ე მუხლის საფუძველზე დაყენებულ შუამდგომლობებს, სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს 48 საათში. იმპერატიულია კანონმდებლობის მოთხოვნა ამგვარი უფლებების განხორციელების ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებაშიც, რაც გამოიხატება გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არამართლზომიერად გადაადგილების ან არამართლზომიერად დაკავების თარიღიდან სარჩელის წარდგენის მომენტამდე, გასულია 1 წელზე ნაკლები. რა თქმა უნდა, ამ დროს უდავოდ უნდა დასტურდებოდეს თვით ბავშვის არამართლზომიერად გადაადგილების ან არამართლზომიერად დაკავების ფაქტი. დადასტურების შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ამ ვადის გასვლის შემდეგაც, თუ დადასტურებულად არ იქნა ნაჩვენები (დამტკიცებული), რომ ბავშვი ინტეგრირებულია თავის ახალ გარემოში. ამასთან, ამ სახის საქმეთა განხილვისას, ძალზე მნიშვნელოვანია სასამართლოს განსაკუთრებული უფლება ნებისმიერ ეტაპზე, სსსკ-ის XLII<sup>2</sup> თავით განსაზღვრული თავისებურებების გათვალისწინებით, მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის დაბრუნების შესახებ, თუ ამგვარი გადაწყვეტილების მიუღებლობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვის ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობას. სასამართლო უფლებამოსილია უარი თქვას არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებაზე, თუ: ა) ბავშვის გადაადგილებიდან ან დაკავებიდან გასულია 1 წელზე მეტი და იგი ინტეგრირებულია ახალ გარემოში; ბ) პირი ან ორგანო, რომელიც ითხოვს ბავშვის დაბრუნებას, ფაქტობრივად, არ ახორციელებდა მეურვეობის უფლებას ბავშვის საქართველოში არამართლზომიერი გადაადგილების ან არამარ-



თლზომიერი დაკავების მომენტი სათვის ან/და დაეთანხმა ან მოგვიანებით, შეეგუა ბავშვის ასეთ გადაადგილებას ან დაკავებას. გ) ბავშვის ასაკი, მისი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გათვალისწინებული იქნეს მისი აზრი და იგი ცალსახად, უარს აცხადებს დაბრუნებაზე. დ) არსებობს სერიოზული რისკი, რომ გარემო, რომელშიც ბავშვი დაბრუნების შემთხვევაში აღმოჩნდება, მას ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანის საფრთხეს შეუქმნის ან სხვაგვარად ჩააყენებს გაუსაძლის მდგომარეობაში. თავისებურებით ხასიათდება ბავშვის დაბრუნების ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენების შესახებ გადანყვეტილების შინაარსიც. კერძოდ, არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების და ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენების შესახებ გადანყვეტილება უნდა შეიცავდეს მის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც. რაც შეეხება, ხარჯებს, აღნიშნულ საქმეებზე განმცხადებელი თავისუფლდება პროცესის ხარჯების ანაზღაურებისაგან. სასამართლო გადანყვეტილების მიღებისას იმ პირს, რომელმაც ბავშვი არამართლზომიერად დააკავა ან გადაადგილა ან/და ხელი შეუშალა ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებას, აკისრებს იმ აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას, რომელიც გაიღო განმცხადებელმა, მათ შორის, სამგზავრო, ბავშვის ადგილსამყოფელის დასადგენად გაღებულ ნებისმიერ ხარჯს, განმცხადებლის მიერ წარმომადგენლისათვის გადახდილ ხარჯებს და ბავშვის დაბრუნებასთან დაკავშირებულ (მგზავრობის და სხვა) ხარჯებს.

მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის 21 ივნისამდე არ არსებობდა არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების და ბავშვთან ურთიერთობის უფლებათა მომწესრიგებელი სპეციალური კანონი, ამ კატეგორიის საქმეებზე, საერთაშორისო აქტების პრინციპით მოქმედების პირობებში, არსებობს სასამართლო პრაქტიკა, რომელიც სიმრავლით არ გამოირჩევა. არის გადანყვეტილებები, რომელთა მაგალითად მოტანა და მისი ანალიზი დაეხმარება დაინტერესებულ მკითხველს ჩვენს მიერ განხილულ საკითხთა მიმართ დავის სწორად და ეფექტიანად გადანყვეტაში.

ვფიქრობთ, გამორჩეულად საინტერესოა, სასამართლოს გადანყვეტილება არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებაზე უარის თქმის შესახებ, ზემოაღნიშნული კანონის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, რომელიც უკავშირდება ბავშვის დაბრუნებისას მისთვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანის საფრთხის შექმნის ან სხვაგვარად გაუსაძლის მდგომარეობაში ჩაყენების რისკს. საქმის თანახმად,<sup>1</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტმა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქალაქე კ.შ.-ის შუამდგომლობის საფუძველზე, „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის კონვენციის საფუძველზე და მის შესაბამისად, ავსტრიიდან უკანონოდ გადაადგილებული არასრულწლოვანის ე.შ.-ის ავსტრიაში დაბრუნების შესახებ, იმ საფუძველით, რომ დედამ მამასთან შეუთანხმებლად წაიყვანა ბავშვი საქართველოში, რითაც განმცხადებლის აზრით, დაირღვა „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ კონვენციით გათვალისწინებული მშობლის, როგორც ბავშვის მეურვის უფლებები. ბავშვის დედამ არ ცნო შუამდგომლობა იმ საფუძველით, რომ განმცხადებელი ბავშვის საქართველოში



ჩამოყვანამდე არ იყო მათი საერთო შვილის მეურვე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, განმცხადებელს – ბავშვის მამას უარი ეთქვა კონვენციის დარღვევის უსაფუძვლობის გამო, არასრულწლოვანის ავსტრიაში დაბრუნებაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. სასამართლო დაეყრდნო საქმეში არსებულ ძალზე მნიშვნელოვან გარემოებას, რასაც ითვალისწინებს კონვენცია და უკვე დღეს მოქმედი სპეციალური კანონი – ბავშვის უპირატეს ინტერესს, რაც გულისხმობს მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფას. კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქმეში არსებული სპეციალისტების დასკვნა იმის თაობაზე, რომ მცირეწლოვანის დედასთან განშორება და მისი ავსტრიაში დაბრუნება გამოიწვევს ბავშვის ფსიქიკის რღვევას და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მას აუცილებლად საფრთხეს შეუქმნის, მით უფრო, რომ ბავშვსა და დედას შორის არსებობს ფსიქოსომატური კავშირი, რაც ნიშნავს, რომ დედის განწყობა პირდაპირპროპორციულად აისახება ბავშვზე. ამიტომ, თუ დედისათვის ეს ფსიქოლოგიურ დაძაბულობას იწვევს, მაშინ ასეთი ყოფა ბავშვისთვის, არათუ უარყოფითი, არამედ დაუშვებელია, მით უფრო, რომ ბავშვის მშობლებს შორის არსებობს გამწვავებული ურთიერთობა, რაც თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც დააფუძნა კონვენციის მე-13 მუხლის „ბ“ პუნქტის მოთხოვნებს, რომელიც სასამართლოს უფლებას აძლევს უარი თქვას ბავშვის დაბრუნების შესახებ განკარგულების გაცემაზე, თუ ეს ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს და საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა კონვენციის დარღვევის საფუძველით, კერძოდ, მისი ამოცანის უგულებელყოფით, რომლის თანახმადაც, უნდა მოხდეს უკანონოდ გადაადგილებული ბავშვის თავდაპირველ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება, ხოლო სხვა სამართლებრივი საკითხების შემდგომი გარკვევა. საკასაციო სასამართლომ კიდევ უფრო ფართოდ განმარტა კანონმდებლობა კონკრეტულ მოთხოვნასთან მიმართებაში და სრულიად მართებულად არ დააკმაყოფილა საჩივარი, რადგან მიიჩნია, რომ ამ კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოების მიზანს წარმოადგენს ბავშვის არამართლზომიერი გადაადგილების ან არამართლზომიერი დაკავების მავნე შედეგებისაგან საერთაშორისო დაცვა და იმ პროცედურების დადგენა, რომლებიც უზრუნველყოფენ არა მხოლოდ მის დაბრუნებას, არამედ სწორად დაბრუნებას მათი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოში, მათთან უფლებამოსილი პირების ურთიერთობის უფლებათა დაცვის გარანტიით და მიუთითა კონვენციის პრეამბულაში აღნიშნულ ბავშვების ინტერესების უმთავრეს მნიშვნელობაზე. ამასთან აღნიშნა, რომ კონვენცია ემსახურება არა მხოლოდ ბავშვების საერთაშორისო გატაცების ფაქტების აღკვეთას, ამავდროულად, მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა. აღნიშნული კონვენცია განიხილება როგორც ბავშვთა უფლებების დამცველი და არა გატაცებული ბავშვის მშობლის უფლებების დამცველი, ანუ ბავშვის გატაცებისას უპირველესად, დაზარალებულია ბავშვი, რომელიც ტრავმირებულია ჩვეული გარემოდან უცხო სამყაროში მოხვედრით და მშობლებთან დაცილებით. ამ საკითხებთან ერთად, კონვენცია არეგულირებს ბავშვთა გატაცების სამოქალაქო ასპექტებს მის ფარგლებში განსახილველ ყველა ფაქტთან მიმართებაში,

რასაც საფუძვლად უდევს მართლსაწინააღმდეგო, უკანონო ქმედება – ბავშვის გატაცება, უკანონო გადაადგილება. ასეთი დავების გადანყვეტისას, ძალზე საგულისხმოა ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, კერძოდ, გამტაცებლისა და ბავშვის დაბრუნებაზე მოთხოვნის ნარმდგენი პირის ნათესაური კავშირი ბავშვთან. კონვენცია არ აკონკრეტებს, თუ ვინ შეიძლება იყვნენ ეს პირები და მიუთითებს, რომ კონვენციის მე-13 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის გამოყენებისათვის ამ მომენტს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. უდავოა, რომ ასეთი უკანონო ქმედება უნდა აღიკვეთოს, მიუხედავად იმისა, თუ ვის მიერ არის იგი ჩადენილი. ამასთან, მოცემულ დავასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია და არსებითი, რომ ბავშვის გატაცების აღკვეთას მოჰყვეს ბავშვის უფლებების დაცვით მისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. სწორედ ამიტომაც, ის ადგენს გამონაკლისებს ბავშვის დაბრუნებასთან მიმართებით. კერძოდ, კონვენციის მე-13 მუხლით, მიუხედავად წინამავალი მუხლის დებულებებისა, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული არ არის გასცეს განკარგულება ბავშვის თაობაზე, თუ პირი, დაწესებულება ან სხვა ორგანო, რომელიც მის დაბრუნებას ეწინააღმდეგება, დაადგენს ამავე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებს. საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია კასატორის პრეტენზიები და მიუთითა, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს შეუქმნიდა ბავშვის გატაცებამდე არსებულ გარემოში ბავშვის ინტერესების დარღვევის გარეშე დაბრუნების რწმენას. უფრო მეტიც, კასატორი ითხოვდა რა, მხოლოდ ბავშვის ავსტრიაში დაბრუნებას, მისი მოთხოვნა ემყარებოდა ზემოაღნიშნული კონვენციის ვინრო გაგებას ბავშვის საქართველოში უკანონოდ წაყვანის შინაარსით, მაგრამ იგი ვერ ადასტურებდა მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღკვეთით უფრო მაღალი მიზნების მიღწევას და ვერ გამორიცხავდა, რომ მცირეწლოვანის დედასთან დაშორებით უფრო მეტად არ დაირღვეოდა „გატაცების მსხვერპლის“ – ბავშვის ინტერესები და უფლებები. თუმცა, საკასაციო სასამართლო დაეთანხმა კასატორის მოსაზრებას, რომ ამ კონვენციის ფარგლებში არ არის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი, თუ ვის უნდა დაეკისროს ბავშვის მეურვეობა და იქვე სწორად და ხაზგასმით განმარტა, რომ ბავშვის დაბრუნების მოთხოვნის დაკმაყოფილება მოცემულ საქმეზე დადგენილი მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებებით (მამის თანხმობის გარეშე საქართველოში წაყვანით) დაუშვებელია, ვინაიდან კასატორმა ვერ შეძლო, გამოერიცხა მცირეწლოვანის დედასთან დაშორებით ბავშვის ფსიქიკისათვის შესაფერისი და სტაბილური გარემოს შექმნის შესაძლებლობა, რის აღბათობასაც ზრდიდა კასატორის ნარმომადგენლის განმარტება სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებზე, რომლის თანახმად, ბავშვის კანონიერი ნარმომადგენელი მამა – კ.შ-ძე მუშაობდა, ხოლო დედა – ნ.ბ-ძე საქართველოში იმყოფებოდა და იგი ავსტრიაში დაბრუნების წინააღმდეგი იყო.

„ბავშვის უფლებათა კონვენციით“ მონაწილე სახელმწიფოები შესაძლებლობისამებრ, მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებასა და ჯანსაღ განვითარებას (მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი), რისთვისაც ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადანყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად, განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ

ემსახურება ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს (მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილი). მოცემულ საქმეზე, სასამართლომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევითა და შეფასებით დაადგინა, რომ ბავშვის მშობლებს შორის არსებობდა გამწვავებული სიტუაცია. ამდენად, ბავშვის ავსტრიაში გამგზავრება იქნებოდა არაკომფორტულ გარემოში დაბრუნება და დედა-შვილს შორის არსებული ფსიქოსომატური კავშირის გათვალისწინებით, უარყოფითად იმოქმედებდა და ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნიდა ბავშვს ავსტრიაში დედასთან ერთად დაბრუნების შემთხვევაშიც კი. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები მათი ზრუნვის მთავარი საგანია. მოცემულ დავაში ბავშვის დაცვის ჭეშმარიტი ინტერესი მისთვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნაა, რაც მშობლების და ამავდროულად, სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების უმთავრესი ზრუნვის საგანს წარმოადგენს.

დაბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენს მიერ განხილულ საკითხებთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობისა და საპროცესო თავისებურებების შინაარსს განაპირობებს აღნიშნული კონვენციისა და ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში არსებული არაერთი საერთაშორისო აქტის არსებობის მთავარი მიზანი – უპირატესად და უპირველესად, დაცულ იქნეს ბავშვის ყველაზე უფრო ჭეშმარიტი ინტერესი, იცხოვროს მისთვის უსაფრთხო და შესაფერის გარემოში. ეს კი, მიიღწევა საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობის სწორად გაგებით (განმარტებით) და გამოყენებით.

#### შენიშვნა:

<sup>1</sup> იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №ას 349 325-2010.

# PECULIARITIES OF HEARING CASES ON THE RIGHT TO RETURN AN ILLEGALLY DISPLACED OR ILLEGALLY DETAINED CHILD AND TO HAVE CONTACT WITH IT

## THEORY AND JUDICIAL PRACTICE

LELA NADIBAIDZE

*Doctor of Law, Full Professor of the Tbilisi Humanitarian University*

Significance of this issue is caused by the specific nature of disputes related to the right to return the illegally displaced or illegally retained child(ren) and to the right to have contact with them, and by the whole range of rights and obligations granted to the administrative body and court in the process of securing these rights, which should be necessarily considered for passing an objective and fair decision while resolving such disputes, which from its side ensures effective protection of the rights of such child(ren) and their parents.

The right of the child to grow up with parents and in a family environment is secured by the Convention on the Rights of the Child together with many international acts and domestic legislation. The legislator's special approach to the rights of the child in a family and/or those of their parent(s) is caused by several factors: the family is a unit of the society and the state, and there is a high state and public interest towards the development of this relationship, but in addition to this, Georgia has joined many international legal acts, conventions or declarations, main goal of which is to ensure unconditional protection of the rights of the child, to provide adequate social environment for them not only in the country, but also abroad. As far as the child does not

belong only to its parents, but it is also a part of the society, thus the state has recognized the obligation to provide legal safeguards for it, which is strengthened in the supreme law of the country – the Constitution, which directly states in the Article 36 that “the state shall promote the prosperity of the family, and the rights of the mother and the child shall be protected by law.” Considering all the above-mentioned, the Parliament of Georgia passed the law on December 28, 2011 regarding the application of the right to return an illegally displaced or illegally detained child or to have a contact with a child, in the form of the articles 1305<sup>1</sup> – 1305<sup>3</sup> of the Civil Code of Georgia, and Chapter XLII<sup>2</sup> of the Civil Procedure Code, which provides an in-depth regulation regarding the legal and procedural issues, which ensures quick return of children to the state of their permanent residence. Correspondingly, it is a paramount obligation of the courts and/or respective administrative bodies of the state to ensure the prompt action for returning the child. However, this is possible if the competent bodies have a thorough understanding of the legislation (with interpretation), and through consistent enforcement, without which it would be possible to realize the rights granted to the parties by the Convention and the domestic legislation, in particular, by the Civil Code.

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებრივი პარტნიორის გასვლა

როინ მიგრიაული

სამართლის დოქტორი, კავკასიისა და საქართველოს  
უნივერსიტეტების სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი,  
ადვოკატი, საადვოკატო ბიურო „მიგრიაული და პარტნიორების“  
ხელმძღვანელი-პარტნიორი

## 1. შესავლის მაგიერ

სამენარმეო საზოგადოებასთან კონკრეტული პირის მიერ პარტნიორული ურთიერთობის დამყარება ამ უკანასკნელის აბსოლუტურ ნებაზეა დამოკიდებული. სამენარმეო საზოგადოებაში პარტნიორად გახდომის ყველზე გავრცელებული ფორმაა საზოგადოების დაფუძნება (დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად), ანდა უკვე დაფუძნებულ საზოგადოებაში წილის შექმნა. პირი მანამდე აგრძელებს საზოგადოებასთან ურთიერთობას, ვიდრე თავისივე ნებით არ გადანყვეტს ამ ურთიერთობის დასრულებას. შესაბამისად, პირის პარტნიორობაც, რომელიც მუდმივი არ არის, ოდესმე შეიძლება დასრულდეს. პარტნიორებს ვერ აიძულებენ მუდმივად საზოგადოებაში ყოფნას ან იმ პარტნიორთან ერთად საზოგადოების საქმიანობის გაგრძელებას, რომელმაც მათი ნდობა დაკარგა.<sup>1</sup> ასეთ შემთხვევაში, პარტნიორს სხვა არაფერი რჩება, გარდა იმისა, რომ დატოვოს საზოგადოება.

საზოგადოების დატოვების, ანუ საზოგადოებიდან გასვლის უფლება პარტნიორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა იმ უამრავ უფლებასთან ერთად, რომლებითაც იგი აღიჭურვება



საზოგადოებაში პარტნიორად გახდომის (საზოგადოებაში პარტნიორად შესვლის) შემდეგ. საზოგადოებიდან ნებაყოფლობითი გასვლით, პარტნიორი საბოლოოდ ასრულებს მასთან თავის პარტნიორულ ურთიერთობას.

სამენარმეო საზოგადოებასთან პარტნიორის ურთიერთობის დასრულების კლასიკური და ტრადიციული ფორმაა პარტნიორის მიერ მისი კუთვნილი წილის დათმობა. არსებობს წილის სასყიდლიანი დათმობა, რაც წილის გასხვისებას ან გაცვლაში გამოიხატება; არსებობს წილის უსასყიდლო დათმობაც, რაც წილის გაჩუქებას გულისხმობს. გასხვისების სახით წილის დათმობას პარტნიორები ყველაზე ხშირად მიმართავენ.

კონკრეტული პარტნიორის ურთიერთობა საზოგადოებასთან შეიძლება მისი გარდაცვალებითაც დასრულდეს. თუმცა, გარდაცვლილი პარტნიორის ურთიერთობა საზოგადოებასთან დასრულებულად არ შეიძლება მივიჩნიოთ, თუ მასთან ურთიერთობას გარდაცვლილის მემკვიდრეები გააგრძელებენ. იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე ან მემკვიდრეები უარს განაცხადებენ წილზე, მაშინ საზოგადოებასთან ურთიერთობის დასრულება საბოლოოდ გაფორმდება. ასეთ შემთხვევაში, გარდაცვლილი პარტნიორის წილი საზოგადოების დანარჩენ პარტნიორებზე პროპორციულად გადანაწილდება. ასეთ დროს დასაშვებია საზოგადოებაში დარჩენილი პარტნიორების სხვაგვარი შეთანხმებაც.

წილის დათმობასთან და პარტნიორის გარდაცვალებასთან შედარებით, საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლა არ მიიჩნევა როგორც საზოგადოებასთან პარტნიორის ურთიერთობის დასრულების გავრცელებულ და ტრადიციულ ფორმად. განსხვავებულია საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის წესი, ერთი მხრივ, პიროვნულ (პერსონალურ) საზოგადოებებში და მეორე მხრივ, კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში.

## 2. პარტნიორის გასვლა პიროვნული საზოგადოებიდან

პიროვნული საზოგადოებების (სპს, კს) შემთხვევაში, პარტნიორის გასვლის საკითხს უშუალოდ კანონი აწესრიგებს. რამდენადაც პიროვნული საზოგადოებები პირთა ნდობაზე დაფუძნებული გაერთიანებაა, პარტნიორები შეიძლება ურთიერთშეთანხმებით დასცილდნენ ერთმანეთს. აუცილებელი არაა, რომ პარტნიორმა წილის გასხვისებით დაასრულოს პიროვნულ საზოგადოებაში თავისი ურთიერთობა. აქ არსებითია, რომ პარტნიორის გასვლით არ დაზარალდეს მესამე პირთა (კრედიტორთა) ინტერესები. სპს-ის კონტრაჰენტისათვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია პარტნიორთა სუბიექტური შემადგენლობა.<sup>2</sup> სწორედ მესამე პირთა ინტერესების დაცვის მიზნით, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2008 წელს განხორციელებული ცვლილებებით, რომელმაც დეტალურად მოაწესრიგა სპს ის პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის პროცედურული საკითხები, ფაქტობრივად, გაზარდა ამ ტიპის საწარმოს სანდოობა.<sup>3</sup> კერძოდ, სავალდებულო გახდა სპს-დან პარტნიორის გასვლის ორჯერ საჯარო გამოქვეყნება და საგადასახადო ორგანოსათვის და სხვა ცნობილი კრედიტორებისათვის შეტყობინების გაგზავნა. სპს-დან პარტნიორის გასვლის შემთხვევაში, კრედიტორებს ენიჭებათ უფლება საზოგადოებას ვადამდე მოსთხოვონ ვალდებულებების შესრულება.

### 3. უნდა დანესდეს თუ არა შეზღუდვები შპს-დან პარტნიორის გასვლისას

პიროვნული საზოგადოებებისაგან განსხვავებით, კანონი შპს-დან პარტნიორის გასვლის საკითხს ცალკე არ აწესრიგებს. ანალოგიური სიტუაციაა სააქციო საზოგადოებებთან მიმართებაში. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ეს იმგვარადაა ახსნილი, რომ შპს კაპიტალის გაერთიანების შედეგად შექმნილი საზოგადოებაა. მასში პარტნიორების მონაწილეობა დაფუძნებულია არა მათ პირად შრომაზე, არამედ კაპიტალის ჩადებაზე.<sup>4</sup> შესაბამისად, შპს-ის პარტნიორს წილის გასხვისების გზით ნებისმიერ დროს შეუძლია გავიდეს საზოგადოებიდან.<sup>5</sup> წილის მთლიანი გასხვისება შპს-თან ურთიერთობის საბოლოო დასრულების წინაპირობაა. თუმცა, წილის გასხვისებით საზოგადოებასთან კავშირის განწყვეტა შეიძლება გარკვეულ შეზღუდვასთან იყოს დაკავშირებული. მაგალითად, წილის გასხვისებისათვის საჭირო იყოს საზოგადოების ნებართვა,<sup>6</sup> ხოლო საზოგადოებამ უარი თქვას ასეთი ნებართვის გაცემაზე. კანონი, მართალია, საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლისათვის მსგავს შეზღუდვას არ ითვალისწინებს, თუმცა, წესდებით ამისათვის შეიძლება გარკვეული წინაპირობები იქნას დაწესებული ამის შესახებ დეტალურად ქვემოთ გვექნება საუბარი.

შპს-დან პარტნიორის გასვლა, ზოგადად, სხვადასხვა მიზეზთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. კანონი არ უკრძალავს პარტნიორებს საზოგადოებიდან გასვლას და არც გასვლის წინაპირობებს უწესებს მათ. როგორც წესი, **საზოგადოებიდან გასვლის მიზეზად მიიჩნევა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობა**<sup>7</sup>. რამდენადაც კანონმდებელი არ იძლევა ამ მიზეზების ჩამონათვალს, უფრო გამართლებულია, თუ შპს-დან გასვლის კონკრეტული საფუძვლები წესდებაში იქნებოდა დეტალურად ასახული. ხოლო იმ პირობებში, როდესაც მწირია სასამართლო პრაქტიკა, შპს-დან პარტნიორის გასვლის მიზეზების ჩამონათვალი ან სამენარმეო პრაქტიკაში უნდა ვეძებოთ, ანდა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს უნდა დავეყრდნოთ. პრაქტიკაში არსებული მიზეზები თითქმის ემთხვევა ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს.

შპს-დან პარტნიორის გასვლის მიზეზებიდან ყველაზე გავრცელებულია გამსვლელი პარტნიორის პიროვნული შეუსაბამობა არსებულ პარტნიორებთან და მათთან შემდგომი ურთიერთობის გაგრძელების შეუძლებლობა. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ერთ-ერთ გავრცელებულ მიზეზად აგრეთვე, მითითებულია გაზრდილ სანესდებო კაპიტალში პარტნიორის მიერ დამატებითი შესატანის შეტანის შეუძლებლობა.<sup>8</sup> შემდეგ მიზეზად შეიძლება ფინანსური მხარე დასახელდეს. პარტნიორმა შეიძლება დაკარგოს კონკრეტულ საზოგადოებაში ყოფნის ინტერესი, ვინაიდან საზოგადოებაში მისმა ხანგრძლივმა ყოფნამ სასურველი ფინანსური შედეგი ვერ მოიტანა, რადგანაც წლების განმავლობაში არ მომხდარა დივიდენდის განაწილება. გასვლის მიზეზები შეიძლება იყოს აგრეთვე, საზოგადოების საქმიანობის პროფილის შეცვლა ან სხვა საზოგადოებასთან შერწყმა, რამაც შეიძლება პარტნიორის ინტერესის დაკარგვა გამოიწვიოს. წილის გასხვისების უშედეგო მცდელობამ ასევე, შეიძლება შეუქმნას მოტივაცია საზოგადოების პარტნიორს, რომ გავიდეს საზოგადოებიდან.

საზოგადოებიდან გასვლით გამსვლელი პარტნიორი უარს ამბობს იმ მრავალმხრივ გარემოებაზე, რომელიც საზოგადოების შექმნისას მან დადო დანარჩენ პარტნიორებთან. საზოგა-

დოებიდან გასვლა ემსგავსება სამოქალაქო სამართალში ხელშეკრულებიდან გასვლას. ამ შემთხვევაშიც, სამოქალაქო სამართალი ხელშეკრულებიდან გამსვლელი მხარის ნატურით კომპენსაციაზე უთითებს, ისე რომ არ გამორიცხავს მის ფულად ანაზღაურებასაც.<sup>9</sup>

#### 4. გამსვლელი პარტნიორის კომპენსაციის შესახებ

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ქართული სამენარმეო სამართალი არ აწესრიგებს შპს-დან პარტნიორის გასვლის საკითხებს. თუმცა, პარტნიორთა შეთანხმებით (საზოგადოების წესდებით) შეიძლება დეტალურად იქნას აღწერილი გასვლასთან დაკავშირებული დეტალები.

შპს-დან პარტნიორის გასვლა ძირითადად, დაკავშირებულია გამსვლელი პარტნიორისათვის შესაბამისი **კომპენსაციის** გადახდასთან, რომელიც ზოგადად, მისი წილის ღირებულებას უნდა შეესაბამებოდეს. კომპენსაცია შეიძლება გადახდილი იქნას როგორც ფულადი სახსრებით, ისე – ნატურით, ანუ მატერიალური ქონებით. კომპენსირება შეიძლება ორი ფორმით განხორციელდეს: მატერიალური ქონების ან ფულადი სახსრების პირდაპირ გადაცემით, ანდა საზოგადოების სანესდებო კაპიტალის შემცირების საფუძველზე შესატანის უკან დაბრუნებით.

ქართულ სამენარმეო პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია შემთხვევები, როდესაც გამსვლელი პარტნიორები სანესდებო კაპიტალში შესატანის სახით შეტანილი ქონების, მათ შორის, ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას ითხოვენ. საზოგადოებისათვის შედარებით უმტკივნეულოა გამსვლელი პარტნიორისათვის ფულადი სახსრების უკან დაბრუნება. ხოლო უფრო პრობლემატურია, როდესაც გამსვლელი პარტნიორი კომპენსაციას ნატურით, ანუ მატერიალური ქონებით ითხოვს. ნატურით კომპენსაციამ შეიძლება საზოგადოების არსებობა საფრთხის ქვეშ დააყენოს. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ნატურით გადასაცემი ქონება ერთადერთი ან მნიშვნელოვანი ქონებაა საზოგადოებისათვის.

ქართული სასამართლო პრაქტიკაც, შპს-დან პარტნიორის გასვლის შემთხვევაში აქცენტს საზოგადოების საფრთხეზე აკეთებს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია და თავისი გადაწყვეტილებით საზოგადოებიდან გამსვლელ პარტნიორს უარი უთხრა წილის კომპენსაციაზე, ვინაიდან მიიჩნია, რომ ამით საფრთხე შეექმნებოდა საზოგადოების სანესდებო კაპიტალსა და მთლიანად საზოგადოების ქონებას.<sup>10</sup> საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აქ ერთმანეთს შეუპირისპირა, ერთი მხრივ, „მენარმეთა შესახებ“ კანონის 46-ე მუხლიდან გამომდინარე შპს-ის პარტნიორის უფლებები და მეორე მხრივ, საზოგადოების ინტერესები. ამ ინტერესთა დაპირისპირებაში სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც შპს-ის სასარგებლოდ უარი უთხრა გამსვლელ პარტნიორს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და მიუთითა მას, რომ თავისი მოთხოვნა წილის გაყიდვით დაიკმაყოფილოს.

საზოგადოების არსებობისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, პარტნიორები ხშირ შემთხვევაში, წესდებით ისეთ წესებზე თანხმდებიან, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული საფრთხე. პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებული შეზღუდვაა გამსვლელი პარტნიორის კომპენსირებისათვის პარტნიორთა გადაწყვეტილების დაწესება. პარტნიორთა გადაწყვეტილება პარტნი-

ორთა კრებაზე უნდა იქნას მიღებული; ასეთი შეზღუდვა უფრო თვალსაჩინო ხდება, თუ პარტნიორთა გადაწყვეტილების მისაღებად მაღალი კვოტა (2/3, 3/4 ან 100%) იქნება დაწესებული;

გარკვეულ შეზღუდვას მაშინაც ექნება ადგილი, თუ გამსვლელი პარტნიორის კომპენსირება შესატანის უკან დაბრუნებასთან იქნება დაკავშირებული, ვინაიდან შესატანის უკან დაბრუნება მხოლოდ საზოგადოების სანესდებო კაპიტალის შემცირების გზით დაიშვება. სანესდებო კაპიტალის შემცირების პროცედურები კი, გარკვეულ დროს მოითხოვს, რომელიც ასევე, პრესაში გამოქვეყნებასაც უკავშირდება;

გამსვლელი პარტნიორისათვის შემდეგი შეზღუდვა მდგომარეობს იმ ვადის დაწესებაში, რომლის განმავლობაშიც პარტნიორს არა აქვს უფლება საზოგადოებიდან გასვლა მოითხოვოს. პარტნიორის გასვლისათვის წესდებით შეიძლება სამეურნეო წლის ბოლო იქნას დაწესებული. ეს ნიშნავს, რომ პარტნიორი სამეურნეო წლის დასრულებამდე ვერ მოითხოვს საზოგადოებიდან გასვლას და წილის კომპენსირებას. ასეთი ვადა საზოგადოებას ერთგვარი „ამოსუნთქვის“ საშუალებას აძლევს. მას შესაძლებლობა აქვს მომავალში გასაცემი ქონება სამეურნეო წლის პერიოდის დასრულებამდე თავად გამოიყენოს.

წესდებით პარტნიორები შეიძლება აგრეთვე ისეთ შეზღუდვაზე შეთანხმდნენ, რომელიც გამსვლელი პარტნიორის წილის კომპენსირებას გარკვეული ვადის გასვლას დაუკავშირებს. კერძოდ, გამსვლელი პარტნიორი გასვლისთანავე კი არ მიიღებს ფულს ან ქონებას, არამედ გასვლიდან, ვთქვათ, 6 თვის შემდეგ. ეს დროც მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, რომელიც ამ ხნის განმავლობაში შეინარჩუნებს ლიკვიდურ სახსრებს ანდა ეკონომიურ საქმიანობაში ჩართავს და გამოიყენებს მომავალში პარტნიორისათვის გადასაცემ ქონებას.

ზემოთ ასევე აღვნიშნეთ, რომ გამსვლელი პარტნიორისათვის გადასახდელი **კომპენსაციის ოდენობა**, ზოგადად, მისი წილის ღირებულებას უნდა შეესაბამებოდეს. თუმცა, ასეთ დროს პარტნიორთა სხვაგვარი შეთანხმებაც არის დასაშვები.

კომპენსაციის ღირებულების გამოსათვლელად შეიძლება შეფასების სხვადასხვა მეთოდი იქნას გამოყენებული. უფრო გავრცელებული ფორმაა წილის საბაზრო ღირებულებით შეფასება. ამისათვის დამოუკიდებელ ექსპერტსაც (მაგალითად, აუდიტორს) მიმართავენ. წილის შეფასება შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულებითაც. ამ შემთხვევაში, ამოსავალია გასვლის წინა წილის ბალანსის მაჩვენებლები. ამასთან, წილის საბალანსო ღირებულებით შეფასებისას გასათვალისწინებელია საზოგადოების არსებული ვალდებულებები, საზოგადოების ქონების მდგომარეობა, აგრეთვე გადახდილი ან ჯერ კიდევ, გადასახდელი დივიდენდები და ა.შ.

## 5. საზოგადოებიდან გასვლის პროცედურის შესახებ

აგრეთვე, ცალკე აღვნიშვნის ღირსია **საზოგადოებიდან გასვლის პროცედურა**. კერძოდ, რა ქმედებები უნდა განხორციელდეს, რომ პარტნიორმა შეძლოს შპს-დან საბოლოოდ გასვლა. ასეთი ქმედებები კანონით არ არის განერილი, თუმცა, პარტნიორებმა ცალკე დოკუმენტით შეიძლება

შეათანხმონ გასვლის წესები. ეს დოკუმენტი ძირითადად, შეიძლება საზოგადოების წესდება იყოს.

პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლასთან დაკავშირებით, უპირველესად, გასარკვევია, საკმარისია თუ არა გასვლისათვის, მაგალითად, პარტნიორის მიერ საზოგადოების წინაშე ნების გამოხატვა, თუ მან განცხადებით პირდაპირ მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა მიმართოს. გარდა ამისა, პროცედურულად საინტერესოა, რა დოკუმენტები უნდა იქნას სამენარმეო რეესტრის მწარმოებელ ორგანოში წარდგენილი, რომ ამ უკანასკნელმა რეესტრიდან ამოშალოს გასული პარტნიორი.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ გასვლა საზოგადოების წინაშე ნების გამოხატვით უნდა განხორციელდეს და მას გასვლის შესახებ განცხადების შეტანას უკავშირებს.<sup>11</sup> საკამათოა შემთხვევა, როდესაც გამსვლელი პარტნიორი გასვლის შესახებ განცხადებით უშუალოდ მარეგისტრირებელ უწყებას მიმართავს. ქართული სასამართლო პრაქტიკა ასეთ ქმედებასაც პარტნიორის ნამდვილ ქმედებად მიიჩნევს, ხოლო მარეგისტრირებელ ორგანოს (სასამართლოს) – უფლებამოსილ პირად.<sup>12</sup> იმ პერიოდში, როდესაც სასამართლო წარმოადგენდა სამენარმეო რეესტრის მწარმოებელ ორგანოს, შეიძლება საკამათოც არ გამხდარიყო სასამართლოსთვის მიმართვა და გამსვლელი პარტნიორის ასეთი ქმედებაც ნამდვილ ქმედებად მიჩნეულიყო. მით უმეტეს, რომ სასამართლოს შეეძლო გამოეყენებინა თავისი უფლებამოსილება (ანუ სასამართლო ხელისუფლებიდან გამომდინარე უფლებამოსილება) და ფაქტობრივი გარემოებების დეტალურად გამოკვლევის მიზნით, მოეწვია სხვა პარტნიორები, საზოგადოების დირექტორი, განხორციელებინა საქმისათვის საჭირო სხვა ქმედებები და ისე მიეღო გადაწყვეტილება გამსვლელი პარტნიორის რეესტრიდან ამოშლის შესახებ. დღეს, როდესაც სამენარმეო რეესტრს ადმინისტრაციული ორგანო (საჯარო რეესტრის სააგენტო) აწარმოებს, ბუნებრივია, იგი მოკლებულია შესაძლებლობას, თავისი ინიციატივით დაიწყოს სადავო ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა. ამდენად, დღეს გამსვლელი პარტნიორის უშუალო მიმართვა საჯარო რეესტრის სააგენტოსადმი გამოიწვევს მისი განცხადების დახარვეზებას და ბოლოს განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. მაშასადამე, გამართლებულია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ გასვლის ნება საზოგადოების მიმართ უნდა გამოიხატოს. თავისთავად, საზოგადოება არის ის ერთადერთი სუბიექტი, ვინც გამსვლელი პარტნიორის გასვლის ეს ნება უნდა მიიღოს. ამ ურთიერთობაში მესამე პირები გამოირიცხებიან, ვინაიდან გამსვლელ პარტნიორს არ შეუთავაზებია მათთვის თავისი წილის შექცენა.

საზოგადოებისათვის გასვლის განცხადებით მიმართვა გამსვლელი პარტნიორის მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ეს არის მისი ნების ცალმხრივად გამოხატვა. წესდებით შეიძლება დეტალურად იქნას მონესრიგებული, კონკრეტულად, საზოგადოების რომელი ორგანო იქნება ამ ნების მიმღები. ეს შეიძლება იყოს როგორც საზოგადოების დირექტორი, ისე დირექტორთა საბჭო ან სამეთვალყურეო საბჭო, თუ ასეთი ორგანოები შექმნილია.

პარტნიორის გასვლის შემდგომი პროცედურა საზოგადოებაში მისი განცხადების განხილვა. აღნიშნული განცხადება აუცილებლად პარტნიორთა კრებაზე უნდა იქნას განხილული, ვინაიდან პარტნიორის გასვლის დროს გადასაწყვეტია არა მხოლოდ მისი კომპენსაციის, არამედ მისი



ნილის დარჩენილ პარტნიორებზე გადანაწილების საკითხი. ამიტომაც, არ გამოვრიცხავთ, რომ გამსვლელმა პარტნიორმა თავისი ნება ასევე, პარტნიორთა კრებაზეც განაცხადოს და მოითხოვოს ამ საკითხის დღის წესრიგში შეტანა.

კრების მოწვევა შეიძლება არც გახდეს საჭირო, თუ საზოგადოების წესდებით ზუსტად არის განერილი გამსვლელი პარტნიორის კომპენსირების დეტალები (კომპენსაციის ფორმები, საკომპენსაციო თანხის ოდენობა, გადახდის ვადები და ა.შ.) და გასული პარტნიორის წილის დარჩენილ პარტნიორებზე გადანაწილების საკითხები. ასეთ შემთხვევაში, დეტალების მოგვარება უკვე საზოგადოების ხელმძღვანელობის კომპეტენციაა.

პარტნიორის გასვლის პროცედურას ასრულებს სამენარმეო რეესტრის მწარმოებელი ორგანოს გადაწყვეტილება მისი სამენარმეო რეესტრიდან ამოშლის შესახებ. რეესტრის მწარმოებელ ორგანოს განცხადებით შეიძლება მიმართოს როგორც გამსვლელმა პარტნიორმა, ასევე, საზოგადოების დირექტორმა ან სხვა პარტნიორმა. განცხადება უნდა შეიცავდეს მოთხოვნას საზოგადოებიდან გასული პარტნიორის რეესტრიდან ამოშლისა და მისი წილის დარჩენილ პარტნიორებზე გადანაწილების შესახებ. თუ წესდებით გარკვეულია წილის გადანაწილების პროპორცია, მაშინ განცხადებაში უნდა მიეთითოს წესდების შესაბამის მუხლზე. ასევე, თუ წესდება ითვალისწინებს წილის პროპორციულად გადანაწილებისაგან განსხვავებულ წესს, მაშინ მარეგისტრირებელ უწყებას უნდა წარედგინოს პარტნიორთა კრების ოქმი. აგრეთვე, მარეგისტრირებელ უწყებას უნდა წარედგინოს გამსვლელი პარტნიორის ნოტარიულად დამოწმებული განცხადება. წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, მარეგისტრირებელ უწყებას, ერთი მხრივ, ცვლილება შეაქვს პარტნიორთა შემადგენლობაში, როდესაც ამოშლის გასულ პარტნიორს რეესტრიდან და მეორე მხრივ, ცვლის დარჩენილ პარტნიორთა წილობრივ მონაცემებს, როდესაც გასული პარტნიორის წილს გადანაწილებს მათზე წესდების ან წარმოდგენილი კრების ოქმის მიხედვით.

## 6. დასკვნის მაგიერ

კაპიტალური საზოგადოებიდან, მათ შორის, შპს-დან პარტნიორის გასვლა სამართლის ცალკე ინსტიტუტის რანგში უნდა იქნას განხილული, ვინაიდან იგი მოწესრიგების მრავალ ნიუანსს მოიცავს. ამიტომაც, აღნიშნული სამართლის ინსტიტუტმა კანონმდებლობაშიც უნდა ჰპოვოს ლეგალურად ასახვა. კანონმდებელიც ხომ სწორედ იმისკენაა მოწოდებული, რომ პრაქტიკაში მომნიშვნელოვან სამართლებრივ ურთიერთობებს გარკვეული მიმართულებები მისცეს.



**შენიშვნები:**

- <sup>1</sup> შდრ. ლალი ლაზარაშვილი, „სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება“, თბილისი, 2003, გვ. 149, აგრეთვე, ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, „მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი“, მე-3 გადამუშავებული გამოც., მუხლი 46, გვ. 280.
- <sup>2</sup> შდრ. ქ. ქოქრაშვილი, „სამენარმეო სამართალი“, თბილისი, 2010, გვ. 237.
- <sup>3</sup> იგივე, იქვე.
- <sup>4</sup> როინ მიგრიაული, „შპს-ს გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები, შედარებითი ანალიზი ინზოლვენციის გერმანულ სამართალთან“, პირველი გამოცემა, თბილისი, 2004, გვ. 38.
- <sup>5</sup> შდრ. ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, „მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი“, მე-3 გადამუშავებული გამოც., მუხლი 46, გვ. 280.
- <sup>6</sup> შდრ. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 46.4.
- <sup>7</sup> ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, „მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი“, მე-3 გადამუშავებული გამოც., მუხლი 46, გვ. 280.
- <sup>8</sup> იგივე, გვ. 281.
- <sup>9</sup> „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, მუხლები 352.1 და 352.2.
- <sup>10</sup> შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001, 6 მარტის განჩინება, საქმეზე №3კ/336-02, „სუსგ სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეებზე“, 2002, №5, გვ. 821-824.
- <sup>11</sup> ამასთან დაკავშირებით იხ.: ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, „მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი“, მე-3 გადამუშავებული გამოც., მუხლი 46, გვ. 281.
- <sup>12</sup> იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 09 ივნისის განჩინება, საქმეზე №ას 565 533 2011.

# LEAVING THE LIMITED LIABILITY COMPANY BY A PARTNER

ROIN MIGRIAULI

*Doctor of Law, Associated profess of the Law School of the Caucasus University and the University of Georgia, Lawyer, leading partner of the law firm Migriauli and Partners*

Leaving a business entity by a partner is a separate institute of law, which is characterized with a big number of legal relationships. This institute is not regulated on the legislative level and it is mostly applied in the entrepreneurial setting. A person continues its relationships with a company until he decides to finish these relationships himself. If the person does not want to be in the company any longer, he can leave it. Leaving the company, i.e. the right to leave the company is one of the most important rights of the partner together with numerous rights that he is equipped with after becoming a partner of the company. On leaving the company the partner finally ends his partner relationships to it. Giving up his share or the death represent other forms of ending the partner relationship with a business entity. There are different rules of leaving the company by a partner in case of personal companies and separately in case of capital companies.

In case of personal companies (joint liability company (JLC), limited partnership (LP)), the issue of leaving the company by a partner is regulated directly by the law. Unlike the personal companies, the law does not provide separate regulations for the issue of leaving the LLC by a partner. On selling the total shares, the partner of the LLC finally ends legal relationships with the company. However, while selling his share, there can be a certain limitation such as the permission of the company. However, in case of leaving by a partner, such limitation is not emerged, and some preconditions can be established by the charter.

There can be various causes for leaving the LLC by a partner: personal disagreement of a leaving partner with existing partners, inability of a partner to make additional contribution in the increased registered capital, etc. Leaving the LLC by a partner is basically related to the payment of respective **compensation** to the leaving partner. The compensation can be paid in cash or in kind. It is more problematic for the company when the leaving partner requires an in-kind compensation, because this may pose threat to the existence of the company. The judicial practice also speaks about the company's threats as well.

In order not to jeopardize the existence of the company, the partners often establish some rules in the charter, and this way they minimize this threat. The charter may stipulate, for example, that the partners decision is necessary for compensating the leaving partner, or the charter may also envisage making request for reducing the registered capital of the company for returning the contribution, setting the deadline for the partner to leave, paying the compensation after a certain deadline, etc.

# მონაწიება, როგორც დამნაშავეს რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის უმთავრესი ფაქტორი

## მართლმადიდებლური მოქალაქის მიხედვით

დავით წულაია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

მეცნიერთა საკმაოდ დიდი ნაწილი დანაშაულს დღესაც განიხილავს, როგორც ავადმყოფობას – ადამიანის სულიერ (ფსიქიკურ) მოშლას, რომელსაც ესაჭიროება შესაბამისი მკურნალობა. ადამიანის სულიერი მდგომარეობის საკითხის შესწავლამ ეჭვქვეშ დააყენა, ზოგადად, მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულება, რომ თითქოს დამნაშავეს გამოსწორების ყველაზე ეფექტიანი გზა არის ისეთი სოციალური, ეკონომიკური და სხვა პირობების შექმნა, რომლის არქონამაც ადამიანს დანაშაულის ჩადენა უბიძგა. სხვა სიტყვებით, გაბატონებული შეხედულება, რომ დანაშაული არის მხოლოდ პიროვნებისა და გარე სამყაროს ურთიერთზემოქმედების შედეგი, არ გამართლდა. ამას ადასტურებს მაკრო დონეზე განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო მიკრო დონეზე მდიდარ ოჯახებში, – იქ სადაც დაცულია მეცნიერულად დასაბუთებული პიროვნებისა და გარე სამყაროს ურთიერთზემოქმედების ოქროს ბალანსი, – დეპრესიულობის, თვითმკვლელობის, ადამიანების კრიმინალებად ჩამოყალიბებისა, დანაშაულის რეციდივის ფაქტები.

რეალობასა და საკითხის სიღრმისეულ შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ კრიმინოლოგიამ უნდა გაითვალისწინოს ყველაზე მთავარი, რაც უკავშირდება ინდივიდუალობის სულიერ პირველწყაროს და მამოძრავებელ ძალას, რომელშიც არის ადამიანის ხსნა, რომელსაც შეუძლია ადამიანის გადარჩენა. ქრისტიანული მართლმადიდებლური სწავლებების თანახმად, ასეთი გზა არის მონანიებით, სულიწმინდის მადლის ძალით – დანაშაულით, ანუ ცოდვით დაავადებული სულის განკურნება, რასაც მეცნიერულ ენაზე ეწოდება დამნაშავის რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია. დიდმა წინასწარმეტყველმა და უფლის წინამორბედმა იოანე ნათლისმცემელმა თავისი მოღვაწეობა სინანულისკენ მოწოდებით დაიწყო. იგი ხალხს სინანულისკენ მოუწოდებდა, რადგან სადაც სინანულია, იქ ღვთისგან შენდობა, მისი წყალობა და მადლია. სინანულის ჟამს რალაც მისტიკური პროცესი ხდება, რომელიც სულიერად გვწმენდს და გვკურნავს. ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ მხოლოდ საკუთარი ძალით ვერ განვიწმინდებით, ესეც უფლის მადლითა და შემწეობით ხდება, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ვგრძნობთ, რომ ცოდვილნი ვართ და საკუთარ ცოდვებს განვიცდით. ამიტომაც ვევედრებით სულიწმინდას: მოვედ და დაემკვიდრე ჩვენ შორის და წმინდა მყვენ ყოვლისაგან ბინისა.<sup>1</sup> სახელმწიფოსათვის კი, უმთავრეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს დამნაშავის გამოსწორება და არა დასჯა. ეკლესიის როლი კი, ამ საკითხთან მიმართებაში უმნიშვნელოვანესია. უფალი იესო ქრისტე პატიმართა მიმართ ქველმოქმედებას აღიარებს თავისადმი მსახურებას: „საპყრობილეს ვიყავ, და მოხუდით ჩემდა“ (მათე, 25, 36).<sup>2</sup>

მიგვაჩნია, რომ ქრისტიანულ მართლმადიდებლური სწავლებების არცოდნა დაკავშირებულია ყველა ცხოვრებისეულ და მათ შორის, დამნაშავის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის, და ზოგადად, დანაშაულობის პრობლემასთან. სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა კვლევა გვეწარმოებინა ისეთ საკითხებზე, როგორც არის ტერმინის – „მონანიების“ ეტიმოლოგია, პენიტენციის სისტემაში მონანიების პრაქტიკა, მონანიების ცნება და მონანიების რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ასპექტები. კვლევის დასკვნით ნაწილში კი, გაკეთებულია დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც შეეხება პენიტენციის პოლიტიკის საკითხებს.

## 1. „მონანიების“ ეტიმოლოგია

ცნების მეცნიერული კვლევა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ტერმინის ეტიმოლოგიურ ანალიზს, მისი მნიშვნელობის დადგენას ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, რაც ცნების ეფექტიანი ოპერაციონალიზაციისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

ახალი აღთქმის ინგლისურ ტექსტში ტერმინი „მონანიება“ ორი ბერძნული სიტყვით არის წარმოდგენილი, – „metanoia“ – „მეტანოია“ (რომელიც ნაწარმოებია ზმნიდან metanoeo – „მეტანოეო“) და „metamelomai“<sup>3</sup> – „მეტამელომაი“. სიტყვა „მეტანოია“, ინგლისურად გვხვდება 58-ჯერ, ხოლო „metamelomai“ მხოლოდ ექვსჯერ, რაც იმას მოწმობს, რომ მონანიების უფრო შესატყვის ტერმინად ჩავთვალოთ „metanoia“.<sup>4</sup>

### 1.1. მონანიება „მეტანოია“ ქრისტიანობამდე

ქრისტიანობამდე, ბერძნულ სიტყვას „metanoia“-ს სხვა მნიშვნელობა ჰქონდა და გულისხმობდა „ვინმეზე ან რამეზე აზრის, ან გულის შეცვლას“.<sup>5</sup> მაგალითად, სიტყვა „metanoia“-ს

ფიკუდიდი იყენებდა აჯანყებასთან დაკავშირებულ ათენის საქალაქო საბჭოს რეაქციის აღსა-  
წერად. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ქალაქ მიტილენის ყველა მცხოვ-  
რები მოეკლათ, მიუხედავად იმისა, ლებულობდნენ თუ არა მონანილეობას აჯანყებაში. თუმცა,  
მეორე დღეს „მათი გულები შეიცვალა“. ათენის საბჭოს წევრებმა გადაიფიქრეს, მათ გადაწყვი-  
ტეს სიკვდილით დაესაჯათ მხოლოდ ისინი, ვინც უშუალოდ მონანილეობდნენ აჯანყებაში.<sup>6</sup>

ქრისტიანობის წინა და შემდგომ პერიოდში (300 წელი ქრისტიანობამდე და 100 ქრისტიანობის  
შემდეგ) სიტყვა „metanoia“ განაგრძობდა იგივე მნიშვნელობით არსებობას.<sup>7</sup> პოლიბიუსა და  
პლუტარხის ფაქტების ანალიზით, რობერტ უილკინსი ასკვნის, რომ საუბარი ეხება ისეთ  
შემთხვევებს, როცა თავდაპირველად მიღებულ გადაწყვეტილებაზე, გარემოებების შეცვლით  
ან საქმეში მომხდარი ჩარევებით, ადამიანები უბრალოდ იცვლიდნენ აზრს ან გადაწყვეტილებას.<sup>8</sup>

ბერძნულ ძველ ალთქმაში (Septuagint) „metanoia“ და „metanoeo“ ერთი და იგივე მნიშვნელობით  
ოცჯერ არის ნახსენები კანონიკურ წიგნებსა და შვიდჯერ აპოკრიფულ წიგნებში. უმეტეს  
შემთხვევაში, „metanoia“ თარგმანებში ინარჩუნებს ქრისტიანობისწინა მნიშვნელობას, – „ვინმეზე  
ან რამეზე აზრის შეცვლას, ან გულის აცრუებას“. თუმცა, როდესაც კონტექსტი სპეციალურად  
მოიხსენიებს ცოდვის ჩადენით პირის მიერ აზრის შეცვლას, ასევე შესაძლებელია, რომ  
„მეტანოია“ ითარგმნოს, როგორც „მონანიება“.<sup>9</sup>

ბეიმი აცხადებს, რომ სიტყვას „metanoia“-ს ბერძნული თარგმანიდან ძველ ალთქმაში „თითქმის  
შეესაბამება“ ებრაულ ძველ ალთქმაში ებრაულ სიტყვას shubh-ს. ბეიმის მოსაზრებას რობერტ  
უილკინსი არ ეთანხმება, თითქოს ბეიმი ვერ ამტკიცებს თავის მოსაზრებას. სიტყვა shubh,<sup>10</sup>  
რომელიც 1056-ჯერ გამოიყენება ებრაულ ტექსტში, არც ერთ შემთხვევაში არ ითარგმნება,  
როგორც „metanoia“. დასძენს, რომ ეს მოვლენა არ ექვემდებარება ახსნას თუ არ ჩავთვლით,  
რომ ბერძნული ალთქმის მთარგმნელები metanoeo-ს თვლიდნენ სიტყვა shubh-ის საკმაოდ კარგ  
ეკვივალენტად. სინამდვილეში კი, სიტყვა shubh-ის მთარგმნელები პრაქტიკულად ყოველთვის  
იყენებდნენ სიტყვა strepho-ს და მისგან ნანარმოებ სიტყვებს.<sup>11</sup>

ძველი ალთქმის ფსევდოეპიგრაფულ წიგნებში სიტყვები „metanoia“ და „metanoeo“ თითქმის  
ყოველთვის იმ კონტექსტში იხმარება, როცა მსჯელობა ეხება ცოდვის მიტევების აუცილებლობას,  
რადგან თავიდან იქნას აცილებული ღმერთის სამსჯავრო. მოცემულ შემთხვევაში ბეიმი ასკვნის,  
რომ სიტყვა „metanoia“-მ შეიძინა „ცოდვებისაგან განშორების“ მნიშვნელობა. რობერტ უილკინსი  
აღნიშნავს, რომ „თავისთავად სიტყვამ „metanoia“-მ არ შეიძინა ცოდვისაგან განშორების  
მნიშვნელობა, რომ კონტექსტში სიტყვა „metanoia“ მკითხველს მიანიშნებდა, რომ აზრის შეცვლა  
მოცემულ ტექსტში მდგომარეობს, რაიმე ცოდვის ჩადენის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების  
მიღებას“.<sup>12</sup>

გასაზიარებელია, რობერტ უილკინსის დასკვნა, რომ ქრისტიანობამდე „metanoia“ გულისხ-  
მობდა რაიმეზე ან ვინმეზე გადაწყვეტილების ან აზრის შეცვლას, ხოლო ისეთ შემთხვევებში,  
როდესაც კონტექსტი კონკრეტულად მიუთითებს ცოდვითი ხასიათის ქმედებებს, რომელთა შე-  
საბამისად ხდება აზრის შეცვლა, მისაღებია ტერმინის „metanoia“ გამოიყენება.<sup>13</sup> გარდა ამისა,  
მიგვაჩნია, რომ ამ ტერმინის კვლევისათვის მნიშვნელოვანია „გულის აცრუებისა და შეცვლის“  
საკითხის გათვალისწინებაც, რაც რობერტ უილკინის მსჯელობაშიც არის დაფიქსირებული. ეს



ასპექტი საყურადღებოა დამნაშავის, როგორც ცოდვილისა და დანაშაულის ჩადენის დროს, მისი სულიერი მდგომარეობის დახასიათებისას, რაზედაც სტატიის სხვა თავებშიც გვექნება საუბარი.

## 1.2. მონანიება „მეტანოია“ ქრისტიანობის შემდეგ

კვლევით ირკვევა, რომ თარგმანებში „metanoia“-ს პირველადმა მნიშვნელობამ, კლასიკურ ბერძნულში დაინყო შეცვლა. ტერმინი „metanoia“ ძველ ლათინურში და ლათინურ „ვეულგატში“ (Vulgate)<sup>14</sup> გადაითარგმნა, როგორც „paenitentia“, რომელმაც შეიძინა „penance“-ის მნიშვნელობა და გულისხმობდა „penance“-ს ან „penance“-ის ქმედებებს. „penance“-ს ან „penance“-ის ქმედებებს იმ შემთხვევაში აქვს ადგილი თუ ადამიანი იმედოვნებდა მაღლის მიღებას.<sup>15</sup> „penance“-ის ეს იდეა, შეიძლება მოძიებულ იქნას ავგუსტინის სწავლებებიდან მოციქულების შემდგომი მამების – ჰერმანისა და მარტირის სწავლებებში. ჰერმანისა და მარტირისაგან განსხვავებით, ავგუსტინს სჯეროდა, რომ „მონანიება“ ადამიანის საქმე არ იყო, არამედ საჩუქარი, როგორც არის მაღლი. მოციქულების შემდგომი მამები ამ საკითხს უყურებდნენ „ცოდვების გამო ერთგვარ მონანიებას და წყლით ნათლობას“. ავგუსტინის დროისთვის, ჩვილთა ნათლობა ნორმად იქცა, ხოლო ნათლობის შემდგომი მონანიება ყურადღების ცენტრში მოექცა და ისეთი თემები, როგორც არის გამართლება (რეაბილიტაცია), რეგენერაცია (აღდგენა) და სანქციფიკაცია (კანონით მოწესრიგება) პოპულარული გახდა. მონანიება თითქმის გადაიქცა რეაბილიტაციის, აღიარებისა და ეპიტიმის სინონიმად.<sup>16</sup>

რობერტ უილკინსი ხას უსვამს იმ გარემოებას, რომ „metanoia“ ლათინურად ითარგმნა, როგორც „paenitentia“ (პენიტენცია), რაც გულისხმობს „ეპიტიმის“ ან ისეთ ქცევას, რომელიც ექვემდებარება „ეპიტიმის“. ჯერომმა დაადასტურა ძველლათინური თარგმანი, როგორც ოფიციალური ვერსია, რომ „paenitentia“ (პენიტენცია) არის „metanoia“-ს სწორი თარგმანი.

წყაროების<sup>17</sup> ანალიზით ვრწმუნდებით, რომ, ტერმინი მონანიება (μετάνοια) არის ბერძნული წარმოშობის სიტყვა, რომელიც ლათინურად გადაითარგმნა, როგორც (paenitentia) (პენიტენცია). მიუხედავად ამისა, ტერმინი მონანიება ბერძნულ და ლათინურ ვერსიაში ქართულად გამოითქმის, როგორც „პენიტენცია“.<sup>18</sup>

## შეჯამება

კვლევის მიხედვით, „მონანიებას“ კონტექსტიდან გამომდინარე, სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითად, ფიკუდიდის შემთხვევა, რომელიც უბრალოდ აზრის შეცვლაზე, ხოლო ტერმინი „metamelomai“ (მეტამელომაი) კი, „წუხილის განცდაზე“ ამახვილებს ყურადღებას. ასევე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ მონანიება „რაიმეზე ან ვინმეზე აზრის ან გადანწყვტილების შეცვლას, ან გულის შეცვლას“<sup>19</sup> გულისხმობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მონანიება პასიური და აქტიური ქმედებების ერთობლიობაა, არ არის ერთგვარადი აქტი, არამედ აერთიანებს მრავალ ასპექტს. ტერმინის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით გასაზიარებელია ტრედველ ვალდენის პოზიცია, რომელიც მოცემულია მისივე ნაშრომში „ტერმინ metanoia“-ს დიდებული

მნიშვნელობა“, სადაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, „რომ მეტანოია უპირველეს ყოვლისა, აზრის შეცვლას ნიშნავს. მისივე თქმით, „Naus-ის ყველაზე ზუსტი ეკვივალენტი არის „აზრი“, ხოლო „მეტა“ არის წინდებული და ნიშნავს „შემდეგ“, შესაბამისად, მეტანოია ნიშნავს „აზრის შემდეგ: აღქმა, ცოდნა, აზრი, გრძნობა, განწყობილება, ნება, შემდგომი“.20 უნდა დავეთანხმოთ, ასევე რობერტ უილკინს, რომ „ერთადერთი შემთხვევა, როდესაც სიტყვა მეტანოია, სადაც შეიძლება ითარგმნოს მონანიებად არის, როდესაც აზრის შეცვლა გამოწვეულია ცოდვების ჩადენით“.21

მონანიების ტერმინის კვლევაში, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპად უნდა მივიჩნიოთ ქრისტიანობის შემდგომ პერიოდში, მონანიებასთან ერთად გამართლების, რეგენერაციისა და სანქციონების თემების წინა პლანზე წამოწევა, რამაც განაპირობა ტერმინ „მონანიების“ რეაბილიტაციის, აღიარებისა და ეპიტიმის სინონიმებად გადაქცევა.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, მონანიების არსის ძიებაში კიდევ უფრო აქტუალურია გავანალიზოთ მონანიების პრაქტიკული გამოყენება პენიტენციურ სისტემაში. მონანიების პენიტენციურ სისტემაში რეცეფციასთან დაკავშირებული დადებითი და უარყოფითი მხარეების იდენტიფიცირება დაგვეხმარება შემდგომი კვლევა წარვმართოთ ყველაზე აქტუალურ საკითხებზე, რომელიც შეეხება როგორც მონანიების არსს, ასევე, მონანიების როლს დამნაშავეის რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციაში.

## 2. მონანიება და პენიტენციური სისტემა

მონანიების საკითხი სასჯელალსრულების სისტემაში, ანუ „პენიტენციარში“,22 აქტუალური გახდა დამნაშავეთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის იდეების23 გაჩენასთან ერთად, რომელიც წინა პლანზე აყენებს პიროვნებას და არა ქმედებას. რეაბილიტაციის თეორია სასჯელს გამართლებულად მხოლოდ მაშინ მიიჩნევს, თუ მას შეუძლია დამნაშავეზე დადებითი ეფექტის მოხდენა, მისი აზროვნების, ღირებულებების შეცვლა, რათა მან მომავალში არ ჩაიდინოს დანაშაული.24 1779 წელს, ინგლისში, „პენიტენციარის“ შესახებ კანონის მიღებით, განისაზღვრა, რომ ციხეები ერთკაციანი საკნებით უნდა აშენებულიყო და ციხის მუშაობის სისტემას უნდა უზრუნველყო წყნარი გარემო შრომით საქმიანობასთან ერთად. გარდა ამისა, ისეთი რელიგიური ჯგუფები, როგორებიც არიან კუაკერები (Quakers) და ევანგელისტები (Evangelicals) ძალიან დიდ გავლენას ახდენდნენ პიროვნების გამოსყიდვითი რეფორმების იდეის განვითარებაში.25

ჯონ ჰოვარდი, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული „პენიტენციარის“ სისტემის შექმნა, მხარს უჭერდა ციხეში პატიმრის განმარტობას, შრომას და პატიმრების რელიგიურ საკითხებში ინსტრუქტირებას. მას სჯეროდა, რომ პატიმრობის მიზანი იყო რეფორმირება და რეაბილიტაცია და არა დასჯა. თუმცა, 1779 წლის „პენიტენციარის“ შესახებ კანონით, გათვალისწინებული გეგმები არ განხორციელდა. ჰოვარდის იდეებისა და წინადადებების რეალიზება წილად ხვდათ სხვებს. 1785 წელს, ჯორჯ პოლმა უზრუნველყო ახალი საპატიმროს აშენება, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად,26 ასევე, გათვალისწინებული იყო ინდივიდუალური საკნებისა და რელიგიური ინსტრუქტირების საკითხიც. 40 წელზე მეტ ხანს მიმდინარეობდა მსგავსი ინიციატივების მხარდაჭერა. პარლამენტის მიერ მიღებული კანონები მაგისტრებს ნებას რთავდა აეშენებინათ ახალი საპატიმროები შესაბამის საგრაფოებში.27

პირველი ნაციონალური „პენიტენციარი“ ლონდონში, 1816 წელს გაიხსნა, რომელიც ითვალისწინებდა იზოლირებულ საკნებში 860 პატიმარის განთავსებას, თუმცა, ნებადართული იყო დღის განმავლობაში პატიმრებს შორის ურთიერთობაც. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმის იდეები ინგლისში, 1842 წლამდე მაინც ვერ განხორციელდა, „პენიტენციარის“ იდეებს, – „განმარტოებისა“ და „შეკავშირების“ სისტემების შესახებ, საფუძველი ამერიკაში ჩაეყარა.<sup>28</sup>

## 2.1. პენიტენციარის „განმარტოების სისტემა“

განმარტოების სისტემა წარმოიშვა ფილადელფიაში, უოლნათ სთრითის ციხეში, რომელსაც ზოგჯერ ფილადელფიის ან პენსილვანიის სისტემას უწოდებენ. ციხის წესი ერთ იზოლირებულ საკანში ერთი პატიმრის მოთავსებას, ფიზიკურ შრომას და მარტივ სამონასტრო ყოფას გულისხმობდა. პატიმრები ერთმანეთისაგან იზოლირებული იყვნენ, როგორც ციხის შიგნით, ასევე, გარე სამყაროსაგან. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, „საკვების მიღების დროსაც კი, პატიმარი საპატიმრო საკანში იმყოფებოდა მთელი დღის განმავლობაში“. პატიმრებს კონტაქტი შეეძლოთ დაემყარებინათ მხოლოდ საპატიმროს თანამშრომლებთან, ფილადელფიის ციხის საზოგადოების წარმომადგენლებთან და მღვდელთან (chaplains). ძალიან იშვიათ შემთხვევებში, პატიმრებს შეეძლოთ საკნიდან გამოსვლა – „მათ მოეთხოვებოდათ თავსაბურავის ან ნიღბის ტარება“.<sup>29</sup>

ასეთი მიდგომის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ხანგრძლივი მარტოობა პატიმრებს დააფიქრებდა ჩადენილ დანაშაულებზე, უზრუნველყოფდა ბიბლიის შესწავლას და ამზადებდა გათავისუფლების შემდეგ კანონმორჩილი ცხოვრებისათვის.<sup>30</sup>

## 2.2. პენიტენციარის „შეკავშირების სისტემა“

პენიტენციარის შეკავშირების სისტემა გულისხმობდა პატიმრისათვის ინდივიდუალურ საკანს, ისეთი სიჩუმის უზრუნველყოფას, სადაც მხოლოდ ფეხის ხმის გაგონების შესაძლებლობა უნდა ყოფილიყო, რუტინულ შრომას და პატიმართა მონანიებას. შეკავშირების სისტემა, რომელიც ინარჩუნებდა სამონასტრო ხასიათს პირველად, შემოღებულ იქნა აუბურნის ციხეში.<sup>31</sup> ციხის შეკავშირების სისტემის რეჟიმი დღისით წააგავდა სამხედრო საქმიანობას (ყველაფერი განრიგით), სიარული (ერთ ხმაში და მწყობრში), ჭამა (ზურგით გამართულ პოზაში, ყურადღებით ჯდომაში) და მუშაობა (ხანგრძლივი დროით, როგორც წესი, ქარხნის ხმაურიანი სამუშაოს პირობებში).<sup>32</sup>

პენიტენციარის შეკავშირების სისტემა მიზნად ისახავდა სასჯელის შიშითა და ჩუმ პირობებში პატიმრის საკანში მოთავსებით, დანაშაულის პრევენციას<sup>33</sup> და მორჩილი პატიმრის ჩამოყალიბებას.<sup>34</sup> შეკავშირების სისტემის საპატიმრო ცხოვრების არსი იყო სიმკაცრე და რეჟიმი. აუბურნის ციხის დღის რუტინა ლაუმანტისა და დე თოკუვილეს (1833/1964, 65-66) აღწერით: „ერთი დღის წესრიგი ნიშნავს მთელი წლისას. ამგვარად, მსჯავრდებულის ერთ საათს მოსდევს წესრიგის ერთიანობა, დაწყებული საპატიმროში შემოსვლის მომენტიდან დამთავრებული სასჯელის ვადის ამოწურვით“.<sup>35</sup> მიუხედავად იმისა, რომ მძიმე დამნაშავეებს ადეკვატურად ეპყრობოდნენ

და კვებადნენ, მათ არ ჰქონდათ შენყალბის იმედი, რათა შემსუბუქებოდათ განმარტოება და იზოლაცია. გარკვეული დროით, ზოგიერთ, ყველაზე მძიმე დამნაშავეს აიძულებდნენ სრულიად მარტო და მთელი დღის განმავლობაში ხმაამოუღებლად ყოფნას. აღნიშნულმა პრაქტიკამ კი, პატიმრებში გამოიწვია ფსიქიკური დარღვევები, თვითმკვლევლობები და სხეულის თვითდაზიანებები. ეს პრაქტიკა 1823 წელს გაუქმდა.<sup>36</sup>

პენიტენციარის ასეთი სისტემები ცხარე განხილვის თემა იყო ხანგრძლივი დროის განმავლობაში. საბოლოოდ, პენიტენციარის რეჟიმის დეტალები და რეფორმის პრაქტიკული დანიშნულება განისაზღვრა უფრო ფინანსური საკითხებით, ვიდრე სხვა პენოლოგიის პერსპექტივების დამსახურებით. ამდენად, შეკავშირების სისტემა სულ მცირე, ნაწილობრივ ამერიკული პენიტენციარის ნიმუშად იქცა, რადგან ევროპისაგან განსხვავებით, ამერიკაში, მე-19 საუკუნეში არსებობდა მუშების დეფიციტი და შესაბამისად, პატიმრების ქარხნებში დასაქმება, მთელი ქვეყნის საფრთხეებისა და კორუფციის წინააღმდეგ იზოლაციის მიზანშეწონილობას მხარს უჭერდა.<sup>37</sup> სიმყუდროვისა და განმარტოების კომბინაცია, როგორც დასჯის მეთოდი ადვილად ვერ იქნა უგულვებლყოფილი. ციხის თანამშრომლები ცდილობდნენ აღმოეფხვრათ უარყოფითი შედეგები და იმავდროულად, შეენარჩუნებინათ პენიტენციარის სისტემა. გადანყვეტილება, რომელიც ამ პრობლემის მოსაგვარებლად იქნა მიღებული მდგომარეობა მსჯავრდებულების ღამით ცალკე საკნებში მოთავსებაში, ხოლო დღის განმავლობაში მსჯავრდებულების სამუშაო საათებში ერთად ყოფნასა და ჩუმი გარემოს პირობების შექმნაში. მძიმე შრომა და სიჩუმე გახდა აუბუნის ციხის სისტემის ცხოვრების წესი, ხოლო სიჩუმე ითვლებოდა ციხის დისციპლინის უმთავრეს მოთხოვნად. ეს უკანასკნელი გამონკვეული იყო იმით, რომ პატიმრებში უზრუნველყოფდა ციხეში ამბოხების მოწყობისა და ციხიდან გაქცევის გეგმის შემუშავების პრევენციას და ხელს უწყობდა საკუთარ შეცდომებზე დაფიქრებას.<sup>38</sup>

## შეჯამება

ანალიზით ირკვევა, რომ „პენიტენციარის განმარტოებისა და შეკავშირების სისტემები“ ძირითადად, ატარებდა მონანიების ფორმალურ და ლინგვისტურ დატვირთვას. ცხადია, რომ მონანიების საიდუმლოების აღსრულება ასეთ პირობებში თავის მიზანს ვერ მიაღწევდა.

მიუხედავად ამისა, მთელ რიგ ქვეყნებში რელიგიის როლი დამნაშავეს რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაში უმნიშვნელოვანესია. რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის თეორიები,<sup>39</sup> რომლებიც ყურადღებას უთმობენ რელიგიის გავლენას დანაშაულის პრევენციაში და დამნაშავეს გამოსწორებაში, დღესაც აქტუალურია.

დამნაშავეს გამოსწორებაში მონანიების ეფექტიანობის დადგენა დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ვგულისხმობთ მონანიების შინაარსში, რა იგულისხმება ჭეშმარიტ მონანიებად და როგორ შეიძლება მისი აღსრულება. მონანიების როლის განსაზღვრა დამნაშავეს რესოციალიციასა რეაბილიტაციაში კი, განპირობებულია დამნაშავე პირის მიმართ გამოსასწორებელი ღონისძიებების გატარების აუცილებლობით.

ვფიქრობთ, რომ მონანიების არსის ძიების პროცესი, მისი როლის განსაზღვრა დამნაშავეს რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის თვალსაზრისით, ეტიმოლოგიური და მონანიებისა და

პენიტენციურ სისტემაში მისი რეცეფციის კვლევის გარდა, მოითხოვს მის სიღრმისეულ შესწავლას თეოლოგიური და დოგმატური ასპექტების, წმინდანთა სწავლებების, სასულიერო პირთა განმარტებების, ემპირიული კვლევით მიღებული შედეგების გაანალიზებას.

### 3. მონანიების ცნება და მისთვის დამახასიათებელი ნიშნები

ქრისტიანულ ლიტერატურაში მონანიების დეფინიციის მრავალი ვერსია გვხვდება, თუმცა მისი, როგორც დამნაშავეს რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის უმთავრესი ფაქტორისა, ნაკლებად არის შესწავლილი. აღნიშნული გარემოება გვკარნახობს იმის აუცილებლობას, რომ გავანალიზოთ, თუ როგორ არის გაგებული მონანიება თეოლოგიური და დოგმატური თვალსაზრისით, – წმინდა წერილებში, წმინდანთა და სასულიერო პირთა სწავლებებში, მონანიების გამოყენების პრაქტიკა მეცნიერული კუთხით (ფსიქოლოგიური, სოციალური და სხვ.) და ამის საფუძველზე დავადგინოთ კრიმინოლოგიისათვის საინტერესო ასპექტები.

#### 3.1. მონანიების დეფინიცია

პ. პეტროზილოსა<sup>40</sup> და ბ. გოეცეს მიერ შედგენილ ლექსიკონებში<sup>41</sup> მოცემული მონანიების განსაზღვრებების ანალიზი, შესაძლებლობას გვაძლევს გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ასპექტები: 1. მონანიე პირი ღებულობს პიროვნულ გადაწყვეტილებას, რომელიც ვლინდება გარეგან, ანუ აქტიურ მოქმედებაში, – აღსარების თქმაში. აღსარების თქმა არის მონანიების პირველი ეტაპი; 2. ცოდვათა მიტევება და ღმერთთან ცოდვის ჩამდენის შერიგება, რომელშიც მონანილეობს სასულიერო პირი, არის მონანიების მეორე ეტაპი; 3. მონანიე პირისა და სასულიერო პირის ურთიერთობა არის მონანიების აღსრულებისათვის დამახასიათებელი და აუცილებელი ნიშანი; 4. მონანიება არ არის დასჯა; 5. მონანიება არის უყოყმანო განდგომა ბოროტისაგან და გულით დაბრუნება ღმერთთან.

#### 3.2. მონანიების ძირითადი ნიშნების მოკლე დახასიათება

პირველ ასპექტთან დაკავშირებით, პ. პეტროზილოს ქრისტიანულ ლექსიკონში, აღნიშნულია, რომ მონანიე პირის ქმედებებია: სინანული, მღვდელმსახურისათვის აღსარების თქმა და განზრახვა, აღასრულოს მის მიერ გამონვეული ზიანის ანაზღაურება თუ გამოსწორებისათვის საჭირო ქმედებები.<sup>42</sup>

მეორე ასპექტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ პ. პეტროზილოს ქრისტიანულ ლექსიკონში, ღმერთთან და ეკლესიასთან ცოდვის ჩამდენის შერიგების საიდუმლო, ნიშნავს მონანიე პირის მიერ მანამდე მოუნანიებელი ყველა იმ მძიმე და მცირე ცოდვის აღსარებას, რომელიც მას ახსოვს.<sup>43</sup> ჭეშმარიტი მონანიების კვლევისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ წმ. ბერი გაბრიელის (ურგებაძის) სწავლება, რომ „უნებლიე ცოდვებს ვერავინ გაექცევა და ყოველთვის უნდა ითქვას აღსარებაში“.<sup>44</sup>



მესამე ასპექტთან დაკავშირებით, რომ პროტოპესვიტერი მიხეილ პომაზანსკის მიხედვით, სინანულის საიდუმლო ორი ძირითადი ქმედებისაგან შედგება – „ეკლესიის მწყემსის წინაშე მონანული ქრისტიანის მიერ თავისი ცოდვების აღიარებისა“ და „მღვდელმსახურის მიერ წარმოქმნილი ლოცვითი ვედრება და ცოდვილთაგან მონანულის გახსნაში“.<sup>45</sup> პ. პეტროზილოს ქრისტიანულ ლექსიკონში კი, ხაზგასმულია, რომ მონანიების საიდუმლო, მონანიე პირის მიერ შესრულებული სამი ქმედებისა და მღვდელმსახურის მიერ მისი ცოდვებისაგან გათავისუფლების ერთობლიობას ნიშნავს. „სინანულის საიდუმლო არის მადლმოსილი მღვდელმოქმედება, როდესაც მაცხოვრის აღთქმის თანახმად, საღვთო მონყალებისა და ეკლესიის მწყემსის შუამდგომლობით, მორწმუნეს მიეტევება ცოდვები მათი აღიარებისა და შენანების შემდგომ“.<sup>46</sup>

მეოთხე საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მონანიება არ არის დასჯა. აღიარება და ზარალის ანაზღაურებას აქვს დამნაშავეს რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისა ფუნქცია. ამ დებულების სისწორეს ადასტურებს მ. პომაზანსკი და რ. კორინთელი. მიხეილ პომაზანსკი სინანულის საიდუმლოს „სულის სამკურნალოს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ „სინანულის საიდუმლო კურნავს ადამიანის სულიერ სნეულებებს, აცილებს სულის მწიკვლს და ქრისტიანი ცოდვათა მიღების შემდეგ ისევ უცოდველი და განწმენდილი ხდება – ისე, როგორც ამოვიდა ნათლისღების შემდგომ“.<sup>47</sup> რ. კორინთელის აზრით, „მონანიება ადამიანის, როგორც სულიერი, ფსიქო-სოციალური და სომატური არსებობისათვის არის დამახასიათებელი და ფსიქო-თერაპიული თვალსაზრისით, მიმართულია ადამიანის პიროვნების ზრდა-განვითარებისაკენ, მისი თვითრეალიზაციისაკენ“.<sup>48</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად კი, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მთელი რიგი მოსაზრებებისა, რომ რესოციალიზაცია არის დამნაშავეს უფლება, მოვალეობა, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ფენომენი და სხვ.<sup>49</sup>

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში საინტერესოა დ. ჩიკვაიძის კვლევა, რომელსაც მოჰყავს სახარებისეული გადმოცემა<sup>50</sup> და დასძენს, რომ „ქრისტეს ეკლესიამ კაცთა შეცოდებისათვის დაანესა უზიარებლობა სხვადასხვა დროით. იოანე მმარხველი აღნიშნავს, რომ წმინდა ბასილი დიდს შეუმცირებია და შეუმსუბუქებია ის სასჯელები, რაც გათვალისწინებული იყო ათორმეტთა მოციქულთა კანონებში“.<sup>51</sup> დ. ჩიკვაიძეს ასევე, მოჰყავს უფალი იესო ქრისტეს ციტირება, რომელიც ბრძანებს: „არა მნებავს სიკვდილი ცოდვილისაჲ, არამედ მოქცევაჲ და ცხოვრებაჲ მისი“ და დასძენს, რომ სწორედ ეს სახარებისეული ჭეშმარიტება საფუძვლად დაედო ქრისტიანულ მოძღვრებას და ამგვარად, საეკლესიო სამართალს სასჯელის შესახებ.<sup>52</sup>

ქრისტიანული სასჯელი არის არა შურისძიება და ადამიანის დამცირება, არამედ შემცოდე ქრისტიანის გადარჩენა, „მონანიება, წურთნა და კურნება ცოდვილისა“.<sup>53</sup> მართლმადიდებლურ-სამართლებრივი მოძღვრებით სასჯელის მიზანი იყო „მონანიება და კურნება ცოდვილისა“.<sup>54</sup>

ქრისტიანული თვალსაზრისით, ყოველი სასჯელი – სულიერიცა და ფიზიკურიც – სიყვარულით უნდა აღესრულებოდეს, რათა დასჯილი ადამიანი სიკეთისაკენ მოექცეს და არ გაბოროტდეს.<sup>55</sup>



კვლევით ირკვევა, რომ მონანიების ბუნება დასჯასთან დაკავშირებით არ არის ცალსახა. აღნიშნული საკითხი კი, მოითხოვს სიღრმისეულ კვლევას, რაც ჩვენი კვლევის სფეროს სცილდება. მოცემულ შემთხვევაში, მონანიება უნდა განვიხილოთ როგორც: 1. ნებაყოფლობითი აქტი, – გაითვალისწინოს დამნაშავეისათვის მიცემული მღვდლის რჩევა, რომ მოინანიოს, შეიცნოს საკუთარი თავი, ჩადენილი ცოდვა და ჩააბაროს აღსარება და ა.შ. 2. რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ფუნქციური დანიშნულების მქონე აქტი.

მეხუთე საკითხი, რომ „მონანიება არის უყოყმანო განდგომა ბოროტისაგან და გულით დაბრუნება ღმერთთან“ დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ „მონანიების სურვილი სარწმუნოებით ნაკარნახევი მიზეზებით უნდა იყოს გამოწვეული“ და „თუ მონანიებას ღმერთის მიმართ გულმონყალე სიყვარული იწვევს, მას „სრულყოფილი“ ეწოდება, ხოლო თუ სხვა მიზეზით არის გამოწვეული – „არასრულყოფილი“.<sup>56</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ მონანიება არის პასიურ და აქტიურ მოქმედებათა ერთიანობა. პასიური მოქმედება მხოლოდ სინანულის გრძნობას არ გულისხმობს. მას წინ უძღვის, როგორც წმ. ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე განმარტავს, „ცოდვის შეცნობა“.<sup>57</sup> ხოლო, იმისათვის, რომ ცოდვა შეიცნო, ადამიანმა ჯერ უნდა შეიცნოს საკუთარი „მე“, რომელსაც მოსდევს „გულწრფელი მწუხარება ცოდვის გამო“<sup>58</sup> და სინანული.

## შეჯამება

აღსარების თქმა არის მონანიების პირველი გარეგანი აქტი, პირის აქტიური ქმედება, რომელსაც წინ უძღვის პირობითად, სულიერ განცდებთან დაკავშირებული მოსამზადებელი ეტაპები, ანუ პასიური მოქმედება, კერძოდ:

ა. ცოდვის გაცნობიერება (გ. ქიქოძე), რომლის გარეშე სინანულის გრძნობა ვერ დაეუფლება ადამიანს და შესაბამისად, ადამიანი ვერც მოინანიებს ცოდვას. ეს საკითხი ასევე, დაკავშირებულია ქრისტიანულ ცხოვრებასთან, რომელიც ხელს უწყობს ცოდვის შეცნობას (პ. პეტროზილოს ლექსიკონი). მორწმუნე ადამიანს ცოდვის მიმართ სულ სხვა განცდა აქვს, განსხვავებით იმ ადამიანისაგან ვინც უბრალოდ ინფორმირებულია ცოდვის შესახებ და არ ცხოვრობს ქრისტიანული წესით. ღმერთის რწმენა, ქრისტიანული ცხოვრება ადამიანს უადვილებს ცოდვის შეცნობას და სინანულის გრძნობის გაჩენას.

ბ. ცოდვის შეცნობით მიღებული სულიერი განცდა, – გულწრფელი წუხილი, ცრემლი, რომელიც წმენდს ცოდვებს (წმინდა წერილი, გ. ურგებაძე, გ. ქიქოძე). გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ საკუთარი ძალით ვერ განვინმინდებით, ესეც უფლის მაღლითა და შემწეობით ხდება, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ვგრძნობთ, რომ ცოდვილნი ვართ და საკუთარ ცოდვებს განვიცდით. ამიტომაც ვევედრებით სულიწმინდას: მოვედ და დაემკვიდრე ჩვენ შორის და წმინდა მყვენ ყოვლისაგან ბინისა.

გ. აღსარების თქმა სასულიერო პირის წინაშე (პ. პეტროზილოს ლექსიკონი). უნდა ვიცოდეთ, რომ რადგან მოძღვარი „შუამავალია“ ღმერთსა და კაცს შორის, ადამიანს ჰგონია თითქოს გარანტირებული აქვს ცხონების საგზური. მოძღვარი ცხონების გარანტია არ არის, არამედ საშუალებაა, იგი ადამიანს ურჩევს ამა თუ იმ პრობლემიდან გამოსავალ გზას, ადამიანი კი ირჩევს.<sup>59</sup>

ცოდვის მიტევება და ღმერთთან და ეკლესიასთან ცოდვის ჩამდენის შერიგება არის მონანიების მეორე გარეგანი აქტი და საკითხთა ერთობლიობა, რომელიც სასულიერო პირის აქტიურ ჩართულობას გულისხმობს.<sup>60</sup> ამ დროს მონანიე პირს მოეთხოვება საეკლესიო წესების შესრულება. საკითხის უმთავრესი არსი მდგომარეობს მონანიე პირის მიერ მისთვის ცნობილი მოუნანიებელი ყველა ცოდვათა აღსარების თქმაში (პ. პეტროზილოს ლექსიკონი). მათ შორის, ისეთი ცოდვების აღსარებას, რომელიც უნებლიე ცოდვებად ითვლება (გ. ურგებაძე). გარდა ამისა, უნდა არსებობდეს მონანიე პირის განზრახვა აღასრულოს მის მიერ გამოწვეული ზიანის ანაზღაურება თუ გამოსწორების საჭირო ქმედებები (პ. პეტროზილოს ლექსიკონი).

#### 4. მონანიეების რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ასპექტები

მონანიეების ცნების დამახასიათებელი ნიშნების იდენტიფიცირება საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ ჩვენთვის ყველაზე საინტერესო საკითხი, კერძოდ, თუ რატომ და რომელი ნიშნები შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ნიშნებად.

იმის გათვალისწინებით, რომ ზოგადად, ყველა დანაშაული ცოდვაა, ხოლო მართლმადიდებლური მოძღვრების თანახმად, ცოდვები პირდაპირ კავშირშია სნეულებებთან, რასაც მეცნიერთა დიდი ნაწილი იზიარებს და ასკვნის, რომ დანაშაული ავადმყოფობაა, – მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოკლედ შევეხოთ ადამიანში დანაშაულით სულის დაავადების ეტიოლოგიას.

არქიმანდრიტის, ბერი გიორგი ბასილადის განმარტებით, „ცოდვა მატერიაა, ის არ ქრება, ის უარყოფითი, ბოროტი ენერგიაა“.<sup>61</sup> ამრიგად, აზრი, განზრახვა, მათ შორის, დანაშაულის ჩადენისა თუ მონანიეების განზრახვა, ენერგიაა ანუ მატერია, ისევე როგორც ცოდვითა და დანაშაულით გამოწვეული ემოცია, განცდა, აზრი და ა.შ.

მეცნიერულად დასაბუთებული ბუნებრივი კანონზომიერების თანახმად, არც ენერგია და არც მატერია უკვალოდ არ ქრება. შესაბამისად, დანაშაულის განზრახვა და დანაშაულით გამოწვეული ემოცია, განცდა, აზრი და ა.შ., როგორც უარყოფითი, ბოროტი ენერგია, სულში იბუდებს<sup>62</sup> ინვესს ადამიანის სულიერ დაავადებას – ფსიქიკის მოშლას, რომლის კლინიკა მულავენდება სულის მოცემულ კატეგორიებში, როგორც არის აგრესია, მრისხანება, სიძულვილი, მწუხარება, ნალველი და ა.შ., რომელსაც მკურნალობა ესაჭიროება.<sup>63</sup>

ამ საკითხებს ლოგიკურად მივყავართ კრიმინოლოგიისათვის საინტერესო, სულ მცირე, ისეთი საკითხის ცოდნის აუცილებლობასთან, როგორც არის: 1. დანაშაულით დაავადებული სულის მკურნალობის არსი; 2. დანაშაულის ჩადენით დაავადებული სულის განკურნების ადგილი; 3. ვის შეუძლია დანაშაულით დაავადებული სულის განკურნება და რას გულისხმობს სულის განკურნების ცოდნა.

##### 4.1. დანაშაულით დაავადებული სულის მკურნალობის არსი

არქიმანდრიტის, ბერი გიორგი ბასილადის განმარტებით: „სინანული წვავს ცოდვას..., სინანულით ადამიანს გულზე ეშვება და იკურნება... ცოდვის განეიტრალება მხოლოდ ცოდვის

გამოტირებით ან ტანჯვითა და ტკივილით არის შესაძლებელი; თუ ცოდვა ვერ დაამარცხე, შინაგან თავისუფლებას ვერ მოიპოვებ; საერო ცხოვრებით მცხოვრებმა ადამიანებმა უნდა იმარხულონ, რაც მათ ეხმარება განწმენდაში, შიმშილი წვავს ცოდვებს.<sup>64</sup>

წმ. ბერი გაბრიელ ურგებაძის განმარტებით: „გულით სინანულია, როდესაც აღსარებაში ნათქვამ ცოდვას შენდობის მერე არ გაიმეორებ. ესე იგი შეიზიზღე ცოდვა, განაგდე და აღარ ჩაიდენ. თუ გულით სინანულს ცრემლიც დაემატა, ეს ყველაზე კარგია. ცრემლი წმენდს ცოდვებს. ოღონდ ეს ყველაფერი ეხება ნებსით ცოდვებს. უნებლიე ცოდვებს ვერავინ გაექცევა და ყოველთვის უნდა ითქვას აღსარებაში“.<sup>65</sup>

მოტანილი მართლმადიდებლური სწავლების და იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ განზრახვა და დანაშაულით წარმოშობილი განცდა, ემოცია, აზრი და ა.შ., როგორც მატერია და ენერგია, არ ქრება, სულში რჩება და რომ დანაშაული აავადებს სულს, გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ყველა შერაცხადი ადამიანი დანაშაულის ჩადენის მომენტში რეალურად აღწევს ფსიქიკურად ავადმყოფი ადამიანის კონდიციას, რასაც სულის დაავადება, ანუ სამედიცინო ენაზე ფსიქიკური მოშლა ეწოდება.<sup>66</sup> ერთი შეხედვით, ვინმეს შეიძლება ეგონოს, რომ, განსხვავებით ფსიქიკური ავადმყოფისაგან, შერაცხადის სულიერი აშლილობა დიდხანს არ უნდა გრძელდებოდეს დანაშაულის ჩადენის მომენტიდან, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ვიდრე არ მოხდება ცოდვის, ანუ დანაშაულის მონანიება, ადამიანის სულიერი მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ვერანაირი ლოგიკითა და ბუნებრივი კანონზომიერებით ვერ დაუბრუნდება პირვანდელ ყოფას, როდესაც შერაცხადი ადამიანის აზროვნებაში დანაშაულის ჩადენის განზრახვა არ არსებობდა.

შესაბამისად, დამნაშავის მიერ სასჯელით გათვალისწინებული ვადის ამონურვა, განურჩევლად იმისა, დამნაშავე პატიმრობაშია თუ თავისუფლებაზე, ვერ განაპირობებს მის სრულ რესოციალიზაციას და რეაბილიტაციას, ვიდრე არ მოხდება დაავადებული სულის განკურნება. ამას ადასტურებს ის ბანალური ჭეშმარიტებაც, რომ ადამიანის გამოსწორებაში არ იგულისხმება მისი სხეულის გამოსწორება და მით უმეტეს, სხეულის მონანიება, არამედ ხდება მისი ფსიქიკის, რაც სულის გამოვლინებაა, ანუ სულის განკურნება სინანულით, მონანიებით. აქედან გამომდინარე, სულის განკურნების გარეშე, სასჯელის ვადის ამონურვა, სასჯელის მიზნის მიღწევის თვალსაზრისით, მნიშვნელობას კარგავს – დამნაშავე ვერ ჩაითვლება გამოსწორებულად და შედეგად, ნაცვლად სრულფასოვანი წევრისა, მივიღებთ საზოგადოებაში გამოუსწორებელი დამნაშავის დაბრუნებას.<sup>67</sup>

დანაშაულის, ანუ ცოდვის ჩადენით ადამიანი აავადებს რა თავის სულს, იგი ასევე, სხვასაც აავადებს, იგულისხმება როგორც კონკრეტული პირი, ასევე, მთელი სოციუმიც, ვინაიდან დანაშაულს ჰყავს თავისი ადრესატი. მაგალითად, ცემის შემთხვევაში, დანაშაულის თუ ცოდვის ჩადენი ფიზიკურ და სულიერ ტრავმას აყენებს უშუალოდ ცემის ადრესატს, დაზარალებულს. მართალია, ამის გამო დამნაშავე ისჯება, იხდის ბოდიშს, ხდება პერიგება დაზარალებულთან თუ სხვა, მაგრამ ეს ყველაფერი ამ უკანასკნელის სულის სრულ განკურნებას ვერ უზრუნველყოფს ისევე, როგორც დამნაშავის სასჯელის ფორმალური მოხდა მონანიების გარეშე. გარდა ამისა, დანაშაულის სიმძიმისა და მასშტაბურობიდან გამომდინარე (მაგალითად, გენოციდი, ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული, ტრეფიკინგი და ა.შ.), სულიერი ტრავმა შეიძლება

მიადგეს პირთა ჯგუფს, საზოგადოებას და მაკრო დონეზე ქვეყანას. ამდენად, დაზარალებულს, ისევე როგორც დამნაშავეს ყველა შემთხვევაში, ესაჭიროება სულის რეაბილიტაცია. ამის გამო, სულის მკურნალობის საკითხი ასევე, აქტუალურია კრიმინოლოგიის მეცნიერებაში შემავალი ვიქტიმოლოგიის დარგისათვისაც, რომელიც დანაშაულის მსხვერპლის საკითხებს შეისწავლის.

## 4.2. დანაშაულის ჩადენით დაავადებული სულის განკურნების ადგილი

„მონანიების“ ეტიმოლოგია ცხადყოფს, რომ მონანიება ნიშნავს „პენიტენციას“. შესაბამისად, მონანიების ადგილად ითვლება პენიტენციური დაწესებულება. სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემაში დამნაშავეს რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია წარმოებს პენიტენციურ დაწესებულებებში და/ან პოსტპენიტენციის ფარგლებში. პენიტენციის დაწესებულების კონცეფციიდან გამომდინარე, მისი უპირველესი დანიშნულება არის პატიმრისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომელიც მონანიების გზით უზრუნველყოფს დამნაშავეს რესოციალიზაციას და რეაბილიტაციას. პენიტენციური დაწესებულება, მისი შექმნის დღიდან ამ უპირველესი მიზნით დაარსდა, რაც სასჯელის ვადის ამოწურვისაგან, ანუ სასჯელის ფორმალური მოხდისაგან დიდად განსხვავდება.

როგორც ცნობილია, მართლმადიდებლური ეკლესია დაარსებულია ცოდვილთა სინანულის მონოდებისაკენ: „იესომ უთხრა, მათ პასუხად: მკურნალი ჯანმრთელებს კი არა სწეულებს სჭირდებათ. მე მოვედი, რომ ცოდვილებს მოვუნოდო მოსანანიებლად და არა მართალთ“ (ლუკა 5, 31. 32.) და „არა მოვედ ნოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა“ (მათე 9, 13.). ეკლესია სულიწმინდის გარდამოსვლის დღეს აღმოცენდა და მას შემდეგ სულიწმინდის წყალობით, უცვლელად ინარჩუნებს თავის ბუნებასა და დანიშნულებას.<sup>68</sup> მადლის მიღება კი, არის მონანიების ის ყველაზე უმთავრესი ელემენტი, რომელიც განაპირობებს ნამდვილ სინანულს და შესაბამისად, ადამიანის დანაშაულით დაავადებული სულის განკურნებას. სწორედ ეკლესია არის ის ადგილი, სადაც ადამიანს, შეუძლია ყველაზე სუფთა ლოცვის განწყობით ახლო ურთიერთობა ჰქონდეს ღმერთთან და მიიღოს მეტი მაღლი. „თუკი, მოსე წინასწარმეტყველს ღვთისგან სჯულის მისაღებად სინას მთაზე ასვლა სჭირდებოდა, ხოლო მოციქულებს სულიწმინდის მისაღებად – სიონის მთაზე შეკრება, თანამედროვე ადამიანისათვის საკუთარი სულის განსანმენდად და ღვთის ნიჭთან საზიარებლად აუცილებელია ტაძარში მისვლა“.<sup>69</sup>

უფლის ამალეების შემდეგაც ღმერთი ეკლესიაში აგზავნის ნუგეშისმცემელს, რომელიცაა „სული ჭეშმარიტებისაი“ (იოანე 14,17 და 15,26), რათა უძლოდეს „ჭეშმარიტებასა ყოველსა“ (იოანე 16,13). მაშასადამე, ჭეშმარიტება არის ეკლესიის ნიაღში. ამიტომაც, აღნიშნავს ღვთივშთაგონებული მოციქული პავლე ეკლესიაზე საუბრისას, რომ იგია „სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“ (1 ტიმ. 3,15), ეკლესია არის სხეული („გუამი“) იესო ქრისტესი (ეფეს. 5,23 და კოლ. 1,18).<sup>70</sup>

ადვილი მისახვედრია, თუ რატომ ვერ იქნა მიღწეული ჯონ ჰოვარდის მიერ პენიტენციარის სისტემის დაარსებით ის მიზანი, რომელსაც უნდა უზრუნველყო სინანულით დამნაშავეების გამოსწორება, რადგან სინანულის საიდუმლოება მდგომარეობს მადლის მიღებაში, რაც ეკლესიის გარეშე პენიტენციურ პირობებში ძალიან რთულად აღესრულება.<sup>71</sup> მიუხედავად იმისა, რომ

სახელმწიფოს პენიტენციური დაწესებულებები ობიექტურად ვერ შეასრულებს ეკლესიის მაგივრობას და ვერც შექმნის ისეთ პირობებს, როგორსაც მართლმადიდებლური ეკლესია უზრუნველყოფს, სახელმწიფოს პოლიტიკა დამნაშავეს რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციაში უპირობოდ უნდა ითვალისწინებდეს ქრისტიანულ მართლმადიდებლურ მოძღვრებას და ეკლესიასთან თანმშრომლობით მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს მონანიების საიდუმლოს აღსრულება პენიტენციური სისტემის პირობებში. ოთარ ნიკოლაიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ციხე და პატიმრობა მძიმე განსაცდელია, რომ უფალს სურს, ამ მძიმე ტანჯვით ამქვეყნადვე განიწმინდოს ადამიანი მის მიერ ჩადენილი სხვადასხვა მძიმე ცოდვებისაგან (სიმართლისათვის ტანჯულთ კი, განუმზადოს მონამის გვირგვინი), იხსნას ცოდვილი სული წარწყმედისაგან.<sup>72</sup>

#### 4.3. ვის შეუძლია დანაშაულით დაავადებული სულის განკურნება და რას გულისხმობს სულის განკურნების ცოდნა

ფსიქიკური დაავადების მკურნალობას ოდითგანვე მედიცინის დარგის სპეციალისტები, განსაკუთრებით კი, ფსიქიატრები შეისწავლიდნენ.<sup>73</sup> თუმცა, დღეს დამნაშავეების რეაბილიტაციას ასევე, ეწევიან ფსიქოლოგებიც, როგორც პენიტენციურ დაწესებულებებში, აგრეთვე სპეციალურ სამკურნალო და საკონსულტაციო დაწესებულებებსა თუ ცენტრებში. მათი როლი რეაბილიტაციის თვალსაზრისით, უპირველესად, დამნაშავეისათვის საკუთარი 'მე'-ს შეცნობას გულისხმობს, რაც ადამიანის ზნეობრივი ფსიქიკის და შინაგანი კულტურის ჩამოყალიბებას უკავშირდება. იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანი სულიერი არსებაა, ეს საკითხები ფსიქიატრებისაგან და ფსიქოლოგებისაგან უპირობოდ მოითხოვს სულიერი ცხოვრების ჭეშმარიტ ცოდნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამნაშავეის გამოსწორების მიზნის წარუმატებლობა გარანტირებულია, ვინაიდან, როგორც ზემოთ განვიხილეთ, სასჯელის ვადის ამონურვა სულის მკურნალობის, ანუ დანაშაულის მონანიების გარეშე, დამნაშავეის რეაბილიტაციას და რესოციალიზაციას ვერ უზრუნველყოფს და გამოიწვევს დამნაშავეის კვლავ დამნაშავედ საზოგადოებაში დაბრუნებას. ამით ნათელი ხდება თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ ფსიქიატრებსა და ფსიქოლოგებს, რომელთა წარმატება დამოკიდებულია ჭეშმარიტ სულიერ ცოდნაზე.

აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ თავად ის, ვინც ადამიანის სულის მკურნალობის მისიას კისრულობს, უნდა იყო სულიერი მონოდების სიმალღეზე.

არქიმანდრიტი, ბერი გიორგი ბასილაძე განმარტავს, რომ: „ღმერთს სულის მკურნალებად მღვდლები ჰყავს დადგენილი. ყოველ ადამიანს აქვს სულის განსხვავებული გასაღები..., მღვდელს სულიერი ხედვა და განსჯის უნარი უნდა გააჩნდეს..., ყველა ნამდვილი მღვდელი წმინდანია..., ამიტომ ეძებეთ წმინდანები...; თუ ადამიანს მაღლი არა აქვს, ის ადამიანი სულიერად მკვდარია. ჯერ კიდევ, წმინდა სერაფიმ საროველი გადმოგვცემს, რომ ადამიანის მიწიერი ცხოვრების არსი მის მიერ სულიწმინდის მაღლის მოხვეჭაშია..., ზოგიერთი წმინდანი სულიწმინდის მატარებელია, ზოგი უფრო დიდი, სულიწმინდის ჭურჭელია..., ყველაზე დიდი მოძღვარი ქრისტე ღმერთია“.<sup>74</sup>



ამრიგად, ადამიანის მიწიერი ცხოვრების არსი მის მიერ სულიწმინდის მადლის მოხვეჭაშია, ხოლო მის მოხვეჭაში დახმარება შეუძლიათ სულიერი ხედვის მქონე სასულიერო პირებს. პავლე მოციქულის მიხედვით: „სულიწმინდის მადლია სიბრძნის სიტყვა, რწმენა, განკურნებათა ნიჭი, სასწაულმოქმედების, წინასწარმეტყველების, სულების გარჩევის, სხვადასხვა ენების გარჩევის ნიჭი“ (კორ. 12, 4-14).

როგორც აღვნიშნეთ, მადლის მიღება არის მონანიების ის ყველაზე უმთავრესი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს სრულფასოვან სინანულს, ადამიანის შინაგან რეაბილიტაციას და რესოციალიზაციას, რადგან მადლს მოაქვს სიყვარული და სიხარული ყოველი არსებულისათვის. ყველა კეთილი თვისება, რომელიც ადამიანებს აქვთ, მთელი სინათლე, სისუფთავე და სულიერი კეთილშობილება – მხოლოდ მცირედი ასახვაა ღვთის სულისა – მისი მადლისა. მადლი არის მაცხოვრებელი ძალა ღვთისა, რომელიც აძლევს ადამიანს შინაგან სიმტკიცეს, რომელსაც მიჰყავს ადამიანები ღვთის შემეცნებისაკენ.<sup>75</sup> შესაბამისად, მადლი არის ის ძალა, რომლითაც ხდება დანაშაულით დაავადებული სულის კურნება.<sup>76</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დამნაშავის ფსიქოლოგიური, სოციალური, სამედიცინო და სხვა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია არ ითვალისწინებს მადლის საკითხს. სინამდვილეში მათ (ფსიქოლოგიური, სოციალური, სამედიცინო და სხვა რესოციალიზაციას და რეაბილიტაციას) არ შეუძლიათ უზრუნველყონ მადლის „გადაცემა“ დამნაშავეზე,<sup>77</sup> რადგან სინანულის, აღსარების, ანუ ცოდვათა მიტევებისა და ცოდვის შერიგების საიდუმლო უფალმა მხოლოდ ეკლესიას დაუდგინა, როდესაც აღდგომის შემდგომ, მოციქულებს გამოეცხადა და განაცხადა: „...მიიღეთ სული წმდაჲ, უკეთუ ვიეთნიმე, მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ; და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ“ (ინ. 20, 21-23) და ამით ცოდვათა მიტევების ძალაუფლება მიანიჭა. ქრისტეს სახელით ცოდვათა მიტევების უფლება აქვთ მხოლოდ მღვდელმსახურებს, რომელთაც ეკლესიამ ცოდვათაგან გათავისუფლების უფლება მიანიჭა.<sup>78</sup>

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ენდოკრიმინოლოგია დელიკვენტების გამოსწორებას სახარებაში მოცემული სწავლებებით ადამიანის „მე“-ს შეცნობას, ზნეობრივი ფსიქიკის და შინაგანი კულტურის ჩამოყალიბებას უკავშირებს. აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ სიტყვას „კულტურა“ მრავალი დეფინიცია აქვს, მაგრამ ერთ-ერთი განსაზღვრების თანახმად, იგი სულის დამუშავებას ნიშნავს. პირდაპირი გაგებით, ადამიანის შინაგანი კულტურა სულიერი მდგომარეობის გამომხატველია. ამდენად, ქრისტიანული მართლმადიდებლური სწავლება მნიშვნელოვანია, ვინაიდან სასულიერო პირების უპირველესი დანიშნულებაა სწორედ ადამიანის სულის მკურნალობა და გადარჩენა, რაც ადამიანის „მე“-ს შეცნობასა და ადამიანის ზნეობრივი ფსიქიკის ჩამოყალიბებას გულისხმობს.

დამნაშავის საკუთარი თავის სწორად შეცნობისათვის ადამიანის „მე“-ს, შინაგანი ბუნების ცოდნას კრიმინოლოგიისათვის დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.<sup>79</sup> ბერი გაბრიელ ურგებაძის განმარტებებით: „ადამიანი შედგება სხეულის, სამშენიველისა და სული-საგან. სხეულს აქვს ხუთი თვისება: ხედვა, სმენა, ყნოსვა, გემო, შეხება და აქვს ორი ინსტინქტი: თვითგადარჩენის და გამრავლების. სამშენიველი არის ის რითაც ვსუნთქავთ. იგი ისევე, როგორც ცხოველებში და ფრინველებში მოიცავს აზრს, გრძნობას და სურვილს. ღმერთმა აზრი შთაღო



ტვინში, გულში – გრძნობა, ხოლო სურვილი კი, მთლიანად სხეულში. სურვილებს ხელმძღვანელობს ნება, რომელსაც არა აქვს ორგანო. ის მთელს სხეულშია. როდესაც რაიმე სურვილი გვეუფლება, მაშინ მთელი სხეული აღიძვრება. სამშვინველს უნდა, რომ შეიძინოს ცოდნა და გამოცადოს, დაიმკვიდროს ესა თუ ის გრძნობა. უკვდავ სულს აქვს სამი თვისება: შიში ღვთისა, სინდისი და სწრაფვა ღვთისაკენ, რაც ცხოველსა და ფრინველებს არა აქვთ. სამშვინველი სისხლშია, მაგრამ სისხლი არ არის. ცოდვით დაცემამდე სამშვინველიც და სხეულიც სულს ემორჩილებოდა. ცოდვით დაცემის შემდეგ კი, სულთან კავშირი შეწყდა და სამშვინველი სხეულს დაემორჩილა. რაც უნდა სხეულს, იმას აკეთებინებს სამშვინველს, ოღონდ სამშვინველი გადაადგილებს სხეულს, სული კი, აგონიერებს. სინდისი პატარა ღმერთია. უფალმა სინდისი იმიტომ შთადო ადამიანში, რომ უნდოდა ადამიანი გადაერჩინა. სული მეცნიერია და ყველაფერი იცის, ეს სინდისს ეხება, – იგი გამოიძიებს რა არის კარგი და რა არის ცუდი. ტყუილად კი არ ხდება, რომ როცა გვერდზე ვინმე უცხო ჩაგივლის, ხან გიხარია, ხან კი, შეკრთები.<sup>80</sup>

ამ სწავლების თითოეული ასპექტი ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური და სოციალური „მე“-ს შემეცნებისათვის. საკითხების დიდი მოცულობის გამო, უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ სული პიროვნულია. სინდისი, სხვა კატეგორიების გათვალისწინებით, არის ის, რაც ადამიანს სხვა ბიოლოგიური არსებებისაგან განასხვავებს და რითაც აიხსნება სხვა ბიოლოგიური არსებებისაგან „ცოდვის“ არმოკითხვაც.

ადამიანის „მე“-ს შემეცნების საკითხთან დაკავშირებით, ასევე საინტერესოა ადამიანის სულიერი მდგომარეობის საფეხურების ცოდნა. მართლმადიდებლური სწავლების თანახმად, არსებობს „ადამიანის სულიერი მდგომარეობის შემდეგი საფეხურები: I. ცოდვილი; II. ადამიანი; III. მორწმუნე; IV. მონაზონი, ანუ მორჩილი; V. ბერი, ანუ პიროვნება; VI. წმინდანი, ანუ ინდივიდი. ამის ზევით კიდევ არის სხვა სულიერი საფეხურები“.<sup>81</sup> ბერი გაბრიელ ურგებაძის განმარტებით, „ბოლო საფეხურია სიყვარული, მხოლოდ სიყვარული ანუ განდმრთობა“.<sup>82</sup>

ადამიანის სულიერი მდგომარეობა განასხვავებს ადამიანს ცოდვილი ადამიანისაგან ისევე, როგორც ყველა სხვა საფეხურზე, ხოლო „ცოდვილის“ საფეხური, ბუნებრივია, არ ნიშნავს იმას, რასაც ექიმი-კრიმინოლოგი ჩეზარე ლომბროზო ამტკიცებდა – დაბადებით დამნაშავეების არსებობას. როგორც არქიმანდრიტი, ბერი გიორგი ბასილაძე განმარტავს, „ადამიანი მკვლელად არ იბადება, ის მკვლელად ყალიბდება... განსხვავება კი, ცოდვილის გაადამიანურებაში მდგომარეობს“.<sup>83</sup> „ერისკაცს 10 მცნების დაცვა მოეთხოვება და იმითი ცხონდება, ხოლო მონასტერში მოსულს, სახარების მიხედვით, ცხოვრება მოეთხოვება და იმითი ცხონდება“<sup>84</sup> – აღნიშნავს ბერი გაბრიელ ურგებაძე.

„ცოდვილ ადამიანსა“ და „ადამიანს“ შორის განსხვავება კიდევ ერთხელ დაგვანახებს, რომ ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრების არცოდნა, მათ შორის, ცოდვისა და მონანიების შესახებ, დანაშაულის მიზეზია, ხოლო მისი გამოსწორების ერთადერთი გზა მონანიებაა. „სინანული, რწმენა და ჯვარცმული იესოს ღოცვა სწრაფად კურნავს ვნებიანი აზრების შხამიანი შთაბეჭდილებებით დასნებოვნებულ სულს“.<sup>85</sup> მონანიება მოითხოვს ღოცვას, მარხვას, ზიარებას აღსარების თქმას არა ერთჯერადად, არამედ ცხოვრების ბოლომდე. მთავარია ის, რომ შეცდომის გამოუსწორებლობა, ანუ მონანიებლობა მეტი ცოდვაა. მაცხოვარი ბრძანებს: „არა არს კაცი, რომელი ცხონდეს

და არა სცოდოს“. მიუხედავად სიმძიმისა, მთავარი ის კი არ არის, რომ ადამიანმა შესცოდა, არამედ ამ ცოდვითა შეუნანებლობა. პირველად, წმინდა იოანე ნათლისმცემელი მოუწოდებდა ხალხს (მათე, 3-2) და ასევე, უფალი იესო ქრისტე თავის პირველ ქადაგებაში: „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა“ (მათე, 4,17).<sup>86</sup> არ ამბობდენ, როგორ გაბედეთო, არამედ შეინანეთო.

## დასკვნა

კვლევით დგინდება, რომ მონანიება არის დამნაშავეს რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის უმთავრესი ფაქტორი. გარდა ამისა, მონანიება უნდა მივიჩნიოთ სისხლისსამართლებრივ იუსტიციის სისტემაში დანაშაულის პრევენციის ყველაზე პირველ, ხოლო სასჯელალსრულების პოლიტიკაში, ყველაზე ბოლო ღონისძიებად. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს უკანასკნელი არ ნიშნავს, რომ ადამიანი დაზღვეულია ხელახალი დანაშაულის ჩადენისაგან. ადამიანის უძლური, ცოდვილი ბუნება აღუდგეს ცდუნებებს, განაპირობებს ახალ ცოდვას. ყოველი ახალი ცოდვის ჩადენის შემდეგ, მონანიება კი, უნდა იყოს თანმდევი ნაბიჯი, რომ ცოდვის ჩადენამ სისტემატური ხასიათი არ მიიღოს, ცოდვას ახალი, უფრო მძიმე ცოდვა არ დაემატოს და დანაშაულის ჩადენის საფუძველი არ გახდეს.

განხილული საკითხების ანალიზი კი, საშუალებას გვაძლევს ჩამოვაცალიბოთ შემდეგი სახის დასკვნები და რეკომენდაციები:

1. დანაშაული აავადებს ადამიანის სულს (როგორც დამნაშავეს, ასევე, დაზარალებულის);
2. დანაშაულის სიმძიმედან გამომდინარე, სულიერად შეიძლება დაავადდეს პირთა ჯგუფი, საზოგადოება და მაკრო დონეზე – ქვეყნის მოსახლეობა;
3. დანაშაულით დაავადებული სული საჭიროებს მკურნალობას;
4. დაავადებული სულის განკურნება შესაძლებელია მხოლოდ ღმერთის მადლითა და შემწეობით, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ვგრძნობთ, რომ ცოდვილნი ვართ და საკუთარ ცოდვებს განვიცდით;
5. დანაშაულით დაავადებული სულის განკურნება მიიღწევა სინანულით, მონანიებით;
6. მოუნანიებლობის გარეშე სასჯელის ფორმალური მოხდა ვერ უზრუნველყოფს ადამიანის დანაშაულით დაავადებული სულის განკურნებას;
7. მოუნანიებლობის გარეშე სასჯელის ფორმალური მოხდა ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის მიღწევას, რაც ნიშნავს, რომ საზოგადოებას დაუბრუნდება გამოუსწორებელი დამნაშავე;
8. მონანიება, არის არა მარტო დამნაშავეს რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის, არამედ ზოგადად, დანაშაულის პრევენციისა და დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილების ყველაზე ეფექტიანი საშუალება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობა უნდა გაღრმავდეს; აუცილებელია დაინვენოს არსებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს მართლმადიდებლური

ეკლესიის მაქსიმალურ ჩართულობას პენიტენციურ სისტემაში და სამართლებრივად დარეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორც არის:

- ა. სისხლის სამართლის პროცესის სტადიაზე, ბრალის წარდგენის მომენტიდან სასულიერო პირის ბრალდებულთან დაშვების უფლებას (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი მოქმედება გამოძიების ინტერესებს ეწინააღმდეგება);
- ბ. პენიტენციურ დაწესებულებებში სასულიერო პირის მსჯავრდებულთან შეუზღუდავი დაშვების უფლებას;
- გ. სისხლის სამართლის ყველა საქმეზე, სასჯელის ამონაწერამდე სასულიერო პირის მიერ მსჯავრდებულის (მღვდელი, რომელიც პირადად იცნობს პატიმარს) სულიერი მდგომარეობის შეფასებასა და შესაბამისი რეკომენდაციის, ან დასკვნის მომზადებას;
- დ. სასულიერო პირის რეკომენდაციის ან დასკვნისათვის, მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს უპირატესობის მინიჭებას.

კვლევით ასევე, დგინდება, რომ მონაწიეების მიზანი სინამდვილეში არის უფრო მეტი ვიდრე, სამართლებრივი გაგებით – დამნაშავეს რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია. მართლმადიდებლური მოძღვრება ადამიანს მოუწოდებს იცხოვროს ქრისტიანული ცხოვრებით, რაც გულისხმობს ლოცვებითა და ცოდვების მონანიებით სულის განწმენდას ბოროტი ენერჯისაგან (არქიმანდრიტი, ბერი გიორგი ბასილაძე), რომლის საბოლოო მიზანია, ადამიანის სულის გადარჩენა, რადგან ადამიანში უკვდავი თვისება აქვს სულს და არა სხეულს, როგორც ამას ბერი გაბრიელ ურგებაძე ბრძანებდა – „ჭეშმარიტება სულის უკვდავებაშია“.

იმის გათვალისწინებით, რომ სასჯელის მიზანი დამნაშავეს გამოსწორებაა, მონანიება კი, ამის საშუალება და სინამდვილეში ადამიანის გადარჩენის ერთადერთი გზა ამ დროებით ცხოვრებაში, მაშინ სასჯელისა და პენიტენციური სისტემა უნდა ემსახურებოდეს მონანიების საბოლოო მიზანს, თუკი სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული არის ადამიანზე ზრუნვა.

## ბიბლიოგრაფია

### ქართულენოვანი ლიტერატურა:

1. ბიბლიის ლექსიკონი, შემდგ. გოცეცე, რუსული ბიბლიური საზოგადოება, 2006;
2. ქრისტიანობის ლექსიკონი, შემდგ. პიორე პეტროზილო, [იტალ. თარგმნა მარიკა სააკაშვილმა; რედ. მერაბ ლალანიძე], სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, თბ., 2011;
3. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, რედ. მზია ლეკვეიშვილი და მორის შალიკაშვილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2011;
4. მ. ჯინორია, თქვენის სიცოცხლე ჩემი სიცოცხლეა, თბ., 2009;
5. ა. მინდიაშვილი, ეს ჯვარი თქვენამდე სულ სისხლით ვატარე, თბ., 2008;
6. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, I ტომი, (თქმულნი 1870-1884) თბ., 2011;
7. ა. ჩაგუნავა, ლ. ყოლბაია, ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი, თბ., 2008;
8. გ. შენგელაია, სისხლის სამართლის უფლება, ბოროტმოქმედება და ბოროტმოქმედთა პიროვნების შესწავლის საკითხი, თანამედროვე მედიცინა, №9, თბ., 1927;
9. მღვდელ-მონაზონი კირიონი, ბერი გაბრიელის სწავლება, უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომცეხადდნენ მე, თბ., 2009;
10. ო. ნიკოლაიშვილი, მამა გაბრიელის საუბარი I (მეორე გამოცემა), თბ., 2009;
11. მღვდელი ლევან მექოშვილი, მოძღვრისა და სულიერი შვილის ურთიერთობა, თბ., 2011;
12. მართლმადიდებლობის გაცნობა, ანუ სულიერი ცხოვრების დასაწყისი, [მთარგ. მელანია შანავა-ვეფხვაძე, რედ. ელდერ ეკალაძე, გამომც. ლადო ვეფხვაძე] თბ., 2008;
13. კორინთელი რეზო, მონანიების ცნება ფსიქოთერაპიაში, ჟურნალი: „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში, წარსული, აწმყო, მომავალი“ II საერთაშორისო სიმპოზიუმი, საქართველოს საპატრიარქო, ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2005;
14. ქათამაძე მიხეილ, სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ჟურნალი „ალმანახი“, №19, სისხლის სამართალი III, 2004;
15. ჩიკვაძე დავით, საეკლესიო სამართალი, იურისტის ბიბლიოთეკა, სალექციო კურსი, თბილისი, 2008;
16. ლაზარე იმედაძე, მართლმადიდებლობის საფუძვლების გავრცელება პენიტენციურ დაწესებულებებში, მღვდელმონაზონ ნიკოდიმის საკანდიდატო დისერტაციის მიხედვით, ჟურნალი „ფერისცვალება“, №4, 2010;
17. სულიერი მდელი, მომზადებულია საქართველოს საპატრიარქოს პრეს-ცენტრში, რედ., თინათინ გოგოჩაშვილი, თბ., 2005;
18. იოანე მმარხველი, კანონი შეცოდებულთათვის, მცირე სჯულისკანონი, რედ., ე. გიუნაშვილი თბ., 1972;
19. ჩიკვაძე დავით, საეკლესიო სამართლის პროცესი, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2012;
20. ოთარ ნიკოლაიშვილი, პატიმართა იმედი და ნუგეში, თბ., 2009, 25;
21. მარიამ ყიფიანი, ციხემ იგი ცოდვილად მიიღო და წმინდანად გამოუშვა, ჩვენც შენი ხალხი ვართ, თბ., 2012;

22. პანაიოტის ი. ბუმისი, კანონიკური სამართალი, (მეორე გადამუშავებული გამოცემა) ათენი-თბ., 2010;
23. პროტოპრესვიტერი მიხეილ პომაზანსკი, დოგმატური ღვთისმეტყველება, მეორე, შესწორებული გამოცემა, თბ., 2006;
24. სანუგეშო (საპყრობილეში მყოფთათვის), რედ. ვასილ ბაკურაძე, თბ., 2009, 71.

**უცხოენოვანი ლიტერატურა:**

1. J. Daniel Hays, J. Scott Duvall, C. Marvin Pate, Dictionary of Biblical Prophecy and End Times, Zondervan Publishing, 2009;
2. Alexis C. Torrence, Repentance in the Antiquity, Oxford University Press, UK, 2013;
3. James H. Snowden, The Psychology of Religion and Its Application in Preaching and Teaching, Kessinger Publishing, 2005;
4. Robert Johnson, Ania Dobrzanska, and Seri Palla, The American Prison in Historical Perspective: Race, Gender, and Adjustment, American University, 2005;
5. The Historical Journal THE MAKING OF THE PENITENTIARY ACT, 1775–1779. SIMON DEVEREAUX, 1999;
6. Larry J. Siegel, Introduction to Criminal Justice, USA, Printed in Canada, Cengage Learning, 2009;
7. Joycelyn M. Pollock, Prisons Today and Tomorrow, Jones & Bartlett Publishers, 2009;
8. Samuel Gridley Howe, An Essay on Separate and Congregate Systems of Prison Discipline, (being a report made to the Boston Prison Discipline Society), Boston, 1846;
9. РОБЕРТ Н. УИЛКИН, Учение о покаянии в Новом Завете: Лексические особенности, Журнал Евангельского Общества Благодати, 1989.

**ინტერნეტ-რესურსები:**

1. <http://www.metanoiaministries.org/Historical.html>
2. <http://christianity.about.com/od/glossary/a/Repentance.htm>
3. [www.faithalone.org/journal/1989ii/Wilkin%20Russian.pdf](http://www.faithalone.org/journal/1989ii/Wilkin%20Russian.pdf)
4. <http://www.metanoiaministries.org/Historical.html>
5. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=12927>
6. <http://www.dictionarist.com/english-greek/penitence>
7. <http://etymonline.com/?term=penitentiary>
8. <http://oxforddictionaries.com/definition/penitentiary>
9. <http://www.merriam-webster.com/dictionary/penitence>
10. [www.jblearning.com/samples/0763729043/Chapter\\_02.pdf](http://www.jblearning.com/samples/0763729043/Chapter_02.pdf)
11. <http://marisluste.files.wordpress.com/2010/11/soda-filozofijas-3.pdf>
12. [http://www.sagepub.com/upm-data/5144\\_Banks\\_II\\_Proof\\_Chapter\\_5.pdf](http://www.sagepub.com/upm-data/5144_Banks_II_Proof_Chapter_5.pdf)
13. [http://www.parliament.uk/about/living-heritage/transformingsociety/laworder/policeprisons/over\\_view/prisonreform/](http://www.parliament.uk/about/living-heritage/transformingsociety/laworder/policeprisons/over_view/prisonreform/)
14. <http://www.history.ac.uk/reviews/review/882>
15. [http://www.sagepub.com/upm-data/5144\\_Banks\\_II\\_Proof\\_Chapter\\_5.pdf](http://www.sagepub.com/upm-data/5144_Banks_II_Proof_Chapter_5.pdf)
16. <http://www.mayoclinic.com/health/forgiveness/MH00131>
17. [www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe](http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe)

### შენიშვნები:

- <sup>1</sup> არქიმანდრიტი იოანე (პრესტიანკინი), აღსარების აგების საიდუმლოება, თბ., 2004, გვ. 4.
- <sup>2</sup> ლაზარე იმედაძე, მართლმადიდებლობის საფუძვლების გავრცელება პენიტენციურ დანესებულებებში, მღვდელმონაზონ ნიკოდიმის საკანდიდატო დისერტაციის მიხედვით, ჟურნალი „ფერისცვალება“, №4, 2010, გვ. 129.
- <sup>3</sup> რობერტ უილკინის მიხედვით, „metamelomai“ ძირითადად, „წუხილის განცდას“ ნიშნავს. მე-2 კორ. (7:8), პავლე წერს, რომ არ სურს წერილის ეკლესიაში გაგზავნა, რომელიც მათ გულს დანყვეტდა, თუმცა, თითქოს ინანა კიდევ ამის გამო. როგორც წესი, რაიმეზე წუხილის ცნებას თან ახლავს აზრის შეცვლა. მათე (21:29), იესო მოგვითხრობს იგავს ორი ძმის შესახებ. ორივე შვილს დაევალა ვენახში სამუშაოდ წასვლა. ერთმა თქვა, რომ არ წავიდოდა, მაგრამ მერე შეიცვალა აზრი (ე.ი. ინანა ამის გამო) და წავიდა სამუშაოდ. მეორე დათანხმდა წასვლაზე, მაგრამ შემდეგ არ წავიდა. მართალია, „metamelomai“, ხშირად ითარგმნება მონანიებად, მაგრამ სინამდვილეში ახალ აღთქმაში არ გვხვდება მისი გამოყენების შემთხვევები, რადგან იგი ყოველთვის წუხილთან, სინდისის ქენჯნასთან, აზრის შეცვლასთან არის დაკავშირებული და არასდროს გულისხმობს ცოდვებისაგან განდგომას, რაც სიტყვა „metanoia“-ს თარგმანებში გვხვდება. იხ.: **რობერტ ნ. უილკინ**, *Учение о покаянии в Новом Завете: Лексические особенности*, Журнал Евангельского Общества Благодати, осень 1989 – том 2:2, ст. 6.
- <sup>4</sup> იხ.: 1. <http://www.metanoiaministries.org/Historical.html>; 2. <http://christianity.about.com/od/glossary/a/Repentance.htm> (მოპოვებულია: 12.05.2013).
- <sup>5</sup> იხ.: 1. იქვე; 2. „გულის შეცვლა“ არის პირდაპირი თარგმანი, შესაბამისად, უნდა ვიგულისხმოთ ის ვარიანტი, რომელსაც ბიბლიის ლექსიკონი მონანიების დეფინიციაში გვთავაზობს, კერძოდ, „გულით დაბრუნება ღმერთთან“. იხ.: ბიბლიის ლექსიკონი, შემდგ. გოეცე, რუსული ბიბლიური საზოგადოება, 2006, გვ. 282.
- <sup>6</sup> იხ.: **რობერტ ნ. უილკინ**, *Учение о покаянии в Новом Завете: Лексические особенности*, Журнал Евангельского Общества Благодати, осень 1989 – том 2:2, ст. 1. [www.faithalone.org/journal/1989ii/Wilkin%20Russian.pdf](http://www.faithalone.org/journal/1989ii/Wilkin%20Russian.pdf) (მოპოვებულია: 14.05.2013).
- <sup>7</sup> იხ.: <http://www.metanoiaministries.org/Historical.html> (მოპოვებულია: 12.05.2013).
- <sup>8</sup> იხ.: **რობერტ ნ. უილკინ**, დასახ. ნაშრ., გვ. 2.
- <sup>9</sup> იხ.: <http://www.metanoiaministries.org/Historical.html> (მოპოვებულია: 12.05.2013).
- <sup>10</sup> ნიშნავს შემობრუნებას (to turn), თუმცა ძველ აღთქმაში ხშირად ითარგმნება, როგორც მონანიება. იხ.: J. Daniel Hays, J. Scott Duvall, C. Marvin Pate Dictionary of Biblical Prophecy and End Times, Zondervan Publishing, 2009, see: word “Repentance”.
- <sup>11</sup> იხ.: **რობერტ ნ. უილკინ**, დასახ. ნაშრ., გვ. 3.
- <sup>12</sup> იხ.: იქვე.



- <sup>13</sup> იხ.: 1. РОБЕРТ Н. УИЛКИН, დასახ. ნაშრ., იქვე.; გვ. 2. <http://www.metanoiainministries.org/Historical.html> (მოპოვებულია: 12.05.2013).
- <sup>14</sup> ბიბლიის ბერძნული ვერსიის ლათინური თარგმანი, მე-4 საუკუნე.
- <sup>15</sup> იხ.: <http://www.metanoiainministries.org/Historical.html> (მოპოვებულია: 12.05.2013)
- <sup>16</sup> იხ.: 1. <http://www.metanoiainministries.org/Historical.html> (მოპოვებულია: 12.05.2013); 2. კალვინისა და ლუთერის შეხედულებები ეპიტიმის მონანიების ცნებიდან ამოღების შესახებ დანვრილებითი იხ.: <http://www.metanoiainministries.org/Historical.html>
- <sup>17</sup> 1. Alexis C. Torrance, *Repentance in the late Antiquity*, Oxford University Press, UK, 2013, pp.4; 2. <http://www.dictionarist.com/english-greek/penitence>; 3. <http://www.etymonline.com/?term=penitentiary>; 4. <http://www.merriam-webster.com/dictionary/penitence>
- <sup>18</sup> 1. ტერმინ პენიტენციაზე დამატებითი ინფორმაციისათვის იხ.: Alexis C. Torrance, *Repentance in the late Antiquity*, Oxford University Press, UK, 2013; 2. აღსანიშნავია, რომ მონანიების ლათინური ეკვივალენტი ყოველთვის არ შეესაბამება სიტყვა სინანულის ლათინურ ვარიანტს. მაგალითად, პეტროზილო პიორეს რედაქტორობით გამოცემული ქრისტიანული ლექსიკონის მიხედვით, ტერმინი მონანიება ლათინურად არის (paenitentia; poenitentiaris) „პენიტენცია“, ხოლო სინანული არის (Contrizione) „კონტრიზიონე“, რომელიც ინარმოება ზმნიდან „contère“-სგან. იხ.: ქრისტიანობის ლექსიკონი, შემდგ. პიერო პეტროზილო, იტალ. მთრგ., სააკაშვილი მარიკა, რედ., მერაბ ლადანიძე, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი, თბ., 2011, 207, გვ. 318.
- <sup>19</sup> „გულის შეცვლის“ ნაცვლად უნდა ვიგულისხმოთ „გულით დაბრუნება ღმერთთან“, იხ.: ბიბლიის ლექსიკონი, შემდგ. გოეცე, რუსული ბიბლიური საზოგადოება, 2006, გვ. 282.
- <sup>20</sup> James H. Snowden, *The Psychology of Religion and Its Application in Preaching and Teaching*, Kessinger Publishing, May 28, 2005, 154.
- <sup>21</sup> იხ.: 1. РОБЕРТ Н. УИЛКИН, დასახ. ნაშრ., გვ. 7. <http://www.metanoiainministries.org/Historical.html> (მოპოვებულია: 12.05.2013).
- <sup>22</sup> „პენიტენციარი“ ნიშნავს ინსტიტუტს, რომელიც შექმნილია დამნაშავეებისათვის, რათა დაფიქრდნენ თავიანთ ჩადენილ დანაშაულებზე მონანიების გზით, მიაღწიონ ცოდვების შენდობასა და გამოსყიდვას, იხ.: Robert Johnson, Ania Dobrzanska, and Seri Palla, *The American Prison in Historical Perspective: Race, Gender, and Adjustment*, American University, 2005, 23, ix.: [www.jblearning.com/samples/0763729043/Chapter\\_02.pdf](http://www.jblearning.com/samples/0763729043/Chapter_02.pdf), (მოპოვებულია: 12.05.2013).
- <sup>23</sup> იხ.: *Philosophies of Punishment*, 23. <http://marisluste.files.wordpress.com/2010/11/soda-filozofijas-3.pdf> (მოპოვებულია: 12.05.2013).
- <sup>24</sup> იხ.: *The purpose of Criminal Punishment*, 116, [http://www.sagepub.com/upm-data/5144\\_Banks\\_II\\_Proof\\_Chapter\\_5.pdf](http://www.sagepub.com/upm-data/5144_Banks_II_Proof_Chapter_5.pdf) (მოპოვებულია: 12.05.2013); ალექსანდრე გიორგიძე, არასრულწლოვანთა სასჯელის მიზანი (რა მიზანს ემსახურება სასჯელი?). იხ.: არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, [რედ. მზია ლეკვიშვილი და მორის შალიკაშვილი], გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 75.

- <sup>25</sup> <http://www.howardleague.org/history-of-prison-system> (მოპოვებულია: 12.05.2013).
- <sup>26</sup> მაგალითად, სხვადასხვა კლასის დამნაშავეების განცალკევება, სამედიცინო დახმარება, სავარჯიშო პირობები.
- <sup>27</sup> 1. <http://www.parliament.uk/about/livingheritage/transformingsociety/laworder/policeprisons/overview/prisonreform/> (მოპოვებულია: 12.05.2013); 1779 წლის „პენიტენციარის“ შესახებ კანონის მიღების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხ. 1. SIMON DEVEREAUX (1999). THE MAKING OF THE PENITENTIARY ACT, 1775–1779, see *The Historical Journal*, 42, 405-433; 2. <http://www.history.ac.uk/reviews/review/882> (მოპოვებულია: 12.05.2013).
- <sup>28</sup> მაგალითად, ფილადელფიაში 1790 წელს დაარსდა უოლნათ სთრითის, ნიუ-იორკში 1819 წელს – აუბურნის პენიტენციარი და სხვ. იხ.: Larry J. Siegel, *Introduction to Criminal Justice, USA*, Printed in Canada, Cengage Learning, Jan 5, 2009, 571-576.
- <sup>29</sup> Robert Johnson, Ania Dobrzanska, and Seri Palla, *The American Prison in Historical Perspective: Race, Gender, and Adjustment*, Joycelyn M. Pollock, *Prisons Today and Tomorrow*, Jones & Bartlett Publishers, Oct 5, 2009, 24.
- <sup>30</sup> 1. Robert Johnson, Ania Dobrzanska, and Seri Palla, ix.: *dasax. naSr.*, 24-25; 2. *damatebiTi informaciisaTvis ix.:* Samuel Gridley Howe, *An Essay on Separate and Congregate Systems of Prison Discipline*, (being a report made to the Boston Prison Discipline Society), Boston, 1846, pp. 67-68; 72-89.
- <sup>31</sup> 1. Robert Johnson, Ania Dobrzanska, and Seri Palla, ix.: *dasax. naSr.*, 25; 2. *damatebiTi informaciisaTvis ix.:* Samuel Gridley Howe-ის დასახ. ნაშრ., გვ. 72-89.
- <sup>32</sup> იხ.: Robert Johnson, დასახ. ნაშრ., გვ. 25.
- <sup>33</sup> იხ.: Larry J. Siegel, *Introduction to Criminal Justice, USA*, Printed in Canada, Cengage Learning, Jan 5, 2009, 571 576.
- <sup>34</sup> იხ.: Robert Johnson, დასახ. ნაშრ., იქვე.
- <sup>35</sup> იხ.: იქვე.
- <sup>36</sup> იხ.: Larry J. Siegel-ს დასახ. ნაშრ., იქვე.
- <sup>37</sup> 1. Robert Johnson, იხ.: დასახ. ნაშრ., გვ. 25; 2 დამატებითი ინფორმაციისათვის იხ.: Francis C. Grey, *Prison Discipline in America*, 1847, Boston, 61-67.
- <sup>38</sup> 1. იხ.: Larry J. Siegel-ს დასახ. ნაშრ., იქვე; 2. გარდა ამისა, რეაბილიტაციის თეორიის დაკნინება დაიწყო 1970 წლებში, რომელიც კომპლექსური ფაქტორების წინა პლანზე წამოწევამ განაპირობა. ამ გარემოების გათვალისწინებით, პოლიტიკის გამტარებლებმა და კანონმდებლებმა უგულებელყვეს რეაბილიტაცია სასჯელის მიზნებიდან. იხ.: *The purpose of Criminal Punishment*, 116-117, იხ.: [http://www.sagepub.com/upm-data/5144\\_Banks\\_II\\_Proof\\_Chapter\\_5.pdf](http://www.sagepub.com/upm-data/5144_Banks_II_Proof_Chapter_5.pdf) (მოპოვებულია: 12.05.2013).
- <sup>39</sup> იგულისხმება უფლების შეზღუდვის, აღდგენითი მართლმსაჯულების, ფსიქონალიტიკური, ენდოკრინოლოგიური და სხვა თეორიები.
- <sup>40</sup> „მონანიება ნიშნავს აღსარების, ანუ ცოდვათა მიტევებისა და ღმერთთან და ეკლესიასთან ცოდვის ჩამდენის შერიგების საიდუმლოს“. იხ.: ქრისტიანობის ლექსიკონი, შემდგ. პიერო პეტროზილო, თბ., 2011, გვ. 391.
- <sup>41</sup> „მონანიება სულაც არ ნიშნავს დასჯას, მონანიება არის უყოყმანო განდგომა ბოროტისაგან და გულით დაბრუნება ღმერთთან, რომელსაც ღმერთი ყველასაგან ითხოვს, ვინც მას დაშორდა“, იხ.: ბიბლიის ლექსიკონი, შემდგ. ბ. გოეცე, რუსული ბიბლიური საზოგადოება, 2006, გვ. 282.
- <sup>42</sup> ქრისტიანობის ლექსიკონი, შემდგ. პიერო პეტროზილო, იქვე.

- <sup>43</sup> „მონანიება ნიშნავს აღსარების, ანუ ცოდვათა მიტევებისა და ღმერთთან და ეკლესიასთან ცოდვის ჩამდენის შერიგების საიდუმლოს“, იხ.: პიერო პეტროზილო, დასახ. ნაშრ., გვ. 391.
- <sup>44</sup> 1. მ. ჯინორია, თქვენი სიცოცხლე ჩემი სიცოცხლეა, თბ., 2009, გვ. 90; 2. ა. მინდიაშვილი, ეს ჯვარი თქვენამდე სულ სისხლით ვატარე, თბ., 2008, გვ. 103-104.
- <sup>45</sup> პროტოპრესვიტერი მიხეილ პომპანსკი, დოგმატური ღვთისმეტყველება, მეორე, შესწორებული გამოცემა, თბ., 2006, გვ. 256.
- <sup>46</sup> პროტოპრესვიტერი მიხეილ პომპანსკი, იხ.: დასახ. ნაშრ., გვ. 255-256.
- <sup>47</sup> იხ., იქვე.
- <sup>48</sup> კორინთელი რეზო, მონანიების ცნება ფსიქოთერაპიაში, ჟურნალი: „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში, წარსული, აწმყო, მომავალი“ II საერთაშორისო სიმპოზიუმი, საქართველოს საპატრიარქო, ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 25-26 ნოემბერი 2005, გვ. 119.
- <sup>49</sup> 1. ქათამაძე მიხეილ, სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ჟურნალი „ალმანახი“, №19, სისხლის სამართალი III, 2004, (მოპოვებულია 04.05.2013) [www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe](http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe); 2. ქათამაძე მიხეილ, დასახ. ნაშრ., იქვე, ფსიქოლოგიური რესოციალიზაცია კი, თავის თავში მოიცავს დამნაშავეს საზოგადოებაში ინტეგრაციას. ფსიქოთერაპიის ენაზე მონანიებას რაპარაციის, ანუ ინტეგრაციის, აღდგენა-გამოსწორების ცნება შეესაბამება.
- <sup>50</sup> „ხოლო იესო ქრისტემან სიკუდილითა თვისთა აღიხუნა ცოდუანი სოფლისანი და ტანჯუა იგი ცოდუთა ჩუენთათს განწესებული აგუაცილა. მისაგებელთა მათათათს, რომელნიცა ძუელსა შუულსა შინა შეცოდებულთათს განწინებულყო, იესო ქრისტემან ნებსითთა სიკუდილითა მისითა მოგუცა ზიარება და დადგაუა კანონად სინანულისა, რათა უკუეთუ ქრისტეანემან რაიმე ცუდუა, ანუ ბოროტი ჰქმნას, განეყენოს ზიარებისაგან, გინა თუ მცირედთა წელთა, გინა თუ მრავალთა, ანუ თუ სიკუდილადმცა, შემსგავსებულად კაცად-კაცადისა ცოდუთა“. იხ.: ჩიკვაიძე დავით, საეკლესიო სამართალი, იურისტის ბიბლიოთეკა, სალექციო კურსი, თბილისი, 2008, გვ. 66;
- <sup>51</sup> ჩიკვაიძე დავით, დასახ. ნაშრ., იქვე.
- <sup>52</sup> 1. ჩიკვაიძე დავით, საეკლესიო სამართალი, იურისტის ბიბლიოთეკა, სალექციო კურსი, თბილისი, 2008, გვ. 66; 2. სასჯელთა ისტორიის შესახებ ექსორიის, წარღვნის, ხორციელი ტანჯვის, სიკვდილით დასჯის დადგენის, როგორც საეკლესიო სამართალში სასჯელის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ.: იოანე მმარხველი, კანონი შეცოდებულთათვის, მცირე სჯულისკანონი, რედ., ე. გიუნაშვილი თბ., 1972., იქვე, გვ. 66.
- <sup>53</sup> ჩიკვაიძე დავით, საეკლესიო სამართლის პროცესი, სადისერტაციო ნაშრ., თბ., 2012, გვ. 103.
- <sup>54</sup> იხ.: ჩიკვაიძე დავით, დასახ. ნაშრ., გვ. 67.
- <sup>55</sup> ვასილ ბაკურაძე, დანაშაული და სასჯელი ქრისტიანული სწავლების მიხედვით. იხ.: სანუგემო (საპყრობილემი მყოფთათვის), თბ., 2009, გვ. 71.
- <sup>56</sup> პიერო პეტროზილო, დასახ. ნაშრ., იქვე.
- <sup>57</sup> „მონანება არის, როდესაც კაცმა ისე ღრმად იცნო თავისი ცოდვა, რომელ შესწუხდა სულითა და გულითა, მოიძულა და მოიძაგა ის ცოდვა“. იხ.: ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა I ტომი, (თქმულნი 1870-1884) თბ., 2011, გვ. 306.
- <sup>58</sup> იხ.: 1. ლუკ. 7,38; 15, 21; მათ. 26, 27. ფს. 50, 5. 19. ეს. 66, 2. იოვ. 2, 12. 2 კორ. 7.10; 2. ჭეშმარიტი მონანიების მაგალითები მოცემულია

- სინანულის ფსალმუნებში: 6. 31. 37. 50. 101. 129. 142 და წინასწარმეტყველებთან: ეს. 1, 16-19. გოდ. 3, 39; მონანიების ნიმუში: დან.. 9, 3. იხ.: ბ. გოცეც, დასახ. ნაშრ., 2006, გვ. 282.
- <sup>59</sup> იხ.: მღვდელი ლევან მექოშიელი, მოძღვრისა და სულიერი შვილის ურთიერთობა, თბ., 2011, გვ. 6, 7, 8.
- <sup>60</sup> 1. ცოდვის მიტევება დაზარალებულის პატიებას არ გულისხმობს, რადგან პატიება შეუძლია მხოლოდ დაზარალებულს. დეტალური ინფორმაციისათვის იხ.: დისერტაციის II თავის, პარ. 3; 2. სისხლის სამართალში დაზარალებულის დამნაშავესთან შერიგება უნდა გამოიხატებოდეს არა, ზოგადად „ცოდვათა შენდობაში“, არამედ უნდა წარმოადგენდეს მის რეალურ განცხადებას სასამართლოში იმის თაობაზე, რომ აღარ აქვს პრეტენზიები დამნაშავეს მიმართ და აღარ ითხოვს მის დასჯას. დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ.: ზურაბ გოთუა, დასახ. ნაშრ., იქვე.
- <sup>61</sup> 1. ა. ჩაგუნავა, ლ. ყოლბაია, „ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი“. თბილისი, 2008, გვ. 128; 2; მეცნიერებაში უკვე დიდი ხანია დამტკიცებული, რომ ენერჯია მატერიაა. უფრო მეტიც, ფიზიკაში ტალღისებური მოძრაობა მატერიალური მოვლენების საფუძველია; ზოგადად, მატერიის შეცნობაც კი, არ ძალგვიძს ისე, როგორც ის არსებობს, რადგან მისი სპეციფიკური თვისებები – მასა, სიმკვრივე და სიმძიმე სუბიექტურია. იხ.: მღვდელმთავარი ლუკა (ვოინო-იასენცკი) „მეცნიერება და რელიგია, სული, სამშენებელი და სხეული“, თბილისი, 2003, გვ. 36.
- <sup>62</sup> ხოლო ადამიანის გარდაცვალების მერე ეს ენერჯია სულში აგრძელებს არსებობას.
- <sup>63</sup> მაიო კლინიკის კვლევა უთითებს, რომ პატიების სწავლება უკეთესი არჩევანია ჯანმრთელობისათვის. ადამიანში სიძულვილი იწვევს კარდიოვასკულარულ ეფექტს. კვლევამ დაადგინა, რომ პირადული წყენის, სიძულვილის მიმართ ფოკუსირება ადამიანში იწვევს წნევის მომატებას. როდესაც სუბიექტები გონებით პატიობენ წყენას, სიძულვილს, წნევა უბრუნდება ნორმალურ მდგომარეობას. იხ.: <http://www.mayoclinic.com/health/forgiveness/MH00131> (მოპოვებულია: 12.05.2013).
- <sup>64</sup> ა. ჩაგუნავა, ლ. ყოლბაია, ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი, თბ., 2008, გვ. 44-47, 179-180.
- <sup>65</sup> 1. მ. ჯინორია, დასახ. ნაშრ., გვ. 90; 2. ა. მინდიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 103-104, 111.
- <sup>66</sup> დოსტოევსკის ნაწარმოების „დანაშაული და სასჯელის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, რასკოლნიკოვი ამის კლასიკური მაგალითია.
- <sup>67</sup> ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია, როცა საქმე ეხებათ სექსუალურ მოძალადეებს, ნარკომანებს, არასრულწლოვანებს და სხვ., რომელთა მდგომარეობა მოითხოვს სულის გაძლიერებულ მკურნალობას.
- <sup>68</sup> პიერო პეტროზილო, იხ.: დასახ. ნაშრ., გვ. 76.
- <sup>69</sup> რედ. ელდერ ეკალაძე, მართლმადიდებლობის გაცნობა, ანუ სულიერი ცხოვრების დასაწყისი, (მთარგ. მელანია შანავა-ვეფხვაძე, გამომც. ლადო ვეფხვაძე) თბ., 2008, გვ. 69.
- <sup>70</sup> იხ.: პანაიოტის ი. ბუმისი, კანონიკური სამართალი, (მეორე გადამუშავებული გამოცემა) ათენი-თბ., 2010, გვ. 11.
- <sup>71</sup> დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.: აღნიშნული თავის მე-2 პარაგრაფი და მე-4 პარაგრაფის 4.2. ქვეპარაგრაფი.
- <sup>72</sup> იხ.: ოთარ ნიკოლაიშვილი, პატიმართა იმედი და ნუგეში, თბ., 2009, გვ. 25
- <sup>73</sup> 1820 წლამდე ფსიქიატრიული დახმარება საქართველოში არ არსებობდა. ფსიქიკურ ავადმყოფთა „მკურნალობას“ ეწეოდნენ ექიმბაშები, ბერები,

სამღვდელი მსახურნი და სხვ. ხოლო 1820 წელს გაიხსნა კავკასიაში ქ. თბილისის პირველი ფსიქიატრიული საავადმყოფო.

- <sup>73</sup> პირველი კრიმინოლოგიური „ლაბორატორია“ კი, შეიქმნა ითქვას ფუნქციონირებდა 1925 წელს, როდესაც ქ. თბილისში ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტთან გახსნილი იყო განყოფილება „ფსიქიატრიული ექსპერტიზისა და ბოროტმოქმედთა პიროვნების მეცნიერული შესწავლისთვის“ იხ.: გ. შენგელაია, სისხლის სამართლის უფლება, ბოროტმოქმედება და ბოროტმოქმედთა პიროვნების შესწავლის საკითხი, თანამედროვე მედიცინა, №9, თბ., 1927, გვ. 456.
- <sup>74</sup> ა. ჩაგუნავა, ლ ყოლბაია, დასახ. ნაშრ., გვ. 14, 27, 45, 48.
- <sup>75</sup> იხ.: რედ. ელდერ ეკალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 25.
- <sup>76</sup> არსებობს უამრავი ფაქტი, რომელიც ადასტურებს მადლის არსებობას, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ადამიანის ინტელექტი და ქმედება, რომლის შედეგად, ადამიანის მსოფლმხედველობა რადიკალურად იცვლება სასიკეთოდ. შეიქმნა გავიხსენოთ კრიმინალური წარსულის მქონე არაერთი ადამიანის ცხოვრების მაგალითი, რომელთაც ღვთის მადლის ზემოქმედებით შეიცვალეს ცხოვრების წესი და დარჩენილი ცხოვრება სიკეთის კეთებაში გაატარეს და წმინდანებადაც კი, შეირაცხნენ. მაგალითად, ეფრემ ასურის ცხოვრება. სხვა დამნაშავეების ცხოვრების ისტორიებზე დეტალური ინფორმაციისათვის იხ.: რედ. მარიამ ყიფიანი, ციხემ იგი ცოდვილად მიიღო და წმინდანად გამოუშვა, ჩვენც შენი ხალხი ვართ, თბ., 2012.
- <sup>77</sup> ასევე, არსებობს უამრავი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს მადლით მეცნიერებისათვის განუკურნებელი დაავადებების განკურნებას. ასეთი ფაქტები ცხოვრებაში ბევრია და განსაკუთრებით წმინდანების ცხოვრებაში, რის უნარსაც სრულიად მოკლებულნი არიან ფსიქოლოგები. მეცნიერება ჯერ კიდევ შორსაა ახსნას ისეთი მოვლენების კანონზომიერება, როგორცაა ლოცვების შემდეგ მედიცინისთვის განუკურნებელი დაავადებების კურნებები, მაშინ როდესაც არსებობს ამის უამრავი ფაქტობრივი მასალა, და რომელიც ყოველდღიურად აღესრულება საქართველოში (მაგალითად, წმ. ბერი გაბრიელის (ურგებაძე) საფლავიდან გადმოსული ზეთით კურნების ფაქტები; მისი უზრუნველი სისხლი; ბერი გაბრიელის ცხოვრებაზე გადაღებული ფილმი „სულის უკვდავების“ შესახებ; წმ. ბერი გაბრიელისა (ურგებაძე) და ბერი გიორგი ბასილადის ცხოვრებაზე გამოცემულ წიგნებში აღწერილია მადლის ზემოქმედების უამრავი ფაქტი და ა.შ.).
- <sup>78</sup> იხ.: პიორე პეტროზილო, დასახ. ნაშრ., გვ. 207.
- <sup>79</sup> ქრისტიანული მართლმადიდებლური რელიგიური ცოდნა დაგვეხმარება რელიგიურის, ფსიქოლოგიურისა და სოციალური სწავლებების კორელაციაში, დავადგინოთ მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, დადებითი და უარყოფითი მხარეები „მე“-ს შემეცნებისთვის, რაც წინამდებარე კვლევის ფარგლებში ვერ მოხერხდა.
- <sup>80</sup> ა. მინდიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 99-100.
- <sup>81</sup> ა. ჩაგუნავა, ლ ყოლბაია, დასახ. ნაშრ., 2008, გვ. 63.
- <sup>82</sup> მღვდელ-მონაზონი, კირიონი, ბერი გაბრიელის სწავლება, უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომცხადენ მე, თბ., 2009, გვ. 25-26.
- <sup>83</sup> ა. ჩაგუნავა, ლ ყოლბაია, დასახ. ნაშრ., გვ. 63.
- <sup>84</sup> მ. ჯინორია, დასახ. ნაშრ., გვ. 106.
- <sup>85</sup> სულიერი მდელი, მომზადებულია საქართველოს საპატრიარქოს პრეს-ცენტრში, რედ., თინათინ გოგოჩაშვილი, თბ., 2005, გვ. 419
- <sup>86</sup> ო. ნიკოლაიშვილი, მამა გაბრიელის საუბარი I (მეორე გამოცემა), თბ., 2009, გვ. 88, 127.

# REPENTANCE AS A PRINCIPAL FACTOR OF RE-SOCIALIZATION AND REHABILITATION OF CRIMINAL ACCORDING TO ORTHODOX DOCTRINE

DAVID TSULAIA

*PhD Student Ivane Javakishvili Tbilisi State University Faculty of Law*

Considerable number of scientists still considers crime as an illness, - spiritual (psychic) disorder, which needs to be treated from preventive and rehabilitative perspective. Taking into consideration that any crime in general is a sin and according to the Orthodox doctrine a sin is directly associated with an illness, the issue of criminality should be regarded with the consideration of the issues of soul and spiritual (psychic) diseases.

According to the Orthodox doctrine the flesh is not alive without soul and that a sin is a matter, negative, evil energy, which never disappears from human being. Hence, a feeling (emotional experience), thoughts and etc., caused by sin or crime, or even a intent, regardless it is criminal or not, is a real/factual category and manifestations of soul, which is an energy i.e. matter. According to the natural laws, substantiated scientifically, that neither energy, nor matter disappear without leaving a trace, a crime intent, thoughts, feelings, etc., or intent, feelings produced by crime as a negative energy nests in the human's soul, which causes mental illnesses - psychic disorder, clinical picture of which is seen in real/factual categories of soul, such as grief, spleen, anger, hate, aggression etc., that requires respective treatment. According to Orthodox doctrine, repentance burns the sin, sinful thoughts and person gets cured. Neutralization of sins and sinful thoughts is only possible by mourning over and repenting the sin. Cordial repentance means that sins



confessed are never repeated after being forgiven. It means you hate the sin, expel it and you will never commit it again. Since the crime has its addressee, by commission of crime a criminal not only inflicts his/her soul, but also inflicts souls of direct and indirect addressee, meaning a concrete person, group of people, as well as, society as a victim.

Etymology and concept of the term of “penitence”, which directly defines the primary purpose of penitentiary institutions is also analyzed. Since the term “penitence” is “repentance” and consequently, the “Penitentiary Institution” means the “Place of Repentance”, repentance of crime should be regarded as a principal mean for ensuring re-socialization and rehabilitation of criminals. The research proves that without repentance, only formal serving of punishment term does not ensure re-socialization and rehabilitation of criminal, but brings opposite results. It is emphasized that no physiological or any other rehabilitating endeavors reaches the purpose of punishment, since they lack divine grace, which has rehabilitating power and is attained by human being through sincere repent of sins, by the help of priest and by the mercy of God.

The research paper examines the issues of how to cure a soul human diseased by crime, where and how such a person should be treated, who can take responsibility for such a treatment and what is implied by the knowledge of soul curing. By analyzing different aspects of repentance in the light of re-socialization and rehabilitation, it is concluded that repentance should be regarded not only as principal factor of re-socialization and rehabilitation of criminals, as well as a primary factor of crime prevention. In the end of research, the respective proposals and recommendations in terms of Penitentiary Policy are also provided.

# ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული საერთაშორისო სისხლის სამართალში

გიორგი ღვებუაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

## შესავალი

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ერთ-ერთი უძველესი და უმძიმესი დანაშაულია საერთაშორისო სისხლის სამართლის ისტორიაში, რომელიც საფრთხეს უქმნის მსოფლიოს მშვიდობას, უშიშროებასა და კეთილდღეობას.<sup>1</sup>

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნება შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც ადამიანის უფლებათა იმპლემენტაცია საერთაშორისო სისხლის სამართლის ფარგლებში. თუ ადამიანის უფლებათა სამართალი ეხება ადამიანის უფლებათა დარღვევებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა, როგორც წესი, სახელმწიფოს მხრიდან მისი მოქალაქეების მიმართ, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობა მიზნად ისახავს სისხლისსამართლებრივი დევნა განახორციელოს ინდივიდებზე, რომლებმაც ჩაიდინეს ასეთი ქმედება.<sup>2</sup> გენოციდის და ომის დანაშაულებისაგან განსხვავებით, რომელთა კოდიფიკაცია მოხდა კონვენციებში დამტკიცებული ცნებებით, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჩამოყალიბდა არათანმიმდევრული დეფინიციების საფუძველზე. დანაშაულის შემადგენლობა შეიქმნა იმ მიზნით, რომ შეავსოს ის სივრცე, რომელსაც ომის დანაშაულის შემადგენლობა ღიად ტოვებს. თუმცა, ბევრი პარამეტრი განუსაზღვრელი დარჩა.<sup>3</sup>

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობის გაფართოების მცდელობა მუდმივად მიმდინარეობდა. თავდაპირველად, ნიურნბერგის და ტოკიოს ტრიბუნალების წესდებებში, იგი თავის თავში მოიცავდა გენოციდის დანაშაულის შემადგენლობას.<sup>4</sup> განსხვავებულად ჩამოყალიბდა მისი ცნება სისხლის სამართლის საერთაშორისო ad hoc ტრიბუნალების წესდებებში. საბოლოოდ, რომის სტატუტმა უარყო დანაშაულის დეფინიციამი იმ აუცილებელი ელემენტების არსებობა, რომელიც განისაზღვრა საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში და დანაშაულის ახლებური ცნება მე-7 მუხლში დაამტკიცა.

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნება საჭიროებს ზუსტ განმარტებას.<sup>5</sup> ამას მოითხოვს თავად საერთაშორისო სისხლის სამართლის მთავარი პრინციპი Nullum crimen sine lege, რომელიც მოცემულია რომის სტატუტის 22-ე მუხლში.<sup>6</sup> ნაშრომის მიზანია, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობის განხილვა და კვალიფიკაციისათვის აუცილებელი ნიშნების განსაზღვრა. ჯერ მიმოვიხილავთ დანაშაულის ისტორიას, თუ რა გზა განვლო მან ჰააგამდე, შემდეგ შევეხებით ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნებას რომის სტატუტის მე-7 მუხლის ფარგლებში, დანაშაულის მატერიალურ ელემენტებს, როგორცაა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმა, სახელმწიფო ან ორგანიზაციული პოლიტიკის, მიზეზობრივი კავშირის არსებობა, დანაშაულის მენტალურ ელემენტებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელ გარემოებებს და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობის სხვა დანაშაულის შემადგენლობისაგან განმასხვავებელ ნიშნებს.

## I. ისტორიული ექსკურსი რომის სტატუტამდე

ტერმინი „ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“ პირველად, გვხვდება საფრანგეთის, ბრიტანეთის და რუსეთის მთავრობების 1915 წლის 28 მაისის დეკლარაციაში, სადაც იგი გამოიყენება ოსმალეთის იმპერიის მიერ სომხების მასობრივი მკვლევლობების აღსაწერად.<sup>7</sup> თუმცა, დეკლარაციას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დამნაშავეების მიმართ არ მოჰყოლია.<sup>8</sup>

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა პირველად, ნიურნბერგის ტრიბუნალის მიერ განხორციელდა.<sup>9</sup> ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-6(ც) მუხლის თანახმად, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული გულისხმობდა:

„მკვლევობას, განადგურებას, დამონებას, დეპორტაციასა და სხვა არაჰუმანურ ქმედებებს, რომელიც ჩადენილია ნებისმიერი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, ომის დროს ან ომამდე, ან პოლიტიკური, რასობრივი ან რელიგიური ნიშნით დევნას ტრიბუნალის იურისდიქციას მიკუთვნებულ ნებისმიერ დანაშაულთან დაკავშირებით ან ამ დანაშაულთა აღსრულების

მიზნით, მიუხედავად იმისა, ეს დარღვევა ითვლება თუ არა დანაშაულად ეროვნული სამართლით, სადაც იგი ჩადენილია.<sup>10</sup>

მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული არ წარმოადგენდა დანაშაულის ავტონომიურ კატეგორიას საერთაშორისო სამართალში.<sup>11</sup> იგი კავშირში უნდა ყოფილიყო წესდებით გათვალისწინებულ სხვა დანაშაულებთან.<sup>12</sup>

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნება, რომელიც პირველად, ლონდონის კონფერენციაზე ჩამოყალიბდა და საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებაში, აუცილებელ მოთხოვნად აყენებდა დასჯადი ქმედების კავშირს შეიარაღებულ კონფლიქტთან. ტრიბუნალის დამფუძნებელ სახელმწიფოებს სხვაგვარად ვერ წარმოედგინათ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნება.<sup>13</sup> მხოლოდ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის აგრესიულ ომთან კავშირით იყო შესაძლებელი აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირისათვის ნაცისტების გასამართლება.<sup>14</sup>

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დასჯადობას იგივე ფორმით ითვალისწინებდა ტოკიოს შორეული აღმოსავლეთის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებაც, მე-5(ნ) მუხლის ფარგლებში, თუმცა, გარკვეული მოდიფიკაციებით. მუხლის შინაარსიდან ამოღებულ იქნა „რასობრივი ნიშნით დევნა“ და დარჩა კონსტრუქცია „პოლიტიკური ან რელიგიური ნიშნით დევნა ტრიბუნალის იურისდიქციას მიკუთვნებულ ნებისმიერ დანაშაულთან დაკავშირებით.“<sup>15</sup> ნიურნბერგის და ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალების წესდებებში ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩართვა მართლაც, რევოლუციური იყო.<sup>16</sup>

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნების ნაწილობრივ განსხვავებულ დებულებას შეიცავდა ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა საკონტროლო საბჭოს მიერ გერმანიისათვის შექმნილი №10 კანონი, სადაც მუხლის შინაარსს არაჰუმანური ქმედებების ჩამონათვალში დაემატა გაუპატიურების, დაპატიმრების და წამების დასჯადობა. ასევე, არ იყო სავალდებულო დასჯადი ქმედების კავშირის დადგენა სხვა დანაშაულებთან, რასაც ითვალისწინებდა ნიურნბერგისა და ტოკიოს ტრიბუნალების წესდებები.<sup>17</sup>

ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის ad hoc სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების სტატუტების მიხედვით, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია სხვა დანაშაულებთან კავშირის გარეშე. თუმცა, რუანდის ტრიბუნალის წესდებისაგან განსხვავებით, ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის წესდება ინარჩუნებს დანაშაულის შეიარაღებულ კონფლიქტთან კავშირის აუცილებლობას:

„საერთაშორისო ტრიბუნალი უფლებამოსილია, განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ პირების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ქვემოთ ჩამოთვლილი დანაშაულებისათვის, როცა ისინი ჩადენილია საერთაშორისო ან შიდა ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის დროს და მიმართულია ნებისმიერი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ...“<sup>18</sup>

რუანდის ტრიბუნალის წესდება არ ითვალისწინებს დანაშაულის შეიარაღებულ კონფლიქტთან კავშირის აუცილებლობას და დანაშაულის ცნებას უმატებს დისკრიმინაციული მოტივის მტკიცების აუცილებლობას:

„საერთაშორისო ტრიბუნალი უფლებამოსილია, განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ პირების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ქვემოთ ჩამოთვლილი დანაშაუ-

ლებისათვის, როცა იგი ჩადენილია ნებისმიერი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმის ნაწილის სახით ნაციონალური, პოლიტიკური, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ნიშნით...“<sup>19</sup>

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების (რომის სტატუტის) მე-7 მუხლი არის ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის პირველი სრულყოფილი კოდიფიკაცია.<sup>20</sup> აქ ჩამოყალიბებულია დანაშაულის ცნება უფრო ფართოდ, ახალი მიდგომით, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის გამოცდილების გაზიარებით.<sup>21</sup>

## II. ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნება რომის სტატუტის მე-7 მუხლის მიხედვით

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთავარ მიღწევად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ იგი ნიურნბერგის, ტოკიოს და ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალების წესდებებისაგან განსხვავებით, უკვე აღარ მოითხოვს რაიმე კავშირის დადგენის აუცილებლობას არაჰუმანურ ქმედებასა და შეიარაღებულ კონფლიქტს შორის.<sup>22</sup> რუანდის ტრიბუნალის წესდებისაგან განსხვავებით, დანაშაულის ცნება ასევე, უარყოფს დისკრიმინაციული მოტივის არსებობასაც.

რომის სტატუტის მე-7(1) მუხლის მიხედვით, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ნიშნავს:

„რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას, როცა იგი ჩადენილია ნებისმიერ სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმების ფარგლებში, თავდასხმის გაცნობიერებით...“

დანაშაულის მთავარი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა მე-7 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი არაჰუმანური ქმედების ჩადენა, როგორც სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმის ნაწილი.<sup>23</sup> ინდივიდუალური აკრძალული ქმედება დანაშაულის ფარგლებში არის უფრო მეტი, ვიდრე ინდივიდუალური უფლებების დარღვევა. პირველადი დაცვის ობიექტი ეს არის საერთაშორისო თანამეგობრობა (ფართო გაგებით).<sup>24</sup>

### 1. მატერიალური ელემენტები

რომის სტატუტის მე-7 მუხლის შინაარსში შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე აუცილებელი მატერიალური ელემენტი. ესენია: სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული თავდასხმა, ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმა, სახელმწიფო ან ორგანიზაციული პოლიტიკის და მიზეზობრივი კავშირის არსებობა.

#### 1.1. სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული თავდასხმა

რომის სტატუტის მე-7 მუხლის მიხედვით, ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სამოქალაქო მოსახლეობა.

სამოქალაქო მოსახლეობაში იგულისხმება საერთო ნიშნის მქონე ადამიანთა ჯგუფი, რომელიც მას თავდასხმის ობიექტად ხდის.<sup>25</sup> შესაძლებელია დაზარალებული იყოს ნებისმიერი პირი. განურჩევლად მისი ეროვნებისა, ეთნიკურობისა ან სხვა ნიშნით გამორჩეული ჯგუფისადმი კუთვნილებისა.<sup>26</sup> სამოქალაქო მოსახლეობა, ფართო გაგებით, უნდა იყოს თავდასხმის ძირითადი ობიექტი და არა კონკრეტული, შემთხვევითი პირი.<sup>27</sup> ბრალდებამ უნდა დაამტკიცოს, რომ დანაშაულის მიზანი არ იყო კონკრეტული ნიშნით გამორჩეულ ინდივიდებზე, ან შემთხვევით შერჩეულ ჯგუფის წევრებზე თავდასხმა,<sup>28</sup> თუმცა, არც იმის მტკიცებაა სავალდებულო, რომ თავდასხმის მიზანში იყო ამოღებული გეოგრაფიულ რეგიონში მცხოვრები მთლიანი მოსახლეობა.<sup>29</sup>

იქიდან გამომდინარე, რომ რომის სტატუტი „მოქალაქეების“ ან „სამოქალაქო მოსახლეობის“ ცნებას არ განმარტავს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინასწარი წარმოების პალატა ეყრდნობა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართლს, რომლის მიხედვითაც, სამოქალაქო მოსახლეობაში იგულისხმება ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის შეიარაღებული ძალების წევრი, ასევე, სხვა კანონიერი კომბატანტები.<sup>30</sup>

## 1.2. ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმა

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნებაში ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის განმარტებას რომის სტატუტი არ იძლევა. იგი ალტერნატიული ხასიათისაა და გაშლილია ჩვეულებით სამართალში.<sup>31</sup>

„თავდასხმის“ ცნებაში არ მოიაზრება თავდასხმა „შეიარაღებული თავდასხმის“ გაგებით. იგი გულისხმობს მე-7(1) მუხლში მითითებულ არაჰუმანურ ქმედებათა მრავალჯერ ჩადენას, „კამპანიას“ ან „ოპერაციას“,<sup>32</sup> რომელიც მიმართულია სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ.<sup>33</sup> ეს მოთხოვნა ახალი არ არის.

თუ აშკარაა „ფართომასშტაბიანობის“ ელემენტი, აუცილებელი არ არის „სისტემატური“ ელემენტის მტკიცება.<sup>34</sup> ფართომასშტაბიანობა გულისხმობს ფართო ხასიათის (ბუნების) თავდასხმებს, სადაც სახეზეა დაზარალებულთა დიდი რაოდენობა.<sup>35</sup> იგი უნდა იყოს მასობრივი, ხშირი, კოლექტიურად ჩადენილი განსაკუთრებული სერიოზულობით.<sup>36</sup> თავდასხმა შეიძლება განხორციელდეს დიდ გეოგრაფიულ რეგიონში ან პატარა გეოგრაფიულ რეგიონში, მაგრამ დიდი რაოდენობის მოსახლეობის მიმართ.<sup>37</sup>

დანაშაული შესაძლებელია იყოს ფართომასშტაბიანი, თუ სახეზეა არაჰუმანურ ქმედებათა ერთობლიობა ან ერთჯერადი არაჰუმანური ქმედება, რომელიც თავისი არაორდინარული მნიშვნელობის (სიძლიერის) გამო ჩაითვლება ფართომასშტაბიანად.<sup>38</sup>

სისტემატური ტერმინი გულისხმობს „ორგანიზებულ ძალადობას“, რომელიც გამორიცხავს მოვლენათა შემთხვევითობას.<sup>39</sup> აღნიშნული ელემენტის ფარგლებში, თავდასხმა უნდა იყოს დაფუძნებული გეგმაზე, პოლიტიკაზე ან იდეოლოგიაზე, ფართო გაგებით.<sup>40</sup> კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია, რომ მე-7 მუხლში მოცემული აკრძალული ქმედებები არ იყოს „იზოლირებული ან შემთხვევითი“.<sup>41</sup>



### 1.3. სახელმწიფო ან ორგანიზაციული პოლიტიკა

რომის სტატუტის მე-7(2)(ა) მუხლის მიხედვით, სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული თავდასხმა ნიშნავს მე-7(1) მუხლში მითითებულ ქმედებათა მრავალჯერ ჩადენას, სახელმწიფო ან ასეთი თავდასხმის განხორციელებისაკენ მიმართული ორგანიზაციის პოლიტიკის გატარების ან ხელშეწყობის მიზნით. „ასეთი თავდასხმის განხორციელების პოლიტიკა“<sup>42</sup> მოითხოვს, რომ სახელმწიფომ ან ორგანიზაციამ აქტიურად შეუწყოს ხელი ან წაახალისოს ამგვარი თავდასხმა, მიმართული სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ.<sup>43</sup>

ქმედებათა მრავალჯერ ჩადენა აუცილებელი არ არის ხდებოდეს ერთი და იმავე ამსრულებლის მიერ. კონკრეტული მკვლელობა ჩადენილი ერთი ამსრულებლის მიერ, შესაძლებელია ჩაითვალოს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, თუ იგი შეესაბამება ფართომასშტაბიან ან სისტემატურ თავდასხმას. სახელმწიფო ან ორგანიზაციის პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს თავდასხმის აუცილებელ ნიშანს, არ არის აუცილებელი იყოს ფორმალისებური. საკმარისია იმ გარემოებების დადგენა, რამაც განაპირობა თვითონ ქმედების ჩადენა.<sup>44</sup> მრავალჯერ ჩადენა გულისხმობს, როგორც ერთსა და იმავე ქმედებას, რომელიც ჩადენილია მრავალჯერ, ასევე, სხვადასხვა ქმედებებსაც.<sup>45</sup>

ასევე, აუცილებელი არ არის ამსრულებელი იყოს რომელიმე სახელმწიფოს ან ორგანიზაციის წევრი, რომელიც ახორციელებს დანაშაულს. ნებისმიერი პირი, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოს ან ორგანიზაციის პოლიტიკის იმპლემენტაციის ან დახმარების მიზნით, შეიძლება განხილულ იქნეს ამსრულებლად.<sup>46</sup>

### 1.4. მიზეზობრივი კავშირი

დანაშაულები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ფართომასშტაბიან ან სისტემატურ თავდასხმებთან, არ უნდა ჩაითვალოს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებად. ეს დანაშაული არის „სპეციალური ბუნების“ მქონე დანაშაული.<sup>47</sup> სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია, რომ დანაშაული იყოს დაკავშირებული სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმასთან და ბრალდებულმა „იცოდეს“ ასეთი თავდასხმის შესახებ.<sup>48</sup>

აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის არსებობა ბრალდებულის ქმედებასა და თავდასხმას შორის.<sup>49</sup> შესაბამისად, ნებისმიერი ქმედება, რომელიც მოცემულია მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის (ა)-(კ) ქვეპუნქტებში, უნდა იქნეს ჩადენილი როგორც „ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ნაწილი“, ან „ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის“ ხელშეწყობის მიზნით,<sup>50</sup> რომელიც მიმართულია სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ.<sup>51</sup> ქმედება იყო თუ არა თავდასხმის ნაწილი, ამის დადგენა ხდება თვითონ ქმედების ხასიათით, მიზნებით, „ბუნებით“ თუ შედეგებით.<sup>52</sup>

## 2. დანაშაულის მენტალური ელემენტები

რომის სტატუტის მე-7(1) მუხლის მიხედვით, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის აუცილებელი მენტალური ელემენტია თავდასხმის ცოდნა. „ცოდნა“ ნიშნავს „იმის

გაცნობიერებას, რომ გარემოება არსებობს ან შედეგი დადგება მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში“. <sup>53</sup> იგი, ასევე, ასახულია დანაშაულის ელემენტების მე-7 მუხლის განმარტებაში. <sup>54</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების (ტრიბუნალების) წესდებებიდან, რომის სტატუტი არის პირველი, სადაც ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნებაში მოცემული, პირდაპირ განისაზღვრა თავდასხმის ცოდნის ელემენტის არსებობის აუცილებლობა. <sup>55</sup> თუმცა, დანაშაულის მიმართ აღნიშნული მენტალური ელემენტის მტკიცების ვალდებულებას შეიცავდა საერთაშორისო სისხლის სამართლის ჩვეულებითი სამართალიც, <sup>56</sup> რამაც განაპირობა მისი ასახვა რომის სტატუტის მე-7(1) მუხლში.

თავდასხმის ცოდნა არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს იგი მოითხოვდეს იმის მტკიცებას, რომ დანაშაულის ჩამდენ პირს უნდა სცოდნოდა თავდასხმის ყველა მახასიათებელი ნიშანი, სახელმწიფოსა თუ ორგანიზაციის გეგმისა და პოლიტიკის ზუსტი დეტალები. <sup>57</sup> თავდასხმის ცოდნა შეიძლება გამომდინარეობდეს ბრალდებულის სხვადასხვა თანამდებობრივი პოზიციიდან, ასეთი შეიძლება იყოს ბრალდებულის სამხედრო იერარქიული პოზიცია, მისი მნიშვნელოვანი როლი, მისი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენის პროცესში და ა.შ. <sup>58</sup>

გენოციდის დანაშაულის შემადგენლობისაგან განსხვავებით, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობა არ ითხოვს სპეციალური განზრახვის არსებობას. ასევე, საინტერესოა რუანდის ტრიბუნალის წესდებაში ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნებაც, რომელიც განსხვავდება რომის სტატუტის მე-7 მუხლისგან. <sup>59</sup> რუანდის ტრიბუნალის სტატუტის მე-3 მუხლის მიხედვით, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ჩადენილია სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ეროვნული, პოლიტიკური, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ნიშნით მიმართული ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ნაწილის სახით. <sup>60</sup> აღნიშნული დისკრიმინაციული მოტივის არსებობას რომის სტატუტის მე-7 მუხლი <sup>61</sup> და ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის წესდების მე-5 მუხლი არ ითვალისწინებს. ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის სააპელაციო პალატამ ტადიჩის საქმეზე პირდაპირ უარყო აღნიშნული მენტალური ელემენტის არსებობა დანაშაულის ცნებაში. თუმცა, აღინიშნა, რომ უმეტეს შემთხვევებში, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩადენა მიმდინარეობს ნაციონალური, პოლიტიკური, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ნიშნით. <sup>62</sup> რუანდის ტრიბუნალის წესდებაში ამ მენტალური ელემენტის არსებობის აუცილებლობა გამომდინარეობდა რუანდაში არსებული სიტუაციიდან, სადაც თითქმის ყველა დანაშაულს დისკრიმინაციული მოტივი ჰქონდა. <sup>63</sup>

### **3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელი გარემოებები**

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელი გარემოებები, ძირითადად, გათვალისწინებულია რომის სტატუტის 31-ე-34-ე მუხლებში. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, 33-ე მუხლის მიმართება ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ

დანაშაულთან, რომელიც ეხება „უფროსის ბრძანებას და კანონის დანაწესს“. ამ მუხლის მიხედვით, თუ პირმა სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაული ჩაიდინა მთავრობის ან ზემდგომი სამხედრო თუ სამოქალაქო უფროსის ბრძანების შესრულებისას, იგი თავისუფლდება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ პირს ეკისრებოდა მთავრობის ან აღნიშნული უფროსის ბრძანების შესრულების იურიდიული ვალდებულება, პირმა არ იცოდა ბრძანების უკანონობის შესახებ და ბრძანება არ იყო აშკარად უკანონო ხასიათის.<sup>64</sup> ნიშანდობლივია, რომ მესამე ნიშანთან მიმართებაში რომის სტატუტი ითვალისწინებს გამონაკლისს, რომლის მიხედვითაც, ბრძანებები გენოციდის დანაშაულის ან ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის შესახებ ჩაითვლება აშკარად უკანონოდ,<sup>65</sup> მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არსებობდეს პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელი სხვა ნიშნები. ეს მეტყველებს დანაშაულის განსაკუთრებულ ხასიათზე.

### III. ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის განსხვავება სხვა საერთაშორისო დანაშაულებსაგან

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, საერთო ნიშნების მიუხედავად, განსხვავდება გენოციდისა და ომის დანაშაულისაგან.

ომის დანაშაულისაგან განსხვავებით, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მთავარ მაკვალიფიცირებელ გარემოებას, რომის სტატუტის მიხედვით, უკვე აღარ წარმოადგენს შეიარაღებული კონფლიქტის არსებობა. თუ იზოლირებული ქმედებაც შეიძლება იქნეს მიჩნეული ომის დანაშაულად, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში ქმედება განხილულია, როგორც სისტემატური ან ფართომასშტაბიანი თავდასხმის ნაწილი. ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობის დაცვის სფეროს წარმოადგენს დაზარალებული, განურჩევლად მისი ეროვნებისა თუ რომელიმე სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებისა, მაშინ, როცა ომის დანაშაულის შემადგენლობა მიმართულია იმ პირების დაცვისაკენ, რომლებიც კავშირში არიან კონფლიქტის მეორე მხარესთან. ომის დანაშაულისაგან განსხვავებით, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ეხება შემთხვევებს, რომლებიც ძირითადად, სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ არის მიმართული.<sup>66</sup>

გენოციდის დანაშაული თავდაპირველად განხილული იყო, როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის „ოდიოზური ფორმა“,<sup>67</sup> სადაც ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ფარგლებში ადგილი ჰქონდა ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის განადგურების სპეციალურ განზრახვას.<sup>68</sup> დროთა განმავლობაში, ეს დანაშაულები ერთმანეთს გამოეყო და ჩამოყალიბდა განსხვავებული, აუცილებელი კრიტერიუმები. ამ ეტაპზე უადგილოა გენოციდის დანაშაულის განხილვა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში, თუმცა, ნებისმიერი გენოციდის დანაშაულის მაგალითი სავსებით დააკმაყოფილებდა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის აუცილებელ მოთხოვნებს.<sup>69</sup> გენოციდის დანაშაულის შემადგენლობა, როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ

მიმართული დანაშაულისაგან დამოუკიდებელი დანაშაული, არ ითხოვს სახელმწიფო ან ორგანიზაციული პოლიტიკის არსებობას.<sup>70</sup>

## დასკვნა

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის პრეცედენტული სამართალი უფრო და უფრო ვითარდება. კვლევა გვიჩვენებს, რომ დანაშაულის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი ნიშნები მარტივდება, რაც მისი ეფექტიანი უზრუნველყოფის მიზნით ხდება. მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის ცნებამ ნიურნბერგიდან ჰააგამდე პერიოდულად, რამდენჯერმე განიცადა არსებითი ცვლილება, უცვლელი დარჩა დანაშაულის ბუნება და მისი განსაკუთრებული ხასიათი, რის გამოც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოები ახორციელებენ მასზე იურისდიქციას. მისი განსაკუთრებულობა გამოიხატება დანაშაულის ჩადენის ფორმაში, რომელიც გულისხმობს ფართომასშტაბიან ან სისტემატურ თავდასხმას სამოქალაქო მოსახლეობაზე. საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმა აღნიშნულ შემთხვევაში, იცავს საყოველთაო სამართლებრივ სიკეთეს, საზოგადოებრივ უშიშროებას, კეთილდღეობას და უსაფრთხოებას (პირველადი დაცვის ობიექტი) და ამასთან, ინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთეს, როგორცაა კონკრეტულ პირთა სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ა.შ. (დამატებითი დაცვის ობიექტი). შეგვიძლია ვთქვათ, რომ დანაშაულის დაცვის ობიექტი არის საერთაშორისო თანამეგობრობა ფართო გაგებით, ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები, რომელთა დაცვისათვის არის შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციები და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოები.

სისხლის სამართლის საერთაშორისო დოგმატიკა და პოლიტიკა მიმართულია რა, ფართომასშტაბიანი ან სისტემატური დანაშაულების აღკვეთისაკენ, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დასჯადობას. მისი დასჯადობა დამოკიდებულია ერთი მხრივ, საერთაშორისო სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების ეფექტიან მუშაობაზე და მეორე მხრივ, ნაციონალურ მართლმსაჯულებაზე. თუ არა საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი ეფექტიანი გარემო, დანაშაულის დასჯადობა დგება კითხვის ნიშნის ქვეშ. თუ სახელმწიფო უუნაროა ან არ სურს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დასჯადობა უკვე მთლიანად დამოკიდებულია საერთაშორისო მართლმსაჯულებაზე. მისი პრევენცია უზრუნველყოფს საერთაშორისო თანამეგობრობის მთავარ მიზანს – ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ფუნდამენტური უფლებების დაცვას, რომლის გარეშეც შეუძლებელია კაცობრიობის არსებობა.

**შენიშვნები:**

- <sup>1</sup> იხ.: რომის სტატუტის პრეამბულა.
- <sup>2</sup> იხ.: *William A. Schabas – The International Criminal Court: A Commentary on the Rome Statute*, Oxford University Press, Oxford, 2010, გვ. 139.
- <sup>3</sup> შუად. *Robert Cryer, Hakan Friman, Darryl Robinson, Elizabeth Wilmsburst – An Introduction to International Criminal Law and Procedure*, Cambridge University Press, Cambridge, 2<sup>nd</sup> ed., 2010, გვ. 230.
- <sup>4</sup> გენოციდის დანაშაულის შემადგენლობა დამოუკიდებელ, ინდივიდუალურ დანაშაულად ჩამოყალიბდა 1948 წლის „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ“ კონვენციით. იხ.: გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლი; ასევე, იხ.: *Helmut Satzger – International and European Criminal Law*, C.H.Beck.Hart.Nomos, München, 2012, გვ. 246, 254; გენოციდის კონვენციაზე დაწვრილებით იხ.: *William A. Schabas – Genocide in International Law, The Crime of Crimes*, Cambridge University Press, Cambridge, 2<sup>nd</sup> ed., 2009, გვ. 59-116.
- <sup>5</sup> იხ.: დანაშაულის ელემენტების მე-7 მუხლის შესავლის 1-ლი პუნქტი. ქართული ვერსია <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=4&lang=geo> (30.05.13).
- <sup>6</sup> „დანაშაულის განსაზღვრება ექვემდებარება ზუსტ განმარტებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით. ორაზროვნების შემთხვევაში, დანაშაულის განსაზღვრების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სასარგებლოდ“. იხ.: რომის სტატუტის 22(2)-ე მუხლი; „ამით საერთაშორისო სისხლის სამართალი განსხვავდება ნაციონალური სისხლის სამართლისაგან, სადაც ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის (in dubio pro reo) პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებს მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში და არა მატერიალური ნორმის სამართლებრივი ინტერპრეტაციის დროს“. იხ.: *მერაბ ტურავა*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, მე-9 გამოცემა, 2013, გვ. 40-41.
- <sup>7</sup> იხ.: *Kriangsak Kittichaisaree – International Criminal Law*, Oxford University Press, Oxford, 2001, გვ. 85-86; ასევე, იხ.: *Robert Cryer, Hakan Friman, Darryl Robinson, Elizabeth Wilmsburst – An Introduction to International Criminal Law and Procedure*, Cambridge University Press, Cambridge, 2<sup>nd</sup> ed., 2010, გვ. 230-231.
- <sup>8</sup> იხ.: *Helmut Satzger – International and European Criminal Law*, C.H.Beck.Hart.Nomos, München, 2012, გვ. 254; ასევე, იხ.: *Antonio Cassese – International Criminal Law*, Oxford University Press, Oxford, 2<sup>nd</sup> ed., 2008, გვ. 101.
- <sup>9</sup> იხ.: *William A. Schabas – The International Criminal Court: A Commentary on the Rome Statute*, Oxford University Press, Oxford, 2010, გვ. 139.
- <sup>10</sup> იხ.: ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-6(c) მუხლი, [http://www.icls.de/dokumente/imt\\_statute.pdf](http://www.icls.de/dokumente/imt_statute.pdf) (30.05.13).
- <sup>11</sup> შუად. *Helmut Satzger – International and European Criminal Law*, C.H.Beck.Hart.Nomos, München, 2012, გვ. 254.
- <sup>12</sup> „ტრიბუნალის იურისდიქციას მიკუთვნებულ ნებისმიერ დანაშაულთან დაკავშირებით ან ამ დანაშაულთა აღსრულების მიზნით“.
- <sup>13</sup> საერთაშორისო თანამეგობრობის კანონმდებლობა მართლმსაჯულების საკითხთან დაკავშირებით იყო უფრო მკაცრი, ვიდრე დღევანდელი. დაწვრილებით იხ.: *Antonio Cassese, Guido Acquariva, Mary Fan, and Alex Whiting – International Criminal Law, Cases and Commentary*, Oxford University Press, Oxford, 2011, გვ. 54.
- <sup>14</sup> იხ.: *William A. Schabas – The International Criminal Court: A Commentary on the Rome Statute*, Oxford University Press, Oxford, 2010, გვ. 145.
- <sup>15</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ.: *Robert Cryer, Hakan Friman, Darryl Robinson, Elizabeth Wilmsburst – An Introduction to International Criminal Law and*

Procedure, Cambridge University Press, Cambridge, 2<sup>nd</sup> ed., 2010, გვ. 233, სქოლიო 9; ასევე, იხ.: ტოკიოს შორეული აღმოსავლეთის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-5(c) მუხლი. ხელმისაწვდომია *Gerhard Werle – Principles of International Criminal Law*, T.M.C. Asser Press, The Hague, 2<sup>nd</sup> ed., 2009, გვ. 556.

<sup>16</sup> აღნიშნულ საკითხზე დანვრილებით იხ.: *Margaret M deGuzman – Crimes against humanity* ნიგნში: *William A. Schabas and Nadia Bernaz* (ed.) – Routledge Handbook of International Criminal Law, Routledge, London, 2011, გვ. 122-123.

<sup>17</sup> იხ.: იქვე; იხ. ასევე: ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა საკონტროლო საბჭოს მიერ გერმანიისთვის შექმნილი №10 კანონის მე-2(c) მუხლი. *Gerhard Werle – Principles of International Criminal Law*, T.M.C. Asser Press, The Hague, 2<sup>nd</sup> ed., 2009, გვ. 557.

<sup>18</sup> იხ.: ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის წესდების მე-5 მუხლი, <http://www.icty.org/sections/LegalLibrary/StatuteoftheTribunal> (30.05.13).

<sup>19</sup> იხ.: რუანდის ტრიბუნალის წესდების მე-3 მუხლი, <http://www.unictr.org/Legal/StatuteoftheTribunal/tabid/94/Default.aspx> (30.05.13).

<sup>20</sup> შეად. *Claus Kress* – International Criminal Law, Max Planck Encyclopedia of Public International Law, პარ. 32. ხელმისაწვდომია <http://www.mpepil.com> (30.05.13).

<sup>21</sup> იხ.: *William A. Schabas – An Introduction to the International Criminal Court*, Cambridge University Press, Cambridge, 4<sup>th</sup> ed., 2011, გვ. 109-დან...

<sup>22</sup> იხ.: *William A. Schabas – The International Criminal Court: A Commentary on the Rome Statute*, Oxford University Press, Oxford, 2010, გვ. 144-147.

<sup>23</sup> იხ.: *Prosecutor v. Jean-Pierre Bemba Gombo*, Decision Pursuant to Article 61(7)(a) and (b) of the Rome Statute on the Charges (ICC-01/05-01/08), Pre-Trial Chamber II, 15 June 2009, პარ. 74.

<sup>24</sup> იხ.: *Helmut Satzger – International and European Criminal Law*, C.H.Beck.Hart.Nomos, München, 2012, გვ. 256.

<sup>25</sup> იხ.: *Gerhard Werle – Principles of International Criminal Law*, T.M.C. Asser Press, The Hague, 2<sup>nd</sup> ed., 2009, გვ. 293.

<sup>26</sup> იხ.: *Prosecutor v. Jean-Pierre Bemba Gombo*, Decision Pursuant to Article 61(7)(a) and (b) of the Rome Statute on the Charges (ICC-01/05-01/08), Pre-Trial Chamber II, 15 June 2009, პარ. 76; *Prosecutor v. Germain Katanga and Mathieu Ngudjolo Chui*, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/07), Pre-Trial Chamber I, 30 September 2008, პარ. 399.

<sup>27</sup> იხ.: იქვე.

<sup>28</sup> იხ.: იქვე, პარ. 77.

<sup>29</sup> იხ.: იქვე.

<sup>30</sup> იხ.: იქვე, პარ. 78.

<sup>31</sup> განსხვავებული აზრი რომის სტატუტის მე-7(1) მუხლის და მე-7(2)(a) მუხლის ფარგლებში „სისტემატური“ ან „ფართომასშტაბიანი“ თავდასხმის ელემენტების კუმულაციურად გამოყენების შესახებ იხ.: *William A. Schabas – The International Criminal Court: A Commentary on the Rome Statute*, Oxford University Press, Oxford, 2010, გვ. 149.

<sup>32</sup> იხ.: *Prosecutor v. Jean-Pierre Bemba Gombo*, Decision Pursuant to Article 61(7)(a) and (b) of the Rome Statute on the Charges (ICC-01/05-01/08), Pre-Trial Chamber II, 15 June 2009, პარ. 75.

<sup>33</sup> იხ.: რომის სტატუტის მე-7(2)(a) მუხლი.

<sup>34</sup> იხ.: *Prosecutor v. Germain Katanga and Mathieu Ngudjolo Chui*, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/07), Pre-Trial Chamber I, 30 September 2008, პარ. 412; *Prosecutor v. Jean-Pierre Bemba Gombo*, Decision Pursuant to Article 61(7)(a) and (b) of the Rome Statute on the Charges (ICC-01/05-01/08), Pre-Trial Chamber II, 15 June 2009, პარ. 82.

<sup>35</sup> იხ.: იქვე, პარ. 394-397; *Prosecutor v. Omar Hassan Ahmad Al Bashir*, Decision on the Prosecution's Application for a Warrant of Arrest (ICC-01/05-01/09), Pre-Trial Chamber I, 4 March 2009, პარ. 81.



- <sup>36</sup> იხ.: იქვე, პარ. 395, 398; *Prosecutor v. Jean-Pierre Bemba Gombo*, Decision Pursuant to Article 61(7)(a) and (b) of the Rome Statute on the Charges (ICC-01/05-01/08), Pre-Trial Chamber II, 15 June 2009, პარ. 83; ix.: *Prosecutor v. Akayesu*, Judgement (ICTR-96-4-T), Trial Chamber, 2 September 1998, პარ. 580.
- <sup>37</sup> იხ.: *Prosecutor v. Jean-Pierre Bemba Gombo*, Decision Pursuant to Article 61(7)(a) and (b) of the Rome Statute on the Charges (ICC-01/05-01/08), Pre-Trial Chamber II, 15 June 2009, პარ. 83-84; *Prosecutor v. William Samoei Ruto, Henry Kiprono Kosgey and Joshua Arap Sang*, Decision on the Prosecutor's Application for Summons to Appear for *William Samoei Ruto, Henry Kiprono Kosgey and Joshua Arap Sang* (ICC-01/09-01/11), Pre-Trial Chamber II, 8 March 2011, პარ. 14-33.
- <sup>38</sup> იხ.: *Prosecutor v. Kordic et al.*, Judgement (ICTY-95-14/2-T), Trial Chamber, 26 February 2001, პარ. 179; *Prosecutor v. Kordic et al.*, Judgement (ICTY-95-14/2-A), Appeals Chamber, 14 December 2004, პარ. 94.
- <sup>39</sup> იხ.: *Prosecutor v. Akayesu*, Judgement (ICTR-96-4-T), Trial Chamber, 2 September 1998, par. 580; *Prosecutor v. Omar Hassan Ahmad Al Bashir*, Decision on the Prosecution's Application for a Warrant of Arrest (ICC-01/05-01/09), Pre-Trial Chamber I, 4 March 2009, პარ. 81.
- <sup>40</sup> იხ.: *Helmut Satzger* – International and European Criminal Law, C.H.Beck.Hart.Nomos, München, 2012, გვ. 257.
- <sup>41</sup> იხ.: *Prosecutor v. Kunarac et. al.*, Judgement (ICTY-IT-96-23&IT-96-23/1-A), Appeal Chamber, 12 June 2002, par. 96; *Prosecutor v. Jean-Pierre Bemba Gombo*, Decision Pursuant to Article 61(7)(a) and (b) of the Rome Statute on the Charges (ICC-01/05-01/08), Pre-Trial Chamber II, 15 June 2009, პარ. 83.
- <sup>42</sup> სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული თავდასხმის პოლიტიკა ხორციელდება სახელმწიფოს ან ორგანიზაციის საქმიანობით. ამგვარი პოლიტიკის განხორციელება შეიძლება მოხდეს, განსაკუთრებულ გარემოებებში, წინასწარ განზრახული უმოქმედობით, რომელიც ცნობიერადაა მიმართული ამგვარი თავდასხმის წახალისებაზე. ამგვარი პოლიტიკის არსებობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ სახელმწიფოს ან ორგანიზაციის უმოქმედობის არსებობით. იხ.: დანაშაულის ელემენტების მე-7 მუხლის შესავლის მე-3 პუნქტის მე-6 სქოლიო.
- <sup>43</sup> იხ.: დანაშაულის ელემენტების მე-7 მუხლის შესავლის მე-3 პუნქტი.
- <sup>44</sup> იხ.: *Prosecutor v. Tadić, Opinion and Judgement* (ICTY-IT-94-1-T), Trial Chamber, 7 May 1997, პარ. 653-655; *Prosecutor v. Jean-Pierre Bemba Gombo*, Decision Pursuant to Article 61(7)(a) and (b) of the Rome Statute on the Charges (ICC-01/05-01/08), Pre-Trial Chamber II, 15 June 2009, პარ. 81.
- <sup>45</sup> იხ.: *Gerhard Werle* – Principles of International Criminal Law, T.M.C. Asser Press, The Hague, 2<sup>nd</sup> ed., 2009, გვ. 297.
- <sup>46</sup> იხ.: იქვე, გვ. 303. „ორგანიზაციის“ ცნებასთან დაკავშირებით დაწვრილებით ასევე, იხ.: *Claus Kreß* – On the Outer Limits of Crimes against Humanity: The Concept of Organization within the Policy Requirement: Some Reflections on the March 2010 ICC Kenya Decision, 23 Leiden Journal of International Law, 2010, გვ. 855-873.
- <sup>47</sup> იხ.: *Prosecutor v. Tadić*, Judgement (ICTY-IT-94-1-A), Appeal Chamber, 15 July 1999, პარ. 271.
- <sup>48</sup> იხ.: იქვე.
- <sup>49</sup> დაწვრილებით იხ.: *Robert Cryer, Hakan Friman, Darryl Robinson, Elizabeth Wilmsburn* – An Introduction to International Criminal Law and Procedure, Cambridge University Press, Cambridge, 2<sup>nd</sup> ed., 2010, გვ. 243.
- <sup>50</sup> იხ.: *Prosecutor v. Germain Katanga and Mathieu Ngudjolo Chui*, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/07), Pre-Trial Chamber I, 30 September 2008, პარ. 400.
- <sup>51</sup> იხ.: *Prosecutor v. Jean-Pierre Bemba Gombo*, Decision Pursuant to Article 61(7)(a) and (b) of the Rome Statute on the Charges (ICC-01/05-01/08), Pre-Trial Chamber II, 15 June 2009, პარ. 84-85.

- <sup>52</sup> იხ.: იქვე პარ. 86.
- <sup>53</sup> იხ.: რომის სტატუტის 30(3)-ე მუხლი.
- <sup>54</sup> იხ.: დანაშაულის ელემენტების მე-7 მუხლის შესავალი და მე-7(1)(a) მუხლის მე-3 პარ.: „დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდა ან განზრახული ჰქონდა, რომ ქმედება წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ნაწილს“.
- <sup>55</sup> იხ.: *William A. Schabas – The International Criminal Court: A Commentary on the Rome Statute*, Oxford University Press, Oxford, 2010, გვ. 155.
- <sup>56</sup> იხ.: *Prosecutor v. Tadić*, Judgement (ICTY-IT-94-1-A), Appeal Chamber, 15 July 1999. პარ. 271; *Prosecutor v. Kunarac et al*, Judgement (ICTY-IT-96-23/1-A), Appeal Chamber, 12 June 2002, პარ. 102; *Prosecutor v. Blaskić*, Judgement (ICTY-IT-95-14-A), Appeal Chamber, 29 July 2004. პარ. 124.
- <sup>57</sup> იხ.: დანაშაულის ელემენტების მე-7 მუხლის შესავლის მე-2 პუნქტი; ასევე, იხ.: *Prosecutor v. Germain Katanga and Mathieu Ngudjolo Chui*, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/07), Pre-Trial Chamber I, 30 September 2008, პარ. 401.
- <sup>58</sup> იხ.: იქვე, პარ. 402.
- <sup>59</sup> იხ.: *Helmut Satzger – International and European Criminal Law*, C.H.Beck.Hart.Nomos, München, 2012, გვ. 258, პარ. 40
- <sup>60</sup> იხ.: რუანდის ტრიბუნალის სტატუტის მე-3 და მე-4 მუხლები, [www.unictt.org](http://www.unictt.org)
- <sup>61</sup> ზოგადად, რომის სტატუტის მე-7 მუხლი ეჭვს გარეშე არ მოითხოვს დისკრიმინაციულ განზრახვას ან მოტივს. გამონაკლისია მე-7(1)(h) მუხლი, რომელიც ეხება იდენტიფიცირებული ჯგუფის ან ერთობის დევნას პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, გენდერული ან სხვა ისეთი ნიშნის საფუძველზე, რომელიც საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ დაუშვებლად არის აღიარებული, დაკავშირებული მე-7(1) მუხლში აღნიშნულ რომელიმე ქმედებასთან ან სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ რომელიმე დანაშაულთან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ.: *William A. Schabas – The International Criminal Court: A Commentary on the Rome Statute*, Oxford University Press, Oxford, 2010, გვ. 175-180.
- <sup>62</sup> იხ.: *Prosecutor v. Tadić*, Judgement (ICTY-IT-94-1-A), Appeal Chamber, 15 July 1999. პარ. 297.
- <sup>63</sup> შეად. *Helmut Satzger – International and European Criminal Law*, C.H.Beck.Hart.Nomos, München, 2012, გვ. 258, პარ. 40.
- <sup>64</sup> იხ.: რომის სტატუტის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
- <sup>65</sup> იხ.: რომის სტატუტის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
- <sup>66</sup> იხ.: *Robert Cryer, Hakan Friman, Darryl Robinson, Elizabeth Wilmsburst – An Introduction to International Criminal Law and Procedure*, Cambridge University Press, Cambridge, 2<sup>nd</sup> ed., 2010, გვ. 233; *Prosecutor v. Germain Katanga and Mathieu Ngudjolo Chui*, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/07), Pre-Trial Chamber I, 30 September 2008, პარ. 399.
- <sup>67</sup> იხ.: იქვე, გვ. 234.
- <sup>68</sup> იხ.: *Claus Kress – The Crime of Genocide and Contextual Elements*, A Comment on the ICC Pre-Trial Chambers’s Decision in the Al Bashir Case, 7 *Journal of International Criminal Justice*, 2009, გვ. 304-306.
- <sup>69</sup> შეად. *Robert Cryer, Hakan Friman, Darryl Robinson, Elizabeth Wilmsburst – An Introduction to International Criminal Law and Procedure*, Cambridge University Press, Cambridge, 2<sup>nd</sup> ed., 2010, გვ. 234.
- <sup>70</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ.: *Claus Kress – The Crime of Genocide under International Law*, 4 *International Criminal Law Review*, Volume 6, 2006, გვ. 468-469.

# CRIMES AGAINST HUMANITY IN THE INTERNATIONAL CRIMINAL LAW

GIORGI DGEBUADZE

*Doctoral Student of the Faculty of Law at The Ivane Javakhisvili Tbilisi State University*

Crimes against humanity represents one of the oldest crimes in the history of international criminal law. Despite its concept has periodically undergone substantial changes from Nurnberg to the Hague, the nature of crime and its special nature have remained unchanged, and this is why the international criminal courts have jurisdiction over it. Its peculiarity is attributable to the form of committing the crime, which means widespread or systematic or regular attack on civilians. In this case the norm of the international criminal law protects the universal legal good, public security, welfare and safety, and also individual legal good, such as the life and health of particular people, etc. We can say that for this crime the object of protection is an international community with its broad meaning, fundamental human rights and freedoms, for protection of which international organizations and international criminal courts have been established. International dogmatics and policy of the criminal law, being focused on preventing extensive or systemic crimes, allocates special attention to the punishability of the crimes against humanity. Its prevention secures the main goal of international community, protection of human rights and freedoms. The article discusses the historical background of the crimes against humanity, the way it has gone through up to the Hague, also the concept of crime based on the case law of the international criminal courts, what necessary signs are necessary for its qualification and how it is different from the crimes covered by the international criminal law.

# სამოხელეო დავის განხორციელების სპეციფიკა, სამართლებრივი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

ნატო ბაინდურაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

## შესავალი

საზოგადოების განვითარებისა და სოციალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი გარანტი, თავისუფალი შრომითსამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებაა. შრომის უფლება ადამიანის უფლებათა იმ რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც აღიარებულია ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო აქტით – კონსტიტუციით და უზრუნველყოფილია საერთაშორისო კონვენციებით, ცალკეული კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით. შესაბამისად, შრომითსამართლებრივი ურთიერთობა საკანონმდებლო ნორმებითაა შემოფარგლული და მასში მონაწილე პირთა ურთიერთობებსაც კანონი განსაზღვრავს.

საქართველოს კონსტიტუცია – ერთმანეთისაგან მიჯნავს სახელმწიფო სამსახურში მუშაობისა და ზოგადად, შრომის უფლების განხორციელების შესაძლებლობას. კონსტიტუციის 29-ე მუხლის შესაბამისად:<sup>1</sup> „საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით“. პირველი პირობა სახელმწიფო სამსახურში მუშაობის დასაწყებად არის მოქალაქეობა. თუ ეს პირობა სახეზეა, მაშინ პირმა უნდა დააკმაყოფილოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი ადგენს.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით,<sup>2</sup> „შრომა თავისუფალია. შრომის უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო პირობები განისაზღვრება კანონით“. მოტიანილი მუხლით აღიარებული შრომის თავისუფლება ნებისმიერ ადამიანს ანიჭებს უფლებას მოიძიოს სამსახური და შრომის კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად, განახორციელოს საკუთარი შრომითი უფლება, ანუ მოიპოვოს სამსახური საკუთარი შესაძლებლობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად, ისარგებლოს შრომის ჯანსაღი პირობებით და ა.შ.

სწორედ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი განსაზღვრავს სამოხელეო სამართლის საფუძვლებს, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი ქვედარგია და საჯარო-სამართლებრივი უფლებების განხორციელებას ემსახურება საჯარო სამსახურის სფეროში.

საჯარო სამსახურმა უნდა შექმნას სახელმწიფო ინსტიტუტების ქმედითობის ეფექტიანი მექანიზმები და ამასთან, უნდა უზრუნველყოს მოქალაქეების სამართლიანად და თანასწორად მომსახურება.

საჯარო ადმინისტრირების ეფექტიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადამიანურ ფაქტორზე. თანამედროვე მენეჯმენტში საზოგადოდ აღიარებულია, რომ ყველაზე ძვირფასი რესურსი ნებისმიერი ორგანიზაციისათვის ადამიანია. პროფესიულ დონეზე მომზადებული და სათანადოდ მოტივირებული ადამიანები ქმნიან „ადამიანურ კაპიტალს“, რომელსაც მოაქვს დიდი მოგება სისტემის განვითარებაში.

საჯარო მოსამსახურე შეზღუდულია მორალური მოვალეობებით. პირადი ინტერესი არ უნდა იყოს უპირატესი საზოგადოების დაკვეთასთან მიმართებაში. სწორედ ამიტომ, საქმიანობა სახელმწიფო მმართველობის სფეროში რეგულირდება ადმინისტრაციული სამართლით, რომელშიც მოქმედებს მკაცრად განსაზღვრული წესები ჩინოვნიკების თვითნებობისაგან სახელმწიფო დასაზოგადოების ინტერესების დასაცავად.

ადმინისტრაციულსამართლებრივი რეგულირებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ინდივიდის უფლებათა და თავისუფლებათა კონსტიტუციურ განმტკიცებას, არამედ ამ უფლებათა და თავისუფლებათა ფაქტობრივი რეალიზაციის სრულყოფის საკითხს. სახელმწიფო ინსტიტუტის ფუნქციურ დანიშნულებათაგან უმთავრესი სწორედ ინდივიდის, მოქალაქის კანონიერი უფლებების განხორციელება და დაცვაა. ამ თვალსაზრისით, არცთუ ინტერესმოკლებულია საჯარო სამსახურის სფეროში სამოხელეო დავეები და მასთან დაკავშირებული პროცესუალური საქმისწარმოების პრობლემები. კერძოდ კი, ინტერესს იწვევს ის გარემოება, თუ რამდენად ცივილურ და სამართლებრივად დახვეწილი ფორმებით ხდება სამოხელეო დავეების წარმოება, რა უფლებები აქვს საჯარო მოსამსახურეს ასეთ შემთხვევაში და რამდენად დაცულია ეს უფლებები.

## I. საჯარო სამსახურის არსი

საჯარო სამსახური კომპლექსური ცნებაა და მისი განხილვა შესაძლებელია სხვადასხვა მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა თვითონ ტერმინი „სახელმწიფო

სამსახური“, რომელსაც სიტყვასიტყვითი განმარტებით მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს – სამსახური სახელმწიფოსათვის. სახელმწიფო სამსახური გულისხმობს მოქალაქეების მონაწილეობას სახელმწიფო მმართველობაში, საჯარო სამსახურში დასაქმების გზით. ამასთან, „სამსახური“ ნიშნავს დამკვეთის სასარგებლოდ რაიმე საქმიანობის განხორციელებას მისი სახელით, შესაბამისი ანაზღაურების ფასად.

საჯარო სამსახური ასევე, განხილება, როგორც განსაკუთრებული კატეგორიის ადამიანებისაგან შემდგარი სახელმწიფო აპარატი, აღჭურვილი მმართველობითი უფლებამოსილებებით – სახელმწიფო მოსამსახურეები.

მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფო სამსახურის უნიფიცირებული მოდელი. თუმცა, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საჯარო სამართლის სპეციალისტების მხრიდან არის მცდელობა სახელმწიფო სამსახურის სახეების განსაზღვრების უნიფიცირებული მიდგომისა, მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა იმ უნივერსალური კრიტერიუმის მოძებნა, რომელიც სრულყოფილად, მეცნიერულ დონეზე და ამომწურავად გამიჯნავდა სახელმწიფო სამსახურის სახეებს, მათი სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინებით. ეს აიხსნება მრავალი მიზეზით, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ორგანოთა მრავალფეროვნებით, მათი სტატუსით, ფუნქციებით, უფლებამოსილებებითა და სხვა.<sup>3</sup>

საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში საჯარო სამსახურში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული რეჟიმი მოქმედებს.

საქართველოში საჯარო სამსახურში მიღებისა და საქმიანობის სპეციალურ წესებს ადგენს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი,<sup>4</sup> რაც გულისხმობს შრომით ურთიერთობას არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე იმ დანესებულებაში, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობას და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვას.<sup>5</sup>

„ამდენად, საჯარო სამსახურის სამართალი სახელმწიფო ორგანოებსა და სხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებულთა სამართალია. ის არ მოიცავს სუბიექტებს, რომლებიც დასაქმებული არიან სხვა კერძო სამართლის იურიდიულ პირებში, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახელმწიფო საკუთარი ამოცანების შესასრულებლად იყენებს ორგანიზაციული მონყობის კერძო სამართლის ფორმას“.<sup>6</sup>

საჯარო სამსახურის სახეებია: სახელმწიფო სამსახური და სამსახური ადგილობრივ თვითმმართველობებში.<sup>7</sup>

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს ფედერალური, საშტატო და ადგილობრივი საჯარო სამსახური. აშშ-ის საჯარო სამსახურის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს საკონკურსო სამსახური (competitive service), უფროსი აღმასრულებელი სამსახური (Senior Executive Service) და საგამონაკლისო სამსახური (Excepted service).<sup>8</sup>

იმისათვის, რომ გვეჩვენოს საჯარო სამსახური, მას უნდა ჰქონდეს შემდეგი ელემენტები: უნდა არსებობდეს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით შექმნილი საჯარო დანესებულება, დანესებულებაში შესაბამის თანამდებობაზე არჩევის ან დანიშვნის აქტი, საშტატო განრიგი და ანაზღაურება.<sup>9</sup>



## II. საჯარო სამსახურის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს კანონმდებლობა საჯარო სამსახურის განხორციელებისათვის ითვალისწინებს სხვადასხვა შინაარსის სამ წესს.

### 2.1. საჯარო სამსახურის განხორციელების სამოხელეო სამართლებრივი წესი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესი, სამსახურში მიღებასა და გათავისუფლებასთან დაკავშირებით, ვრცელდება მხოლოდ საჯარო მოხელეებზე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ცალმხრივად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით, თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება საჯარო მოხელე. აღნიშნული პირების ბრძანებით (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით) გათავისუფლების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეგულაციები.

### 2.2. საჯარო სამსახურის განხორციელების შრომის სამართლებრივი წესი

სამსახურში მიღება და სამსახურიდან გათავისუფლება კერძო სექტორში და ასევე, საჯარო დაწესებულებებშიც, როდესაც ხდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დამხმარე ან შტატგარეშე მოსამსახურის თანამდებობებზე პირის დასაქმება, ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული წესით. კერძოდ, პირი მიიღება დაწესებულებაში კონკრეტული ფუნქციის განსახორციელებლად, მასთან იდება შრომითი (კერძოსამართლებრივი) ხელშეკრულება და აღნიშნული ხელშეკრულებით განისაზღვრება მისი უფლება-მოვალეობები. შრომითი ხელშეკრულება იდება შრომის კოდექსის თანახმად და აღნიშნულ შემთხვევაში, პირის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველებიც ან ხელშეკრულებიდან უნდა გამომდინარეობდეს ან შრომის კოდექსიდან. (თუმცა, მოქმედი კანონით და მცდარად დამკვიდრებული პრაქტიკით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, პირის დანიშვნასთან დაკავშირებული ნორმების გავრცელება ხდება საჯარო სამსახურში დასაქმებულ სხვა პირებზეც, კერძოდ, დამხმარე და შტატგარეშე მოსამსახურეებზე).

საყურადღებოა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიდგომა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. სასამართლო განმარტავს, რომ პირის განცხადება – ნების გამოვლენა – სამსახურის დაწყების შესახებ (ოფერტი) და ადმინისტრაციის თანხმობა (აქცეფტი – ბრძანების სახით), მასთან შრომითი ურთიერთობის დამყარების შესახებ, ასევე, ამ ორ სუბიექტს შორის ურთიერთობის და მათი უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტები ერთობლიობაში წარმოადგენს პირსა და საჯარო სამსახურს შორის ფაქტობრივი საჯარო შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტს და ამის დასადასტურებლად სრულიად არ არის საჭირო ერთიანი, გარკვეულ სისტემაში მოყვანილი ან გარკვეული ფორმის მქონე დოკუმენტის – ხელშეკრულების არსებობა.

აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა არ ავალდებულებს მხარეებს კონკრეტული შინაარსისა და სტილის მქონე დოკუმენტის გაფორმებას ხელშეკრულების დადებისას. ხელშეკრულებათა ფორმები და სტილი შეიძლება იყოს განსხვავებული და შესაბამისად, წერილობითი განცხადება და ბრძანება თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, ერთობლიობაში წარმოადგენს წერილობითი შრომითი ხელშეკრულების არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტებს.<sup>10</sup>

### 2.3. საჯარო სამსახურის განხორციელების საჯაროსამართლებრივი წესი

გარდა აღნიშნული წესებისა, სამსახურში მიღება და სამსახურიდან გათავისუფლება ხდება სხვადასხვა სპეციალური საკანონმდებლო აქტით განსაზღვრული წესითაც, როგორცაა მაგალითად, „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონი,<sup>11</sup> „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი,<sup>12</sup> „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“ საქართველოს კანონი<sup>13</sup> და სხვა. აღნიშნული მესამე კატეგორიის დასაქმების/გათავისუფლების წესი თავისი შინაარსით საჯარო სამართლებრივია, თუმცა, ვერ მივაკუთვნებთ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფეროს, ვინაიდან თავად ეს კანონი არ მიიჩნევს კულტურულ, საგანმანათლებლო და სპორტულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებას საჯარო სამსახურად. ანუ, ეს სამართლებრივი ურთიერთობა არ არის სამოხელეო სამართლებრივი. თუმცა, აღნიშნული საქმიანობის შინაარსის გათვალისწინებით, ისინი არც კერძო სამართლის სფეროს არ მიეკუთვნებიან. მოცემულ შემთხვევაში, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის დანიშვნის და გათავისუფლების წესს ინდივიდუალურად განსაზღვრავს კონკრეტული საკანონმდებლო აქტი. მაგალითად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ეს არის არჩევის წესი, ხოლო თეატრებში – პირდაპირი დანიშვნის წესი.

მნიშვნელოვანია გაანალიზდეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებულთა სამართლებრივი მდგომარეობა, მათი როგორც დანიშვნის ასევე, გათავისუფლების საქართველოს კანონმდებლობაში არსებული რეგულაციები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლისაგან განსხვავებით, ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება ხდება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადო აქტით, ანუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით. შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელთან დაკავშირებით წარმოშობილი შრომითი დავა წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რომელიც განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ცნება და მოცემულია იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ამომწურავი ჩამონათვალი, რომელშიც საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად, აღნიშნულ ჩამონათვალში კი, საერთოდ არ არის ნახსენები საჯარო სამართლის იურიდიული პირი. გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტის

2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში“ რანგირების მიხედვით მოცემულ ჩამონათვალში საერთოდ არ არის მითითება საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელზე, როგორც საჯარო სამსახურის ფარგლებში საჯარო სამსახურის განმახორციელებელ სუბიექტზე. აქედან გამომდინარე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში დასაქმებული პირები არ წარმოადგენენ საჯარო მოსამსახურეებს, შესაბამისად, მათზე ვრცელდება არა ‘საჯარო სამსახურის შესახებ’ საქართველოს კანონი, არამედ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი. ამასთან, დავის წარმოშობის შემთხვევაში, საქმე წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შრომითსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას.<sup>14</sup>

შრომითი დავის წარმოშობისას, სსიპ-ებში დასაქმებულ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ბუნდოვანი რეგულაციების გამო, საქმეების განსჯადობა ხშირად, სასამართლო განხილვის საგანი ხდება. ამდენად, მიზანშეწონილია, საკანონმდებლო დონეზე მკაფიოდ გაიწეროს სსიპ-ების ხელმძღვანელ პირთა საქმიანობა, როგორც საჯარო სამართლებრივი, ხოლო სხვა დანარჩენი დასაქმებულების მიმართ – შრომით სამართლებრივი. ამგვარი კონკრეტიზაცია საშუალებას მისცემს სსიპ-ებში დასაქმებულ პირებს უფრო ქმედითად და ეფექტიანად, ზედმეტი დროისა და ენერჯის დახარჯვის გარეშე, შეძლონ თავისი კანონიერი უფლებების სამართლებრივი დაცვა.

#### 2.4. საჯარო სამსახური საზღვარგარეთის ქვეყნებში

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) თავისი წევრი ქვეყნების მაგალითზე გამოჰყო და გამიჯნა უბრალო დაქირავებული პირებისა და საჯარო მოსამსახურეთა შორის პროფესიული თავისებურებები: ზოგადად, შრომის კანონის საფუძველზე, დაქირავებული პირი ვალდებულია შეასრულოს სამუშაო კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები, მისი დათხოვნა შეუძლია დამქირავებელს, მაშინ როცა, საჯარო პირი „აღჭურვილია“ ყოვლისმომცველი ვალდებულებებით სახელმწიფოს მთავრობის წინაშე და ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ის იღებს გაფრთხილებას ან ისჯება ხელფასის შემცირებით, დისკვალიფიკაციით ან სამსახურიდან დათხოვნით.<sup>15</sup>

მაგალითად, პორტუგალიაში კანონი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო მოსამსახურის სამართლებრივ სტატუსს და სამუშაო პირობებს, განასხვავებს მათი დანიშვნის სამოხელეოსამართლებრივ და შრომითსამართლებრივ საფუძველებს.<sup>16</sup>

ფინეთში საჯარო სამსახური რეგულირდება ფინეთის კონსტიტუციით, საჯარო სამსახურის აქტით და დასაქმების სფეროში მონაცემთა დაცვის კანონით, რაც გულისხმობს როგორც დამქირავებლის, ასევე, საჯარო პირების უფლებების განსაზღვრას შრომის სამინისტროს მიერ. ამ უკანასკნელთა უფლებები ასევე, განისაზღვრა სხვადასხვა ბრძანებულებებითაც.<sup>17</sup> საჯარო პირები მოქმედებენ ორი განსაზღვრული სტრუქტურიდან ერთ-ერთის ჩარჩოებში. პირველი, ეს ეხება კანონებისა და რეგულაციების განსხვავებულ სტატუსს და სტრუქტურას, რომელიც

დაკავშირებულია საჯარო მოსამსახურებთან და მეორე, შრომითსამართლებრივ საწყისებზე, ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული საჯარო მოსამსახურეები. თუმცა, ეს არ გამოირიცხავს საკანონმდებლო და კონსტიტუციურ შესაძლებლობებს.<sup>18</sup> ფინეთი არის ქვეყანა, სადაც საჯარო პირის სტატუსი ასევე, ითავსებს დაქირავებულის სტატუსს, რომელიც შრომით კანონებს ექვემდებარება.<sup>19</sup>

მაგალითად, შვედეთში საჯარო სექტორზე ძირითადად, შრომის სამართალი ვრცელდება. განცალკევებულად რეგულირდება ზოგიერთი თანამდებობისათვის განსაზღვრული პასუხისმგებლობა.<sup>20</sup>

ჰონკონგში საჯარო სამსახური დაყოფილია პოლიტიკურად დანიშნულ თანამდებობის პირებად და საჯარო მოხელეებად. საჯარო მოხელეები დაყოფილნი არიან კლასებად და რანგებად.<sup>21</sup> საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნა ხდება რანგირების მიხედვით გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. დაბალი რანგის თანამდებობებზე თავდაპირველად, პირები 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით ინიშნებიან. მაღალი რანგის თანამდებობებზე პირები მიიღებიან 3-წლიანი ხელშეკრულებით. აღნიშნული ხელშეკრულებების გაფორმება სავალდებულოა ამ პირების მუდმივად დანიშვნამდე. არასაჯარო სამსახურებრივი ხელშეკრულებების სისტემას ადგილი აქვს 1999 წლიდან, რაც ემსახურება თანამშრომელთა არამუდმივად, მოკლე ვადით მიღებას.<sup>22</sup>

ამდენად, საჯარო სამსახური შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველებით. პირველი გულისხმობს საჯარო მოსამსახურის განსაკუთრებულ სტატუსს, რომელიც განმტკიცებულია ქვეყნის კანონმდებლობით. ალტერნატივას წარმოადგენს საქმიანობის განხორციელების სახელშეკრულებო წესი, თუმცა, ეს არ გამოირიცხავს აღნიშნულის რეგლამენტირებას ქვეყნის კანონმდებლობით (მაგალითად, ფინეთში, იტალიასა და პოლონეთში). ამგვარი მიდგომა საჯარო სამსახურის სახელშეკრულებო საწყისებით განსახორციელების საფუძველს ქმნის. საკითხი თუ რომელ სისტემას მიაინიჭებს უპირატესობას ესა თუ ის ქვეყანა მჭიდრო კავშირშია ქვეყნის ისტორიასთან და პოლიტიკურ ფაქტორთან.<sup>23</sup>

### III. საჯარო-შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილი ღაპები

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პრეამბულის თანახმად, ეს კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციულსამართლებრივ საფუძველს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას.

აღნიშნული კანონის მე-13 მუხლით განისაზღვრა საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები, რომელთა გათვალისწინებით უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები. ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს „საქართველოს კონსტიტუციის და კანონების უზენაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას“. სამოხელეო სამართალი წარმოადგენს

ადმინისტრაციული სამართლის ქვედარგს და შესაბამისად, სრულად იზიარებს კანონიერების პრინციპის მნიშვნელობას საჯარო-შრომით ურთიერთობებში უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. აღნიშნული პრინციპი ბოჭავს გადაწყვეტილების მიმღებ საჯარო მოსამსახურეებს (მათ შორის, თანამდებობის პირებს) მოქმედი კანონმდებლობის ნორმებით, ამავე კანონის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად აღიარებულია საჯარო მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა.

საჯარო მოხელის სამართლებრივი დაცვის პრინციპი წარმოადგენს მისი უფლების დაცვის გარანტიას, რომ მასთან დაკავშირებით მიღებული ყველა გადაწყვეტილება მხოლოდ სამართლებრივი ინსტრუმენტებით და კანონის საფუძველზე განხორციელდება. ასევე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს განსაკუთრებულ უფლებებს მოხელის მიმართ, განსხვავებით, კერძო სექტორში მომუშავე მოსამსახურისაგან, რომ იგი სწორედ ამ საჯაროსამართლებრივი ნორმატიული აქტით იქნება დაცული, რომ კანონით გათვალისწინებული პროცედურებით იქნება განხილული როგორც მისი შრომითი მონყობის, დანინაურების, აგრეთვე მისი გათავისუფლების საკითხიც.

შრომითი უფლებების დაცვა საერთაშორისოსამართლებრივი აქტების განსაკუთრებული ყურადღების საგანს შეადგენს. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 23-ე მუხლის თანახმად, შრომითი უფლებების დაცვა და სამართლიანი გასამრჯელოს მიღების უფლება ყოველი ადამიანის ღირსეული არსებობის მნიშვნელოვანი პირობაა.<sup>24</sup>

„სოციალური პოლიტიკის მიზნებისა და ნორმების შესახებ“ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 117-ე კონვენციის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნებისმიერი პოლიტიკა უნინარეს ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ მიღწეული იქნეს მოსახლეობის კეთილდღეობა და განვითარება, აგრეთვე ხელი შეუწყოს სწრაფვას სოციალური პროგრესისაკენ. ამ პოლიტიკის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა ადამიანის შრომითი უფლებების დაცვა და შრომის სამართლიანი ანაზღაურება.<sup>25</sup>

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, საქართველოში საჯარო სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობა, მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა.

საჯარო სამსახურის წარმატებით განხორციელებისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მისი მამოძრავებელი კადრების სტაბილურობას. იმისათვის, რომ მოხელემ წარმატებით შეძლოს მასზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელება, აუცილებელია, მას ჰქონდეს საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფილი უფლებების დაცვის გარანტია, რომელიც შეესაბამება სახელმწიფო პოლიტიკას.

კადრების სტაბილურობის შეფასებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რამდენად დაცულია მოხელე სამსახურიდან გათავისუფლებისას და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით რა გარანტიებით სარგებლობა შეუძლია მას თავის დასაცავად.

### **3.1. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა სამოხელეო დავის წარმოშობისას**

ისევე, როგორც ნებისმიერი ადმინისტრაციულსამართლებრივი დავა, სამოხელეოსამართლებრივი დავებიც, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განისაზღვ-



რება. თუმცა, ისმის კითხვა, თუ რამდენად ექვემდებარება სამოხელეო სამართლებრივი დავაადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ დებულებას ერთჯერადი გასაჩივრების შესახებ.<sup>26</sup>

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს დავის გადანყვეტას სასამართლო წესით. კერძოდ, მოხელეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის განმავლობაში გასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადანყვეტილება, აგრეთვე მოქმედება.<sup>27</sup> აღნიშნული დათქმით ბუნდოვანი ხდება სამოხელეო დავის წარმოშობისას ადმინისტრაციული საჩივრის ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობა. მართალია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი მოხელეთა დაცვის მაღალ სტანდარტს აწესებს სამოხელეო დავებთან მიმართებაში, თუმცა, გასაანალიზებელია, ადმინისტრაციული საჩივრის ინსტიტუტის გამოყენების მიზანშეწონილობა, ვინაიდან ადმინისტრაციული საჩივარი, თავისი არსით მიმართულია დავის ხანმოკლე დროში, დაინტერესებული პირისათვის ნაკლები დანახარჯით, ეფექტიანად გადანყვეტისაკენ.

აღნიშნული საკითხის მიზანშეწონილობის შეფასებისას, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების ერთ-ერთ დათქმაზე, რომლის გათავისუფლების საფუძვლად გამოყენების შემთხვევაში, მოხელის უფლება სასამართლო წესითაც კი, დაუცველი რჩება.

კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლი ადმინისტრაციას აძლევს უფლებას გაათავისუფლოს მოხელე სამსახურიდან დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო; ამავე მუხლით განსაზღვრულია ჩამონათვალი, თუ რას მოიაზრებს კანონმდებელი დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობაში; ერთ-ერთი ასეთი ამავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით არის არადაამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევები. ნორმის ამგვარი ფორმულირება ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს საკმაოდ დიდ თავისუფლებას თავისი შეხედულებისამებრ გადანყვეტოს ამა თუ იმ მოხელის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან, არ არსებობს არანაირი შეფასების სისტემა, რაც გამორიცხავდა უსამართლობის შეგრძნებას იმ მოხელეთა მიერ ვის მიმართაც გამოყენებული იქნა მითითებული ნორმა. ამასთან, აღნიშნული საშუალებას აძლევს ადმინისტრაციას ბერკეტების გარეშე გაათავისუფლოს სამსახურიდან მისთვის არასასურველი მოხელე.

აღნიშნული საფუძვლით მოხელის გათავისუფლებისას წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით სასამართლო განმარტავს, რომ თუ კონკრეტულად რა გარემოება მიიჩნევა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით მოხელის დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო, არადაამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო გათავისუფლების საფუძვლად, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება, მთლიანად მასზეა დამოკიდებული განსაზღვროს მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებები, რამდენად უზრუნველყოფენ საქართველოს კანონმდებლობით მოსამსახურისათვის დაკისრებული ფუნქციების და საქმიანობის განხორციელებას. საქართველოს კანონმდებლობის და სამსახურებრივი მოთხოვნების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს მოხელის სამსახურიდან გათავისუფ-



ლება დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო, არადაამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო.

ამასთან, სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული აქტების კანონიერების შემონგებისას, სასამართლო იფარგლება იმაზე მსჯელობით, თუ რამდენად არის დაცული აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები და მისი გამოცემისათვის კანონით დადგენილი პროცედურები.<sup>28</sup>

ზემოაღნიშნული მაგალითი ნათელყოფს იმ მარტივ შემთხვევას, როდესაც სასამართლო დონეზეც კი, ვერ ხერხდება მოხელის კანონიერი უფლების დაცვა. სასამართლო სწორად უთითებს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებაზე შეაფასოს მოხელის უნარ-ჩვევები, თუმცა, ასეთ შემთხვევაში, მოხელე მოკლებულია შესაძლებლობას სასამართლო წესით დაიცვას თავისი პოზიცია. სამოხელეო დავისას ადმინისტრაციული საჩივრის ინსტიტუტის გამოყენების შემთხვევაში კი, ადმინისტრაციული ორგანოები აპელირებენ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას და როგორც დავის განხილვაზე არაუფლებამოსილი ორგანო, უარს ეუბნებიან დაინტერესებულ პირებს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე.

ლიტვის კანონმდებლობა ცალსახად ანებს მოხელის გათავისუფლებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების „ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ“ ლიტვის კანონის თანახმად, გადაწყვეტის თაობაზე.<sup>29</sup>

პოლონეთის კანონმდებლობის თანახმად, მოხელე უფლებამოსილია ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 14 დღის განმავლობაში გაასაჩივროს პრემიერ-მინისტრთან. გასაჩივრება არ აჩერებს ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოქმედებას. გასაჩივრების შედეგად პრემიერ-მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კი, შესაძლებელია გასაჩივრდეს პოლონეთის უზენაეს სასამართლოში.<sup>30</sup>

ამდენად, მიზანშეწონილია გაანალიზდეს ადმინისტრაციული საჩივრის ინსტიტუტის დამკვიდრება სამოხელეო დავების კუთხით. საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს გასაჩივრების მექანიზმის არჩევის საშუალება. კერძოდ, დაინტერესებულმა პირმა თავად გააკეთოს არჩევანი უფლებების სასამართლო ან/და ადმინისტრაციული საჩივრით დაცვას შორის. ხოლო, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული უნდა იყოს, სამოხელეო დავასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, განიხილოს და გადაწყვიტოს აღნიშნული დავა.

### 3.2. დაწესებულების ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის საფუძველზე წარმოშობილი სამოხელეო დავები

ერთ-ერთ ძირითად პრობლემას სამოხელეო დავების კუთხით, წარმოადგენს მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება დაწესებულების ლიკვიდაციის ან/და რეორგანიზაციის გამო, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი არ იძლევა აღნიშნული პროცესების მკაფიო რეგლამენტირებას, რაც ადმინისტრაციას

აძლევს თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას და ხშირ შემთხვევაში, სამართლებრივად მკაფიოდ გამოკვეთილი დანესებულების რეორგანიზაცია ხორციელდება ლიკვიდაციის საფუძვლით, რის შედეგადაც, დასაქმების შემდგომი გარანტიების გარეშე, სამსახურიდან თავისუფლდება მოხელე.

სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია არსებითად განსხვავებული სამართლებრივი კატეგორიებია და მათი გაიგივება, ერთმანეთში აღრევა ამკვიდრებს თვითნებობას და რიგ შემთხვევაში, იწვევს მოსამსახურეთა თანამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლებას. დანესებულების ლიკვიდაცია იწვევს მოხელის დაკავებული თანამდებობიდან უპირობო გათავისუფლებას, მაშინ როცა რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად, თუ მას თან არ სდევს შტატების შემცირება.

სამოხელეო დავებთან დაკავშირებით, უმეტეს შემთხვევაში, ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულაციების გამო, სასამართლო მსჯელობის საგანი ხდება ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის სამართლებრივი ბუნების დადგენა.

სასამართლო აღნიშნავს, რომ რეორგანიზაციისაგან განსხვავებით სამართლებრივი ლიკვიდაცია ყოველთვის ნიშნავს უფლებაუნარიანობის შეწყვეტას და გამორიცხავს უფლებამონაცვლეობას.<sup>31</sup> გაანალიზებას, დანესებულების გარდაქმნის თუ რომელ ფორმას აქვს ადგილი ამათუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დავის გადანყვეტილისათვის. არსებობს სასამართლოს არაერთგვაროვანი გადანყვეტილებები მსგავს საქმეებთან დაკავშირებით, როდესაც ესა თუ ის სამსახური აგრძელებს საქმიანობას სახელწოდებაშეცვლილი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თუ რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ადგენს მექანიზმებს არც კადრების შერჩევის კუთხით და არც გათავისუფლებული მოხელის შემდგომ დასაქმებასთან დაკავშირებით. აღნიშნული კი, ცალსახად ეწინააღმდეგება საჯარო სამსახურის პრინციპებს.

ლიტვის კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ სამსახურებრივი გარანტიების კუთხით, აწესებს ახალი სამუშაო პოზიციის შეთავაზების ვალდებულებას შემცირებული მოხელისათვის იმავ ენ უფრო დაბალ პოზიციაზე, ხოლო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას ითვალისწინებს მხოლოდ ასეთ შეთავაზებაზე უარის გაცხადების შემთხვევაში. აქვე აღსანიშნია, რომ მოხელე მოსალოდნელი შემცირების შესახებ გაფრთხილებული უნდა იქნეს ორი თვით ადრე. გარდა ამისა, ინვალიდები, ორსული ქალები, ან ქალები ან/და მამაკაცები რომლებიც ზრდიან 14 წლამდე ასაკის ბავშვს მოსალოდნელი შტატების შემცირების შესახებ გაფრთხილებულ უნდა იქნენ 4 თვით ადრე.<sup>32</sup> აღნიშნული დებულებები ლიტვის „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით ფორმულირებულია სწორედ მოხელის გარანტიების მუხლში, რითაც იძლევა სტაბილური სამსახურისა და სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ზრუნვის ნათელ მაგალითს.

პოლონეთის კანონმდებლობის თანახმად, მოხელე, სამსახურის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით შტატის ლიკვიდაციის გამო, გადაყვანილ უნდა იქნეს სხვა შესაბამის თანამდებობაზე.<sup>33</sup>

ასევე, პრობლემატურია ლიკვიდაციის ცნების ფორმულირება, რომელიც გულისხმობს დანესებულების ლიკვიდაციას, თუმცა, ამ მუხლით უმეტესწილად, ხორციელდება არა დანესე-

ბულების, არამედ მისი სტრუქტურული ერთეულის ლიკვიდაცია. აღნიშნული საკითხი, სამოხელეო დავების განხილვისას, არაერთხელ გამხდარა სასამართლო მსჯელობის საგანი. სასამართლო განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლში გამოყენებული ტერმინი „დანესებულების ლიკვიდაცია“ ვრცელდება არა მხოლოდ ერთიანი ორგანიზმის დანესებულების ლიკვიდაციაზე, არამედ აგრეთვე დანესებულების სტრუქტურული ერთეულის ლიკვიდაციაზეც. სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ამკრძალავ ნორმას დანესებულების სტრუქტურული ერთეულის ლიკვიდაციის დაუშვებლობაზე არ ითვალისწინებს.<sup>34</sup> ამდენად, დასაფიქრებელი და გასაანალიზებელია არა მხოლოდ ლიკვიდაციის შედეგები, არამედ მისი მასშტაბებიც.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ძველი რედაქციის თანახმად, შტატების შემცირების შემთხვევაში, მოხელე არ შეიძლება გათავისუფლებულიყო სამსახურიდან, თუ იგი სხვა თანამდებობაზე დანიშნის თანახმა იყო. კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, აღნიშნული დათქმა ამოღებულ იქნა,<sup>35</sup> რის შედეგადაც რეორგანიზაციის საფუძველზე, შტატების შემცირებით გათავისუფლებული მოხელე ისეთივე დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორც ამას ითვალისწინებდა და დღეს მოქმედი რედაქციითაც ითვალისწინებს ლიკვიდაციასთან დაკავშირებული რეგულაცია. ანუ, ამ შემთხვევაში არსებითი სხვაობა ლიკვიდაციასა და რეორგანიზაციას შორის გამქრალია.

ამდენად ცალსახაა, რომ საქართველოში საჯარო სამსახურის სფეროში დღეს მოქმედი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს კადრების სტაბილურობას და დაცულობას. მიზანშეწონილია საკანონმდებლო დონეზე ნათლად ჩამოყალიბდეს და გაიმიჯნოს ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის სამართლებრივი ბუნება. გაანალიზდეს ის შედეგები, რაც თან სდევს ამ მექანიზმების ამოქმედებას. იმისათვის, რომ დაცულ იქნეს მოხელის უფლებები, ადმინისტრაციის სავალდებულოდ უნდა დაუნესდეს შემბოჭავი ბარიერები მოხელის გასათავისუფლებლად და ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია შტატების შემცირებით არ უნდა წარმოადგენდეს ასეთ მარტივ პროცედურას, რაც გათვალისწინებულია დღეს მოქმედი ‘საჯარო სამსახურის შესახებ’ საქართველოს კანონით. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო არ უნდა თავისუფლდებოდეს გათავისუფლებული მოხელის დასაქმებაზე შემდგომი ზრუნვის ვალდებულებისაგან.<sup>36</sup>

### 3.3. არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა

მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების სასამართლო წესით გადაწყვეტისას, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს მოხელის სამსახურში აღდგენას. აღნიშნული ეხება სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარებას, როდესაც მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე.<sup>37</sup> მითითებულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო განმარტავს, რომ თუ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე ბრძანება ცნობილ იქნა არაკანონიერად, ადმინისტრაციული ორგანოსათვის აღნიშნული წარმოშობს

მოხელის შრომითი მონაცემების საკითხის გადანაცვების ვალდებულებას.<sup>38</sup> თუმცა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა კონკრეტიზაციას, თუ რა იგულისხმება მოხელის სამსახურში აღდგენაში, გულისხმობს ეს ტოლფას სამუშაოზე აღდგენას, თუ შესაძლებელია მას შეეთავაზოს სხვა სამუშაო ადგილი, თუნდაც მოხელის ძველ სამსახურებრივ პოზიციასთან შედარებით დაბალი რანგის სამუშაო.<sup>39</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლო უთითებს, რომ უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისათვის შესაბამისი თანამდებობის შეთავაზება სცილდება სასამართლოს ოფიციალურ უწყებრივ კომპეტენციას, იგი წარმოადგენს ადმინისტრაციის დისკრეციულ უფლებამოსილებას და ამდენად, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამუშაოზე მონაცემების მიმართებაში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევა შეფასების შემდეგ. უნდა გაირკვეს რა საშტატო ერთეულებია გათავისუფლებული ადმინისტრაციულ ორგანოში, ხომ არ არის მოსარჩელის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ანალოგიური თანამდებობა ან ხომ არ არის სხვა შესატყვისი სამსახურური, რაზეც თანახმა იქნება მოსარჩელე. ანუ ადმინისტრაციულ ორგანოს ევალება არა კონკრეტული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელის ამა თუ იმ კონკრეტულ თანამდებობაზე აღდგენის ან პირიქით სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ, არამედ ადმინისტრაციული ორგანო თავად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა სახის ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი გამოსცეს, მოსარჩელის თანხმობის გათვალისწინებით.<sup>40</sup>

ამდენად, „სასამართლო კონტროლის ფარგლები შეზღუდულია საჯარო სამსახურში საკადრო გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმების შემთხვევაში“, <sup>41</sup> ვინაიდან ამგვარი გადაწყვეტილებების მიღება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. გასათვალისწინებელია, რომ დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭების მიზანია თითოეულ საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება. ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების დაცვის კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება ვალდებულება, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გაითვალისწინოს მოქალაქის ძირითადი უფლებებით დაცული ინტერესები, ვინაიდან თითოეული ადამიანი უნდა აღიქმებოდეს არა როგორც ადმინისტრაციული ორგანოს „ქვეშევრდომი“, არამედ როგორც „სრულუფლებიანი მოქალაქე“.<sup>42</sup>

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის ფორმულირება იძლევა საშუალებას, ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება, რომ სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების უკანონოდ აღიარებამ და დაუყოვნებლივ აღდგენამაც კი, ვერ შეძლოს მოხელის დარღვეული უფლების დაცვა და მისი აღდგენა შესაბამის სამართლებრივ ფარგლებში. ამდენად, ასეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი დაცვის მექანიზმის ამგვარმა განუსაზღვრელმა რეგულირებამ, შესაძლებელია განაპირობოს, რომ სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას დაქვემდებარებულმა მოხელემ, თვითონ განაცხადოს უარი შეთავაზებულ სამუშაოზე, თანაც იმ პირობებში, როდესაც მისი გათავისუფლება სამსახურიდან სასამართლო წესით იქნა ცნობილი უკანონოდ. ასეთ შემთხვევაში პირი, რომლის უფლებაც დაარღვია ადმინისტრაციულმა ორგანომ, გამოდის, რომ ვერ ახერხებს სამართლიანობის აღდგენას.

მიზანშეწონილია, ეს საკითხი საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს იმგვარ სამართლებრივ ქრილში, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ რჩებოდეს სამსახურში აღდგენას დაქვემდებარებული მოხელისათვის, არასათანადო სამსახურის შეთავაზების გზით, მისი ხელახლა დასაქმების პასუხისმგებლობის მოხსნის შესაძლებლობა.

## დასკვნა

საჯარო მოსამსახურეებს, როგორც ადმინისტრაციული სამართლის სუბიექტებს, აკისრიათ მნიშვნელოვანი როლი ისეთი მმართველობითი ფუნქციების განხორციელებისას, როგორცაა ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და ადმინისტრაციული.

საჯარო მოსამსახურეები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადმინისტრაციის ფუნქციების განხორციელებაში. მათი ცოდნა და საქმიანობა წარმოადგენს ძირითად საფუძველს სახელმწიფო ორგანოების წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად განხორციელებისათვის. თუმცა, საჯარო მოსამსახურეების საქმიანობის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სამართლებრივ საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს მათი საქმიანობის ფარგლებს. ყველა გადანყვეტილება, რომელიც მიღებული იქნება მოხელესთან დაკავშირებით, უნდა ეფუძნებოდეს მისი უფლებებისა და გარანტიების დაცვას და უნდა გამომდინარეობდეს სამართლიანობის პრინციპიდან.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონმა ერთმანეთისაგან ნათლად უნდა გამიჯნოს საჯარო მოსამსახურის სახეები, რის შედეგადაც აღმოიფხვრება, როგორც მათი სამსახურში დანიშნვის ასევე, გათავისუფლების შემთხვევაში წარმოშობილი გაურკვევლობები.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი დეტალურად უნდა განსაზღვრავდეს მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებს. ხოლო მოხელის სამსახურში აღდგენის შემთხვევაში, კანონი უნდა უზრუნველყოფდეს მოხელის სამართლებრივი და სოციალური გარანტიების დაცვას.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოხელის სამსახურებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით მიღებულ გადანყვეტილებასთან მიმართებაში, კანონმა უნდა განსაზღვროს კონკრეტული პირობები, რომლის არსებობის შემთხვევაში, მოხელეს შესაძლებლობა ექნება დარღვეული უფლების აღდგენის კუთხით გამოიყენოს ადმინისტრაციული საჩივრის ინსტიტუტი.

მიზანშეწონილია, საკანონმდებლო დონეზე ნათლად ჩამოყალიბდეს და გაიმიჯნოს ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის სამართლებრივი ბუნება. გაანალიზდეს ის შედეგები, რაც თან სდევს ამ მექანიზმების ამოქმედებას. იმისათვის, რომ დაცულ იქნეს მოხელის უფლებები, ადმინისტრაციულ ორგანოს სავალდებულოდ უნდა დაუწესდეს შემოჭავი ბარიერები მოხელის გასათავისუფლებლად და ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია შტატების შემცირებით არ უნდა წარმოადგენდეს დღეს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მარტივ პროცედურას. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო გათავისუფლებული მოხელის დასაქმებაზე შემდგომი ზრუნვის ვალდებულებისაგან არ უნდა თავისუფლდებოდეს.

უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენის შემთხვევაში, საჭიროა, საკანონმდებლო დონეზე დაკონკრეტდეს მისთვის შესაბამის სამუშაოზე აღდგენის გარანტიების შექმნის საკითხები, რაც უზრუნველყოფს მისი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას.



## ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
3. საქართველოს კანონი „პროფესიული თეატრების შესახებ“;
4. საქართველოს კანონი „უმალღესი განათლების შესახებ“;
5. საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
6. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
7. ლევან იზორია, პაატა ტურავა, საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია, გამომცემლობა „ნეკერი“, 2012;
8. ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, სტატიათა კრებული, გამომცემლობა GTZ, თბილისი 2010;
9. ელენე გურეშიძე, სახელმწიფო სამსახური და სახელმწიფო მოხელე (ჩინოვნიკი) საზღვარგარეთის ქვეყნებში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, №1;
10. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა, №ბს-486-459(კ-09), 28 სექტემბერი, 2009 წელი;
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა, №ბს-132-123(კ-07) 10 ივლისი, 2007 წელი;
12. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება №3ბ/1984-09 13.01.2010;
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა, №ბს-829-791 (კ-07) 05.03.2008;
14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, საქმე №3ბ/1270-09, 23.09.2009;
15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმე №3ბ/938, 14 ივლისი 2009 წელი;
16. Republic of Lithuania, law on public service, 23 april 2002 Vilnius;
17. Republic of Poland, THE law on civil service, of 18 december, 1998;
18. The status of public officials in Europe, Council of Europe, November, printed in germany 1999;
19. emmke&Moilanen, 2010;
20. [http://www.csb.gov.ge/uploads/RESEARCH\\_ON\\_NEW\\_PUBLIC\\_MANAGEMENT\\_09\\_09\\_09.pdf](http://www.csb.gov.ge/uploads/RESEARCH_ON_NEW_PUBLIC_MANAGEMENT_09_09_09.pdf);
21. [http://www.csb.gov.ge/uploads/sajaro\\_samsaxuris\\_sistema\\_taivanshi\\_hongkongshi\\_da\\_singapurshi.pdf](http://www.csb.gov.ge/uploads/sajaro_samsaxuris_sistema_taivanshi_hongkongshi_da_singapurshi.pdf)
22. [http://www.csb.gov.ge/uploads/sajaro\\_mosamsaxureta\\_shepasebis\\_sistemebi\\_finetSI.pdf](http://www.csb.gov.ge/uploads/sajaro_mosamsaxureta_shepasebis_sistemebi_finetSI.pdf)
23. <http://www.mol.fi/english/working/dataprotection.html>
24. [http://www.csb.gov.ge/uploads/RESEARCH\\_ON\\_NEW\\_PUBLIC\\_MANAGEMENT\\_09\\_09\\_09.pdf](http://www.csb.gov.ge/uploads/RESEARCH_ON_NEW_PUBLIC_MANAGEMENT_09_09_09.pdf)
25. <http://worldcitizeninitiative.org/ka/un-declaration-of-human-rights>, copyright 2013.
26. [http://pstug.ge/index.php?option=com\\_content&task=view&id=35&Itemid=30](http://pstug.ge/index.php?option=com_content&task=view&id=35&Itemid=30). copyright 2011.



**შენიშვნები:**

- <sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, №31-33, 24/08/1995.
- <sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, №31-33, 24/08/1995.
- <sup>3</sup> ელენე გურეშიძე, სახელმწიფო სამსახური და სახელმწიფო მოხელე (ჩინოვნიკი) საზღვარგარეთის ქვეყნებში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, N1, გვ. 43.
- <sup>4</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, N1022, პარლამენტის უწყებანი, №45, 21/11/1997.
- <sup>5</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, პირველი მუხლი, მე-4 პუნქტი.
- <sup>6</sup> ლევან იზორია, პაატა ტურავა, საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია, გამომცემლობა „ნეკერი“, 2012, გვ. 30.
- <sup>7</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.
- <sup>8</sup> [http://www.csb.gov.ge/uploads/RESEARCH\\_ON\\_NEW\\_PUBLIC\\_MANAGEMENT\\_09\\_09\\_09.pdf](http://www.csb.gov.ge/uploads/RESEARCH_ON_NEW_PUBLIC_MANAGEMENT_09_09_09.pdf)
- <sup>9</sup> ლევან იზორია, პაატა ტურავა, საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია, გამომცემლობა „ნეკერი“, 2012, გვ. 29.
- <sup>10</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა, №ბს-486-459(კ-09), 28 სექტემბერი, 2009 წელი.
- <sup>11</sup> „პროფესიული თვატრების შესახებ“ საქართველოს კანონი, დოკუმენტის ნომერი 530-III, ვებგვერდი, 24/04/2013.
- <sup>12</sup> „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, დოკუმენტის ნომერი 688, გამოქვეყნების წყარო, თარიღი – სსმ, №2, 10/01/2005.
- <sup>13</sup> „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი, დოკუმენტის ნომერი 2052, გამოქვეყნების წყარო, თარიღი – სსმ, №20(27), 09/06/1999.
- <sup>14</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა, №ბს-132-123 (კ-07), 10 ივლისი, 2007 წელი.
- <sup>15</sup> [http://www.csb.gov.ge/uploads/sajaro\\_mosamsaxureta\\_shepasebis\\_sistemebi\\_finetSI.pdf](http://www.csb.gov.ge/uploads/sajaro_mosamsaxureta_shepasebis_sistemebi_finetSI.pdf)
- <sup>16</sup> The status of public officials in Europe, Council of Europe, November, printed in germany 1999, p.11.
- <sup>17</sup> ვრცლად იხ.: <http://www.mol.fi/english/working/dataprotection.html>
- <sup>18</sup> The status of public officials in Europe, Council of Europe, November, printed in germany 1999, p.11.
- <sup>19</sup> emmke&Moilanen, 2010, p. 79.
- <sup>20</sup> [http://www.csb.gov.ge/uploads/RESEARCH\\_ON\\_NEW\\_PUBLIC\\_MANAGEMENT\\_09\\_09\\_09.pdf](http://www.csb.gov.ge/uploads/RESEARCH_ON_NEW_PUBLIC_MANAGEMENT_09_09_09.pdf)
- <sup>21</sup> [http://www.csb.gov.ge/uploads/sajaro\\_samsaxuris\\_sistema\\_taivanshi\\_hongkongshi\\_da\\_singapurshi.pdf](http://www.csb.gov.ge/uploads/sajaro_samsaxuris_sistema_taivanshi_hongkongshi_da_singapurshi.pdf)
- <sup>22</sup> [http://www.csb.gov.ge/uploads/sajaro\\_samsaxuris\\_sistema\\_taivanshi\\_hongkongshi\\_da\\_singapurshi.pdf](http://www.csb.gov.ge/uploads/sajaro_samsaxuris_sistema_taivanshi_hongkongshi_da_singapurshi.pdf)
- <sup>23</sup> The status of public officials in Europe, Council of Europe, November, printed in germany 1999, p.11.

- <sup>24</sup> <http://worldcitizeninitiative.org/ka/un-declaration-of-human-rights>, copyright 2013.
- <sup>25</sup> [http://pstug.ge/index.php?option=com\\_content&task=view&id=35&Itemid=30](http://pstug.ge/index.php?option=com_content&task=view&id=35&Itemid=30).  
copyright 2011.
- <sup>26</sup> საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, გამოქვეყნების წყარო, თარიღი – სსმ, N 39(46), 06/08/1999.
- <sup>27</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტი.
- <sup>28</sup> სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება №3ბ/1984-09, 13.01.2010.
- <sup>29</sup> Republic of Lithuania, law on public service, article 44, 23 april 2002 Vilnius.
- <sup>30</sup> Republic of Poland, THE law on civil service, of 18 december, 1998, Article 56.
- <sup>31</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა, №ბს-829-791(კ-07), 05.03.2008.
- <sup>32</sup> Republic of Lithuania, law on public service, article 43, 23 april 2002 Vilnius.
- <sup>33</sup> Republic of Poland, THE law on civil service, of 18 december, 1998, Article 52.
- <sup>34</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, საქმე №3ბ/1270-09, 23.09.2009.
- <sup>35</sup> მიღების თარიღი: 23/12/2005, გამოქ. თარიღი: 28/12/2005, დოკუმენტის ნომერი: 2470, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე.
- <sup>36</sup> იხ.: ლევან იზორია, პაატა ტურავა, საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია, გამომცემლობა „ნეკერი“, 2012.
- <sup>37</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 127 მე-5 პუნქტი.
- <sup>38</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმე №3ბ/938-09, 14 ივლისი 2009 წელი.
- <sup>39</sup> მაგალითად, ზ. ო-შვილი გათავისუფლებამდე მუშაობდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აპარატის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. 2004 წლის 31 მაისის №121-კ ბრძანებით იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 10 მაისის №3ბ/1095 გადაწყვეტილებით, ზ. ო-შვილის სარჩელი სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა ზ. ო-შვილის სამუშაოზე მონყობის თაობაზე. ამავე გადაწყვეტილებით სამინისტროს დაევალა იძულებითი გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება გათავისუფლებიდან ახალი აქტის გამოცემამდე პერიოდში. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ 2007 წლის 13 ივნისის №12/143 წერილით, მოსარჩელეს ეცნობა, რომ სამინისტროში საშტატო განრიგის მიხედვით მისი თანამდებობის შესატყვისი ვაკანტური თანამდებობა არ არსებობდა და შესთავაზეს სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს (წალენჯიხა) სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნა, რაზეც მოსარჩელემ უარი განაცხადა.
- <sup>40</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმე №3ბ/938-09, 14 ივლისი 2009 წელი.
- <sup>41</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, სტატიათა კრებული, გtz, თბილისი, 2010, გვ. 219.
- <sup>42</sup> იქვე, გვ. 215.

# SPECIFICS OF HANDLING THE DISPUTES RELATED TO PUBLIC OFFICE, LEGAL PROBLEMS AND WAYS TO ADDRESS THEM


NATO BAINDURASHVILI

*Doctoral Student of the Faculty of Law of the Ivane Javakishvili Tbilisi State University*

Establishment of free labor-legal relations represents one of the key guarantors for developing the public and for establishing a social state. Labor right is among the human rights that is recognized by the supreme legislative act of the country – the Constitution and is secured by international conventions, specific laws and sublegislative acts. Correspondingly, the labor-legal relationship is regulated by the legislative norms and the relationships among the people involved therein are also determined by the law.

The Constitution of Georgia differentiates the possibility to work at a public office and, in general, to realize the labor right. In accordance with the Article 29 of the Constitution: “every citizen of Georgia shall have the right to hold any state position if he/she meets the requirements established by legislation. The conditions of public office shall be determined by law”. Citizenship is the very first condition to start working at a public office. If this condition is met, then the person should meet other statutory requirements, which are established by the Law on Public Service.

In accordance with the Article 30 of the Constitution of Georgia, “labor shall be free. The protection of labor rights, fair remuneration of labor and safe conditions shall be determined by law.” The freedom of labor, which is recognized by this article, gives the right to any person to look for a job, and to realize his right to labor in accordance with the conditions set by the labor legislation, i.e. to get a job according to his ability and qualification, to enjoy healthy working conditions, etc.



It is the Article 29 of the Constitution of Georgia that determines the basics of public service law, which is one of the subfields of administrative law, and serves the goal of realizing the public-legal rights in the field of public service.

The public service should create effective mechanisms for operating the state institutions and at the same time ensure provision of fair and equal service to citizens.

Effectiveness of public administration largely depends on the human factor. Contemporary management generally recognizes that the human resource is the most valuable one for any organization. Professionally trained and adequately motivated people create the 'human capital', which greatly benefits the system development.

Public officer is bound by moral obligations. Personal interest should not override the public demand. This is why the activity in the field of public administration is regulated by the administrative law, which contains strictly established rules for protecting the state and public interests from arbitrary conduct by public servants.

For administrative-level regulation, a big significance is assigned only to the constitutional strengthening of rights and freedoms of an individual, but also to the issue of actual realization of these rights and freedoms. Out of functional purposes of a public institution, the most important one is the realization and protection of lawful rights of an individual and a citizen. In this respect, disputes related to the public office in the field of public service and related procedural problems are quite interesting. Namely, an interesting thing is whether the disputes about the public service are being processed in a civilized and legally accurate way, what rights a public servant has in this case, and how well these rights are protected.

# სასამართლო ხელისუფლების ფუნქცია აღსრულების პროცესში

## ზურაბ ჭყონია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის  
სამართლის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

„დემოკრატია“ როგორც მოგეხსენებათ, ბერძნულ ენაზე ხალხის მმართველობას (demos – ხალხი, ხოლო kratia – მართვა) ნიშნავს. შესაბამისად, დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლება სწორედ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს, მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით იქმნება იგი ხალხის მიერ და რაც მთავარია, ის ხალხის კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს. ნებისმიერი ხელისუფლების ორგანოსა თუ წარმომადგენლის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ხალხის სამსახური და არა პირიქით (როგორც ეს არაერთ ქვეყანაში ჩვეულებრივად არის მიჩნეული). აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლებრივ სახელმწიფოში სამართალი სრულად უნდა გამოხატავდეს ხალხის ნებას. ფედერალისტი ჯორჯ მედისონი წერდა: „რესპუბლიკა მმართველობის ისეთი ფორმისათვის უნდა გვეწოდებინა, ან სულ ცოტა, შეიძლება გვეწოდებინა, რომელსაც მთელი თავისი ძალაუფლება – პირდაპირ თუ არაპირდაპირ – მთელი ხალხიდან გამოჰყავს და მას იმ პირთა მეშვეობით ახორციელებს, რომლებიც თანამდებობაზე ხალხის სურვილისამებრ გარკვეული ვადით, ანდა – უმნიშვნელო ქცევის შემთხვევაში – უვადოდ ინიშნებიან.“<sup>1</sup>

საქართველო გასული საუკუნის მიწურულს, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, დაადგა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზას და შესაბამისად, ქვეყნის ყველაზე ძირითადი კანონის, კონსტიტუციის (რომელიც მიღებულ იქნა 1995

ნელს) მე-5 მუხლის I ნაწილის თანახმად, განისაზღვრა, რომ „საქართველოში ხელისუფლების წყაროა ხალხი“. ამავე მუხლის II ნაწილით კი, „ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალოდ დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლობის მეშვეობით“.<sup>2</sup> როგორც ჩვენი, ასევე სხვა სახელმწიფოების მრავალსაუკუნოვანმა ისტორიულმა გამოცდილებამ ხელისუფლების უზურპაციის მრავალი მაგალითი წარმოაჩინა. თავად საბჭოთა სახელმწიფოც ხომ ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო, სადაც ხელისუფლება „ხალხის“ სახელით ხელთ ეპყრა მხოლოდ ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას. ხელისუფლების უზურპაციის მაგალითები თანამედროვე ეპოქაშიც არ ითვლება იშვიათ მოვლენად, არადა, სწორედ ამ „მდიდარი გამოცდილების“ გამო, საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის III ნაწილში მითითებულია, რომ „არავის არ აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება“.<sup>3</sup> ხელისუფლების ხელში ჩაგდება თავიდან აცილების ეფექტიან გზად ყველა იმ ქვეყნების კონსტიტუციებში, რომელთა მიზანიც გახლავთ სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა მიჩნეულ იქნა ხელისუფლების განხორციელება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით. 1789 წლის საფრანგეთში მიღებული ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის მე-16 მუხლში კატეგორიული ტონით წერია, რომ: „საზოგადოებას, რომელშიც ხელისუფლების დანაწილება არ არის განსაზღვრული, საერთოდ არ გააჩნია კონსტიტუცია“.<sup>4</sup>

ისტორიულად, ხელისუფლების დანაწილება ჯერ კიდევ, სახელმწიფოს ფორმირების ადრეულ ეტაპზევე ხორციელდებოდა. ხელისუფლების დანაწილების ყველაზე დიდი მაგალითი გახლდათ საეკლესიო და პოლიტიკური ხელისუფლებების გამიჯვნა ერთიმეორესაგან. საუკუნეების მანძილზე, ამ ორ ხელისუფლებას შორის მიმდინარეობდა ბრძოლა ძალაუფლებისათვის. „ხელისუფლების დაყოფა-დანაწილების თანამედროვე ფორმა ხელისუფლების კლასიკურ-საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო განშტოებებს შორის პირველად, ინგლისში გაჩნდა“.<sup>5</sup> სახელისუფლებო ორგანოების ფუნქციების დანაწილების შესახებ იდეები ჯერ კიდევ, ანტიკური ხანაში ჩაისახა. თანამედროვე გაგებით, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ფორმულირება ეკუთვნის ჯონ ლოკს, რომელიც განავითარა შარლ ლუი მონტესკიემ. სწორედ ხელისუფლების დანაწილების პრინციპს დაეყრდნო საქართველოს კონსტიტუციაც (საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილში),<sup>6</sup> რომელმაც ცცნო სამი დამოუკიდებელი ძირითადი შტო, კერძოდ, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება.

მონტესკიე განმარტავდა: „მუდამ ასე იყო, რომ ძალაუფლებით მოსილ კაცს მისი ბოროტად გამოყენებისაკენ ჰქონდა მიდრეკილება და ასე გრძელდება, ვიდრე ბარიერს არ წააწყდება. რათა არ მოხდეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ძალაუფლება უნდა აკონტროლებდეს ძალაუფლებას“.<sup>7</sup> ფედერალისტი ჯორჯ მედისონი წერდა: „მუდამ ასე იყო, ამბიციას ისე უნდა მოეველოს, რომ მას ამბიცია აწონასწორებდეს“.<sup>8</sup> ცენტრალური და აღმოსავლეთ თანამედროვე ევროპის წამყვანი თეორიტიკოსი კონსტიტუციონალიზმის დარგში, ანრაშ შაიო აღნიშნავს, რომ „დიქტატურის თავიდან ასაცილებლად ხელისუფლების დამაბალანსებელი საპირწონე ისევ ხელისუფლება უნდა იყოს. ამიტომ სასურველია, სახელმწიფო ხელისუფლების რაიმე ფორმით დაყოფა-განაწილება“.<sup>9</sup> ანრაშ შაიო ასევე, განმარტავდა, „ხელისუფლების კონსტიტუციონალური დანაწილება ზღუდავს ისეთ დემოკრატიას, რომელიც ზედმეტად კეთილგანწყობილია არჩევნებში გამარჯვებულთა მიმართ, ხოლო კონტროლისა და ბალანსირების მექანიზმები ხელს უწყობს დემოკრატიის ფუნქციობას“.<sup>10</sup>



სამივე სახელისუფლებო შტოს, კერძოდ: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებათა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის უმთავრესი გარანტია გახლავთ სასამართლო ხელისუფლების კონტროლი აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებებზე. თუმცა, მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს სასამართლოს და აღმასრულებელი ხელისუფლების ზოგიერთი ფუნქცია, კერძოდ, უნდა დადგინდეს, თუ ვის კომპეტენციას განეკუთვნება სასამართლოს და სხვა იურისდიქციის აქტების აღსრულება, თავად სასამართლოს, თუ აღმასრულებელი ხელისუფლების, ან მისგან დელეგირებული ორგანოს. საკითხის გარკვევისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ხელისუფლების დანაწილების თეორიის ფუძემდებელეთა და ასევე, სხვა მოაზროვნეთა მოსაზრებების გაანალიზება.

არისტოტელეც და პლატონიც განასხვავებდნენ სამ პოლიტიკურ ელემენტს: კანონმდებლობას, მმართველობას და მართლმსაჯულებას.<sup>11</sup>

არისტოტელე მიიჩნევდა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება უნდა განხორციელდეს „სხვადასხვა პირების მიერ ცალკეული სასამართლო პალატებიდან“.<sup>12</sup> შესაბამისად, აშკარაა, რომ არისტოტელე სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების ფუნქციას თავად სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციად თვლიდა. პლატონი კი, აღნიშნავდა, რომ სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისას „საქმეში მოგებულის უფლების დაცვისას, გადასცემს მას წაგებულის ქონებას“.<sup>13</sup> ვთვლით, რომ სიტყვებში „გადასცემს მას წაგებულის ქონებას“ პლატონი გულისხმობდა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებით რაიმეს მიკუთვნებას მოგებულისათვის და არა აღსრულებას, რაიმე სახის იძულებას. შესაბამისად ვფიქრობთ, რომ პლატონი სასამართლოს ფუნქციად მხოლოდ გადაწყვეტილების გამოტანას, ანუ დავის გადაწყვეტას მიიჩნევდა.

მე-19 საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი სამართალმცოდნე რუდოლფ ფონ იერიხი (1818-1892), რომელსაც უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის მიმართ, აღნიშნავდა „ყველანაირი სამართალი მსოფლიოში მიღწეულ იქნა შეტაკებების გზით, ყველა მნიშვნელოვანი სამართლებრივი მდგომარეობა თავდაპირველად უნდა ბრძოლით წაგერთმია იმათგან, ვინც მას ეწინააღმდეგებოდა“. „სამართალი არის არა მარტო აზრი, არამედ ცოცხალი ძალა. ამიტომაც, ქალღმერთი მართლმსაჯულება, რომელსაც ერთ ხელში უჭირავს სასწორი, რომელზედაც წონის სამართალს, მეორეში უკავია ხმალი, რომლითაც ის მასზე მიუთითებს. ხმალი სასწორის გარეშე არის შიშველი ძალადობა, ხოლო სასწორი ხმლის გარეშე – სამართლის უსუსურობაა. ერთიც და მეორე ატრიბუტი ერთმანეთს ავსებენ და ჭეშმარიტი სამართლებრივი მდგომარეობა მხოლოდ იქ არსებობს, სადაც ძალაა, რომლითაც მართლმსაჯულებას ხმალი უკავია, ისეთივე ხელოვნებით, როგორც ის იყენებს სასწორს“.<sup>14</sup> ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ იერიხი სასამართლო ხელისუფლების განუყოფელ ფუნქციად თვლის იძულებით აღსრულებას, თუმცა მიგვაჩნია, რომ რეალურად იგი ზემოაღნიშნულ სიტყვებში გულისხმობდა, რომ იძულების გამოყენება სახელმწიფოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნება და, რომ ზოგადად, სამართალი და არა მხოლოდ სასამართლო, იძულების გარეშე უსუსურია.

გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ფუძემდებელი ემანუელ კანტი (1724-1804) მიიჩნევდა, რომ „ყველა სახელმწიფოში არსებობს სამი ხელისუფლება“. უმაღლესი ხელისუფლება (სუვერენიტეტი) კანონმდებლის სახით, აღმასრულებელი ხელისუფლება მმართველის სახით (მმართველი კანონის თანახმად) და სასამართლო ხელისუფლება (თითოეულისათვის კანონის შესაბამისად მსჯავრის დამდები) მოსამართლის სახით“.<sup>15</sup> აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ კანტი სასამართლოს ფუნქციად მიიჩნევს მხოლოდ განსჯას, მსჯავრის დადებას.

ინგლისელმა ფილოსოფოსმა და საზოგადო მოღვაწე თომას ჰობსმა (1688-1679) აღწერა რა, სახელმწიფო ხელისუფლების მოხელეთა ხუთი კატეგორია, იმ მოხელეთა თანახმორად ვინც

ახორციელებენ მართლმსაჯულებას, მათგან გამოყო მოხელეები, რომელთა ფუნქციასაც განეკუთვნებოდა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება.<sup>16</sup> ანუ ჰობსი სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას არ თვლის სასამართლოს ხელისუფლების ფუნქციად.

მონტესკიე განმარტავდა, რომ „არ არსებობს თავისუფლება, თუ სასამართლო ხელისუფლება გამოცალკევებული არ არის საკანონმდებლო და აღმასრულებელ სახელისუფლებო განშტოებათაგან. თუ ის მიერთებულია საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, ძალაუფლება მოქალაქეთა სიცოცხლესა და თავისუფლებაზე თვითნებური ხდება, რადგან მოსამართლე იქცევა კანონმდებლად. თუ ის მიერთებულია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, მოსამართლე მჩაგვრელის ძალაუფლებას იძენს“.<sup>17</sup> მონტესკიე სასამართლო ხელისუფლების შესახებ ასევე, განმარტავს, რომ „მესამე ხელისუფლების ძალით სასამართლო სჯის დანაშაულს და ნყვეტავს დავას კერძო პირებს შორის“.<sup>19</sup> გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, აშკარაა, რომ მონტესკიე სამოქალაქო საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებას არ თვლის სასამართლო ხელისუფლებისავე კომპეტენციად, თუმცა, საორჭოფო შეიძლება გახდეს მისი პოზიცია სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა აღსრულების სასამართლოს ხელისუფლების უფლებამოსილების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული ენის ლექსიკონის თანახმად, სიტყვა „დასჯა“ განმარტებულია, როგორც „სჯა“, „განკითხვა“, „განცრუება“. ეს სიტყვები იმავე ლექსიკონით იმავე თანმიმდევრობით თანამედროვე ქართულ ენაზე განმარტებულია შემდეგნაირად: „სასჯელის დადება, დასჯა, გასამართლება“.<sup>18</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მონტესკიე სიტყვებში – „სჯის დანაშაულს“ იგულისხმება არა სასამართლოს მიერ იძულებითი ღონისძიების გატარება, არამედ „გასამართლება“ და სასჯელის დადება“. აღნიშნულ პოზიციას ამყარებს მონტესკიეს მოსაზრება, რომ „სასამართლოს არსი... სხვა არაფერია, როგორც ბაგეები, წარმომტმელი კანონის სიტყვისა“.<sup>19</sup> შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მონტესკიე აღსრულების ფუნქციას არ თვლის სასამართლოს კომპეტენციად, არც სამოქალაქო და არც სისხლის სამართლის საქმეებზე. ამ დასკვნის საფუძველს იძლევა თავად მონტესკიეს ზემოთ მოტანილი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ თუ სასამართლო ხელისუფლება გაერთიანებულია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, მოსამართლე იღებს შესაძლებლობას გახდეს მჩაგვრელი,“ ანუ თუ სასამართლოს ექნება მისივე მიღებული გადაწყვეტილებათა აღსრულების ფუნქცია, მაშინ ის სწორედაც შეიძლება „გახდეს მჩაგვრელი“.

ფედერალისტი ალექსანდრე ჰამილტონიც სასამართლოს ხელისუფლების უფლებამოსილებად არ თვლის სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებას. მისი აზრით, „სასამართლო ხელისუფლება არ ფლობს არც ძალას, არც ნებას, არამედ გამოაქვს მარტო მსჯავრი და საბოლოოდ დამოკიდებულია აღმასრულებელი ხელისუფლების დახმარებაზე, ცხოვრებაში მათი განხორციელებისათვის“.<sup>20</sup>

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ფუძემდებელთა და ასევე, ჩვენს მიერ სტატიაში მოტანილ სხვა მოაზროვნეთა მოსაზრებების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციაში აღსრულების ფუნქცია არ უნდა შედიოდეს, ვინაიდან ამ ფუნქციის მის მიერ განხორციელება დაარღვევს იმ ბალანსს, რაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, დაცული უნდა იყოს. სწორედ ამიტომაც, აუცილებელია, სასამართლოს საპროცესო კონტროლი (და არა უწყებრივი) არა მარტო თავად სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაზე, არამედ საერთოდ სააღსრულებო წარმოებისას, რაც თავისთავად ემსახურება ამ პროცესის კანონიერების დაცვას და აღსრულების ეფექტიანად წარმართვას, შესაბამისად, როგორც კრედიტორის, ისე მოვალის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფას ამ პროცესში.

**შენიშვნები:**

- <sup>1</sup> <http://federalistpapers.ge/federali39.php>, 01/09/2013 წ.
- <sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუცია, იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, თბილისი, 2004, გვ. 5.
- <sup>3</sup> საქართველოს კონსტიტუცია, იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, თბილისი 2004,ჩგვ. 5.
- <sup>4</sup> Albert P. Blaustein & jey A. Sigler, Constitucions That Made History(New York: Paragon houze, 1988), გვ. 359-387.
- <sup>5</sup> ანრაშ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა კონსტიტუციონალიზმის შესავალი, გამომცემლობა „სეზანი“, 2003, გვ. 90.
- <sup>6</sup> საქართველოს კონსტიტუცია, იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, თბილისი, 2004, გვ. 5.
- <sup>7</sup> Charles Secondat, Baron de Montesquieu, The Spirit of the Laws, trans. And ed. Anne M. Cohler, Basia Carolyn Miller, and Harold Samuel stone (Cambridge: Cambridge university press, 1992), XI, გვ. 4.
- <sup>8</sup> The Federalist papers, No. 51: Medison (New York: Mentor Books, 1961), გვ. 322.
- <sup>9</sup> ანრაშ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა კონსტიტუციონალიზმის შესავალი, გამომცემლობა „სეზანი“, 2003, გვ. 89.
- <sup>10</sup> ანრაშ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა კონსტიტუციონალიზმის შესავალი, გამომცემლობა „სეზანი“, 2003, გვ. 78.
- <sup>11</sup> А.Ф. Насиров, российская теория разделения властей, научно-практический журнал “Современное право,” №4, 2010, ст. 42.
- <sup>12</sup> Аристотель, Политика М., 2002, ст. 230.
- <sup>13</sup> Платон, Законы, М., 1999, ст. 424.
- <sup>14</sup> Автор-составитель Малахов В. П., “Правовая мысль” антология, издательство “Деловая книга”, Екатеринбург 2003, ст. 336.
- <sup>15</sup> Автор-составитель Малахов В. П., “Правовая мысль” антология, издательство “Деловая книга”, Екатеринбург 2003, ст. 252.
- <sup>16</sup> См.: Гобнс Т Соч. В. Т., Т.2, М., 1991, издательство “Мысль”, ст. 186-191.
- <sup>17</sup> Charles Secondat, Baron de Montesquieu, The Spirit of the Laws, trans. And ed. Anne M. Cohler, Basia Carolyn Miller, and Harold Samuel stone (Cambridge: Cambridge university press, 1992), XI, gv. 6.
- <sup>18</sup> Монтескье Ш. Л., “О духе законов”, М., 1999, ст. 138.
- <sup>19</sup> ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1973, გვ. 409.
- <sup>20</sup> Федералист, Политическое эссе А. Гамилтона, Дж. Медисона и Дж. Джея, Пер. с англ., Под общ. ред., с предисл. Н.Н. Яковлева коммент., О.Л. Степановой М., 2000, ст. 503.



# FUNCTION OF JUDICIARY POWER IN THE ENFORCEMENT PROCESS

ZURAB CHKONIA

*Assistant Professor of the Caucasus International University*

*Doctoral Student of the Georgian Technical University*

As the result of analyzing the opinions of founders of the theory of division of power and those of the thinkers referred to in this paper, we can conclude that the enforcement function should not be included within the competence of the judicial power, because performing such function will violate the balance that should be protected pursuant to the principle of the division of power. This is why the procedural (and not the agency-level) control of court is necessary not only over the enforcement of the judgment delivered by the court itself, but also during the enforcement proceedings in general, which from its side serves the goal of protecting the lawfulness of this process and effective performance of enforcement, and thus securing the protection of rights of both a creditor and a debtor in this process.

# აზრის გამომხატვის თავისუფლებასა და კერძო ცხოვრების დაცვის უფლებას შორის ღირებულებითი კონფლიქტი

მიხეილ გიჭია

*სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული  
ლექტორი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული  
პროფესორი*

## შესავალი

აზრის გამომხატვის თავისუფლებასა და კერძო ცხოვრების დაცვის უფლებას შორის ღირებულებითი კონფლიქტი აქტუალურ სამართლებრივ პრობლემათა წრეს განეკუთვნება. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული თემა მნიშვნელოვანია თეორიული თვალსაზრისით, ვინაიდან უკავშირდება მრავალ თეორიულ საკითხს, როგორცაა აზრის გამომხატვის თავისუფლების არსი, კერძო ცხოვრების უფლების ცნების მოცულობა, სამართლებრივი ღირებულება და ღირებულებითი კონფლიქტი, პასუხისმგებლობა და თავისუფლება... შესაბამისად, ღირებულებითი კონფლიქტის გადამწყვეტა მოითხოვს დასახელებულ პრობლემათა საფუძვლიან შესწავლას, ვინაიდან ამ საკითხთა არასწორი ინტერპრეტაცია ინტერესთა კონფლიქტის გადამწყვეტის გზასაც ცვლის. ამდენად, თუ აღნიშნული გარემოებები პრაქტიკაში არ იქნება გათვალისწინებული, შეიძლება კერძო სფეროს დაუცველად დატოვების საფრთხე წარმოიშვას. ეს ეხება ინტერესთა ანონ-დანონვის დროს თითოეული მნიშვნელოვანი დეტალის შეფასებას, რაც არსებითია ღირებულებითი კონფლიქტის გადამწყვეტად. ამასთან, ზემოაღნიშნული შემთხვევა წარმოშობს კერძო და საჯარო სფეროთა საზღვრების პრობლემას, რაც ფაქტობრივად, „მე“-სა და „ჩვენ“-ს შორის ბალანსის პოვნას

უკავშირდება ე. ი. საქმე პიროვნულ და საერთო ინტერესებს შორის მიმართების დადგენას უნდა ეხებოდეს.<sup>1</sup> თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ თვით პიროვნება განიხილება საზოგადოების წევრად და ინდივიდად. ასევე, აღსანიშნავია, რომ პიროვნება საზოგადოების წევრად აღიარებულია არა ნებელობითი აქტის გამო, არამედ აღნიშნული ობიექტური აუცილებლობითაა განპირობებული. ამიტომაც, „მე“-სა და „ჩვენ“-ს შორის მიჯნა ცვალებადია.<sup>2</sup> ამასთან, აღნიშნული საკითხი კვლავ აქტუალურია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საჯარო და კერძო ცხოვრება ერთმანეთთან დაპირისპირებულია, თუმცა, ერთმანეთის გარეშე ვერ არსებობს. ამიტომ მათ შორის ისეთივე მიმართებაა, როგორც მარჯვენა და მარცხენა ხელს შორის.<sup>3</sup> საგულისხმოა, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკა შეიცავს ხარვეზებს ინტერესთა ღირებულებითი კონფლიქტის შეფასებასთან დაკავშირებით, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავებულია. აღნიშნული დეტალების გათვალისწინებით, კვლევა პრაქტიკული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია.

ამასთან, კვლევის მიზანია ზემოთ წარმოდგენილი ღირებულებითი კონფლიქტის წარმოშობის მიზეზების, აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და კერძო ცხოვრების დაცვის უფლებას შორის ურთიერთმიმართების შესწავლა და ღირებულებითი კონფლიქტის გადაწყვეტის გზის ჩვენება. დასახელებული საკითხები იქნება შედარებითსამართლებრივი, ნორმატიულ-დოგმატური, სოციოლოგიური, ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენებით განხილული, რაც პრობლემის სრულად შესწავლის საფუძველია. ამდენად, აღნიშნული კვლევა არის მცდელობა, საჯარო და კერძო ინტერესთა ღირებულებითი კონფლიქტის ირგვლივ არსებული შეხედულებების კრიტიკული ანალიზის ფონზე გამოიკვეთოს ამ კონფლიქტის გადაწყვეტის გზები.

## 1. აზრის გამოხატვის თავისუფლება

აზრის გამოხატვის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით. საქმე ისაა, რომ საქართველოში 2004 წელს, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მიღებით აზრის გამოხატვის თავისუფლება აღიარებულ იქნა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ განსაკუთრებულ გამოვლინებად. სწორედ ამ ცვლილებებმა განსაკუთრებული აქტუალობა შესძინა აღნიშნულ ინტერესთა ღირებულებით კონფლიქტს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება ერთდროულად უკავშირდება აზრის თავისუფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას (საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი). საქმე ისაა, რომ ტერმინში „გამოხატვა“ მოიაზრება აზრის გამოთქმა წერილობითი თუ ზეპირი ფორმით სხვადასხვა საშუალების გამოყენებით, რომელიც ეხება იდეების გამოთქმას ან ინფორმაციის გადაცემას. ასეთი საშუალებები შეიძლება იყოს ინფორმაციის წარმოების, გადაცემის, გავრცელების საშუალებები, სადაც მოიაზრება ბეჭდვითი მასალები, რადიომარცხენაობა, ხელოვნების ნიმუშები, ფილმები თუ ელექტრონული საინფორმაციო სისტემები. თუმცა, გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლება მოიცავს სამ ელემენტს: (ა) პირის თავისუფლებას, ჰქონდეს საკუთარი აზრი, (ბ) გაავრცელოს და (გ) მიიღოს ინფორმაცია.<sup>4</sup>



აღნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია საქმე „კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ“, <sup>5</sup> რომლის თანახმად, აზრის გამოხატვის თავისუფლებაში მოიაზრებენ „ისეთი განცხადებებისა და გამოთქმის უფლებასაც, რომელიც შეურაცხმყოფელი, აღმაშფოთებელი და შემანუხებელია“. ამ საქმის მიხედვით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა, რომ პირის, განსაკუთრებით ჟურნალისტის მიერ გამოხატული აზრი შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ხასიათის. თუმცა, აქ უნდა განისაზღვროს, თუ სად უნდა გაივლოს ზღვარი, ერთი მხრივ, კრიტიკის დასაშვებ ფარგლებსა და მეორე მხრივ, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფას შორის. <sup>6</sup>

საქმე ისაა, რომ პირის აზრის გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც მრავალ ასპექტს მოიცავს, გარკვეულწილად შესწევს სხვა უფლებებში ჩარევის უნარი. <sup>7</sup> შესაბამისად, ამკარაა საჯარო და კერძო ინტერესებს შორის კონფლიქტი. ამასთან, აზრის თავისუფლებას მჭიდროდ უკავშირდება პრესის თავისუფლება. აზრისა და პრესის თავისუფლებებს ორი ძირითადი ამოცანა აქვს: ა) გამოხატვის თავისუფლება ადამიანის თვითგამორკვევის მნიშვნელოვანი ასპექტია; ბ) ის ცენტრალური მნიშვნელობისაა დემოკრატიული საზოგადოებისათვის. ამასთან, მედიის გზით ინფორმაციის მიღებამ და გამოქვეყნებამ შეიძლება დაარღვიოს პირთა უფლება ანონიმურობასა და ინფორმაციულ თვითგამორკვევაზე. მიუხედავად ამისა, პრესისა და აზრის თავისუფლება განიხილება, როგორც „ყველა თავისუფლების კენწერო“ ან „კონსტიტუციური პრინციპი“, ასევე, პრესის თავისუფლება, ჩვეულებრივ, ცოცხალი დემოკრატიის გარანტიაა. <sup>8</sup>

საგულისხმოა, რომ მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების განვითარების პროცესში, რადგან მედიას პროფესიულად ევალება, უპასუხოს საზოგადოებრივ ინტერესს. მედიას ენიჭება წამყვანი როლი, განახორციელოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლობა. თუმცა, მედიასაშუალებებით რაიმეს გადაცემა შეიძლება გულისხმობდეს სხვადასხვა წყაროდან ანკეტური მონაცემების შეგროვება-დამუშავებას (ჯანმრთელობის მდგომარეობის, სოციალური უზრუნველყოფის, საგადასახადო მონაცემების და ა. შ.). ამით საფრთხე ექმნება კერძო ცხოვრებას, რომელსაც პატივს უნდა სცემდეს სახელმწიფო და ნებისმიერი კერძო პირი. <sup>9</sup>

ამდენად, ხშირად ერთი „თავისუფლება ეჯახება სხვა მრავალ თავისუფლებას და სახელმწიფოს ფუნქციონების მოთხოვნილებას“. <sup>10</sup> საქმე ისაა, რომ ზოგიერთ „აზრის გამოხატვას“ შეიძლება საშიში სოციალური შედეგებიც მოჰყვეს. ამასთან, აზრის გამოხატვის თავისუფლებას, ერთი მხრივ, დემოკრატიული პროცესის ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ხოლო მეორე მხრივ, სხვა ინტერესებში ენერგიული შეჭრის უნარის გამო, ამ უფლების სხვა ღირებულებებთან დაპირისპირებისას გაცილებით უფრო პრობლემური ხდება სამართლიანი ბალანსის განსაზღვრა. <sup>11</sup>

## 2. კერძო ცხოვრების დაცვის უფლება

როგორც აღინიშნა, აზრის გამოხატვის თავისუფლებას შესწევს უნარი, შეაღწიოს სხვა უფლებაში. ეს განსაკუთრებით შეეხება კერძო ცხოვრების დაცვის უფლებას, რომელიც უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18, მე-18<sup>1</sup>, 992-ე მუხლებით და სხვა კანონებით.

თუმცა, აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და კერძო ცხოვრების დაცვის უფლებას შორის მიმართების განსაზღვრა დასაწყისშივე საჭიროებს კერძო ცხოვრების ცნების მოცულობის დადგენასაც. საერთოდ, კერძო ცხოვრების დაცვის უფლება განიხილება უფლებად, განმარტოვდე, იცხოვრო თავისუფლად ნებისმიერი სოციალური ზემოქმედებისაგან.<sup>12</sup> ამასთან, კერძო სფერო უკავშირდება განმარტოებას, საიდუმლოებასა და ავტონომიას.<sup>13</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ტერმინში „კერძო“ მოიაზრება პირის კუთვნილი, ის, რაც არაა სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ხასიათის და თვითონ პიროვნებას ეხება, პირადი,<sup>14</sup> პიროვნული (ლათ. პრივატუს).<sup>15</sup> ამდენად, კერძო სფეროს ცნების მოცულობა რომ გავარკვიოთ, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, საჯარო სფეროს არსი დადგინდეს.

საჯარო ცხოვრება შინაარსობრივად უახლოვდება ტერმინს „საზოგადოებრივი ცხოვრება“. საზოგადოებრივი ცხოვრება, სოციოლოგიური გაგებით, არის იმ მოვლენათა კომპლექსი, რომლებიც გარკვეულ შეზღუდულ სივრცეში მყოფი ინდივიდებისა და ერთობების ურთიერთქმედებით წარმოიქმნება. თუმცა, ზოგჯერ აფართოებენ საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსს და მასში მცენარეთა გარემოსა თუ ცხოველთა ჯოგებში მიმდინარე მოვლენებსაც მოიაზრებენ.<sup>16</sup> ამასთან, საჯარო სფერო, რომელიც სახელისუფლო ან სხვა საჯარო (არასახელისუფლო) ფუნქციის განხორციელებასთანაა დაკავშირებული.<sup>17</sup> რაც შეეხება ტერმინს „public“, ის გამოიყენება საზოგადოების, სახალხოს, საჯაროს, საზოგადოდ ცნობილი მოვლენების ან მოღვაწეების ან საჯარო პირების აღსანიშნავად. ის უკავშირდება თავისუფალ ადგილს, სადაც ხალხს ინდივიდის დანახვის ან მოსმენის უფლება აქვს. იგი კერძოს ანტონიმიია.<sup>18</sup> ამდენად, სიტყვები „საჯარო ცხოვრება“ და „საზოგადოებრივი ცხოვრება“ ფართო გაგებით იდენტური მნიშვნელობისაა და მათ აერთიანებს განსაზღვრული საჯარო ფუნქცია. თუმცა, ვინრო გაგებით, საჯარო ცხოვრებაში, სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს საზოგადოებრივი (როგორც სახელისუფლო, ისე არასახელისუფლო) ინტერესებისთვის საქმიანობა და შესაძლოა, რომ საჯარო ცხოვრება გაცილებით ფართო იყოს, ვიდრე საზოგადოებრივი სფერო. აქედან გამორიცხვის მეთოდის გამოყენებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ კერძო ცხოვრება არის სფერო, რომელიც არაა საჯარო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კერძო სფერო შეიძლება იქცეს საჯაროდ, განსაკუთრებით დღევანდელ ტექნოლოგიურ ეპოქაში, როცა დღესდღეობით კერძო და საჯარო სფეროები არაა დიამეტრალურად ერთმანეთთან დაპირისპირებული და სამოქალაქო საზოგადოებაში დაცული ცხოვრების სხვადასხვა ფორმაში ურთიერთგადაიკვეთება. განსაკუთრებით რთულია მედიაში დადგინდეს, ესა თუ ის საკითხი საჯარო სფეროს მიეკუთვნება თუ კერძო სფეროს.<sup>19</sup> ამასთან, აქვე აუცილებელია, დაზუსტდეს კერძო ცხოვრების ცნების მოცულობა, რათა გაირკვეს, თუ სად გადის ზღვარი საჯარო და კერძო სფეროებს შორის.

ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით, კერძო ცხოვრების განმარტება შეიცავს სოციოლოგიურ-სამართლებრივ ასპექტებს, სახელდობრ, კერძო ცხოვრებაში მოიაზრება: (1) საზოგადოებისაგან ან საჯარო ინტერესისაგან განმარტოებულად ცხოვრება, თავისუფალი საზოგადოებრივი ყურადღებისაგან, როგორც არჩევანი ან უფლება; (2) კერძო ან ფარული ადგილი, კერძო ოთახები; განმარტოების ადგილი; (3) არასაჯარო, პირობა, რაც უახლოვდება საიდუმლოებას ან ფარულობას. საიდუმლოების დაცვა;<sup>20</sup> (4) კერძო საკითხი, საიდუმლოება, პირადი საქმე ან ურთიერთობები. (5) ინტიმური და კონფიდენციალური ურთიერთობები; (6) ადგილის დამოუკიდებლად არჩევა.<sup>21</sup> თვით სიტყვა „ინტიმურობას“ შემავსებელი მნიშვნელობა აქვს სიტბოს, ნდობისა და განცდების ღიად გამოსახატავად.<sup>22</sup> ამდენად, ეს კრიტერიუმები აზუსტებს, თუ რომელ

ასპექტებში შეიძლება განცალკევდეს ერთი პირი მეორისაგან (ან სხვათაგან). განმარტოება კი, კერძო ცხოვრების არსის ერთერთი განმსაზღვრელი მომენტია.

ამასთან, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, პირადია ის, რაც მხოლოდ ერთ პირს ეხება, ერთი პირის ინტერესების შესაბამისი, პიროვნული, პერსონალური, ინდივიდუალური.<sup>23</sup> ამდენად, პირად ცხოვრებაში მოიაზრება სხვათაგან უკვე განმარტოებული პირის სფერო, მისი სულიერი და პიროვნული მხარეები. აქ საქმე ეხება ამ სუბიექტის ინდივიდუალურ თავისებურებებს. ამიტომ პირადი ცხოვრების განსასაზღვრად უნდა გაირკვეს საკითხები: ცხოვრობს პირი საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად? ეგუება იმას, რომ საკუთარი ცხოვრებით არაა კმაყოფილი? აქვს მას ცხოვრებისეული პერსპექტივები? როგორ უკავშირებს ის საკუთარ ცხოვრებაში იმას, რაც სურს, შეუძლია და უნდა გააკეთოს?..<sup>24</sup> ე.ი. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, პირადი არაა „კერძო“ იდენტური; პირადი არის პირთან დაკავშირებული (persönlich). „კერძო“ არის ის, რაც არაა საჯარო. კერძო შესაძლოა უფრო ფართო იყოს, ვიდრე პირადი (საოჯახო, ჯგუფური, ქონებრივი); კერძო გამოიხატება სიტყვით „Privatum“. ამდენად, კერძო და პირად სფეროებს შორის გვარისა და სახის დამოკიდებულება უნდა იყოს.<sup>25</sup>

რაც შეეხება ინტიმურ სფეროს, რომელიც კერძო ცხოვრების ყველაზე ღრმა პიროვნული სფეროა, მას განეკუთვნება სქესობრივი ცხოვრება,<sup>26</sup> აგრეთვე, პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული მონაცემები – სამედიცინო გამოკვლევების შედეგები, აღსარებისას გამოთქმული მოსაზრებები, ადვოკატისათვის გადაცემული ცნობები.<sup>27</sup> ინტიმურ ცხოვრებაში ასევე, შედის შინაგანი განცდები და გრძნობების სამყარო,<sup>28</sup> ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, როგორიცაა სხეულის ჰიგიენის დაცვის ჩვევა. მაგალითად, ავადმყოფობის დროს პრინციპულად უნდა ითქვას უარი პირის სახელის ხსენებაზე.<sup>29</sup>

ამდენად, ყველა პირადი არის კერძო, მაგრამ არა პირიქით, თუმცა ამის გათვალისწინებით, ზოგჯერ კონტექსტში შეიძლება კერძო ჩაენაცვლოს პირადს. შესაბამისად, კერძოა სფერო, რომელიც გამოიხატება ადამიანთა შორის არასაჯარო საწყისებზე აგებული ურთიერთობის თავისუფლებაში,<sup>30</sup> სადაც პირებს ან სოციალურ ინსტიტუტებს არა აქვს ჩარევის უფლება,<sup>31</sup> ინდივიდს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედება<sup>32</sup> და ეკონომიკურ სფეროში პიროვნების განვითარება<sup>33</sup> ე. ი. კერძო სფეროს ცნების მოცულობა დიდია.<sup>34</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტსფეროში მოქმედების გარკვეული ასპექტებიც კერძო სფეროს გამოვლენის ფორმებია. თუმცა, ინფორმაციულ ეპოქაში ბევრი ინტერნეტმომხმარებელი ცდება, როცა მიიჩნევს, რომ ინტერნეტსაუბრები რჩება საიდუმლოდ. თუ პირი ფიქრობს, რომ მისი კომპიუტერი მისივე თვალთვალის კიბერსივრცეში, სინამდვილეში ეს აღმოჩნდება თვალთვალის, რომელსაც ორმხრივი მათემატიკური ჰყავს. საქმე ისაა, რომ არსებობს ინტერნეტის მრავალი საძიებო მეთოდი, რაც სხვებს აძლევს საშუალებას, დაინახონ ამ პირის ქცევა კიბერსივრცეში და ადვილად მოიპოვონ მასზე ინფორმაცია. ამასთან, ზოგჯერ ბევრი დამსაქმებელი საკუთარი თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომს ხდის ინტერნეტს და ელექტრონულ ფოსტას უქმნის. როდესაც ადამიანი ვებგვერდს ესტუმრება, ყიდულობს რაიმეს ან აგზავნის ელექტრონულ ფოსტას, ანკეტური მონაცემების უმეტესობა რეგისტრირდება. ამდენად, როცა კომპანიის თანამშრომლები ნებაყოფლობით ამყარებენ კავშირს ელექტრონული ფოსტით, რომელიც კომპანიის საკუთრებაში იყო, კერძო ცხოვრებაში ჩარევა მიიჩნევა დარღვევად, თუ ის არსებითი და ძალიან შეურაცხმყოფელია ჩვეულებრივი გონიერი ადამიანისთვის. თუ თანამშრომელი განსაზღვრავდა ელექტრონულ ფოსტაში კერძო ცხოვრების გონივრულ მოლოდინს, ეს არ ნიშნავდა, რომ ამ

ინფორმაციის გამოყენება წარმოადგენდა არსებითსა და პირად სფეროში ძალიან შეურაცხმყოფელ ჩარევას. ეს ზრდის ინტერნეტში ადამიანის კერძო ცხოვრების იზოლირების ტენდენციას.<sup>35</sup> ამდენად, 1990-იანი წლების შუალედში მრავალმა მოვლენამ კერძო ცხოვრების გარშემო ახალი საკითხი წამოჭრა: ახალი ტექნოლოგიების სწრაფი ზრდა; უფრო და უფრო აგრესიული (სკანდალური) ამბების გავრცელება პრესის მეშვეობით; იდენტიფიკაციის ქურდობის ზრდა... თუმცა, ეს მოვლენები არ გამოიწვევს ხელისუფლების ჩარევას, ასევე, კერძო სექტორის მიერ ინფორმაციის მოძიება-გამოყენებას.<sup>36</sup> ამავე დროს, ეს კონფლიქტი კიდევ უფრო აქტუალური ხდება იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიებს აქვთ განსაზღვრული მოვალეობები ინვესტორების მიმართ, საქმიანი პარტნიორების, კლიენტებისა და მომსახურე პირთა მიმართ, მათ შორის, ინფორმაციის საიდუმლოებისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა სხვადასხვა მეთოდით, თუნდაც თვალთვალთ.<sup>37</sup> თუმცა, აქვე მნიშვნელოვანია ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის პროექტის მე-7 მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია, რომ თითოეულ პირს აქვს საკუთარი კერძო და საოჯახო ცხოვრების, საცხოვრებლის, ასევე, თავისი კომუნიკაციის პატივისცემის უფლება. მხოლოდ ინგლისში იყო დღემდე სასამართლო პრაქტიკის მიერ პირადი სფეროს პატივისცემის უფლება უარყოფილი. აზრის თავისუფლება ბრიტანული და გერმანული სამართლის სისტემაში ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში, ცენტრალურ როლს ასრულებს.<sup>38</sup> ამდენად, რთულია აზრის თავისუფლებასა და კერძო ცხოვრების დაცვის უფლებებს შორის ღირებულებითი კონფლიქტის გადანწყვეტა.

### 3. საჯარო და კერძო ინტერესთა შორის ურთიერთმიმართება

თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში კერძო და საჯარო სფეროებს შორის საზღვრები ემორჩილება საზოგადოებრივ ცვლილებებს. ამ სფეროების გამიჯვნის პრობლემის ცვალებადობა განსაკუთრებით საგრძნობია მათი განვითარების ისტორიული თავისებურებების შესწავლისას.<sup>39</sup> ქსელური საზოგადოების განვითარების შედეგად, საჯარო ცხოვრება იმდენად შემოიჭრა კერძო სფეროში, რომ ზოგიერთმა ავტორმა კერძო ცხოვრება მკვდრად მონათლა.<sup>40</sup> ამდენად, კერძო ცხოვრების ყოველდღიური „ეროზია“ არის ბუნებრივი პროცესი: ტექნოლოგიური განვითარების ფონზე კერძო ცხოვრების გონივრული მოლოდინიც სახეს იცვლის.<sup>41</sup> ამ ფორმით აშკარაა, რომ საჯარო სფერო უფრო და უფრო იზრდება და კერძო ცხოვრების ცნების მოცულობა დროთა განმავლობაში ვიწროვდება.

ამდენად, კერძო და საჯარო ურთიერთგამომრიცხველი, მაგრამ მჭიდროდ დაკავშირებული კატეგორიებია. საჯარო და კერძო სფეროებს შორის ბალანსის უზრუნველყოფა დამოკიდებულია თვით უფლებამოსილი პირის ნებაზე, ვინაიდან სწორედ მის (კერძო ცხოვრების დაცვის უფლების მფლობელი) ხელთაა შესაძლებლობა, გაავლოს ზღვარი ამ სფეროთა შორის. სახელდობრ, უფლებამოსილი პირი წყვეტს, ვის რა მიაწოდოს და რა არა.<sup>42</sup>

საჯარო და კერძო ინტერესთა ღირებულებითი კონფლიქტი განსაკუთრებით ჩანს მედიასივრცეში. ამიტომ მიზანშეწონილია, რამდენიმე სიტყვით ეს პრობლემაც განვიხილოთ. დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ საჯარო და კერძო ინტერესთა შორის მიმართების გარკვევისათვის მნიშვნელოვანია მედიის თვითრეგულირების მექანიზმის ამოქმედება, რაც გარკვეული ვალდებულებებისა და წესების დაცვით დააბალანსებს პირადი ცხოვრების დაცვის უფლებასა და

პრესის თავისუფლებას შორის ინტერესებს. პოზიტიურია, როცა პრესას არ შეუძლია კონვენციის მე-8 მუხლის ხელყოფის დროს დაიმონოს, რომ „ობიექტური და კორექტული“ იყო; ამ სახის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს.<sup>43</sup> საქართველოში ამ თვალსაზრისით მოქმედებს მაუნყებელთა ქცევის კოდექსი, რომელიც დასაწყისშივე განმარტავს კერძო ცხოვრების ლეგიტიმურ მოლოდინს, როგორც პირის მოლოდინს, მოეპყრან მას აღიარებული და დამკვიდრებული პრაქტიკის ან წესების შესაბამისად. თუმცა, იქვე ხაზგასმია, რომ გარკვეულმა კერძო ქმედებამ შეიძლება წარმოშვას განსაზღვრული საკითხებისადმი ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესი (მაუნყებელთა ქცევის კოდექსის მე-5 მუხლის „ი“ პუნქტი). მიუხედავად ამისა, შემდგომ გათვალისწინებულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა პრინციპის სახით, რითაც კანონმდებელმა პირადი სფეროს დაცვის მნიშვნელობას ხაზი გაუსვა. ამასთან, მაუნყებლის მოვალეობა ინფორმაციის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ლეგიტიმურ მოლოდინს შორის ბალანსის დაცვა (ამავე კოდექსის 34-ე მუხლი). ზოგ შემთხვევაში რთულია იმის დადგენა, არსებობს თუ არა იმ ხარისხის საზოგადოებრივი ინტერესი, რომ კერძო ცხოვრების შესახებ გარკვეული ცნობები გავრცელდეს. მაგალითად, მაუნყებელთა ქცევის კოდექსის 35-ე მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით, კერძო საკუთრებაში მყოფ ტერიტორიაზე ფარული ჩანერა გამართლებულია მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესით, მათ შორის საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისას, რომ აღმოჩენილი იქნება დანაშაულის შესახებ მტკიცებულება. აქ განსასაზღვრია, თუ როდის შეიძლება საზოგადოებრივი ინტერესით გამართლებული იყოს გამოქვეყნება. მიზანშეწონილია, ინფორმაციის გავრცელების ლეგიტიმაციის საკითხი საფუძვლიანი მსჯელობის საგანი იყოს და უხეშად არ შეილახოს კერძო სფერო.<sup>44</sup>

აქვე საგულისხმოა, რომ გერმანიაში არსებობს პრესის თვითრეგულირების ნებაყოფლობითი ინსტანცია – პრესის საბჭო, რომელიც იყენებს პრესის კოდექსს. ეს წესები კონკრეტდება პუბლიკაციური სამუშაოსათვის დირექტივების საშუალებით გერმანული პრესის საბჭოს მიერ. აღნიშნული საბჭოს პრესის კოდექსის მე-4 და მე-8 მუხლები ემსახურება პირადი სფეროს დაცვას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრინციპი – პატივი ეცი „ადამიანების პირად ცხოვრებასა და ინტიმურ სფეროს“ პრესის საშუალებით (ამ კოდექსის მე-8 მუხლი). აქვე განსაზღვრულია, რომ სხეულებრივი და ფსიქიკური დაავადება ადამიანების საიდუმლო სფეროში შედის (დირექტივა 8.3). ასევე, საჯარო ინტერესის არსებობისას პირადი ქცევის განხილვა გამართლებულია. მე-8 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ფიზიკური და გონებრივი დაავადებები და დაზიანებები პიროვნების ცხოვრების კონფიდენციალური მხარეა. პრესამ კი, თავი უნდა შეიკავოს ჯანმრთელობის მდგომარეობის თუ სამედიცინო დაწესებულებების აღწერისას ვინაობისა და ფოტოების გამოქვეყნებისაგან, დამამცირებელი ტერმინების გამოყენებისაგან, თუნდაც ასეთ ტერმინებს ვხვდებოდეთ ყოველდღიურ მეტყველებაში. ნებისმიერ პირს, ცნობად სახეებსაც კი, სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგაც იცავს კანონი ისეთი ფაქტების გახმაურებისაგან, რომლებიც მის დისკრედიტაციას იწვევს. ინგლისში არსებობს პრესის საჩივრების კომისია, რომელიც მუშაობს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების შინაარსის თაობაზე პრეტენზიებთან დაკავშირებით. ეს კომისია ხელმძღვანელობს პრაქტიკის კოდექსით,<sup>45</sup> რომლის მე-3, მე-5, მე-6, მე-7, მე-10 და მე-12 მუხლები პირადი სფეროს დაცვას ეძღვნება. ამასთან, დადგენილია, რომ აკრძალულია სექსუალური დანაშაულების არასრულწლოვან მსხვერპლთა ან მოწმეთა იდენტიფიცირება (მე-7 მუხლი), მით უფრო, პროცესის სხვა მონაწილეთა დასაშვები



სახელის ხსენების შესახებ იდენტიფიცირება გამოირიცხება (მე-7 მუხლი); არაა დასაშვები აღსაზრდელი მსხვერპლების იდენტიფიცირება (მე-12 მუხლი). გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პრესის თვითკონტროლზე კანონის ზეგავლენას.<sup>46</sup> საქართველოშიც შეიქმნა მედიის თვითრეგულირების თაობაზე ნებსები, მაგრამ ჯერ კიდევ, სათუთა, თუ როგორ მუშაობს ის და რამდენად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, ვინაიდან უფრო და უფრო აშკარაა (თითქმის ყოველდღიურად) პირადი ცხოვრების ხელყოფა, რაც დაუსჯელი რჩება.

ამდენად, აშკარად ეჯახება კერძო ინტერესი საჯაროს, რის გამოც დგება საკითხი, თუ რომელ ინტერესს მიენიჭოს პრიმატი. არის მოსაზრება, რომ საქმიანი რეპუტაციისა და ღირსების დაცვის უფლებები შეიძლება გამოხატვის თავისუფლებასთან აღმოჩნდეს ღირებულებით კონფლიქტში. აზრის გამოხატვის პრიორიტეტი რეპუტაციის დაცვის უფლებასთან შედარებით ყოველთვის არაა გამართლებული, ზოგჯერ კი, მის ხელყოფას შეიძლება ჰქონდეს ობიექტური გამართლება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, თავისუფლების განხორციელება რადგან მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, ის შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვადასხვა საჯარო ინტერესის დასაცავად. მათ წრეში შედის: ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესები, უნესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთა, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება ან სასამართლოს ხელისუფლებისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნება.<sup>47</sup>

აქვე უნდა განისაზღვროს, რომ რეპუტაციისა და ღირსების დაცვის უფლებები, თავის მხრივ, შეიძლება მოექცეს კერძო ცხოვრების დაცვის უფლების ფარგლებში. საქმე ისაა, რომ დღესდღეობით პატივს განიხილავენ, როგორც ადამიანის შინაგან და გარეგან ღირებულებას, ასევე როგორც საკუთარ ღირსებას საზოგადოების ფარგლებში, რაც ნიშნავს თვითაღიარებასა და პირის შეფასებას საზოგადოების თვალსაზრისით.<sup>48</sup> პატივის ეს ორივე გამოვლინება სამოქალაქო-სამართლებრივ დაცვას საჭიროებს.<sup>49</sup> ამასთან, ღირსება განიხილება პიროვნებისათვის დამახასიათებელ თვისებად.<sup>50</sup> რაც შეეხება ტერმინს „რეპუტაცია“, იგი შეფასებითი კატეგორიაა. მასში მოიაზრება ადამიანის სტატუსი საზოგადოებაში და მის შესახებ შექმნილი წარმოდგენა.<sup>51</sup> ამასთან, პირის საქმიანი რეპუტაცია იმ თვისებათა და შეფასებათა ერთობლიობაა, რომელთაც მათი მატარებელი ასოცირდება თავისი კონტრაგენტების, კლიენტების, მომხმარებლების, კოლეგების, თაყვანისმცემლების (შოუ-ბიზნესში), ამომრჩეველთა (არჩევითი თანაბდებობისათვის) შეგნებაში და პერსონიფიცირდება ამ დარგის სხვა პროფესიონალთა შორის.<sup>52</sup> ამიტომ საქმიანი რეპუტაციაში იგულისხმება პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება, რასაც ეფუძნება მოცემული ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება. ზემოთ განხილული დეტალების მიხედვით, სახელის ხელყოფამ შეიძლება პატივისა და ღირსების შელახვა გამოიწვიოს. თუმცა, ეს არ ნიშნავს ამ სიკეთეების ცალკე სამართლებრივი დაცვის უგულებელყოფას.<sup>53</sup> ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან ნათლად ჩანს, რომ რეპუტაცია პირადი სფეროს შემადგენელი ნაწილია, ვინაიდან ინდივიდის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება განიხილება თვით ამ პირის თვითმყოფადობისა და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის ელემენტად.<sup>54</sup> ასევე, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ უფლებას შეიძლება შეეჯახოს საჯარო ინტერესი აზრის გამოხატვის თავისუფლების სახით და წარმოიშვას ღირებულებითი კონფლიქტი.<sup>55</sup> ამიტომაც პატივისა და ღირსების ხელყოფით საბოლოოდ,



შეიძლება პირადი ცხოვრების შელახვაც. შესაბამისად, სწორედ ეს ასპექტებია აქტუალური აღნიშნული ღირებულებითი კონფლიქტის გადაწყვეტის თვალსაზრისით.

#### 4. კონცეფციები საჯარო და კერძო ინტიმის შორის ღირებულებითი კონფლიქტის შესახებ

##### 4.1. აზრის გამოხატვის თავისუფლების პრიორიტეტულობა ღირებულებით კონფლიქტში

არსებობს შეხედულება, რომლის თანახმად, აზრის გამოხატვის თავისუფლება გაცილებით პრიორიტეტული ღირებულებაა, ვიდრე პირადი სფერო. აქ საგულისხმოა ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის პოზიცია. როგორც ლუკაიდის აღნიშნავს, რეპუტაციის უფლების საზიანოდ აზრის გამოხატვის თავისუფლების გადამეტებით დაცვა განპირობებულია იმით, რომ რეპუტაციის უფლება არაა კონვენციით ცალკე გარანტირებული, როგორც სპეციალური უფლება; რეპუტაციის დაცვის უფლება მხოლოდ მაშინ ექცევა კონვენციის მე-8 მუხლის დაცვის ფარგლებში, თუ რეპუტაციის შელახვა უკავშირდება კერძო და საოჯახო ცხოვრების სფეროს, რასაც ხშირად შეიძლებოდა გამოეწვია ინდივიდის ღირსებისა და რეპუტაციის დაცვის კანონიერი მოთხოვნის ნეიტრალიზება.<sup>56</sup> ამდენად, რეპუტაციის დაცვა დამოკიდებულია მასსა და კერძო ცხოვრების დაცვის უფლებას შორის კავშირზე.

ამავე თეორიის მიხედვით, თუ საქმე ეხება საჯარო პირებს, აზრის გამოხატვის თავისუფლებას აქვს აშკარა პრიორიტეტი რეპუტაციის დაცვის უფლებასთან შედარებით. თუმცა, წარმოდგენილი შეხედულების საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის, რომ თვით ამ კონცეფციაში ყოველთვის არაა რეპუტაციის დაცვის უფლებასთან შედარებით აღიარებული აზრის გამოხატვის თავისუფლება პრიორიტეტულად; აქ შეიძლება მოიაზრებოდეს შემთხვევა, როცა ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ დიფამაციური განცხადება მათი კერძო ცხოვრების ყველაზე უფრო ინტიმურ ასპექტს ეხება. სწორედ აქედან გამომდინარე, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“<sup>57</sup> საქმის საფუძველზე განმარტა, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ, თუ ეს კრიტიკა უხეშად არ ხელყოფს მათ პატივს, ღირსებას, პირად ცხოვრებასა და ხელშეუხებლობას.<sup>58</sup> ამავე დროს, მოცემული შეხედულებით ზედმეტადაა საჯარო ინტერესის დაცვის მოცულობა გაფართოებული და კერძო ინტერესის პრიმატი აღიარებულია მხოლოდ ინტიმური სფეროს ხელყოფისას, რაც დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ წესებს ეწინააღმდეგება. სახელდობრ, დღევანდელ პირობებში კერძო სფეროს დაცვა გადმოვიდა წინა პლანზე, რის გამოც დემოკრატია ინდივიდუალობის მნიშვნელობა გამოკვეთა. ეს კი, ამ თეორიით არაა სრულად დაცული. ამდენად, აზრის გამოხატვის თავისუფლება მნიშვნელოვანი ღირებულებაა, მაგრამ მისი დაცვა არ უნდა ხდებოდეს ისეთი სიკეთის ხელყოფის ხარჯზე, როგორცაა პირადი სფერო.

##### 4.2. პირადი ცხოვრების დაცვის პრიორიტეტულობა ღირებულებით კონფლიქტში

არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად, აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე გაცილებით რელევანტურია პირადი ცხოვრების უფლების დაცვა. ეს თეორია ფაქტობრივად, გაზიარებულია

გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში, ვინაიდან აქ ადამიანის ღირსება ყველა სხვა ძირითადი უფლების საფუძვლადაა მიჩნეული და აღიარებულია, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლებამ ყოველთვის უკან უნდა დაიხიოს, თუ შელახულია ადამიანის ღირსება.<sup>59</sup> ღირსება კი, პირადი სფეროს ცენტრალური რაობაა, რომლის ხელყოფასაც შეიძლება პირადი ცხოვრების შელახვა მოჰყვეს. ამასთან, რეპუტაციის დარღვევამაც შეიძლება პირადი სფეროს ხელყოფა გამოიწვიოს. კერძო ინტერესის პრიმატის გამო, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება ისეთი გარანტირებული ფასეულობის დაცვის მიზნით, როგორცაა პიროვნების რეპუტაცია, რომელშიც პიროვნების პატივი და ღირსება მოიაზრება.<sup>60</sup> მართალია, ეს თეორია პიროვნების დაცვაზეა ორიენტირებული და დემოკრატიული საზოგადოების ძირითად არსსაც ითვალისწინებს, მაგრამ არ უნდა იყოს გაზვიადებული პიროვნული სანყისის დაცვა<sup>61</sup> და დაუშვებელია საჯარო სფეროს სრულად იგნორირება. აქ ხაზგასასმელია, რომ ყველა შემთხვევაში პრიორიტეტულია კერძო სფეროს დაცვა თუ არის გარკვეული გამონაკლისებიც დაშვებული. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 და 41-ე მუხლების დათქმები ამ უფლების კანონისმიერი საფუძვლებით შეზღუდვის თაობაზე, რაც ძირითადად, გერმანული სამართლის მოდელს ეფუძნება.

ამასთან, ღირებულებითი კონფლიქტის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მიღებით, ვინაიდან ამით შეიქმნა საფრთხე, რომ ქართული სამოქალაქო სამართალი დაშორებოდა გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიდგომას. საქმე ისაა, რომ სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი პირს ანიჭებდა უფლებას, მოეთხოვა იმ ცნობების საჯაროდ უარყოფა, რომელიც ლახავს პატივს, ღირსებასა თუ საქმიან რეპუტაციას. ეს მუხლი განსაზღვრავდა, რომ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ადეკვატური ფარგლების დადგენა მიიღწევა სსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული უფლების დაცვის ფორმებით. აქვე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ნამდვილობა შეიძლება დამტკიცდეს მხოლოდ ფაქტებთან დაკავშირებით, აზრი კი, მტკიცებას არ ექვემდებარება. შესაბამისად, ამ ორი კომპონენტის (ფაქტისა და აზრის) გონივრული გამოიჯვანა არის სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მართებულად გამოყენების წინაპირობა. თუმცა, საერთოდ, სასამართლომ უნდა დაადგინოს არა მხოლოდ ნამდვილობა, არამედ შეაფასოს გავრცელებული ცნობების ხასიათი და გადაწყვიტოს, ხელყოფს თუ არა აღნიშნული ცნობები კონსტიტუციით დაცულ უფლებებს. არადა გერმანიაში აღიარებულია, რომ პიროვნული უფლებების დაცვა გაცილებით რელევანტურია, ვიდრე ინფორმაციის თავისუფლება, თუ საქმე ეხება ცრუ ან დაუდასტურებელი ფაქტების მტკიცებას. აღნიშნული კი უახლოვდება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მიდგომას. ამდენად, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ერთადერთ კანონიერ მიზნად უნდა ჩაითვალოს სხვათა უფლებების დაცვა.<sup>62</sup>

ასევე აღსანიშნავია, რომ სსკ-ში 2004 წლის საკანონმდებლო ცვლილებამ ღირსებისა თუ სხვა სიკეთეთა კონსტიტუციური დაცვის ხარისხის შესუსტების საფრთხე შექმნა. საქმე ისაა, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, ე. ი. ამავე კანონის 1-ლი ნაწილის „ფ“ პუნქტის მიხედვით, აზრის გამოხატვისას პირი სრულად და უპირობოდ თავისუფლდება კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.<sup>63</sup> თუმცა, აღნიშნული კანონის მე-7 მუხლში განსაზღვრულია, რომ ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა

უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. კანონით დადგენილი წესით დაუდასტურებელი ეჭვი უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის სანინაალმდეგოდ.<sup>64</sup>

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ რეპუტაციის უფლება სარგებლობს დაცვის მაღალი სტანდარტით და კონვენციის მე-8 მუხლის დაცვის ფარგლებში ექცევა, განსაკუთრებით თუ დიფამაციური განცხადება ინტიმურ სფეროს შეეხება. ამ შემთხვევაში, შეიძლება აზრის გამოხატვის თავისუფლებამ თვით ნამდვილი ფაქტების შესახებ ინფორმაციის გავრცელების დროსაც კი, უკან დაიხიოს, ვინაიდან ასეთი ინფორმაცია (მით უფრო, თუ იგი კერძო პირებს შეეხება) ნაკლებად ღირებულია საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე პრობლემათა გაშუქების თვალსაზრისით.<sup>65</sup> აქვე არსებითია ევროკონვენციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც დადგენილია, რომ პიროვნული უფლებების ხელყოფა ლეგიტიმურია, თუ ის ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში გარკვეული ინტერესების უზრუნველსაყოფად. სახელდობრ, ამ წინაპირობებს განეკუთვნება: ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის, უნესრიგობისა ან დანაშაულის თავიდან აცილების, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებების დაცვა.

მართალია, ეს თეორია ითვალისწინებს უმნიშვნელოვანეს ასპექტს – პიროვნულობის დაცვას, მაგრამ ზემოთ განხილული შეხედულებით არაა გამოკვეთილი კერძო, პირად და ინტიმურ სფეროებს შორის საზღვრები, რაც აუცილებელია ღირებულებითი კონფლიქტის სიღრმისეულად შესასწავლად. ამასთან, არ უნდა მოხდეს ინდივიდუალობის უსაზღვრო ფეტიშიზმი. საქმე ისაა, რომ ყველა შემთხვევაში არაა კერძო ინტერესი პრიორიტეტული საჯარო ინტერესთან შედარებით, რაც ცხადი გახდება, თუ დადგინდება კერძო, პირადი და ინტიმური სფეროების ცნების მოცულობა.

#### 4.3. აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი სფეროს თანაბარი ხარისხით დაცვა

ზემოთ განხილული შეხედულებების პარალელურად არსებობს თეორია, რომლის თანახმად, ზოგადად, აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და კერძო სფეროს დაცვის ინტერესები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისე, რომ ერთი ინტერესი არ შეეწიროს მეორეს. აქ უარსაყოფია შეხედულება, რომ სიტყვის თავისუფლების თეორია და უფლებათა იურისპრუდენცია გაცილებით ფართოა, რომელსაც შეუძლია მართვის თანამედროვე კონსტიტუციური სისტემის შენობის დანგრევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვკარგავთ კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობაზე უფლებას.<sup>66</sup> ეს კონცეფცია კი, ფაქტობრივად, უტოპიურად გამოიყურება, ვინაიდან პრაქტიკაში შეუძლებელია საჯარო და კერძო ინტერესების თანაბარწილად დაცვა იმის გათვალისწინებით, რომ ისინი ურთიერთდაპირისპირებული სფეროებია. ამასთან, საქმე ეხება ღირებულებით კონფლიქტს და ღირებულებითი წესრიგი, თავის მხრივ, იერარქიული ხასიათისაა, რაც ასევე, გამორიცხავს ორი ანტიგონისტური სფეროს შეჯახებისას ორივეს დაცვას. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ერთ-ერთი ინტერესის პრიმატის გამოკვეთა გარდაუვალია.

### 5. სამართლებრივი წესრიგი

აღსანიშნავია, რომ ღირებულებითი კონფლიქტის გადაწყვეტა უკავშირდება სამართლებრივ წესრიგს. საერთოდ, წესრიგი კერძო და საჯარო ინტერესების მშვიდობიანად და გვერდიგვერდ

არსებობის განცდაა. არ შეიძლება კანონმდებელმა გადაუხვიოს საყოველთაოდ აღიარებულ იმ ელემენტარულ ღირებულებებს, რომლებიც ყველაზე დაბალი მართლშეგნების ადამიანისთვის ბუნებრივია.<sup>67</sup> საქმე ისაა, რომ სამართლებრივი წესრიგის შრეებში მოიაზრება სამართლის ნებისმიერი დარგის შიგნით წესრიგი (მხედველობაშია ინსტიტუციური წესრიგი). მაგალითად, თუ განვიხილავთ კერძო სამართალს, აქ აუცილებელია მისი სხეულის ყველა ნაწილის შეხამებული ფუნქციონირება, ვინაიდან საკმარისია სამართლებრივი უსაფრთხოების მოშლა, რომ ნებისმიერი უფლება ეჭვის ქვეშ აღმოჩნდება.<sup>68</sup> ფაქტობრივად, ძირითადი უფლებების დაცვა შეუძლებელია, თუ არ არსებობს უფლებათა საერთო წესრიგი. სამართლებრივი წესრიგი ისეთივე მიმართებაშია ძირითად უფლებებთან, როგორც შენობის საძირკველი შენობასთან. ასევე, ნებისმიერი პირის უფლება უფლებათა საერთო წესრიგის ნაწილია და თუ ეს პრიორიტეტი ძირს უთხრის აღნიშნულ წესრიგს, მაშინ იგი მიუღებელია. ნებისმიერი უფლების დაცვა სამართლებრივი წესრიგის სივრცეში უნდა თავსდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი უფლებები არც კი შეიძლება უფლებებად მივიჩნიოთ.<sup>69</sup> შესაბამისად, პირადი ცხოვრების დაცვის უფლებაც საერთო წესრიგის ნაწილს წარმოადგენს.

ამდენად, ზოგადად, უფლებები და კონსტიტუციური წესრიგი მთლიანობაში ქმნის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, რომელიც სახელმწიფოსა და ადამიანს შორის ურთიერთობის ზღვარია. არ შეიძლება ერთი სამართლებრივი სიკეთის დაცვით შეილახოს სხვა სამართლებრივი სიკეთე.<sup>70</sup> თუმცა, როცა საქმე ეხება კერძო სამართალში სამართლებრივ ღირებულებათა კონფლიქტს, აქ, ზემოთ აღნიშნული ვერ გამოდგება. საქმე ისაა, რომ სამართლებრივი წესრიგის მიღწევა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კერძოსამართლებრივ ქრილში, ვინაიდან გასარკვევია ავტონომიის ფარგლები. როგორც ცნობილია, სამოქალაქო სამართალი ეფუძნება გარკვეულ ღირებულებებს, რომლებიც ქმნის კერძო სამართლის ფუნდამენტს. ისინი განმტკიცებულია კონსტიტუციით და შემდგომ კერძო სამართალში მოქმედებს. სსკ ღირებულებითი წესრიგის საზომად ასახელებს საქართველოს კონსტიტუციას (სსკ-ის მე-2 მუხლი). ამდენად, კონსტიტუცია განსაზღვრავს კერძო სამართლის განვითარებისათვის აუცილებელ ფარგლებს. შესაბამისად, ძირითადი უფლებები, როგორც კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილი, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში უშუალოდ ვერ მოქმედებს, ვინაიდან ძირითადი უფლებების ერთ-ერთი ადრესატი ყოველთვის სახელმწიფოა, ხოლო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში კერძო უფლების ადრესატია კერძო პირი. ესე იგი, კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი უფლებები არაპირდაპირ მოქმედებს კერძო სამართალში.<sup>71</sup>

ასევე, აუცილებელია თავისუფლების ცნების მოცულობის ხაზგასმით წარმოდგენა, რადგან ეს თემა უკავშირდება აზრის გამოსატყვის თავისუფლების უნარს, შეიჭრას სხვათა უფლებებში. აღნიშნული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კერძო სამართალში აღიარებული ავტონომიის ფართო ინტერპრეტაციის გამო. საქმე ისაა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტები აღჭურვილნი არიან შესაძლებლობით, განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება, თუნდაც ეს კანონით უშუალოდ არ იყოს მოცემული. მართალია, აქ კერძო ავტონომიის არსია წარმოდგენილი, მაგრამ ასეთი თავისუფლება უსაზღვრო როდია. უპირველეს ყოვლისა, ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენება დაუშვებელია, რაც წესრიგდება იმპერატიული ნორმებით (სსკ-ის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი). აქვე უნდა ითქვას, რომ „ერთი პირის კერძო ავტონომია არის მეორე პირის კერძო ავტონომიის მნიშვნელოვანი შეზღუდვა“, ასევე, სხვისი თავისუფლება შეიძლება

შეიზღუდოს საზოგადოებრივი სტანდარტებისა და საჯარო ინტერესების საფუძველზე.<sup>72</sup> ამდენად, თითოეული თავისუფლება ზღვარდებულია პასუხისმგებლობით, კანონის დანაწესებით, ზოგადად, გარკვეული შეზღუდვებით. შესაბამისად, თავისუფლება, რომელიც ამ ფარგლებს არღვევს, არაა თავისუფლება. ამდენად, შეუზღუდავი აზრის თავისუფლება, რომელიც პირად ცხოვრებას ხელყოფს, ქმნის არა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას, არამედ ლახავს პირად სფეროს. განზოგადებულ ინტერპრეტაციას უარყოფითი შედეგი მოჰყვება, თუ საქმე პიროვნული უფლებების დაცვის სხვა შეზღუდვებს ეხება, მათ შორის, წესები, რომლებმაც უნდა დაიცვას კერძო და ინტიმური სფეროები; ისინი ასევე, ქმნის აზრის თავისუფლების შეზღუდვას.<sup>73</sup> შესაბამისად, ინტერესთა ბალანსი მიიღწევა ამ საზღვრების მაქსიმალურად დაცვის გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში, კერძო ცხოვრების ხელყოფისას დადგებოდა სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა. აღნიშნულს შეიძლება მოჰყოლოდა ქონებრივი ან/და არაქონებრივი ზიანი, რაც დელიქტური ვალდებულებების შესახებ ნორმების გამოყენებას გამოიწვევდა (სსკ-ის 992-ე მუხლი).

ამავე დროს, მიზანშეწონილია, ღირებულებათა დალაგება გარკვეული კრიტერიუმის მიხედვით (მაგალითად, ავტონომიურობის ნიშნით). ეს ნიშანი დააკავშირებდა დღესდღეობით, ერთმანეთისგან მოწყვეტით სხვადასხვა მუხლში განთავსებულ კერძო ცხოვრების დაცვის უფლებასა და საკუთარი პიროვნების განვითარების თავისუფლებას. ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით, ღირებულებათა დალაგება გამოკვეთდა, რომ პირადი ცხოვრების უფლების რეალიზება დამოკიდებულია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების განხორციელების ხარისხზე; ამასთან, აუცილებელია, კერძო ცხოვრების დაცვის უფლების განსაკუთრებული სამართლებრივი ბუნების ხაზგასმა, ვინაიდან მისი როლია, მოემსახუროს სხვა პიროვნულ უფლებას, რომლის ხელყოფითაც იქმნება თვით პირადი სფეროს დაუცველობის საშიშროება. შესაბამისად, კონკრეტული პიროვნული უფლების შელახვასა და კერძო ცხოვრების უფლებას შორის კავშირის არსებობისას, პირადი ცხოვრების უფლება საკუთარ თავზე იღებს ამ უფლების დაცვასაც. ეს შეეხება მაგალითად, რეპუტაციის დაცვის უფლებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია თვით ღირებულების არსის გარკვევა, ვინაიდან საქმე სამართლებრივ ღირებულებათა კონფლიქტის გადაწყვეტას ეხება. რამდენადაც ცნობილია, ღირებულება იდეალია, რომლის საფუძველზეც რაიმე ფასდება. ამ გაგებით, ღირებულება ჯერარსებულია ანუ იგი ჯერ არაა განხორციელებული. ღირებულებაა ის, რაც უნდა იყოს, როგორც იდეალური, რომელიც რეალურში ყოფნის ღირსია. ამდენად, ლოგიკურად სამართლებრივი ღირებულებაც, როგორც ქცევის განსაზღვრული წესი, სამართლის ნორმის ფორმაში არსებობს. სამართლებრივი ღირებულება კი, იერარქიული ბუნებისაა. იგულისხმება საზოგადოდ, ღირებულებათა წესრიგი. ღირებულებათა იერარქია ვლინდება სამართლის დარგებად დაყოფის პრინციპებშიც. სამართლის დარგებად კლასიფიკაციაც კი, სამართლებრივ ღირებულებათა გადანაწილების აქსიოლოგიური კანონის გამოხატულებაა.<sup>74</sup> ამდენად, სწორედ სამართლის ნორმებში გამოხატული ღირებულებები უნდა დაუპირისპირდეს ერთმანეთს და როგორც სპეციალურ და ზოგად ნორმებს შორის ხდება სპეციალური ნორმით ხელმძღვანელობა, ასევე უნდა იყოს სამართლებრივი ღირებულებების კონფლიქტი განხილული.

ამ გაგებით მნიშვნელოვანია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი საქმე, რომელიც შემდგომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განსჯის საგანი აღმოჩნდა. საქართველოში დავა ეხებოდა პატივისა და ღირსების შელახვას, თუმცა, სარჩელი არ



დაკმაყოფილებულა. მიუხედავად ამისა, ამ საქმის განხილვა გაგრძელდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, სადაც შეიცვალა მისი კვალიფიკაცია და გამოიკვეთა პირადი ცხოვრების ხელყოფა, საჯარო და კერძო ინტერესთა დაუბალანსებლობა. დადგინდა, რომ არ იყო რაიმე, რაც ახსნიდა საზოგადოებრივ ინტერესს, რისთვისაც გაზეთმა გადაწყვიტა სურათების გამოქვეყნება; სურათს არ ჰქონდა ინფორმაციული მნიშვნელობა და სურათი განკუთვნილი იყო მხოლოდ იმისთვის, რომ ეჩვენებინა პიროვნება, ვისზეც იყო საუბარი.<sup>75</sup> აღნიშნულით ხაზი გაესვა სსკ-ის მე-18 მუხლის ბუნდოვან ინტერპრეტაციას, რის გამოც საქმის განხილვისას, გამოსახულებისა და პირადი სფეროს დაცვის აქტუალობა ვერ გამოვლინდა შიდაეროვნულ დონეზე ისევე, როგორც ინტერესთა დაუბალანსებლობა.

ამასთან, ინტერესთა კონფლიქტის გადაწყვეტა უკავშირდება კანონის ტექსტის მაქსიმალურად ზუსტად ინტერპრეტირებას და პრაქტიკაშიც სწორად გამოყენებას, რათა არ შეიქმნას მახინჯი პრაქტიკა. აქ საგულისხმოა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პრაქტიკაში გამოყენების ტენდენციები. სახელდობრ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განსაზღვრა, რომ მოცემული კანონი განიმარტება საქართველოს კონსტიტუციის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად. გავრცელებული ინფორმაცია შეიძლება ატარებდეს შეურაცხმყოფელ ან შემამოთებელ ხასიათს, თუმცა, აუცილებელი იყოს ამ უფლების დაცვა დემოკრატიულ საზოგადოებაში ევროკონვენციის მე-10 მუხლით დადგენილი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მოცემულ შემთხვევაში, გამოთქმა „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ უნდა განიხილებოდეს, როგორც „დასაშვები კრიტიკა“. აქ გადამწყვეტია, თუ რას ისახავდა მიზნად სტატიით გავრცელებული ინფორმაცია და რამდენად არსებობდა ამ ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიღების აუცილებლობა, არის თუ არა ეს ინფორმაცია საზოგადოების ინტერესის საგანი ან საზოგადოებრივი დებატების ნაწილი. ამას თავისთავად შეიძლება შეენიროს კონკრეტული პირის რეპუტაცია.<sup>76</sup>

თუ აღნიშნულს გავითვალისწინებთ, მაშინ ერთი შეხედვით შეიძლება გაჩნდეს აზრი, რომ ქართულმა კანონმა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ცილისწამების საქმეებზე მტკიცების ტვირთის მთლიანად მოსარჩლეზე დაკისრებით და მოპასუხის მთლიანად გათავისუფლებით კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის პატივისა და ღირსების „ხელშეუვალობის“ დაცულობის სტანდარტი უფრო დასწია, ვიდრე კონსტიტუციით შეიძლებოდა ყოფილიყო ნაგულისხმევი. ამასთან, ამ კანონმა მეტისმეტი პრიორიტეტი მიანიჭა აზრის გამოხატვის თავისუფლებას, რეპუტაციის უფლების დაცულობის მნიშვნელობა კი, მეტისმეტად დააკნინა.<sup>77</sup>

თუმცა, მხედველობის არედან არ უნდა გამოგვრჩეს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი გარემოება: ა) მიზანშეწონილია ეს კანონი განიმარტოს ასე: უპირველეს ყოვლისა, ღირსების დაცვის შესახებ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი წესები უნდა გამოიყენებოდეს და თუ ღირსების დაცვის უკეთეს პირობებს ითვალისწინებს საერთაშორისო აქტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, მაშინ ისინი უნდა ასრულებდეს სუბსიდიალურ და შემავსებელ ფუნქციას. აღნიშნული თვით საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ წყაროთა იერარქიასაც შეესაბამება. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, დასაშვებია აზრის თავისუფლების შეზღუდვა სხვათა უფლების ხელყოფის შემთხვევაში. ამდენად, იერარქიულად უფრო მაღლა მდგომი სამართლის წყარო უნდა იყოს გამოყენებული მოცემული უზუსტობის განსამარტად; ბ) ამასთან, სრულიად გაუგებარია საქართველოს კონსტიტუ-



ციით იყოს ღირსების დაცვის სულ სხვა სტანდარტი გათვალისწინებული და კანონმა ის მნიშვნელოვნად დააკნინოს. საქმე ისაა, რომ თუ ღირსება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით მაღალი ხარისხით, მაშინ კანონიც მის განმტკიცებას უნდა ისახავდეს მიზნად, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტიტუციის მნიშვნელობა ძალას კარგავს; გ) ასევე, საქართველოს კონსტიტუცია ადგენს ღირებულებათა განსაზღვრულ წესრიგს, რომელიც გარკვეულწილად იერარქიულ ხასიათს ატარებს და ღირსება სიცოცხლის გვერდით დგას. თუმცა, საკუთრივ მე-17 მუხლის ფორმულირებიდანაც შეიძლება იმავე დასკვნის გაკეთება: პატივისა და ღირსების ხელშეუვალობაზე კონსტიტუციის მითითება შემთხვევითი არ უნდა იყოს. საგულისხმოა, რომ სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებითაც ეს სიტყვაა გამოყენებული (სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა...). ამასთან, სიცოცხლის (უზენაესი სამართლებრივი სიკეთის) უფლების გვერდითაა ნახსენები ღირსების უფლება და ხშირად დაობენ იმაზე, თუ რომელია ამ სიკეთეებს შორის უპირველესი, საფუძველთა საფუძველი; საქართველოს კონსტიტუცია კი, განსაზღვრავს ღირსების ხელშეუვალობას და სხვა დათქმას შეზღუდვის თაობაზე არ შეიცავს. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილი პირიქით, აძლიერებს პირველი ნაწილის შინაარსს და მიუთითებს „პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის“ დაუშვებლობაზე.<sup>78</sup> კანონმდებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ იგი არ უნდა დაუპირისპირდეს აღიარებულ ზნეობრივ ფასეულობებს. დაუშვებელია კონსტიტუციასა და სამართლებრივ სისტემას შორის გაუცხოება. ამიტომ, მნიშვნელოვანია მოქმედი კანონმდებლობა იყოს კონსტიტუციით აღიარებულ ღირებულებებთან შესაბამისობაში.<sup>79</sup> ამდენად, მიზანშეწონილია, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის უფრო სიღრმისეული შესწავლა, რათა აზრის თავისუფლება მოექცეს გარკვეულ ჩარჩოებში და არ იყოს შეუზღუდავი. აღნიშნულს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ინტერესთა დაუბალანსებლობას შეიძლება მოჰყვეს პირადი სფეროს შელახვა და გამოიწვიოს ზიანი. ზიანის მიყენების დროს კი, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა დელიქტური სამართლის ნორმების მიხედვით, კერძოსამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენება (სსკ-ის 992-1008-ე მუხლები).

ამავე დროს, ინტერესთა კონფლიქტის დროს არსისმიერია პროპორციულობის პრინციპის დაცვა. აღნიშნული პრობლემა შეიძლება შეეხოს აზრის გამოხატვის, პრესისა და ინფორმაციის თავისუფლებებს, რომელთა შეუზღუდავად სარგებლობისას შეიძლება შეილახოს პირადი სფერო. ეს შეიძლება შეეხოს ორი კერძო პირის კერძო უფლებას – მამის უფლებას, არ ჩაიტაროს ტესტი და ბავშვის უფლებას, იცოდეს ნამდვილი მამის შესახებ. თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა რა, ევროპული სასამართლოს გამოცდილება, საქმე განიხილა ანონ-დანონვის ხერხის გამოყენებით პროპორციულობის პრინციპის დაცვით. სახელდობრ, აქ გამოიკვეთა ბავშვის პრიორიტეტული უფლება საკუთარი მამის წარმომავლობის შესახებ. ამასთან, პოზიტიური ვალდებულების განუხორციელებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. აქვე განისაზღვრა, რომ მამობის სადავობის შემთხვევაში, საქმე შეიძლება განიხილებოდეს პირადი ცხოვრების ქრილში,<sup>80</sup> ვინაიდან მასში მოიაზრება ინდივიდის ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ ინტეგრაცია, რაც ასევე უკავშირდება სოციალური იდენტიფიცირების უფლებას. შესაბამისად, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის შემთხვევა სრულად უნდა განიხილებოდეს ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-8 მუხლით. ზემოთ წარმოდგენილი საკითხი ეხება იდენტიფიკაციისა და შესაბამისი ინფორმაციის მიღების უფლებას თავისი პიროვნების, მათ შორის ბიოლოგიური მშობლების

თაობაზე.<sup>81</sup> ამასთან, განიმარტა, რომ „მშობლისაგან ბავშვის დაშორება დასაშვებია მხოლოდ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, თუ ეს დაშორება აუცილებლობითაა გამოწვეული.“<sup>82</sup> მართალია, აქ საქმე ეხება ორ კერძო უფლებას შორის კონფლიქტს, მაგრამ აზრის გამოხატვის, ინფორმაციის თუ პრესის თავისუფლებები შეიძლება ამ შემთხვევაშიც დაუპირისპირდეს ბავშვის კერძო უფლებას საკუთარი წარმომავლობის ცოდნის თაობაზე. მოცემულ დეტალს, თავის მხრივ, შეიძლება მოჰყვეს გარკვეული უარყოფითი შედეგი, კერძოდ, შეიძლება ბავშვს მიადგეს არაქონებრივი ზიანი. აღნიშნული კი, გამომწვევს დელიქტურ პასუხისმგებლობას (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი, 992-1008-ე მუხლები).

### შენიშვნები:

- <sup>1</sup> იხ.: ნ. ელიასი, ცივილიზაციის პროცესის შესახებ, სოციოგენეტიკური და ფსიქოგენეტიკური გამოკვლევები, ნიგნი I, ქცევის ცვლილებანი დასავლური სამყაროს საერო ზედა ფენებში (თარგმნა ი. წერეთელმა), თბ., „ნეკერი“, 2005, გვ. 14-40.
- <sup>2</sup> იხ.: თ. ნინიძე, ცოცხალი ხატი ღირსებისა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკისა და სამართლის სერია, №3, 1987, გვ. 64-65.
- <sup>3</sup> იხ.: A. Demirovic, Hegemonie und das Paradox von privat und öffentlich, Dienstag, 02. März 2004 um 00:00 Uhr – Aktualisiert Montag, 01. März 2010 um 22:22 Uhr, gv. 10, <http://www.pumuck.de/projekte-a-veranstaltungsreihen/2010-veranstaltungsreihe-zu-neoliberaler-hegemonie-und-aneignungsformen/147-hegemonie-und-das-paradox-von-privat-und-oeffentlich-.pdf> [06.04.2011 22:30]
- <sup>4</sup> იხ.: კ. კარელია, ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბ., 2004, გვ. 199-200.
- <sup>5</sup> იხ.: Castells v. Spain, 1992 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება.
- <sup>6</sup> იხ.: კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბ., 2004, გვ. 197-200.
- <sup>7</sup> იხ.: აზრის გამოხატვის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალში, შეადგინა და კომენტარი დაურთო ე. გოცირიძემ, თბ., 2006, გვ. 9.
- <sup>8</sup> იხ.: H. Münch, Der Schutz des Einzelnen vor Presseveröffentlichungen durch den Deutschen Presserat und die britische Press Complaints Commission, Eine Untersuchung zur Spruchpraxis unter besonderer Berücksichtigung des zivilrechtlichen Rechtsschutzes der Privatsphäre (Dissertation), Konstanz, 2001, გვ. 17, 23.
- <sup>9</sup> იხ.: N. Serirak, Towards Personal Data Protection: A Proposed Model for the Development of 'Right to Know' in Thailand, Thammasat Review, gv. 133, 134-135, <[http://www.thammasatreview.tu.ac.th/tu\\_doc/2006-Volume11-No1/5\[11\].pdf](http://www.thammasatreview.tu.ac.th/tu_doc/2006-Volume11-No1/5[11].pdf)> [10.12.10 10:34].
- <sup>10</sup> იხ.: ა. შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მეცნიერული რედაქცია და წინათქმა თ. ნინიძისა, თბ., აირის საქართველო, 2003, გვ. 309.
- <sup>11</sup> იხ.: აზრის გამოხატვის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალში, შეადგინა და კომენტარი დაურთო ე. გოცირიძემ, გვ. 9-10.
- <sup>12</sup> იხ.: R. Wacks, Personal Information: Privacy and the Law, Oxford: Clarendon Press, 1989, გვ. 7.
- <sup>13</sup> იხ.: D. Flaherty, Privacy and Data Protection: An International Bibliography. Knowledge Industry Publication Inc., 1984, გვ. 14.

- <sup>14</sup> იხ.: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., 1955, გვ. 1149.
- <sup>15</sup> იხ.: ლექსიკონი ინტერნეტგვერდზე: <<http://www.koeblergerhard.de/der/DERP.pdf>> [25.01.10 13:30]
- <sup>16</sup> იხ.: ი. შჩეპანსკი, სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები (თარგმნა ო. გრატიაშვილმა), თბ., „მეცნიერება“, 1997, გვ. 14-16.
- <sup>17</sup> საჯარო სამართლის რეგულირების სფეროს შესახებ იხ.: ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., „სამართალი“, 2011 წ., გვ. 2.
- <sup>18</sup> იხ.: A. Hornby, Oxford Advanced learner's Dictionary, Oxford, New York, Oxford university press, 2002, გვ. 1022-1023.
- <sup>19</sup> საჯარო და კერძო ცხოვრების ურთიერთმიმართების შესახებ იხ.: W. Lesch, Medienethik zwischen öffentlichem und Privatem, Im Zoom K&M Nr. 11, Juli 1998, gv. 45, <[http://www.medienheft.ch/uploads/media/11\\_ZOOM\\_KM\\_08\\_Walter\\_Lesch\\_Medienethik.pdf](http://www.medienheft.ch/uploads/media/11_ZOOM_KM_08_Walter_Lesch_Medienethik.pdf)> [06.04.2011 22:30]
- <sup>20</sup> იხ.: A. Hornby, Oxford Advanced learner's Dictionary, Oxford, New York, Oxford university press, 2002, გვ. 1006.
- <sup>21</sup> იხ.: Oxford English Dictionary 1989, გვ. 515; ციტირებულია: A. Siegetsleitner, Forschungsinstitut für Angewandte Ethik, Forschungsberichte und Mitteilungen (herausgegeben von A. Siegetsleitner und O. Neumaier), Heft 29, Salzburg, 2002, გვ. 22
- <sup>22</sup> იხ.: Р. Сеннет, Падение публичного человека, Перевод с английского / Перевод О. Исаева, Е. Рудницкая, Вл. Софронов, К. Чухрукидзе. М., «Логос», 2002, გვ. 11.
- <sup>23</sup> იხ.: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბ., საქართვე. სსრ მეცნ. აკად. გამომც., 1960, გვ. 192
- <sup>24</sup> იხ.: Я. Коломинский, О. Белановская, Жизнь и судьба в контексте социологического исследования, Актуальные проблемы психологии, т. 7, вып. 20, ч. 1, 2009, გვ. 199, <[http://www.nbuv.gov.ua/portal/soc\\_gum/ znpip/2009\\_20\\_1/Sb20\\_Ch1\\_48.pdf](http://www.nbuv.gov.ua/portal/soc_gum/ znpip/2009_20_1/Sb20_Ch1_48.pdf)> [20.04.11 16:08]
- <sup>25</sup> იხ.: კ. ბაქრაძე, ლოგიკა, თბ., საქ. პედაგოგ. მეცნ. ინსტ. გამომც., 1946, გვ. 49-50.
- <sup>26</sup> იხ.: Dudgeon v. the United Kingdom, 1981 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება.
- <sup>27</sup> იხ.: კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები (მე-2 გამოც.), თბ., „ჯისიაი“, 2010, გვ. 112.
- <sup>28</sup> იხ.: Chr. Peyer, Die Bildberichterstattung über Prominente im Spannungsfeld von Privatsphärenschutz und Presse-freiheit, unter besonderer Berücksichtigung der „Caroline von Hannover“- Entscheidung des EGMR und der Reaktionen in der deutschen Lehre, Seminar zum Thema: „Menschenrechtsschutz in Europa“, Wintersemester 2006/2007, გვ. 13.
- <sup>29</sup> იხ.: ჰ. მუნში, დასახ. ნაშრომი, გვ. 112, 203.
- <sup>30</sup> იხ.: И. Петрухин, Личная жизнь: пределы вмешательства, М., «Юрид. Лит-ра», 1989, გვ. 7-8.
- <sup>31</sup> იხ.: H. Pauer-Studer, Privatheit: “Ein ambivalenter, aber unverzichtbarer Wert,” gv. 3, <<http://www.oaew.ac.at/ita/privconf/pauer-studer.pdf>> [10.09.10 21:43].
- <sup>32</sup> იხ.: D. Kölmeier, Das Öffentliche-Das Private (und der (Un)Bestand dieser Termin, Wintersemester 2008/09, gv. 5, <[http://www.dkmotion.at/these/privatheit\\_oeffentlichkeit\\_david\\_koehlmeier.pdf](http://www.dkmotion.at/these/privatheit_oeffentlichkeit_david_koehlmeier.pdf)> [25.01.2010 13:23].
- <sup>33</sup> არამატერიალური უფლებების შინაარსი მოიცავს ქონებრივ ელემენტებს. იხ.: K. Wasserburg, Der Schutz der Persönlichkeit im Recht der Medien, Heidelberg, 1988, გვ. 53.
- <sup>34</sup> იხ.: კ. ბაქრაძე, ლოგიკა, თბ., საქ. პედაგოგ. მეცნ. ინსტ. გამომც., 1946, გვ. 45.
- <sup>35</sup> იხ.: B. Smyth v. Pillsbury Co., 1996 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება, Deborah M. McTigue, Marginalizing Individual Privacy on the Internet, Boston University Journal of Science & Technology Law, June 1, 1999, gv. 12-14, <<http://www.bostonu.edu/journal/vol11/iss1/mctigue.htm>>

- [/www.bu.edu/law/central/jd/organizations/journals/scitech/volume5/5bujstl5.pdf](http://www.bu.edu/law/central/jd/organizations/journals/scitech/volume5/5bujstl5.pdf) [07.09.10 21:00]; K. Wasserburg, *Der Schutz der Persönlichkeit im Recht der Medien*, Heidelberg, 1988, გვ. 12-14.
- <sup>36</sup> იხ.: Fred H. Cate, *The Privacy Problem, A broader view of information privacy and the costs and consequences of protecting it*, First amendment center publication, Vol. 4 , No. 1, March 2003, გვ. 5.
- <sup>37</sup> იხ.: G. Leiby, *Privacy As It Relates To Security*, PUBP 726-001, Telecommunications Policy, Wednesday (7:20-10:00 PM), გვ. 3-4, <<http://www.theleibys.com/pdf/privacy.pdf>> [15.01.2010 21:46]
- <sup>38</sup> იხ.: ჰ. მუნში, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 17.
- <sup>39</sup> იხ.: დ. კოლმაიერი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 5; P. Сеннет, *Падение публичного человека*, Перевод с английского /Перевод О. Исаева, Е. Рудницкая, Вл. Софронов, К. Чухрукидзе. М., «Логос», 2002, გვ. 24-25.
- <sup>40</sup> იხ.: A. Michael Froomkin, *The Death of Privacy?*, 52 Stan. L. Rev. , 2000, გვ. 1461.
- <sup>41</sup> იხ.: Bert-Jaap Koops, Ronald Leenes, 'Code' and the slow erosion of privacy, 12 Michigan Telecommunications and Technology Law Review, 2005, გვ. 184.
- <sup>42</sup> იხ.: M. Knill, *Privatleben und Öffentlichkeit \_ein Balancakt*, Kommunikation Medienrhetorik, Juni 2004, გვ. 62
- <sup>43</sup> ჰ. მუნში, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 102.
- <sup>44</sup> აღნიშნული კოდექსი შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტგვერდზე: <[http://www.gncc.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=110&info\\_id=6986](http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=110&info_id=6986)> [20.04.11 15:50]. აქაც აღრეულია ტერმინები „პირადი ცხოვრება“ და „კერძო ცხოვრება.“
- <sup>45</sup> იხ.: შემდგ. და რედაქტ. თ. კინურაშვილი, მედიის თვითრეგულირების ქრესტომათია (თარგმნა მ. თაბაგარმა და სხვებმა), თბ., თავისუფლების ინსტიტუტი, 2004, გვ. 81, 96, 103.
- <sup>46</sup> იხ.: ჰ. მუნში, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 189, 77.
- <sup>47</sup> იხ.: იურისტის ბიბლიოთეკა, *საერთაშორისო ხელშეკრულებები, პაქტები, კონვენციები*, თბ., 2005, გვ. 9.
- <sup>48</sup> იხ.: T. Perger, *Ehrenschutz von Soldaten in Deutschland und anderen Staaten*, Köln, (TUP-Productions) (Dissertation), 2003, gv. 22, <<http://ub.unibw-muenchen.de/dissertationen/ediss/perger-tilmann/inhalt.pdf>> [10.09.10 08:45].
- <sup>49</sup> იხ.: Marc-Oliver Martin, *Publizistische Freiheit und Persönlichkeitsschutz*, Zu den Grenzen der Verwertbarkeit realer Biografien, Göttingen, Universitätsverlag Göttingen, 2008, გვ. 147.
- <sup>50</sup> აღნიშნულის შესახებ იხ.: თ. ნინიძე, *ცოცხალი ხატი ღირსებისა*, გვ. 67.
- <sup>51</sup> იხ.: პ. (თ.) მონიავა, *პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამართლებრივი პრობლემები (სადისერტაციო ნაშრომი)*, თბ., 1999, გვ. 34.
- <sup>52</sup> იხ.: შ. ჩიკვაშვილი, *მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში*, თბ., „მერიდიანი“, 1998, გვ. 125.
- <sup>53</sup> იხ.: თ. ნინიძე, *ადამიანის ინდივიდუალობა – საბჭოთა სამოქალაქო სამართლის დაცვის საგანი*, საქართვე. სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, №4, 1977, გვ. 88.
- <sup>54</sup> იხ.: Pfeifer v. Austria, 2007 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება.
- <sup>55</sup> იხ.: Chauvy and Others v. France, 2004 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება; Stijn Smet, *Freedom of Expression and the Right to reputation: Human Rights in conflict*, American University International Law Review, Volume 26 | Issue 1, 2010, გვ. 193; ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით რეპუტაციის უფლების არსის, რეპუტაციის უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის კონლიფქტის შესახებ იხ.: ნ. თევზაძე, *ინტერესთა კონფლიქტი: გამოხატვის თავისუფლება და სხვათა რეპუტაცია*, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №1, 2011, გვ. 253-259
- <sup>56</sup> იხ.: Loukas G. Loucaides, “Freedom of Expression and the Right of Reputation”. MELANGES oggerts a`silio Marcus Helmons, Bruxelles, 2003, გვ. 202.

- <sup>57</sup> იხ.: საქმე *Lingens v. Austria*, 1986 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება.
- <sup>58</sup> იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 14 ივნისის განჩინება (საქმე №ას-1106-1352-05).
- <sup>59</sup> იხ.: ე. გოცირიძე, აზრის გამოხატვის თავისუფლება და რეპუტაციის უფლება (ლირებულებითი კონფლიქტის დილემები), „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2005, გვ. 28-29.
- <sup>60</sup> იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 1 დეკემბრის განჩინება (№ას-448-775-05).
- <sup>61</sup> ფართო ავტონომიის შესახებ იხ.: *Lawrence v. Texas* 2003 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება.
- <sup>62</sup> იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (მე-2 კოლეგია) 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება (საქმე №2/1/241).
- <sup>63</sup> იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის განჩინება (საქმე №ას-1278-1298-2011).
- <sup>64</sup> იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე №207-194-2011).
- <sup>65</sup> იხ.: ე. გოცირიძე, აზრის გამოხატვის თავისუფლება და რეპუტაციის უფლება (ლირებულებითი კონფლიქტის დილემები), გვ. 18.
- <sup>66</sup> იხ.: Neil M. Richards, Reconciling Data Privacy and the first Amendment, 51 *UCLA Law Review* 1149, 2005, gv. 1219-1220, <http://law.wustl.edu/Faculty/documents/richards/NRichardsreconcilingdatapriv.pdf> [07.09.10 20:43].
- <sup>67</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ბ. ზოიძე, მოძღვრება საკანონმდებლო კულტურის შესახებ, „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2006, გვ. 33, 43-45.
- <sup>68</sup> იხ.: ბ. ზოიძე, სამართლებრივი წესრიგისა და სამართლებრივი უსაფრთხოების შესახებ, „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2006, გვ. 82-83.
- <sup>69</sup> იხ.: ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ლირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., *GTZ*, 2007, გვ. 45; აღნიშნულზე იხ.: ბ. ზოიძე, სამართლებრივი წესრიგისა და სამართლებრივი უსაფრთხოების შესახებ, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2006, №3, გვ. 82-83.
- <sup>70</sup> იხ.: თ. ბეჟოშვილი, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, „მართლმსაჯულება და კანონი“, №2/3, 2007, გვ. 69.
- <sup>71</sup> იხ.: ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., „სამართალი“, 2011, გვ. 82-84.
- <sup>72</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ.: Christoph G. Paulus, W. Zenker, *Grenzen der Privatautonomie*, *JuS*, 41. Jahrgang, Heft 1, 2001, გვ. 2-4.
- <sup>73</sup> იხ.: Fr. Kübler, *Ehrenschtz, Selbstbestimmung und Demokratie*, *NJW*, 52. Jahrgang, 1. Halbband, 1999, გვ. 1285.
- <sup>74</sup> იხ.: გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბ., 2006, გვ. 66-71, 100-101.
- <sup>75</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მე-2 სექციის 2006 წლის 17 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე „გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი №71678/01) (საბოლოო 17/01/2007).
- <sup>76</sup> იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინება (საქმე №ას-1174-1319-08).
- <sup>77</sup> იხ.: ე. გოცირიძე, აზრის გამოხატვის თავისუფლება და რეპუტაციის უფლება (ლირებულებითი კონფლიქტის დილემები), გვ. 28-29.
- <sup>78</sup> იქვე, გვ. 28-29.
- <sup>79</sup> იხ.: ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ლირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., *GTZ*, 2007, გვ. 139, 160-161.
- <sup>80</sup> იხ.: *Mikulić v. Croatia*, 2002 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება.
- <sup>81</sup> იხ.: *Gaskin v. United Kingdom*, 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება; იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-41-40-2010).
- <sup>82</sup> იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ოქტომბრის განჩინება (საქმე №ას-669-630-2011).

# CONFLICT OF VALUES BETWEEN THE FREEDOM OF EXPRESSION AND RIGHT TO PRIVACY

MIKHEIL BICHIA

*Doctor of Law, Invited lecturer of the Faculty of Law of the Tbilisi Ivane Javakhisvili State University, Associated professor of the Tbilisi Teaching University*

As we can see from the research, the conflict of values between the freedom of expression and the right to privacy has a current significance. Although there are several opinions in this respect, these theories cannot fully reflect the essence of the problem and has some gaps. There is an especially important opinion among these concepts, which recognizes the privacy as a prevailing priority over the right to expression, but even this opinion fails to offer the optimal solution for this conflict. Actually, it is necessary to draw the lines of demarcation among the private, personal and intimate spheres, as far as the privacy is not always much more relevant than the freedom of expression. However, it can get into the rights of the others, especially into the right to privacy (private, personal and intimate aspects). However, we need to identify the scope of concept of privacy, in order to clarify which spheres can be violated by the freedom of expression. As it was found out, the privacy should imply property-related issues, residential, personal, intimate and other private moments, based on which one person can be isolated from the other. The personal sphere should be considered to be a constituent of privacy, which refers to the individual aspects of a person who has already been isolated from others. As for the intimate sphere, this is the narrowest one, which is linked to special spheres of feelings. Correspondingly, when the affected aspects are identified – private, personal or intimate spheres, it is easy to resolve the value conflicts between the private and public interests.

It should be mentioned as well that if the privacy is confronted with public interests, then the private interests clearly overrides the public ones, but here *de lege ferenda* depends on a particular case, which should be evaluated individually, as far as the resolution of the conflict of interests is judgmental and it should be based on individual circumstances. Likewise, the way to resolve the conflict of interests can be different. However, weighing up the benefits and also observance of the proportionality principle can both be considered the common criteria for eradicating this problem. However, when the public interest is in conflict with the intimate sphere, the freedom of expression, as a rule, falls back.

Thus, a careful approach is required for resolving the value conflicts. This is also related to putting the freedom into certain frameworks, because if the freedom violates another right, then this refers to a violation of law and not to a conflict of interest. Correspondingly, the conflict of interests exists when it is clear that without sacrificing one thing the other one cannot be realized, and this way represents an incontestable tool for resolving this issue.

Consequently, the above-discussed circumstances need to be studied in-depth in order to resolve this value conflict, which provides the ground for avoiding certain gaps or ambiguity.



# არასრულწლოვანი დამნაშავე და დანაშაულის პრევენცია

ელენა კავთუაშვილი

სამართლის მაგისტრი

„დაჭერა, დაკავება და დაპატიმრება სავსებით კანონიერი ქმედებაა იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომელთაც უკვე მიაღწიეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს, მაგრამ დასჯის ეს ფორმა უნდა გამოვიყენოთ, როგორც უკიდურესი ზომა და სასჯელის ვადაც მინიმალური უნდა იყოს. მსოფლიო, რომლის აშენებაც ჩვენ ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად გვსურს, იმ ბავშვებსაც გულისხმობს, რომელთა ცხოვრებაც ცუდად დაიწყო.“<sup>1</sup>

*თომას ჰამარბერგი*

## შესავალი

საზოგადოება ყოველთვის ეძებდა დანაშაულზე რეაგირების ოპტიმალურ საშუალებას, იმისათვის, რომ თავი დაეცვა დანაშაულისაგან, რომელიც ხდებოდა ან შეიძლებოდა მომხდარიყო.

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივმა დანაშაულმა მრავალი ქვეყნის საზოგადოებრივი შიში გამოიწვია. არასრულწლოვანთა სასჯელალსრულების ზომებმა კი, კრიტიკა, ზოგან მისი სიმკაცრის, ზოგან – სიმსუბუქის გამო. არასრულწლოვანთა მიმართ თითქმის ყველა სახელმწიფო ცდილობს იყოს ლოიალური და ეს იმის გამოც ხდება, რომ სახელმწიფო ოჯახთან ერთად იღებს პასუხისმგებლობას ბავშვის აღზრდაზე. სახელმწიფოები უამრავ დამატებით ღონისძიებას მიმართავენ, რათა არ მიიყვანონ არასრულწლოვანი ძალადობის ზღვრამდე. გაცილებით ეფექტიანია დანაშაულის თავიდან აცილება, ვიდრე მისი შედეგების გამოსწორებაზე შემდგომი ზრუნვა.

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დანაშაული საქართველოშიც მწვავე დისკუსიის საგანია.

## 1. არასრულწლოვანი დამნაშავის ცნება და სასჯელი მსოფლიოსა და საქართველოში

არასრულწლოვნის ან მოზარდის ზოგადი ცნება არ არსებობს. მოზარდობის, ანუ არასრულწლოვნობის ასაკი არის ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის პერიოდი. არასრულწლოვნის განვითარება დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე და იგი მათი ზეგავლენის ერთგვარი შედეგია (ნაყოფია).<sup>2</sup>

დაბადებიდან არასრულწლოვანი საზოგადოების ჯგუფის წევრს წარმოადგენს და იგი ძალიან მგრძობიარეა მის გარშემო არსებული ემოციური კლიმატის, ასევე უფროსების ქცევის მიმართ. მაშინაც კი, როდესაც ისინი სიტყვებით ვერ გადმოსცემენ თავის გრძნობებს და აზრებს, მცირეწლოვნები ცდილობენ თავისი დამოკიდებულება ამა თუ იმ ფაქტის მიმართ არაპირდაპირ, თავისი ქცევით ან ნახატებით წარმოაჩინონ.

გარდამავალ ასაკში ჯერ კიდევ, არ არის მომნიშვნელოვანი მოზარდის ინტელექტუალური შესაძლებლობები, ამიტომ მოვლენებს ისინი არარეალურად აფასებენ. სუბიექტურ, ამ შემთხვევაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნილებებს მეტ ანგარიშს უწევენ, ვიდრე ობიექტური სინამდვილის ასახვასა და შეფასებას. ა. ი. ჩერნიშევსკის აზრით, „არასრულწლოვანი დამნაშავეებს, სრულწლოვანი დამნაშავეთაგან განსხვავებით, არ შეუძლიათ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და ხარისხის მთლიანად გაცნობიერება, რაც მოზარდის არასაკმარის ინტელექტუალურ მომზადებასა და გამოუცდებლობასთან არის დაკავშირებული“.<sup>3</sup>

უაღრესად მნიშვნელოვანია ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებების საკანონმდებლო თვალსაზრისით განხილვა. სხვადასხვა ქვეყანაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის მინიმალური ზღვარი განსხვავებულია ისტორიული, კულტურული და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით. თანამედროვე მიდგომა იმაში გამოიხატება, რომ განისაზღვროს – შეუძლია თუ არა ბავშვს გადაიტანოს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული მორალურ-ზნეობრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები.

**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.** არსებობს არასრულწლოვანთა (14-დან 17 წლამდე) და მოზარდთა (18-დან 20 წლამდე) სპეციალური მართლმსაჯულების სისტემა.

არასრულწლოვანთა ასაკის ამგვარი განსაზღვრება დადგენილია არასრულწლოვანთა სასამართლოს შესახებ 1923 წელს მიღებული კანონით, რომლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი ზემოქმედება არასრულწლოვნებისათვის 14 წლიდან იწყება (ადრე, 12 წლიდან). რაც შეეხება ევროპის სხვა ქვეყნებს, აქაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ძირითადად, 14 წლის ასაკიდან იწყება.<sup>4</sup>

არასრულწლოვანთა საქმეებს არასრულწლოვანთა სპეციალური სასამართლოები განიხილავენ. არსებობს სამი ტიპის სანქცია: აღმზრდელობითი ღონისძიებები, დისციპლინური ზომები და თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ექვს თვესა და ხუთ წელს შორის მერყეობს. იშვიათად, მაგრამ სასჯელმა შეიძლება 10 წელსაც მიაღწიოს. გერმანიაში 16 წლამდე მოზარდების მიმართ თავისუფლების აღკვეთა თითქმის არასდროს გამოიყენება.

**საფრანგეთი.** სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 13 წელია. კანონმდებლობით, არასრულწლოვნები არ შეიძლება გაასამართლოს საერთო სასამართლომ. ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, საქმეს განიხილავს ან ბავშვთა სასამართლო ან არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის სასამართლო. მოქმედებს პრინციპი, რომ არასრულწლოვნის დაკავება არ შეიძლება. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებშია დაშვებული არასრულწლოვნების დაკავება – მისი დაკითხვის მიზნით. დაკავების ხანგრძლივობამ კი, 12 საათს არ უნდა გადააცილოს, დაუყოვნებლივ უნდა იყვნენ გაფრთხილებული მშობლები ან მეურვეები. დაკავების მომენტიდან მოზარდს უფლება აქვს, გაესაუბროს თავის ადვოკატს. 13-დან 18 წლამდე არასრულწლოვანს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიესაჯოს წინასწარი პატიმრობა, თუ დადასტურდება ამის აბსოლუტური აუცილებლობა. არასრულწლოვანთა მიმართ ძირითადად, გამოიყენება აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები. მას შეიძლება დაევალოს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ან თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, მიყენებული ზიანის გამოსასწორებელი სამუშაოები. 18 წლამდე ახალგაზრდებისთვის არსებობს სპეციალური დაწესებულებები.

**შვეიცარია.** სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი 7 წელია. არასრულწლოვანთა მიმართ გამოიყენება სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალური ნორმები. ამჟამად შვეიცარიაში მუშაობენ, რომ არასრულწლოვანი დამნაშავეებისათვის ასაკი 10 წლამდე აიწიოს.

სისხლის სამართლის კოდექსი 7-დან 15 წლამდე არასრულწლოვნებისათვის ითვალისწინებს აღმზრდელობითი და დისციპლინური ღონისძიებების გატარებას. 15 წლამდე მოზარდის წინააღმდეგ არავითარი სისხლის სამართლის სასჯელის ზომა არ შეიძლება იყოს გამოყენებული, 15-დან 18 წლამდე მოზარდების მიმართ გამოყენებული სასჯელის ფორმებია მხოლოდ ჯარიმა და ერთი დღიდან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. სისხლის სამართლის ჩვეულებრივი ნორმები გამოიყენება 18 წლის ზევით, თუმცა, 25 წლამდე ახალგაზრდები, პენიტენციური დაწესებულების მაგივრად, შეიძლება მოთავსდნენ პროფესიული განვითარების დაწესებულებებში, სადაც ისინი შეისწავლიან რაიმე პროფესიას ან იმუშავებენ დაწესებულების გარეთ მდებარე საწარმოებში. 25 წლამდე ახალგაზრდები მხოლოდ დისციპლინის სერიოზული დარღვევის შემთხვევაში გადაჰყავთ პენიტენციურ დაწესებულებაში.

**ინგლისი.** 1998 წლიდან ინგლისში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 10 წელი გახდა. 18 წლამდე ახალგაზრდა ყოველთვის არასრულწლოვანთა სასამართლოს მიერ უნდა იყოს გასამართლებული.

დანაშაულის პირველად ჩამდენ არასრულწლოვნებსა და 12 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვებს არ უნდა მიესაჯოთ წინასწარი პატიმრობა. 10-დან 17 წლამდე მოზარდების მიმართ, ძირითადად, აღმზრდელობითი და დისციპლინური სანქციები გამოიყენება. არასრულწლოვანთა სასამართლო მოზარდს თავისუფლებას აღუკვეთს 6-დან 24 თვემდე. თუმცა, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანთა სასამართლო მიიჩნევს, შეიძლება საქმე სრულწლოვანთა სასამართლოში გადაიგზავნოს. უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, 21 წლამდე ახალგაზრდა არასოდეს იგზავნება ციხეში. მათ ათავსებენ ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა დაწესებულებაში. ამასთან, როგორც წესი, სასჯელის ნახევრის მოხდის შემდეგ, მათ ათავისუფლებენ და ვადის გასვლამდე უწესებენ სოციალური სამსახურებისა და ნაციონალური პრობაციული სამსახურის მეთვალყურეობას.

**ამერიკის შეერთებული შტატები.** უმაღლესმა სასამართლომ აღიარა, რომ არასრულწლოვანთა მიმართ სამუდამო პატიმრობის მისჯა არასწორია. მოსამართლეებმა დაადგინეს, რომ

მოზარდები ავტომატურად არ უნდა გასამართლდნენ ისევე, როგორც ზრდასრულები, თუნდაც დანაშაული ერთნაირი იყოს. გასათვალისწინებელია მათი ასაკი და სხვა ფაქტორები.

მიღებული დადგენილება ითვალისწინებს სამუდამო პატიმრობის გამონაკლისის სახით გამოყენებას. მანამდე უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოზარდებს არ შეიძლება მიესაჯოთ სიკვდილი ან სამუდამო პატიმრობა, თუ მათ მკვლელობა არა აქვთ ჩადენილი. ფედერალური კანონმდებლობით და 26 შტატის კანონებით მკვლელობა აუცილებლად ისჯება სამუდამო პატიმრობით, მათ შორის მაშინაც, თუ დამნაშავე არასრულწლოვანია.

სულ აშშ-ში 18 წლამდე ასაკის 2 500 მოზარდი იხდის სამუდამო პატიმრობას. მათგან 79-ს დანაშაულის ჩადენისას 14 წელი არ ჰქონდა შესრულებული.

**საქართველო.** ბოლო წლებში საქართველოს კანონმდებლობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკთან დაკავშირებით რამდენჯერმე შეიცვალა.

1999 წლის 22 ივლისის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკად ყველა დანაშაულისათვის თოთხმეტი წელი დაწესდა. 2007 წლის 23 მაისს, კოდექსის 33-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი 14 წლიდან შემცირდა 12 წლამდე, თუმცა, აღნიშნული სამოქალაქო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ადვოკატების, განათლების სფეროს და დამოუკიდებელი ექსპერტების აქტიურობის შედეგად, 2010 წლის 23 თებერვალს კიდევ ერთხელ შეიცვალა და საქართველოში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკად კვლავ, 14 წელი განისაზღვრა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, 14-დან 16 წლამდე არასრულწლოვანს არ შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით, ხოლო 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვანის თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადაა 15 წელი.

## 2. არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის თავისებურებანი

მოზარდობის პერიოდი არის ცხოვრების ფაზა, რომელიც ხასიათდება ცვლილებებით განვითარების მრავალ სფეროში, ბიოლოგიური (პუბერტატული), კოგნიტური (პიროვნული თვითმყოფადობა) და სოციალური (ასოცირების სურვილი) სფეროების ჩათვლით. ამ ცვლილებებს ხშირად თან ახლავს მთელი რიგი ქცევითი და ემოციური პრობლემები<sup>5</sup> ზოგი მათგანი ასაკობრივი ნორმის ფარგლებშია და გულისხმობს ექსპერიმენტირებას (მაგალითად, ალკოჰოლის მოხმარება), მაგრამ ზოგი მძიმე გამოვლინებას იღებს (დეპრესიული დარღვევები), რამაც შეიძლება შეზღუდოს როგორც ამჟამინდელი ფუნქციონირება, ისე მოსალოდნელი განვითარების ტრაექტორია<sup>6</sup> და გამოიწვიოს აგრესიულობა, დესტრუქციული ქცევა. დღეისთვის, თითქმის ყველა ქვეყანაში მოიმატა დანაშაულის რიცხვმა. შემაშფოთებელია, რომ ძალადობისა და მკვლელობის ჩამდენ პირთა შორის სულ უფრო ხშირად გვხვდებიან არასრულწლოვანები.<sup>7</sup>

ეროვნულ დონეზე კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანების უფლებები და მათ მიმართ მოპყრობის საკითხები ჩამოყალიბებულია შემდეგ საკანონმდებლო აქტებში: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, საქართველოს კანონში პატიმრობის შესახებ, სხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა არსებითად, თანხმობაშია საერთაშორისო ნორმებთან, მაგრამ სპეციალური სასამართლოებისა და პრობაციის სისტემის ფაქტობრივი

არარსებობისა და ერთიანი სახელმწიფოებრივი მიდგომის დეფიციტის გამო, დღემდე ვერ ჩამოყალიბდა ბავშვთა დაცვის ეფექტიანი სისტემა.<sup>8</sup>

საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესრულების მიზნით, საქართველოში არასრულწლოვანთა საქმეებს განიხილავენ ის მოსამართლეები, რომლებსაც სპეციალური მომზადების კურსები აქვთ გავლილი და შესაბამისი სერტიფიკაციებიც აქვთ. არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე მოსამართლეებს დამატებითი განათლება უნდა ჰქონდეთ როგორც სამართლებრივ საკითხებში, ასევე ფსიქოლოგიაში, პედაგოგიკასა და სხვა ისეთ დარგებში, რომლებიც დაეხმარებათ, სწორად განსაზღვრონ მოზარდის სულიერი მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის მომენტში. ამასთან, მოსამართლემ უნდა გამოიკვლიოს და გაითვალისწინოს ის მიზეზებიც, რამაც მოზარდი დანაშაულამდე მიიყვანა. ამასთან, კანონით, არასრულწლოვანი მსჯავრდებულები თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, უნდა მოთავსდნენ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სასჯელალსრულების დაწესებულებებში.

გარდა ამისა, არასრულწლოვანთა უფლებების მტკიცე და განუხრელ დაცვას საქმის განხილვის დროს ეხება ე.წ. „პეკინური წესები“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“. აღნიშნული აქტი ავალდებულებს სამართალდამცავ ორგანოებს არასრულწლოვანის მიერ დანაშაულის ჩადენის დროს დაადგინოს არასრულწლოვანთა აღზრდის პირობები; დაკავებისა და დაპატიმრების დროს მშობლებისა და მეურვეებისადმი აუცილებელი და სასწრაფო შეტყობინება; ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება და უფასო დაცვის უფლებით სარგებლობა; მოწმებთან პირისპირ შეხვედრა; დაპატიმრების შეცვლა სხვა ალტერნატიული ზომით; დაპატიმრებული არასრულწლოვანის მოთავსება მოზრდილებისაგან განცალკევებით; მათი უფლებების სასწრაფო განმარტება.<sup>9</sup>

პენიტენციალურ სისტემაში მოხვედრილი მოზარდი ორი სახის სტრესის ზემოქმედების ქვეშაა: გაურკვევლობის სტრესი (სასჯელის ზომის განსაზღვრამდე) და პენიტენციური სტრესი. ისინი, თავისი შინაარსით დაკავშირებულია მოზარდის საბოლოო ბედის გადწყვეტასთან, ამიტომ მნიშვნელოვანია არასრულწლოვან ბრალდებულებთან მომუშავე სპეციალისტების ამ საკითხებისადმი სენსიტიურობა, კერძოდ, რამდენად სწორად იღებს მოზარდი ინფორმაციას ადვოკატისაგან მოსალოდნელი მსჯავრდების შესახებ, ცრუ დაპირებები, რომელსაც ზოგჯერ არასრულწლოვანის დასამშვიდებლად იყენებენ, შესაძლოა მომავალში (განაჩენის დადგომისას) ძლიერი სასონარკვეთის მიზეზი გახდეს. გაჭიანურებული სასამართლო პროცესი მოზარდს სტრესის ქვეშ ამყოფებს, ამ გარემოებებმა კი, შეიძლება ტრაგიკულ ფინალამდე მიგვიყვანოს.<sup>10</sup>

ჯანმრთელობის საჭიროებათა კვლევამ, რომელიც 2010 წელს არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა (ორგანიზაციების – GIP და GCRT მიერ) აჩვენა, რომ კვლევაში მონაწილე 91 არასრულწლოვანი მსჯავრდებულის 70%-ს აღენიშნება პოსტტრავმული სტრესის სიმპტომები, 36% – მაღალი შფოთვა, 36% – დეპრესიული ეპიზოდები, ხოლო 27% – თვითდაზიანება.

გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის (საქართველოში ძალაშია 1994 წლის 21 აპრილიდან) 37-ე მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტები გვამცნობს: არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს წამების, სასტიკი მოპყრობის, უკანონო დაკავების ან თავისუფლების აღკვეთის ობიექტი. არც სიკვდილით დასჯა, არც მუდმივი პატიმრობა, რომელიც არ ითვალისწინებს გათავისუფლების



შესაძლებლობას, არ შეიძლება შეეფარდოს 18 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებებს. ყოველი თავისუფლებაალკვეთილი ბავშვი უნდა განცალკევდეს უფროსებისაგან, თუ არ მიიჩნევა, რომ ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებისათვის ამის გაკეთება არ არის საჭირო. თავისუფლებაალკვეთილ ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება მიიღოს სამართლებრივი ან სხვა სახის დახმარება, ხოლო მე-40 მუხლი ამბობს, რომ „მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, რომელმაც როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად, რომ მისდამი მოპყრობა ხელს უნდა უწყობდეს მისი ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებდეს მას ადამიანის უფლებებისადმი და სხვა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს და მისი რეინტეგრაციის, საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის შესრულებას.<sup>11</sup>

არასრულწლოვანებს, თუ ისინი პირველად ჩაიდენენ დანაშაულს, საქართველოში ხშირად პირობით სასჯელს უსჯიან ან ციხეში აგზავნიან და ეს დამოკიდებულება ძალიან ნელა იცვლება. მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში პირველ დანაშაულზე არასრულწლოვანს საერთოდ არ ასამართლებენ, მათ არიდებენ სასამართლო სისტემას. ეს ტენდენცია საქართველოშიც შეინიშნება, რაც პოზიტიური ნიშანია, თუმცა, ეს პროცესი საჭიროებს დაჩქარებას და უნდა გაგრძელდეს.

UNICEF-ის ბავშვთა დაცვის პროგრამების ხელმძღვანელის, აარონ გრინბერგის განცხადებით, მათი ორგანიზაცია საქართველოს ხელისუფლებას პრევენციის სტრატეგიის განსაზღვრაში ეხმარება და შედეგებს აანალიზებს.<sup>12</sup>

ამისათვის აუცილებელია, რომ მსგავს დანაშაულთა მიზეზების ახსნაში, გამოძიებისას ჩართული იყვნენ ფსიქოლოგებიც, საჭიროა კარგად ვიცნობდეთ მოზარდის ფსიქოლოგიას, რათა გავიაღვივებდეს იმ ფაქტორების გამოკვეთა, რამაც მას დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგა, ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად სახიფათოა ეს მოვლენა მთლიანად საზოგადოებისათვის და რა შორეული შედეგები შეიძლება მოჰყვეს ქვეყნის პათოლოგიური ფორმების ათვისებას.<sup>13</sup>

### 3. განრიდება და მედიაცია – შანსი არასრულწლოვანისათვის

საქართველოს სისხლის სამართალმა ნოვაცია შემოიტანა, რომელიც უკვე პრაქტიკაშიც აქტიურად დამკვიდრდა. ეს არის განრიდება – მედიაციის პროგრამა, რომელიც არასრულწლოვანს ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და რაც მთავარია, მის პირად საქმეში არ ფიქსირდება ნასამართლობა. არასრულწლოვანის მიმართ ტარდება ისეთი ღონისძიებები, რომელიც მიზნად ისახავს მის გამოსწორებას სისხლის სამართლის საქმისწარმოების გარეშე. აღნიშნული პროგრამა გამოიყენება პირველად ჩადენილ, ნაკლებად მძიმე დანაშაულზე, როდესაც დამნაშავე აღიარებს დანაშაულს, ბოდიშს იხდის დაზარალებულის წინაშე და მზად არის (საკუთარი სახსრებით ან ოჯახის დახმარებით) აანაზღაუროს ზიანი. ამ შემთხვევაში, ისიც შესაძლებელია, რომ თავად დაზარალებულმა თქვას უარი ზარალის ანაზღაურების მოთხოვნაზე.

არასრულწლოვანის განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვისას, პროკურორი ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს. პროკურორისა და სოციალური მუშაკის შეთანხმებით განისაზღვრება ის პირობები, რომლის შესრულებაც მოუწევს არასრულწლოვანს. დგება ხელშეკრულება და მას ხელს აწერენ არასრულწლოვანი, მისი მშობლები, პროკურორი, სოციალური მუშაკი და დაზარალებული. ხელშეკრულებაში შემავალი პირობების შესრულებას



მეთვალყურეობს სოციალური მუშაკი. სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-6 ნაწილი პროკურორს ანიჭებს უფლებამოსილებას იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი არაჯეროვნად ასრულებს მასთან გაფორმებული განრიდების ან მედიაციის შესახებ ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებას, დასაბუთებული დადგენილებით გააუქმოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და ახალი დასაბუთებული დადგენილებით დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

სისტემური თვალსაზრისით, აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების ორი განსხვავებული ტიპი უნდა განვიხილოთ. პირველი არის დაზარალებული – დამნაშავეს მედიაციის თავისი ნამდვილი არსით, ე.ი პროცესი, რომელიც შეიცავს ინტერპერსონალური მოლაპარაკების პროცესს დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის, რომელიც ტიპურად, მედიატორის მიერ წარიმართება. მეორე – აღდგენითი აქტივობების სხვა ფორმები, რომლებიც შეიცავს პროკურატურის მიერ დაკისრებულ ნებაყოფლობით ანაზღაურებას ან რეპარაციას, ანუ განრიდებას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს მედიაციის იურიდიულ განმარტებას (რომლის თანახმადაც, დამნაშავე „იღებს ზომებს დაზარალებულთან მორიგების მისაღწევად“).<sup>14</sup>

გარდა ამისა, განრიდების პროგრამები შემუშავებულია იმგვარად, რომ მოხდეს სასამართლოების, სასჯელაღსრულების დაწესებულებების, ასევე, დროებითი მოთავსების იზოლაციის განტირთვა და მეტი ყურადღების დათმობა უფრო საშიში სამართალდამრღვევებისადმი.<sup>15</sup>

თუ პროკურორი მიიღებს დადგენილებას არასრულწლოვნის განრიდების შესახებ, მაშინ მასთან ხდება ხელშეკრულების დადება განრიდების ან მედიაციის შესახებ, რომლის პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. ამ ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადაა 1 წელი. ამასთან, დაკისრებული ვალდებულება — ქცევის შეზღუდვა უნდა იყოს არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციული. დაუშვებელია იმაზე უფრო მკაცრი ვალდებულების დაკისრება-გამოყენება, ვიდრე სასამართლო შეუფარდება არასრულწლოვანს ჩადენილი ქმედებისათვის. პროპორციულობის განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია არასრულწლოვანის ასაკისა და პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინება.

პროგრამა ეხმარება მოზარდს, გააცნობიეროს ის ზიანი, რომელიც მან დაზარალებულს, საკუთარ თავს, ოჯახს, სკოლასა თუ საზოგადოებას მიაყენა. აქ აქცენტი კეთდება მოზარდის მიერ ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაზე და არა თავად მოზარდზე – მიუღებელია მოზარდის მიერ ჩადენილი ქმედება და არა თავად მოზარდი.<sup>16</sup> აღსანიშნავია სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, 74 განრიდებული არასრულწლოვანიდან დანაშაულებრივი ქმედება მხოლოდ ერთმა მათგანმა გაიმეორა.

#### 4. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისათვის განსატარებელი ღონისძიებები

ქვეყნის მომავალი სწორედ ახალგაზრდების აღზრდის ხარისხით განისაზღვრება. ამ ამოცანის გადაჭრა არ შეიძლება მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს, სკოლას ან ოჯახს დაეკისროს. მის გადაჭრას სახელმწიფოსაგან კომპლექსური მიდგომა სჭირდება, მოზარდთა ფსიქოლოგიური თავისებურებების ცოდნა კი, ხელს შეუწყობს დანაშაულის გახსნასა და არასრულწლოვანთა ხელახლა აღზრდის დროს წარმოქმნილი პრობლემების სწორად გადაჭრას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში გაახალგაზრდავდა დანაშაული და რაც ყველაზე შემაშფოთლებელია, ძალიან დამძიმდა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ქმედებები.<sup>17</sup>

დღეისათვის, მრავალი საკანონმდებლო აქტის მიღების მიუხედავად, არ არსებობს არასრულწლოვანთა ზედამხედველობისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ერთიანი სისტემა. ბევრ ქვეყანაში დანაშაულის პრევენცია ტრადიციულად, განიხილებოდა როგორც პოლიციის პასუხისმგებლობა, ანდა კანონის შემაკავებელი ასპექტებიდან ან დამნაშავეთა რეპრესიიდან გამომდინარე ფუნქცია. თუმცა, მზარდი ინოვაციური პროცესის, კვლევისა და დაგროვილი გამოცდილების შედეგად, მთელს მსოფლოში აღიარებულია, რომ დანაშაულს მრავალი მიზეზი აქვს და დანაშაულებრიობის დონეზე საზოგადოების სხვა ბევრ სექტორს შეიძლება ჰქონდეს ზეგავლენა და აქედან გამომდინარე, უნდა იტვირთონ კიდევ პასუხისმგებლობა, რათა დაეხმარონ სახელმწიფოს დანაშაულის პრევენციაში.<sup>18</sup>

სასწავლო დაწესებულებებში არასრულწლოვანთა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის მიზნით, საჭიროა ყველა სკოლაში დაშვებულ იქნას ფსიქოლოგის შტატი, რომლის საქმიანობა განისაზღვრება ძნელად აღსაზრდელ მოზარდებთან მუშაობით. ფსიქოლოგებმა, სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე, სასწავლო დაწესებულებებში სწავლის დაწყების დღიდან (პირველი კლასიდან) უნდა შეადგინონ თითოეული ბავშვის სოციალურ-ფსიქოლოგიური დახასიათება. კერძოდ, რა პიროვნული თავისებურებები ახასიათებს მას, აქვს თუ არა გადატანილი რაიმე ავადმყოფობა, როგორი გონებრივი შესაძლებლობა აქვს ბავშვს, ადვილად ემორჩილება თუ არა მასწავლებლის მოთხოვნებს, არის თუ არა ცელქი, თავშეუკავებელი, როგორ ოჯახურ გარემოში იზრდება და სხვა. ფსიქოლოგი, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, მოზარდის სასკოლო ცხოვრების მთელ მანძილზე უნდა ახდენდეს მის სოციალურ ფსიქოლოგიურ კვლევას და ადგენდეს შესაბამის დოკუმენტაციას.<sup>19</sup>

არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა შორის მამრობითი სქესის პირთა დიდი სიჭარბე, როგორც ჩანს, დაკავშირებულია სქესთა ზოგიერთ ფსიქიკურ თავისებურებასთან, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ინტერესებთან, ქცევებთან, გოგონათა და ვაჟთა აღზრდის განსხვავებებთან.<sup>20</sup>

თუ ძლიერი, კარგი და მიზანმიმართული პრევენციული ღონისძიებები ჩატარდება ნაკლები სამართალდამრღვევი გვეყოლება. სასურველია, სახელმწიფომ შექმნას უფასო სპორტული და სხვადასხვა სახის წრეები და კლუბები, სადაც ივლიან ბავშვები, გამოავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს, ნაკლებად იქნებიან უსაქმურად. კარგი იქნება ასევე, ზაფხულობით დასასვენებელ-შემეცნებითი ბანაკების დაარსება. სასურველია, ასეთ არასრულწლოვნებს მივცეთ საშუალება პრომისა და ისეთი შესაფერისი გასამრჯელოს აღებისა, რომელიც მათ ღირსებას შემატებთ.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს კვლევასა და ანალიზს, მათ შორის, დანაშაულის სტატისტიკას, დანაშაულისა და დელინქვენტური ქცევის გამომწვევი ფაქტორების შესწავლას და არსებული პროგრამების შედეგების შეფასებას. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, პროგრამების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მათი სწორად დაგეგმვა, მუდმივი მონიტორინგი, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, მოდიფიცირება. შესაბამისად, პრევენციული პოლიტიკის ფარგლებში მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს პროგრამების შეფასებას, არსებული სერვისების, რესურსების ანალიზსა და სწორად დაგეგმვას.<sup>21</sup>

დანაშაულის პრევენციის პროცესში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვინაიდან მათი გავლენა არასრულწლოვანთა განვითარებასა და ქცევაზე დიდია. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები მიუთითებს, რომ მედიის საშუალებით გავრ-

ცვლებული ინფორმაცია ხელს უნდა უწყობდეს უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ძალადობის, ნარკოტიკის/ალკოჰოლის თუ სხვა ანტისოციალური ან დანაშაულებრივი ქცევის მიმართ. ამასთან, მედია ამ კუთხით ხელს უწყობს პრევენციულ პროგრამებში სამოქალაქო საზოგადოების ჩაბმულობის გაზრდას, დანაშაულის პრობლემების და მისი მასშტაბების შესახებ საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლასა და ცნობიერების ამაღლებას. საზოგადოებაში პრევენციული პროგრამებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების შექმნის მიზნით, აუცილებელია მოქალაქეებისათვის ამ პროგრამების მნიშვნელობის, საჭიროებებისა და მათი შედეგების შესახებ სწორი ინფორმაციის მიწოდება.

სახელმწიფო საზოგადოებასთან ერთად ეძებს გზებს, თუ როგორ შეიძლება მოხერხდეს არასრულწლოვნების დანაშაულებრივი სამყაროსაგან ჩამოშორება და მათი სხვა, საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობაში ჩართვა. მოზარდთა დანაშაული იმდენად გახშირებულია, რომ ამ კუთხით, საინტერესო და სასარგებლო აქციებისა და ღონისძიებების დაგეგმვა მეტად აქტუალურია. ერთ-ერთი მსგავსი პროექტი არის ელექტრონული წიგნის – „E-book“-ის პროგრამა.<sup>22</sup> ელექტრონული წიგნის პროგრამა საზოგადოებისათვის სასარგებლო აქტივობის ერთ-ერთი საინტერესო სახეა, რომელიც ხელმისაწვდომია თბილისში მცხოვრები კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანებისათვის. პროგრამა იუსტიციის სამინისტროსა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ერთობლივად ხორციელდება.

პროექტის ფარგლებში, არასრულწლოვნებს დაევალებათ მათთვის სპეციალურად შერჩეული წიგნის ელექტრონული ვერსიის შექმნა. წიგნის შერჩევა მოხდება არასრულწლოვნის განვითარების დონისა და მისი რეაბილიტაციის საჭიროებიდან გამომდინარე. ამ პროექტის ფარგლებში, არასრულწლოვანი დაკავდება სასარგებლო საქმით, თან საშუალება ექნება გაეცნოს საინტერესო ლიტერატურას და მიიღოს დამატებითი, კლასგარეშე განათლება. ეს ყველაფერი კი, დადებითად იმოქმედებს მის შინაგან სამყაროზე და კრიმინალური სამყაროსადმი მიდრეკილების დაძლევაში დაეხმარება.<sup>23</sup>

საჭიროა ზრუნვა არასრულწლოვანი დამნაშავეის რეაბილიტაციისათვისაც, „პეკინის წესების“ თანახმად, ამისათვის აუცილებელია, არასრულწლოვანი დამნაშავეისთვის შენარჩუნებულ იქნას მისი კავშირი გარე სამყაროსთან, იქნება ეს შეხვედრები, სატელეფონო საუბრები კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმონერა, ამანათებისა და ფულადი გზავნილების მიღება-გაგზავნა ადმინისტრაციის კონტროლით. არასრულწლოვან პატიმარს უნდა მიეცეს საშუალება, რეგულარულად მიიღოს ინფორმაცია მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, იკითხოს გაზეთები, ჟურნალები და სხვა გამოცემები, ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით, უყუროს გასართობ გადაცემებს, ასევე, ურთიერთობა ჰქონდეს კანონით ნებადართულ კლუბებთან და ორგანიზაციებთან.

ძირითადი მესიჯი უნდა იყოს ის, რომ მართალია, საზოგადოებისათვის მიუღებელია კრიმინალური საქციელი, მაგრამ არასრულწლოვან დამნაშავეს ეძლევა შესაძლებლობა, რომ ისწავლოს, თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა და დაუბრუნდეს საზოგადოებას. განათლების ძირითადი მიზანია, სასჯელსრულების დაწესებულებიდან არასრულწლოვანი გამოვიდეს უფრო განათლებული, მეტი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი და საკუთარ თავში მეტად დარწმუნებული. უმეტესწილად გამასწორებელი დაწესებულებები ვერ უზრუნველყოფენ დამნაშავეთა გამოსწორებას, რადგან ციხეში არსებული ასოციალური გარემო განსაკუთრებით ცუდ გავლენას არასრულწლოვნებზე ახდენს. საპატიმროს დატოვების შემდეგ კი, ბევრი მათგანი კვლავ უბრუნდება

დანაშაულებრივ ცხოვრებას. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, არასრულწლოვანთა დასაქმება აუცილებელია, რომ ისინი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბდნენ. თუმცა, სასჯელმთხოვნი არასრულწლოვანი დანაშაულებებისათვის საკმაოდ ძნელია სამსახურის შოვნა. ამიტომ, უნდა შეიქმნას პროგრამა, რომელიც ითანამშრომლებს კომერციულ ცენტრებთან, ადგილობრივ დამქირავებლებთან და სოციალურ სამსახურებთან მოზარდთა დასაქმების უზრუნველსაყოფად.

იუსტიციის სამინისტროს კოორდინაციით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში უკვე შემუშავდა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის უწყებათაშორისი სტრატეგია, რომელიც დანაშაულის ადრეულ პრევენციას, რისკ ჯგუფებზე მიმართულ ღონისძიებებს და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანების მიერ განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად.

პრევენციული პროგრამებით შესაძლებელია დანაშაულის კონტროლი, თუმცა, ცხადია შეუძლებელია დანაშაულის ფენომენის გაქრობა. ამიტომ, როდესაც ეფექტიანი პრევენციის მიუხედავად, არასრულწლოვანი მაინც სჩადის დანაშაულს, მნიშვნელოვანია ამ ფაქტზე სწორი რეაგირება, რათა დროულად და მართებულად მოხდეს ჩარევა არასრულწლოვანის განვითარებაში.

## დასკვნა

„ყველაფერი სისულელეა, მთელი სამყაროსეული ჰარმონიის ფასი გროშია, ერთი კონკრეტული ადამიანის პიროვნულ ტრაგედიასთან შედარებით“ – ეს ფრაზა ალბერ კამიუს ეკუთვნის და კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საჭიროა გაირკვეს და გაანალიზდეს ის მიზეზები, რაც განაპირობებს არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების ჩადენას.

სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია. გაცილებით ეფექტიანია დანაშაულის თავიდან აცილება, ვიდრე მისი შედეგების გამოსწორებაზე შემდგომი ზრუნვა. რაც უფრო მეტ არასრულწლოვანს შევაჩერებთ დანაშაულის ჩადენამდე, რაც მეტ მათგანს განვარიდებთ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას, მით მეტად შევამცირებთ დანაშაულის ჩადენის პოტენციურ რისკს.<sup>24</sup>

**შენიშვნები:**

- <sup>1</sup> თომას ჰამარბერგი, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარი.
- <sup>2</sup> ე. კუსიანი, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის მიზეზები და პრევენცია, აგვისტო, 2011.
- <sup>3</sup> А. И. Чернышев, Преступность несовершеннолетних и меры борьбы с ней в СССР. Томск 1975 г., стр. 37.
- <sup>4</sup> BPB - Bundeszentrale fuer politische Bildung, 2007.
- <sup>5</sup> Dryfoos, 1990; Jessor & Jessor, 1977; Petersen et al., 1993.
- <sup>6</sup> Harrington, Rutter, & Fombonne, 1996.
- <sup>7</sup> ნ. ახალაშვილი, იურიდიული ფსიქოლოგია, თბილისი, 2009, გვ. 280.
- <sup>8</sup> მ. კაკაჩია, ლ. კლდიაშვილი, არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაცია საქართველოში, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, სახელმწიფო მმართველობის სკოლა, თბილისი, 2004.
- <sup>9</sup> გ. დეკანოზიშვილი, დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლის სამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში, დისერტაცია, თბილისი, 2009.
- <sup>10</sup> საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, არასრულწლოვან მოზარდებთან მუშაობის თავისებურებები, თბილისი, 2013, გვ. 38.
- <sup>11</sup> ნ. ხარაძე, როგორ დავიცვათ არასრულწლოვანი დანაშაულისა და სასჯელისგან, <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-in/library.exehttp://chvenertni.vart.wordpress.com/2011/02/26/342/>
- <sup>12</sup> <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24090854.html>
- <sup>13</sup> ქ. თავართქილაძე, მოზარდთა აგრესიული ქცევა, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი, [http://phmdf.ge/?page\\_id=139](http://phmdf.ge/?page_id=139)
- <sup>14</sup> ნ. გვენეტაძე, მ. კვაჭაძე, ე. ნიკლაური-ლამიხი, მ. გაბუნია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: განრიდება და მედიაცია, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2012, გვ. 35.
- <sup>15</sup> განრიდება არასრულწლოვანის მიმართ, <http://mimomxilveli.wordpress.com/>
- <sup>16</sup> ს. აჩბა, განრიდებასა და მედიაციის პროგრამა, <http://humanrightshousebilisi.wordpress.com>
- <sup>17</sup> ლ. ფაფიაშვილი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება – ედუკაციური იურისდიქცია, არასრულწლოვნები, თბილისი, 2007, გვ. 51.
- <sup>18</sup> <http://youthjustice.ge/ka/node/35> – არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია.
- <sup>19</sup> ბ. კვირიკაშვილი, თ. ანდლულაძე, საქართველოში დანაშაულობის პროფილაქტიკისა და არასრულწლოვანთა დანაშაულობის კვლევის კრიმინოლოგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტი, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია.
- <sup>20</sup> Личность преступника Н. 1975 г., стр. 133-134.
- <sup>21</sup> არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია, (საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის პრაქტიკული განხორციელების სამოქმედო გეგმა).
- <sup>22</sup> ელექტრონული წიგნის პროგრამა არასრულწლოვანი დამნაშავეებისათვის, <http://blog.myadvokat.ge>
- <sup>23</sup> განრიდება-მედიაციის პროგრამა არასრულწლოვანთათვის, <http://blawg.ge/?p=937>
- <sup>24</sup> არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია – [http://www.justice.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=652&info\\_id=3627](http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=652&info_id=3627)



# JUVENILE OFFENDER AND CRIME PREVENTION

ELENE KAVTUASHVILI

*LLM*

To date, the crime rate has risen in almost all the countries. It is alarming that more and more often the juveniles are found among the people committing violence and murder. The fact that a person is a juvenile does not mean that the law does not protect his rights and interests, or does not impose responsibility in case of committing a certain crime.

Juvenile crime has been a subject of heated discussion in Georgia too. It is a complicated phenomenon and it has many causes. Fight against the juvenile crime necessitates a complex approach, a joint effort by governmental, non-governmental and international organizations and a private sector as well.

The article “Juvenile Offender and Crime Prevention” – discusses the concept of juvenile, peculiarities of delinquencies committed by them, diversion and mediation, which releases a juvenile from criminal responsibility; particular recommendations are offered about how to fight this crime more effectively; the necessity to identify and analyze the causes of crime and other offences by juveniles in order not to repeat previous mistakes and to ensure effective and quality reduction of crime.



**საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია**  
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA  
ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 292 34 90

**საქართველოს უზენაესი სასამართლო**  
THE SUPREME COURT OF GEORGIA  
ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 299 70 01



9 771512 259002